


საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის  
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-  
საგანმანათლებლო კაფეირის „საზოგადოება  
ცოდნის“ ჟურნალი

# სიტყვა

„როცა საზოგადო მნიშვნელობის  
აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ  
თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა  
ხოლმე“



№8-9  
2009

უურნალ „სიტყვის“ გამოცემა გრძელდება საქართველოს ილია ჭავჭაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წესდების საფუძველზე, რაც საჭირო ცვლილებებით დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით №366, 30.09.2005 წ. მოწმობა №00541/12/0293

### სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო უურნალი „სიტყვა“

თუ რედაქციაში შემოსული მასალები არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას, გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე  
პასუხს აგებს ავტორი

უურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე საავტორო უფლება ეკუთვნის „სიტყვის“ რედაქციას. შეუთანხმებლად რაიმეს გადაბეჭდვა კანონის მაღით აკრძალულია. უურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სტამბაში

სარედაქციო კოლეგია:

**ცეგზარ ტერეთელი (მთავარი რედაქტორი),**  
**ნოდარ ზედელაშვილი (პასუხისმგებელი მდიგანი),**  
ნანა გაფრინდაშვილი, გურამ გეგეშიძე, ემზარ კვიტაიშვილი, ნიკო ლეონიძე, ტარიელ სტურუა, რევაზ უზუნაძე, გარი ჩაფიძე, თამარ ყურაშვილი, ნინო წერეთელი.

**რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.**

**საკონტაქტო ტელეფონები:**  
**99-00-35, 99-94-46, 93-43-10**  
**877-52-31-31, 877-50-29-84**

ISBN 5-89512-248-5

У საქართველოს ილია ჭავჭაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

## შინაარსი

„საზოგადოება ცოდნის“ საქმიანობის შესახებ .....	4
უძალლესი ფარმაცევტული განათლების ახალი კერა .....	10
ომის საშინელება, ანუ წინა პერიოდის რეტრო .....	12
ჩემი უნივერსიტეტი .....	26
„ . !!!“ .....	32
თხოვნა ქართული უურნალ-გაზეთების რედაქციებს .....	36
დიდი მწერალი დიდი მწერლის შესახებ .....	43
ქართველი სალხის მეცნარი .....	50
რისთვის იჭერდნენ და აუგვიანურებდნენ ხალხს .....	56
ბუკინისტური და იშვიათი წიგნები .....	64
ნაზი სურმავა – ლექსები .....	76
ნუგზარ ერგემლიძე – ლექსები .....	81
როლანდო და როლანდინო .....	92
ნუგზარ წერეთელი – ლექსები .....	105
ჯორჯ ბაირონის მიერ ბიბლიურ თემაზე დაწერილი ლექსების ციკლიდან ...	119
თარგმანები ლიტვურ-ესტონურ-რუსული პოეზიდან .....	123
დღემდე გამოუქვეყნებელი პოეტი .....	129
დაუკიწყარი პიროვნება .....	132
ლექსებში დარჩენილი მეცნარობა .....	137
შემთხვევა წითელ მოედაზე .....	154
საყდარი (სოფელ ერგეს წარსული) .....	156
ახალგაზრდების შემოქმედება .....	160

## „საზოგადოება ცოდნის“ საქმიანობის შესახებ

ლი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ უმთავრესი სამართალმემკვიდრე და მისი მოდელის მიხედვით შექმნილი „მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება „ცოდნა“ ქართველი ხალხის სულიერი ღირებულებების სამსახურს ეწეოდა, ავრცელებდა ერის ინტელექტუალური მონაბოკრების სიმდიდრეს, მოიცავდა ყველა ქალაქსა და რაიონს, დაბასა და სოფელს.



საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირმა „საზოგადოება ცოდნაში“ დაარსებიდან მეშვიდე ათეულის ათვლა დაიწყო. განვლილ ათწლეულებში „ცოდნაში“ გაუძლო უძრავ სიძნელეს, ფორმაციათა ცვალებადობით გამოწვეულ წინააღმდეგობებს და დღემდე მოვიდა.

განვლილი წლების განმავლობაში დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნი-

ლიარებულ ფაქტად ითვლება, რომ ლექტორის – მეცნიერის, მწერლის, მუსიკოსის, გამოჩენილი ადამიანის, ცნობილი სპეციალისტის მართალ სიტყვას გარკვეული სიკეთის მოტანა შეეძლო ხალხისათვის, უშუალო შეხვედრების დროს ადამიანებს საშუალება ჰქონდათ გაეგოთ ბევრი რამ მათთვის საინტერესო, ნებისმიერი შეკითხვა დაესვათ ლექტორისათვის, ეს უკანასკნელი კი ცდილობდა შეხვედრა უნარი-ანად გამოეყენებინა, რომ ყველა მწვავე კითხვისათვის რაც შეიძლება დამაჯერებელი პასუხი გაეცა. ხალხს მოსწონდა ასეთი ფორმა და ყველა გამოჩენილი ადამიანის ლექციას გარკვეული სიამოვნებით უსმენდა. დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მაგალითად, საჯარო ლექციების ციკლი, რასაც „აკადემიკოსის ტრიბუნა“ ეწოდებოდა, ასობით და ათასობით ადამიანის

წინაშე გამოდიოდნენ ცნობილი აკადემიკოსები, ხალხს აცნობდნენ ამა თუ იმ დარგში არსებულ მიღწევებს და მომავლის პერსპექტივებს, პასუხობდნენ უძრავ შეკითხვას და ამით ამყარებდნენ ცოცხალ კონტაქტს. ეს კი ათობით გაზეთსა თუ ტელე-რადიოგადაცემაზე გაცილებით მეტ სასარგებლო საქმეს აკეთებდა, ცოდნის სურვილი შეჰქონდა ყველაზე შორეულ სოფლებშიც კი, ახერხებდა არსებული ინფორმაციული ვაკუუმის შევსებას.

საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ ერთ-ერთი დამაარსებელი, გამოჩენილი მეცნიერი პროფესორი ვახტანგ პარკაძე ორმოცდაათი წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით წერდა: „თავისი არსებობის მანძილზე საზოგადოება „ცოდნამ“ კოლოსალური როლი შეასრულა რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო ფენებში მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გავრცელების თვალსაზრისით. საქართველოში არსებულ ყველა სოფელშიც კი ჩენი ლექტორი ცოდნის ჩირალდნით შედიოდა...“

ეს ძლიერი სულიერ-ინტელექტუალური მუხტი სამოცხე მეტი წლის მანძილზე მოცყვებოდა „საზოგადოება ცოდნას“, რომელიც 1990 წლიდან ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით სრულად იწოდება საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „საზოგადოება ცოდნად“, რაც დროისა და ახალი

კანონების მოთხოვნათა შესრულებით იყო განპირობებული.

აღიარებული ფაქტია, რომ „საზოგადოება ცოდნამ“ ხალხის განვითარებისათვის უამრავი სასარგებლო საქმე გააკეთა და დღესაც ცდილობს შეძლებისდაგვარად არ დათმოს წლობით ჩამოყალიბებული ტრადიციები.

თუმცა აქვე ისიც შეიძლება ითქვას, რომ ერთი ორგანიზაციის მიერ, ამ შემთხვევაში „საზოგადოება ცოდნის“ მიერ საინფორმაციო-სალექციო საქმიანობა უკიდურესად გამნელდა და გართულდა, ათეულობით პარტია, მოძრაობა, ფორუმი, კონგრესი თუ აკადემია ცდილობს საკუთარი არა საერთო-სახალხო, არამედ ვიწრო იდეოლოგია დაამკვიდროს, ზოგიერთი პარტია საერთოდ თავდაყირა აყენებს ყველა მონაცოვარს, თვითდამკვიდრების ყველაზე ქმედით, საუკეთესო გზად დაუკებელი ლანძღვა-გინება, ხალხისათვის ჭკუა-გონების არევ-დარევა მიაჩნია. თითქმის იგივეს იმეორებს ზოგიერთი, ხაზს ვუსვამთ, ზოგიერთი ტელე-რადიომაუწყებლობა თუ მკვეთრი ყვითელი ფერით გადაღებილი გაზეთი, რაც თავისთავად, უსვამს ხაზს საქართველოში დემოკრატიულ პროცესებს. საერთოდ კი არსებული ბაკებალისა და სიტყვიერ-აზრობრივი შეხლა-შემოხლით ჩამოვარდნილი კაკაფონის ლექტორთა გამოსვლებით გადაფარვა ან შერბილება-გაკეთილშობილება ძალიან ძნელი აღმოჩნდა, წლობით გამომუშავებული ამოცანა ნაწი-

ლობრივ კი მაინც სრულდება, უსახსრობამ და უფულობამ გამოიწვია ქალაქებთან და რაიონებთან კონტაქტის გაწყვეტა, დაწყებული საქმის შენელება. რუსეთის აგრესის შედეგად სალექციო-საინფორმაციო საქმიანობის დონე არნახულად დაეცა და ახლა მხოლოდ თბილისში თუ კეთდება რაიმე, ხალხი ლექცია-მოხსენებებს აღარ უსმეს.

უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, ქალბატონი ანა კალანდაძე წლების წინ წერდა „საზოგადოება ცოდნის“ საქმიანობის შესახებ: „... მომხსენებელსა და მსმენელს შორის უშუალო კონტაქტი, ადამიანთა შორის ის „ცოცხალი“ ურთიერთობა, რასაც სულ სხვა მომხიბლობა და განუმეორებლობა ახლავს, ჯერჯერობით, მართლაც შეუცვლელი რჩება. ეს ორგანიზაცია ჯერ კიდევ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ იკიდებს ძირს. ამ საზოგადოების ფესვებზეა ამოზრდილი და განაგრძობს მის იმ დიდ საქმეს, რომლისადმი უანგარო სამსახურიც ჩვენს წინაპრებს თავიანთი ამ ქვეყნად არსებობის ძირითად მოვალეობად მიუჩნევიათ“.

1991 წლიდან საქართველოს საზოგადოება „ცოდნა“ გახდა გაუქმებული, ე.წ. სრულიად საკავშირო საზოგადოება „ზნანიეს“ ადგილას წარმოქმნილი საერთაშორისო ასოციაცის წევრი და ერთ-ერთი დამფუძნებელი. ასოციაციაში დამოუკიდებელი სახელმწი-

ფოების „საზოგადოება ცოდნის“ მონათესავე ან ზუსტად მსგავს ორგანიზაციებთან ერთად გაერთიანდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ბრაზილიის, ჩიხეთის, სლოვაკეთის, პოლონეთის, რუმინეთის იგივე დანიშნულების, ოღონდ სხვადასხვა სახელწოდების ორგანიზაციები, რაც ქმნიდა კონტაქტებისა და კულტურულ-სამეცნიერო ურთიერთობების განმტკიცება-გაფართოების თანამედროვე საქმიან საშუალებას.

ასოციაციის დაარსების პირველ წლებში ეს კონტაქტები მართლაც საქმიანი, სასარგებლო კუთხით მიმდინარეობდა. მაგალითად, საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნამ“ მჭიდრო მევობრული კონტაქტები დაამყარა ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ნიუ-იორკის „ცოდნის“ მონათესავე საზოგადოება საგამომცემლო გაერთიანება „ნოვა საინს პაბლიშინგ ინკომპანისთან“. ამ კონტაქტების წყალობით ამერიკაში ცალკე წიგნებად დაიბეჭდა, შურნალებში გამოქვეყნდა ან ბუკლეტების სახით გამოვიდა ოცდაათზე მეტი ქართველი ავტორის – ძირითადად მეცნიერების საუკეთესო ნაწარმოებები. ჩვენც ინგლისური ენიდან ქართულზე ვთარგმნეთ და „საზოგადოება ცოდნის“ გრიფით მაღალ დონეზე დავბეჭდეთ გამომცემლობის გენერალური დირექტორის, ქართველი ხალხის გულწრფელი მეგობრის ფრენკ კოლამბუსის

საინტერესო რომანი სათაურით „თავ-დაყირა რუსეთი“.

იმაზეც შეიძლება ითქვას, თუ როგორ „შეგვიწყო“ და „გვიწყობს“ ხელს საერთაშორისო ასციაცია „ზნანიეს“ დამფუძნებელი და ფაქტობრივად ხელმძღვანელი რუსეთი კვლავაც გავაფართოოთ კონტაქტები, ვიზრუნოთ ურთიერთდახლოებისა და ურთიერთნდობის განსამტკიცებლად, შეიძლება მოვიტანოთ თუნდაც ორიოდე დამახასიათებელი მაგალითი. 2007 წლის 25-29 მაისს სანკტ-პეტერბურგში ტარ-დებოდა საზოგადოება „ზნანიეს“ დაარსებიდან 60 წლისთავის საიუბილეო თარიღი. დროულად მოვიდა ოფიციალური დოკუმენტი საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მიწვევის შესახებ სანკტ-პეტერბურგში. თითქმის ერთი კვირის მანძილზე რუსეთის საელჩოსა და საკონსულოში სიარულმა შედევი ვერ გამოიღო, „ცოდნას“ ვიზა არ მისცეს. იგივე განმეორდა ივლისის თვეში, როცა ქ. მოსკოვი მასპინძლობდა საზოგადოება „ზნანიეს“ დაარსებიდან 60 წლისთავის საიუბილეო სხდომის მონაწილეებს. როცა საკონსულოს განმარტება ვთხოვთ, თუ რა იყო უარის მიზეზი, მათ გვიპასუხეს: „საერთაშორისო ასოციაცია „ზნანიე“ ჩვენი ხელმძღვანელი არ არის, ამიტომ თქვენი გამოგზავნილი ბეჭდიანი და ბლანკიანი ქაღალდები ჩვენ არ გვაძლევს საფუძველს ვიზები მოგცეთ. საჭიროა საერთაშორისო ასოციაცია

„ზნანიემ“ თუ სანკტ-პეტერბურგის „ზნანიეს“ ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართოს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტს. მათთან შეთანხმებისა და დადგეთით პასუხის გამოგზავნის შემდეგ შეგვიძლია მოგცეთ ვიზებით“. ეს მეტისმეტად რთულად გასავლელი გზა იყო, რის გამოც საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ ხელმძღვანელობამ მონაწილეობა არ მიიღო საიუბილეო ღონისძიებებში, ეს კი იმის უტყუარი დასტურია, რომ წესდებითა და ორმხრივი შეთანხმებებით მიღწეული კონტაქტების მიზანდასახულობანი თავად რუსეთის არასწორი პოლიტიკის გამო დაირღვა და გაუფასურდა, რუსეთის აგრესის შემდეგ კი გააფთრებული ოკუპანტების ქვეყანასთან და ასოციაციებთან კავშირი საერთოდ მოისპო.

ბოლო წლების დემოკრატიულ საქართველოში ხელისუფლების ნებით ფართოდ მკვიდრდება ცივილიზაციის მრავალი სიკეთე, მოქმედებს ათობით რადიომაუწყებლობა და სატელევიზიო არხი, გამოდის ათობით გაზეთი და ჟურნალი, ბევრი პოლიტიკოსი შესანიშნავად ლაპარაკობს, ნებისმიერ ლექტორზე საინტერესოდ, ფართოვდება მობილური ტელეფონების ქსელი, რაც უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ფართოდ და შეუქცევადად იკიდებს ფეხს კომპიუტერი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, დიდი წინსვლა ხდება ადამიანების აზროვნებაში, რამაც, ბუნებრივ-

ია, გარკვეულწილად შეაფერხა ადამიანების, ლექტორების, მეცნიერების საინფორმაციო-სალექციო საქმიანობა, თუმცა აქვე ისიც შეიძლება ითქვას, რომ აღმაგალი დროის ტექნიკის ეს მიღწევები ასჯერ და ათასჯერ მეტია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთსა და სხვა მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების მქონე ქვეყნებში, აქ კი ისიც ხაზგასმას საჭიროებს, რომ ყველა ნახსენებ და მრავალ სხვა ქვეყანაში არსებობს „საზოგადოება ცოდნის“ ზედმიწევნით მსგავსი, მონათესავე ორგანიზაციები, რომელთაც უმრავლეს შემთხვევაში მოზრდილთა უწყვეტი განათლების კავშირები, ცენტრები თუ კლუბები ეწოდებათ. თუკი ასეთი მაღალი განვითარების დიდ ქვეყნებში ხალხს, მოსახლეობას, ახალგაზრდობას სჭირდება დამატებითი უწყვეტი განათლება, ჩვენ მით უმეტეს გვჭირდება, გვჭირდება კი არა, აუცილებლად გვჭირდება. ამიტომ ვფიქრობთ, ყველა გაგებით უნდა შეხვდეს ქვეყნის უმაღლესი იურიდიული ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2005 წელს მიღებულ „საზოგადოება ცოდნის“ ახალ წესდებაში ჩაწერილ მნიშვნელოვან მითითებას: „ცოდნას“ კანონით დადგენილი წესით უფლება აქვს ქვეყნის ნებისმიერი ქალაქისა თუ რაიონის წარმოებებში, ორგანიზაციებში, კრძო სტრუქტურებსა თუ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში ჩატაროს ლექცია-მოხსენებები ან სამეცნი-

ერო-შემეცნებითი ღონისძიებები, კონფერენციები, ტრენინგები, კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები აკადემიკოსებთან, მწერლებთან და ა.შ“. „საზოგადოება ცოდნის“ თანამშრომლებმა და ლექტორებმა უნარიანად უნდა იმუშაონ ამ მიმართულებით, თუმცა ყველაფერი უკიდურესად გართულდა.

ისე, როგორც „ცოდნის“ მთელი განვლილი მოღვაწეობის მანძილზე, დღესაც დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობას, რაც „ცოდნის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, ეს საპატიო საქმე პიროვნებებსა და ჯგუფებზე მეტად ვრცელი ისტორიის მქონე ერთ-ერთ უძველეს საზოგადოებას ეხება და ხელეწიფება.

„ცოდნის“ ინიციატივითა და საქართველოს განათლების სამინისტროს უანგარო მხარდაჭერით 1993 წლიდან თბილისა და ბათუმთან ერთად მაღალმთიან რეგიონებში მოქმედებდნენ „ცოდნის“ სასწავლო დაწესებულებები: დუშეთში, თიანეთში, ონიში, მარტვილში, ახალქალაქში. ამგვარი საპატიო საქმე ძირითადად კეთდებოდა ადგილებზე ახალგაზრდობის დამკავიდრების მიზნით, რისთვისაც „ცოდნის“ გამგეობამ ბევრჯერ ადგილობრივი მოსახლეობის დიდი მაღლობა დაიმსახურა.

ეს მიმართულება კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა ბოლო პერიოდში. „ცოდნაშ“ მოახდინა მის ხელთ არსებული ძალების მობილი-

ზება, შესაფერისი აუდიტორების მომზადება, პროფესორ-მასწავლებლების შემოკრება, ყველა პრობლემატური საკითხის მოგვარება, გაიარა მეტად რთული, საპასუხისმგებლო, მძიმე, ოღონდ თავისთავად საპატიო გზა და 2007 წლის 22 ნოემბერს ხუთწლიანი ვადით მიიღო ინსტიტუციური აკრედიტაცია, რის საფუძველზეც „საზოგადოება ცოდნას“ აქვს საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი. ინსტიტუტში ფუნქციონირებს ჰუმანიტარული და ფარმაცევტული ფაკულტეტები. უთუოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „საზოგადოება ცოდნის“ ჰუმანიტარული ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით, მოქმედებს საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალმთიან რეგიონში – ახალქალაქში და შეძლებისდაგვარად მოემსახურება ქართული სულისკვეთების გაღვივებას.

ინსტიტუტის გვერდით „საზოგადოება ცოდნაში“ საქმიანობას ეწევა სტანდარტული, სადაც იძეჭდება წიგნები, ბროშურები, ბუკლეტები და „ცოდნის“ ორგანო სქელტანიანი უურნალი „სიტყვა“, რომელმაც გააგრძელა ცოდნის წინანდელი უურნალების „გულახდილი დიალოგი“ და „კითხვა, პასუხი, პრობლემა“ ტრადიციები. საინფორმაციო სალექციო საქმიანობის გვერდით საინ-

ტერესო, ახლებური და „საზოგადოება ცოდნისათვის“ სისხლხორცული მიმართულებებიც განმტკიცდა.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირს „საზოგადოება ცოდნას“ სურვილი აქვს კვლავაც იმუშაოს ისე, როგორც ამას წერილში აღნიშნავდა ქართველი ერის სულიერი მამა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II: „ჩვენ დიდად ვაფასებთ საზოგადოება „ცოდნის“ საქმიანობას, რომელსაც უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი ერის განათლების საქმეში. თქვენი ორგანიზაცია ყოველთვის ყურადღებით ადგვნებდა თვალს საქართველოს სულიერი და კულტურული ცხოვრების მიმდინარეობას... სასიხარულოა, რომ საზოგადოება „ცოდნა“ გადაწყვიტა წელი შეუწყოს მოსახლეობაში სარწმუნოებრივი განათლების შეტანის უმნიშვნელოვანეს საქმეს“.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“ რთული ამოცანების წინაშე დგას და კვლავაც მონდომებული საქმიანობით შეეცდება მათ გადაწყვეტას.

## სარედაქციო კოლეგია

## უმაღლესი ფარმაცევტული განათლების ახალი კერა



საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“ მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას, რასაც 15 წლის წინ დაემატა პედაგოგიური საქმიანობაც. 1992 წელს მის ბაზაზე ჩამოყალიბდა სამედიცინო კოლეჯი, რომლის კურსდამთავრებულები დღეს წარმატებით ემსახურებიან ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას.

მიმდინარე წელს „საზოგადოება ცოდნის“ ბაზაზე დაფუძნდა პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლა სპეციალობით ფარმაცია (კვალიფიკაცია ფარმაციის დიპლომირებული სპეციალისტი) და ინსტიტუტი ფარმაციისა და პუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტებით. აღნიშნულმა სასწავლო დაწესებულებებმა წარმატებით გაიარეს აკრედიტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, რასაც ადასტურებს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ინსტიტუციური აკრედიტაციის სერტიფიკატი.

ფაკულტეტების არჩევანი შემთხვევაში არ ყოფილა. ფარმაცია მედიცინასთან ერთად ძირძველი და უბერებელი დარგა, რომლის საწყისებიც ძველი წელთაღრიცხვით მე-5 – 4 საუკუნეებში უნდა მოვიმით და დღესაც დღე პერსპექტივებს სახავს. დღესდღობით საქართველოში 1937 აფთიაქი, 64 ფილიალი და 354 სააფთიაქო პუნქტი, 88 ფარმაცევტული ბაზა, 60 ფარმაცევტული წარმოება, მრავალი წამლის ხარისხის და სტანდარტიზაციის ლაბორატორია, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია თუ საექსპერტო ბიურო, სამეცნიერო-კვლევითი თუ სასწავლო ინსტიტუტი ფუნქციონირებს და მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. სხვა სპეციალობებისაგან განსხვავებით ფარმაციაში დღესაც კადრების დეფიციტია და სპეციალისტებს ნამდვილად არა აქვთ დასაქმების პრობლემა. რაც შეეხება ახალქალაქში პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დაფუძნებას ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით, მას მნიშვნელოვნი საგანმანათლებლო და ეროვნული დატვირთვა აქვს, რაც საშვილიშვილო როლს შეასრულებს რეგიონის ცხოვრებაში.

საზოგადოება "ცოდნაში" წელს უკვე იზემია სტუდენტთა პირველი ნაკადის მიღება, რაც მეტად სასისარულოცაა და პასუხსაგებიც. მისი ხელმძღვანელობისა და პროფესიონალური საქმიანობისა როგორც მასწავლებელთა საქმიანობა მრიენტირებულია სასწავლო პროცესის

საერთაშორისო სტანდარტების დონეზე წარმართვასა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე. ამის საფუძველი უდაოდ არის, სტუდენტებს დახვდათ კეთილმოწყობილი აუდიტორიები, სათანა-დოდ აღჭურვილი ლაბორატორიები, სითბო-როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, მაღალკვალიფიციური და დარგის წამყვანი პროფესიონალი — მასწავლებლები. მაღალ დონეზე სასწავლო პროცესის სახელმძღვანელოებითა და მეთოდური მასალებით უზრუნველყოფა, სტუდენტების განკარგულებაშია შესანიშნავი ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ქსელი. სასწავლო გეგმა და საგნობრივი სილაბუსები სრულად შეესაბამება ბოლონის საერთაშორისოდ აღიარებულ ფარმაცევტულ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას, რაც იმის საწინააღმდეგო, რომ კურსდამთავრებულის თეორიული მომზადების დონე და პრაქტიკული უნარ-ჩვევები საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი იქნება.

მედიკო-ბიოლოგიურ და ქიმიური დისციპლინების შესწავლით სტუდენტებს მიეცემათ მყრი საფუძველი ისეთი ფუნდამენტური მაპროფილებელი მეცნიერებების დაუფლებისა, როგორიცაა ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, ფარმაცევტული მენეჯმენტი და მარკეტინგი, ფარმაცევტული ქიმია, და ფარმაკოლოგია, ტოქსიკოლოგიური ქიმია, ფარმაკოლოგია, ფარმაკოკინეტიკა და ფარმაკოდინამიკა და სხვა.

სასწავლო პროცესი მთლიანობაში მომავალ სპეციალისტს მისცემს საბაზისო ცოდნას:

ცოცხალი ორგანიზმების აგებულების, მათში მიმდინარე ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების და სხვადასხვა პათოლოგიებით გამოწვეული ცვლილე-

ბების არსის შესახებ;

სამკურნალო საშუალებების ნომენკლატურის, კლასიფიკაციის, მოღების გზების, სამკურნალო საშუალებების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების — ანალიზის მეთოდების — სტანდარტიზაციის — ფარმაკოლოგიური აქტიურობის — წამლის ფორმების სტაბილურობის და შენახვის პირობების ურთიერთდამოკიდებულების კავშირის არსისა და მისი მნიშვნელობის შესახებ სამკურნალო საშუალებების შექმნის, ხარისხის შეფასებისა და მიმოქცევის ნებისმიერ ეტაპზე;

წამალოფორმების წარმოების ტექნიკოლოგიის თავისებურებებისა და მათი ხარისხობრივი შეფასების მეთოდების; წამლის მოქმედების მექანიზმების და მათი გვერდითი ეფექტების; ფარმაციის სფეროს ორგანიზაციის, ფარმაცევტული მენეჯმენტის და მარკეტინგის, მოქმედი საკანონმდებლო საფუძვლების შესახებ.

თეორიულ ცოდნასთან ერთად მომავალი სპეციალისტები შეიძენენ სამკურნალო საშუალებების წარმოებასა და ხარისხის შეფასებასთან, ფარმაცევტული ინფორმაციის შეგროვებასა და მის ანალიზთან დაკავშირებულ პროფესიულ უნარებს საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისი პრინციპებზე დაფუძნებული პრაქტიკული საქმიანობისათვის, რისთვისაც გამოიყენებენ ეთიკურ, პროფესიულ, უსაფრთხოების და ჰიგიენურ ნორმებს, რათა უზრუნველყოფა მოსახლეობის რაციონალური ფარმაკოთერაპიული მომსახურება.

ფეხბედნიერი და წარმატებული ყოფილიყოს საქართველოს ილა ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ კედლებში პირველი სტუდენტური ნაკადის შემოსვლა.

## ომის საშინელება, ანუ ფინა პრიორიტეტის რეზიტრ



ავად მოსაგონებელი 1921 წლის ოქტომბრიდან თთქმის ოთხმოცდათი წლის შემდეგ რაოდენობით ბევრად მეტი რუსეთის აგრესიამ გამანადგურებელი ტორნადოსავით გადაუარა პატარა საქართველოს. გაშმაგებულმა რუსეთმა ომის დაწყების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად საკუთარი მოქალაქების დაცვა დაასახლა და თავისი ჭკვით ვითომ ჰუმანური პრინციპების წინ წამოწევა მოინდომა, ყურით მოთრეული დაცვის განსახორციელებლად დამოუკიდებელი ურჩი ქვეყნის დასკის საბაბით ნერევა, დაწვა, გაპარტახება და უდანაშაულო მოსახლეობის სიკვდილი გააბატონა. თვალის ასახვევი ცდების მიუხედავად, ყველამ კარგად იცის, თვით რუსეთის გარდა, რომ ამგვარი არაადეკვატური ქვევა საუკუნის დანაშაულის სახელწოდებას უფრო იმსახურებს. რადგან მათ დაიწყეს ძალით რუსულ

**პასპორტებდარიგებული  
ვითომდა საკუთარი ქვეყ-  
ნის მოქალაქეების დაც-  
ვა.**

რუსეთის დაუნდობელი აგრესიის შესახებ  
ძალიან ბევრი დაიწერა,  
გადაიცა რადიოთი, ტელევიზიით,  
ნეტით არა მხოლოდ  
საქართველოს, არამედ  
გაუზიადებლად შეიძლება  
ითქვას, მთელი მსოფლი-

ლილის მასშტაბით. იშვიათადა ამერიკის შეერთებული შტატების თუ ევროპის ისეთი ქვეყნა, როსეთის აგრძესა რომ არ დაეგმო, ისევ და ისევ ყბადაღებულ ნიკარაგუას ან ვენესუელას თუ არ ჩავთვლით.

უგვე აღიარეს, რაც რუსეთის და-  
ქირავებულმა პოლიტოლოგებმაც კი  
ვერ უარყვეს, რომ პატარა  
საქართველომ ვებერთელა რუსეთს  
საინფორმაციო ომი მოუგო და არა  
საომარ, არამედ პოლიტიკურ ბატალიუ-  
ბშიც აჯობა, ამით კი ძალიან მნიშ-  
ვნელოვანი საქმე გაკეთდა.

დიდპეტრობელური რუსეთი 17-18  
წელია მთელი მონდომებით აპირებდა  
გაურჩებული საქართველოს დასჯას.  
ყველას კარგად გვახსოვს ჯერ კიდევ  
1991 წელს დასახცრევად განწირული  
საბჭოთა კავშირის ძოლებიკრატო  
დემაგოგმა პრეზიდენტმა მიხეილ გორ-  
ბაჩივმა როგორ დაუთარავად უთხრა

საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ეროვნული სულისკვეთებითა და პატრიოტიზმით სახელგანთქმულ ზეიად გამსახურდიას – თუ იფიქრებთ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლაზე, აფხაზეთსა და სამხრეთ სეითს ვეღარ ეღირსებითო. ნაადრევად გამიზნულ ამ ორ კოზირს რუსეთი დიდხანს ათამაშებდა და ბოლოს მართლა რუსულად, უხეშად, სალდაფონურად მოახერხა მათი სამარცხიო გათამაშება.

ეს ყველაფერი კარგად არის ცნობილი. ამ ბოლო ხანებში კი არ წყდება კამათი და მითქმა-მოთქმა, თუ ვინ დაიწყო ომი და ვინ ისროლა პირველად, თუმცა უკვე რამდენიმე თვეა რუსეთის სამშვიდობო ძალების თვალწინ, მათი უშესალო ხელშეწყობით, დახმარებით დაულაგებელი კოკოითის ბანდფორმირებები ისროდნენ და კიდეც ხოცავდნენ პოლიციელებს თუ მშვიდობიან მოსახლეობას, გამწარებული ხალხი დახმარებას, ჯარის შეყვანას მოითხოვდა, თანაც სრული დაბეჭიოთებით.

საქართველოს მიერ რუსეთისათვის ომის დაწყება იმას ჰგავს ცოფშეყრილმა მგელმა ბატკანი რომ შეჭამოს და მერე დაიწყონ გამოკვლევა, ვინ იყო დამნაშავე. არცერთი ჭკუათმყოფელი არ იტყვის დამნაშავე ბატკანი იყოო. თუნდაც ეს პატარა ბატკანი ვეებერთელა, კბილებდაკრეჭილ მგელს მივარდნოდა და ჯერ კიდევ სუსტი რქებით მისი გაუმაძლარი მუცელი გაეკაწრა კიდეც.

ამასთან დაკავშირებით შესაფერ-

ისად მიგვაჩნია თუნდაც დიდი ქართველი მწერლის, სახელგანთქმული კლასიკოსის, სიცოცხლეშივე ლეგენდარულ პიროვნებად ქცეული ჭაბუა ამირეჯიბის გამეორება, სწორედ იმ ჭაბუა ამირეჯიბის, ვინც მშობლიურ საქართველოს აჩუქა სწორუპოვარი ლიტერატურული ძეგლები „დათა თუთაშნა“, „გორა მბორგალი“, „გიორგი ბრწყინვალე“ და ვისაც მტერიც კი ვერ დასწამებს ხელისუფლების სიყვარულს თუ თანადგომას. მიუხედავად ყველაფრისა ის მსჯელობს პრინციპულად, საქმიანად, კაცურად და, რაც მთავარია, ძალზე სამართლიანად.

გაზეთ „ყველა სიახლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში (18-24 სექტემბერი, 2008წ.) ჭაბუა ამირეჯიბი აღნიშნავს: „ერთობ საინტერესოა, ტრაბახად გადაცეული ჩვენი ხელმძღვანელობის საგარეო პოლიტიკა რატომ არ ამახვილებს მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას იმაზე, რომ ქართველები სხვათა ქვეყანაში არასოდეს შეჭრილან, ხოლო შიდა ქართლი და აფხაზეთი კოდორის ხეობითურთ ქართველთა ისტორიული მიწა-წყალია. ეს ორივე ტერიტორია უცხო ეროვნების ბანდიტებმა რუსეთის იმპერიის დაკვეთით მიისაკუთრეს და რომ ჩვენ საკუთარ მიწა-წყალზე შესვლის, იქ წესრიგის დამყარების, ქართველთა გენოციდის აღკვეთის სრული იურიდიული და მორალური უფლება ყოველთვის გვქონდა, გვაქვს დღესაც და ამ ტერიტორიებს მხოლოდ რუსეთის მიერ წარმული შეიძლება ეწოდოს. რუსები რის საფუძველზე მიიჩნევენ ჩვენი უფლებ-

ის აღსრულებას რუსულ ტერიტორიაზე შექრად?“

ამ აზრებს დიდი მწერალი კიდევ უფრო ავთარებს 2008 წლის 15-21 სექტემბერს გაზეთ „ასავალ-დასავალის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ უაღრესად საინტერესო ინტერვიუში: „სიმართლე კი მაინც ის არის, რომ ოსეთში კი არ შევეძით, არამედ ოსების მიერ მითვისებულ შიდა ქართლ-ში ქართველთა გენოციდის აღსაკვეთი ღონისძიების ჩატარება ვცადეთ; მაგრამ უვარებისი სტრატეგიისა და ტაქტიკის წყალობით, არამცუუ მიზანს მივაღწიეთ, არამედ გაუმართლებელი ზარალიც განვიცადეთ – ოსებს ქართველთა გენოციდის საშუალება მივეცით... ხოლო კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდით ნატოში გაერთიანების სურვილის გამო“.

„.... სხვის მიწაზე ფეხი არასოდეს შეგვიდგამს. შევეძით ჩვენს საკუთარ ტერიტორიაზე, ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ანუ შიდა ქართლ-ში (ქართული მოსახლეობისადმი ოსური გენოციდის აღსაკვეცად) და კოდორში. ორივე ტერიტორია მიტაცებულია რუსების მფარველობით ნაძირალა კოკოითისა და თვითმარქვია ბადაფშის მიერ. ამის სრული უფლება გვქონდა და მოვალეც კი ვიყავით წინაპართა და შთამომავალთა წინაშე!“ „.... დამარცხებულის გასამართლება თუ სხვა რამ შსჯავრის დადება, თითქმის ყოველთვის ხდება, მაგრამ დროა საჭირო იმის შესაცნობად, დავმარცხდით საბოლოოდ თუ, ღმერთის ნებით, რაიმე სახისა თუ ღირსების გამარჯვებას გვარგუნებს

ისტორია. სიმართლეს მოგახსენებთ, ღირსეული გამარჯვება ჩვენთვის ნაკლებად მოსალოდნელია. მაგრამ ხდება ხოლმე, გვევლინება გამარჯვების ტოლი დამარცხება, ისეთი დამარცხება, რომელშიც გამარჯვების ელემენტების საქმაო რაოდენობა მოიძებნება იმისათვის, რომ დასჯა არავისი მოხდეს!“

„ – მგონია ყველაფერი მძიმედ, მაგრამ სწორად ვითარდება. გადავრჩებით, როგორც გადავრჩენილვართ არაერთხელ და ჩვენი მოსისხლე კი საბოლოოდ მიძინებს. დრო, მოთმინება და გონიერებაა საჭირო. ჭკუით ქართველები!“

მართლა გენიალური აზრებია, უზარმაზარი მწერლის მიერ ქართველი ხალხისათვის შთაგონებით ნათქვამი.

ვიცით ჩვენს უურნალს ყველა ვერწაკითხავს და შეიძლება არც დაინტერესდეს, თუმცა ყველა უურნალს მკითხველთა საკუთარი წრე ჰყავს, მათთვის კი ან ვისაც ხელთ ჩაუგარდება ჩვენი კოლექტიური შრომის ნაყოფი, გვინდა ერთხელ კიდევ შევახსენოთ დიდი ქართველი კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას აზრები უბრწყინვალესი რომანიდან „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“: „ჩვენი უბედურება ამჟამადაც უგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავისი ხალხის მოღალატენი, კარგად ვიცი, თვით ჩემს მსტოვრებში ნახევარი ბიზანტიელებსა ჰყავდათ შესყიდული, ნახევარი სარკინოზებს. როცა ერს ამდენი მოღალატე შინა

ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას.

— თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის, პიპა, რადგან ჯერ არსად გაუმარჯვნიათ მშიშრებსა და მსტოვრებს.

სიყრძე და სიჭაბუქე საქართველოს შევალიე, მაგრამ ქართლელები „აფხაზს“ მედახდნენ, ხოლო აფხაზები — „ქართლელების მსტოვარს“ მიწოდებდნენ ბაგრატოვანს, ლაზს.

— ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს, ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი.

სიმთვრალეში კარგი ვაჟკაცები ვართ და კარგი რიტორები, პიპა, ეგაა ოღონდ სიფხიზლის დროს ჩადენილი ცუდკაცობა სიმთვრალეში გვავიწყდება ხოლმე, ხოლო ქეიფის დროს დანაქადნები უკვე აღარ გვახსოვს გამოფხილებულთ.

— ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდკაცი თუ გამოგერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.

მხოლოდ მწერლების მხატვრულად მიმზიდველ აზრებს რომ არ დავუყრდნოთ შეიძლება სამხედრო ექსპერტის, უშიშროების პოლკოვნიკის ბესიკ ალადაშვილის აზრებიც მოვიყვანოთ სტატიდან „რას გეგმავს რუსეთი საქართველოში“, რაც გამოქვეყნებული იყო იგივე გაზეთ „ყველა სიახლის“ 2008 წლის 25 სექტემბრის 1 ოქტომბრის ნომერში: „საქართველოს

წინააღმდეგ „აქტიური ღონისძიებების“ — საბოტაჟისა და გაფიცვების სცენარები მოსკოვში იწერება, „რეჟისორები“ არიან რუსეთის სპეცსამსახურების მაღალჩინოსნები, ხოლო უშუალო შემსრულებლები — საქართველოში მათი აგენტები.

ამგვარი საღდუმლო ოპერაციების ხელმძღვანელობა, როგორც წესი, ევალება საელჩოს რეზიდენტურას, რომლებიც თავიანთ აგენტებს ფარულად გადასცემენ ხოლმე დავალებასა და ფულს. სწორედ ამ თანხით შეეცდებიან დააფინანსონ სპეციალური ჯგუფები, რომლებსაც საპროტესტო ქუჩის აქციების ორგანიზება დაევალებათ.

საქართველოში რუსეთის საელჩოს დახურვით ამ ქვენის სპეცსამსახურებს სერიოზული პოლიტიკური შექმნათ. ისინი იძულებული არიან, უკვე არალეგალური რეზიდენტურა და აგენტურული ქსელი გამოიყენონ.

საქართველოს უახლესი ისტორიის ტრაგიკული ფურცლები ადასტურებს, რომ სახელმწიფოს მმართველობის სხვადასხვა რგოლში რუსეთის სპეცსამსახურებმა მოახერხეს ისეთი ხალხის „ჩანერგვა“, რომლებიც წლების განმავლობაში ქვეყნის შიგნით სიტუაციის დაძაბვას ახერხებდნენ.

ზემოთ მოთხრობილი ჭკუის სასწავლი ფაქტები ჩვენი ხელისუფლებისა და სპეცსამსახურებისთვისაც გასათვალისწინებელია, რადგან რუსეთის მოქმედების მეთოდები ათწლეულების განმავლობაში დიდად არ შეცვლილა“.

ეს გაფრთხილება ჩვენც უნდა მივიღოთ. მთელი შეოფლიო, ვიმეორებს, ნიკარაგუის, ვენესუელის თუ კუბის გამოკლებით ადასტურებს, რომ არა-პროპრეციული ომის დამწყებიც და აგრესორიც რუსეთია. ამ დროს ძიება ვინ ისროლა პირველად თოფი, ბევრს ვერაფერ სასარგებლოს მოგვიტანს, პირიქით, დაანახებს ყველას, რომ სამშობლოს შესარცხვენად ჩვენ უფრო გულმოდებინედ ვიბრძვით.

ურნალ „სიტყვის“ სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტა 2007 წლის ოქტომბერვალში დაბეჭდილი და 2006 წლის დეკემბერში დაწერილი სტატია საერთო სათაურით „გათავზედებულის“ დასჯის სურვილი“ ურნალის ახალ ნომერში მცირე შემოკლებით გაიმეოროს, რათა კვლავ დავრწმუნდეთ, რომ შოვინისტურ რუსეთში ჩვენს გასანადგურებლად ბრძოლა ძალიან დიდი ხნის წინათ იყო დაწყებული, რამაც განაპირობა ნატოსკენ მიმავალ გზაზე შემდგარი საქართველოს გააფთრებული დაბომბვა და მოსახლეობის გაუბედურება. ეს სულ მალე ბუმერანგივით მიუბრუნდება საბჭოთა კავშირის აღდგენის მოსურნე რუსეთს. წერილის სათაური „საშინელი ომის კვალდაკვალ ანუ წინაპერიოდის რეტრო“ სწორედ გამეორებას ნიშნავს, რაც მიგვითითებს, თუ რამხელა სიფრთხილის გამოჩენა სჭირდება ქართველ ხალხს გაბოროტებულ რუსეთთან დამოკიდებულებაში.

## „გათავსედებულის დასჯის სურვილი“

განვლილი ვრცელი ათწლეულების ანუ მთელი ეპოქის ჩავლის მიუხედავად ბევრი რამ მეორდება, ფესვგადგმული ბოროტება თავს ვერაფრით მალავს, მხოლოდ დროებით ინაბება და თუნდაც მცირე მიზეზის გამოჩენისთანავე სისინით წამოსწევს თავს.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში რომ უმბიმესი უამი დადგა, ამას ყველა კარგად ხედავს. გაგულისებულ-გაშმაგებულმა და ტაქტიკურად საკმაოდ გზააბნეულმა რუსეთმა აღარ იცის რა ბოროტება გააკეთოს, ურჩობისათვის რა სასჯელი მოიფიქროს, რაშიც ხელისუფლებას მოსახლეობის მხოლოდ უმცირესი ნაწილი თუ არ ეთანხმება, ვითომდა არსებული მეგობრობა ჯანღივით გადაფარა შოვინიზმის საბურველმა.

სრული ჰეშმერიტებაა, რომ გაგულისება და გაბოროტება დღეს არ დაწყებულა, ეს ყოველთვის ახლდა იმპერიალისტური მიდრეკილებებით უხვად გაჟღენილ რუსულ სულს, რაც მოსახლეობის ზედმიწევნით აღრეულმა სიმრავლედ და ბუნებრივმა სიცივემაც გარკვეულწილად განაპირობა.

ბევრს ახსოვს ბოროტების დიდი მესაძირებელის, პროლეტარიატის ყოფილი „ბელადის“ ვლადიმერ ლენინის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი დადგენილება 85 წლის წინანდელი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის პირველი გაუბედავი ნაბიჯების გადამდგმელი საქართველოს შესახებ,

რომლის ხელისუფლებამ-  
აც გაბედა და თავისუ-  
ფლების სურვილი გა-  
მოთქვა, ოცსაუკუნოვანი  
ისტორიის მქონე, შემდეგ  
კი უხეში ძალით დაკარ-  
გული სახელმწიფოებრი-  
ობის აღდგენა სცადა.  
გამაზტყულ-გამოროტყულ  
ვლადიმერ ილიჩი ბოლ-  
მით წერდა: „.....ამასთან  
იმის აღნიშვნა, რომ  
საქართველო საშინოდა

გათავსედდა დაევალოს კომისიას, რომ-  
ლის შემადგენლობაშიც იქნებიან ამს.  
ტროცკი, ამ ხ. ჩიჩერინი და  
ამხ.სტალინი“.

სრული სიმართლისათვის ისიც  
უნდა ითქვას, რომ „გათავსედებულის“  
დასჯის სურვილი ლენინს პირველად  
არ გასჩენია, ის არ იყო ორიგინალური  
და დამწყები, პირიქით, საუკუნეების  
მანძილზე ბოროტების გამგრძელებლის  
როლში წარმატებით გამოდიოდა, უკვე  
ჩამოყალიბებულ შაბლონს იმეორებდა.

კომუნისტური პარტიის ბატონო-  
ბის პერიოდში ბოროტების გამგრძელე-  
ბლები „ხალხის მამა“ ლენინს ბლო-  
მად ჰყავდა. საილუსტრაციოდ საკმა-  
რი ისა გავიხსენოთ საბჭოთა  
იდეოლოგიის ჭლექიანი მამამთავრის,  
რუს კარდინალად წოდებული მიხეილ  
სუსლოვის უბოროტესი ნააზრევი.  
როგორც ცნობილია, ეს ჩონჩხივით  
აწოწილი სუსლოვი საკმაოდ ხანგრ-  
ძლივი დროის მანძილზე ძალადობით  
შექმნილ ვებერთელა საბჭოთა კავ-  
შირში იერარქიის საფეხურზე მეორე



კაცად ითვლებოდა. მოგვყავს ნაწყვე-  
ტი მისი მართლაც ფინატიკურად კაცო-  
მოძულე ფაშისტური დოქტრინიდან:

„შორეულ აღმოსავლეთში მომ-  
სახურე ჩვენს გენერლებს უნდა  
მივცეთ ცხოვრების ნორმალური  
საშუალება. მათ ჩასასახლებლად  
გვჭირდება შავი ზღვის სანაპირო  
ტერიტორია, სადაც, როგორც  
მოგეხსენებათ, ქართველები სახ-  
ლობენ. უნდა გაითვალისწინოთ,  
რომ ქართველები ჩვენგან ძალიან  
განსხვავდებიან. ტადრე თუ გვიან  
საქართველოს დამოუკიდებლობის  
საკითხს დააყენებენ და თავისუ-  
ფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძო-  
ლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. ტაფხაზეთის გამოყენებით სამეგრე-  
ლოს, სვანეთს, აჭარას და სხვა  
კუთხებს უნდა მიეცეს  
დამოუკიდებლობა, მათში ცალ-  
ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხ-  
ურ-ეროვნული გრძნობა, დასავლეთ  
საქართველო უნდა დავუპირ-  
ისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემ-

დეგ მათ შორის მომრიგებლის როლი უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებული, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც საქართველოს ტერიტორიიდან მათი საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს. ქართველები სანახევროდ ლიკვიდირებული და ასოცირებული უნდა გავხადოთ, თუ მოგვეცემა საშუალება, მთლიანად ლიკვიდაცია ვუყოფ მათ”.

საქართველოს ურთულესი ისტორიის ცალკეული სისხლიანი მომენტების გახსენება არც არის საჭირო, ისედაც ყველამ კარგად იცის, ბევრს კი საკუთარ ზურგზეც აქვს ნაწვნევი.

„გულმან ირაკლისამ“, როცა გადაწყვიტა ვეებერთელა რუსეთან დაახლოება, მხოლოდ მეგობრობისა და მხარში დგომის იმედი ჰქონდა. ერთმორწმუნე რუსეთმა ერეკლე მეორეს ჯერ კიდევ დასაწყისშივე, სიცოცხლეშივე ბევრჯერ უმუხოლა, უფსკრულის პირას დააყენა, მისი გარდაცვალებისთანავე კი საქართველოს სახელმწიფოებრიობაც მოუსპო, თავისუფლებაც და სწორი ევროპული გზით განვითარების საშუალებაც.

უზარმაზარი რუსეთის ჩრდილი ყოველთვის ჯანღივით აწვა საქართველოს, აწვა და ერთიანად გადაფარგვას ცდილობდა, ამ მიზნით სამი წლის მანძილზე დამოუკიდებლობისა და წინსვლა—განმტკიცების გზაზე შემდ-

გარ ქვეყანას ნორმალური არსებობის ყველა გზა გადაუკეტა. ავადმყოფობით შეურაცხადობის მიჯნამდე მისული ლენინი საქართველოსთან მეგობრობისა და თავდაუსხმელობის 1920 წლის პაქტზე ხელს მოჩენებითად აწერინებდა საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიჩერინს, საკუთარი ხელით კი უკვე საქართველოს დასჯისა და ოკუპაციის ვერაგულ გეგმას აღვენდა, მან ბოროტი ზრახვების აღსასრულებლად თავისუფლებაზე მეოცნებე ურჩ ქვეყანას მალევე შემოუსია კბილებამდე შეიარაღებული დივიზიები, სადაც ძირითადად უპატრონოთა სახლებში აღზრდილებისა და კრიმინალების ბნელი მასა იყო გაერთიანებული.

ამ თემისა თუ მოუშუშებელი ტკივილის შესახებ რეალური საფრთხის მიუხედავად არა ერთი და ორი ქართველი პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი წერდა: ხალხს დღემდე ახსოვს კოტე მაყაშვილის, გალაკტიონ ტაბაძის, იოსებ გრიშაშვილის, ტიციან ტაბაძის, კოლაუნადირაძის და სხვების შეფარვით ან პირდაპირ ნათქვამი სტრიქონები, სადაც პატარა, ამაყი ქვეყნისა და ქედმოუხრელი ქართველი ხალხის მძაფრი სულიერი ტკივილი ისმის.

ამ მხრივ ნიშანდობლივი და განსაზოგადოებულია თუნდაც პოლიტიკური მოტივით თხუთმეტწლიანი იზოლაციით მკაცრად დასჯილი ქართველი პოეტის აკაკი პავლეს ძე წერეთლის შვიდი ათეული წლის წინათ დაწერილი ლექსი „მწარე გახსენება“. საყოველთაოდ ცნობილი ჩვენი ნათქვამის, გნებავთ, მილიონმეტე

საილუსტრაციოდ გვინდა ლექსი აქაც მოვიტანოთ: „ეს ყველაფერი კარგად ვიცით საიდან მოდის, რას გვეძართლება, რატომ გვთელავს დღემდე რუსეთი, ჩვენ ზესტად მაშინ გავითალეთ სამარის ლოდი, როცა ვიდექით და ლენინის ბოდვას ვუსმენდით. თუმცა წაგვართვეს სმენისა და განსჯის უნარი, ვერავინ შეძლო ქვენისათვის სხვამხრივ ებიძგა, ჩემო მამულო, ვინ იქნება შენი მკურნალი, ვინ დაგიფარავს წითელი ჭირის მოძალებისაგან. არსაიდან ხმა, არც მშველელი, რჩები ეული, თავისუფლებას ვინ დაუსვა სისხლით წერტილი, არ ჩანს მთავრობა დაცემული და გაქცეული, გმინავს მამული დაშლილი და სისხლდაწრეტილი. კვლავ ჩაქუჩივით მირტყამს ფიქრი: საით და როდის, აწი როგორდა გამთელდება გზა დაბზარული, სისხლით და ულეტით მეთერთმეტე არმია მოდის, უწმინდეს მიწას თელავს ველურ ცხენთა თქარუნი. ძალით უხეშით შერყვნილია კუთხე ქედული, რას არ ჩაიდენს კაცი როცა ღალატს იკისრებს, ტირის თბილისი, გათელილი, დამცირებული, დეპეშა მზად აქვს გასაგზავნად ორჯონიკიძეს. ეცნობოს მტარვალს აღსრულება მისი ნებისა, სიამოვნებად რომ მიართვან „ბელადს“ დილისთვის, ტაბახმელიდან წვეთავს სისხლი იუნკრებისა და მძიმე ჯანდებს, განუჭრეტელს იხვევს თბილისი“. მსგავსი ლექსები უთვალავი იწერებოდა, რაც ქართველი ხალხის გულისტკივილს, მწუხარებასა და დაგროვილ საუკუნოვან ბოლმას გამოხატავდა.

საქართველოს მოსახლეობას, მარ-

ად დაუვიწყარი წინაპრების სპეტაკ სულს, ჩვენი დღევანდელი მცხოვრებლების დიდ ნაწილს სისხლიანი, პირგახსნილი და ვერაფრით მორჩენილი ჭრილობებით აქვს შემორჩენილი 1921, 1924, 1937, 1942, 1951, 1956, 1989 და ნებისმიერი წლის ამაზრზენი საშინელებები, რაც ქართველი ხალხის ყოველი ურჩობის სისხლში ჩახრჩობის მიზნით ხდებოდა. მიტაცებული ისტორიული მხარის ბოლომდე შენარჩუნება-გადაგვარებისათვის სიბევრით გათამამებული რუსეთი არავითარ უკადრის არ ერიდებოდა.

ის სავალალო დღეები წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ბოროტების პარპაში არ დამთავრებულა. როგორც კი საქართველომ, მონობისაგან თავის დახსნის ათასწლოვანი სურვილით ანთებულმა ქართველმა ხალხმა, მისმა ეროვნულმა ხელისულებამ დამოუკიდებლობა, თავისუფლება გამოაცხადა და უხეში ძალით წარმოული სახელმწიფოებრიობის აღდგენა დაიწყო, დიდი კი არა, ვეება რუსეთი მყისვე განსახიერებული ბოროტებით აღიმართა პატარა საქართველოს წინ. დაიწყო არეულობა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ-ოსეთის ასაფეთქებელი ბომბების სახით წინასწარ შექმნილ ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოლქში, არეულობას ომიც მოჰყვა, სადაც აღნიშნული წარმონაქმნებისა და ჩრდილოეთ კავკასიის პატარა-პატარა ადრევე დამონებული ავტონომიური რესპუბლიკების სახით კვლავაც რუსეთის კბილებამდე შეიარაღებული ინტერნაციონალურ-კრიმინალური არმია ებრძოდა

ახლადფეხადგმულ საქართველოს, საინფორმაციო საშუალებების სიუზვით კი ცდილობდნენ მსოფლიო თანამეგობრობისათვის დაენახვებინათ და ორგორმედაერწმუნებინათ, რომ საქართველო აფხაზებმა და მით უმეტეს ერთმა ციცქანა ეწოდება. სამხრეთ-ოსეთმა დაამარცხა. ცდილობდნენ ტოლერანტული საქართველო პატარა იმპერიად და მცირერიცხოვანი ერების მჩაგვრელად გამოეყვანათ.

ამ ტაბუდადებულ საჩოთირო თემას მთელი თორმეტი წლის მანძილზე მონური შიშით მაღავდა წინა ხელისუფლება. მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსულმა ახალმა და ახალგაზრდა ხელისუფლებამ ვაჟა-ჟაცურად განაცხადა, რომ ეს ცუდად დადგმული ფარსი იყო საქართველოს ძირძველი ტერიტორიის ანექსია და წმინდა წყლის ოკუპაცია, რამაც რუსეთის ხელისუფლების არაახული განრისხება—გაშმაგება გამოიწვია. უცებდა იწყო კიდეც უფრო ვერაგული, მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების მიერ დაგმობილი მეთოდების გამოყენება: საქართველოს დაქუცმაცების მიზნით ჩაეყიდული ვითომდა მშვიდობისმყოფელი რუსეთის ჯარების შემოყვანა არ იკმარეს და თვითაღიარებული, არავისაგან ცნობილი აფხაზეთისა და ასევე არაღიარებული ეწოდება: სამხრეთ-ოსეთის ძირძველ ქართულ ტერიტორიებზე გენოციდის შედეგად ქართველებისაგან გაწმენდილ მოსახლეობას უხვად და დაუბრკოლებლად დაურიგეს რუსეთის მოქალაქეთა პასპორტები, რაც ვითომდა ხალხის

მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ხდებოდა, იმ დროს კი რუსეთის ძირითადი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მიღებული არ ჰქონდა საკუთარი ქვეყნის პასპორტი და ბევრს დღესაც არ აქვს მიღებული.

მდენად დიდი იყო გაურჩებული საქართველოს დასჯისა და ორგორმეშეჩრების სურვილი, რომ მისი საკუთარი ისედაც მცირე მიწების წარმეგვაც არ იუკადრისეს, გადაივიწყეს საშინელი ისტორიული ფაქტი, რომ საქართველოს გამგებლობაში არსებული მხარე გაგრიდან ვიდრე ტუაფსებდე უკვე წარმეულ—მითვისებული ჰქონდათ, საქართველოს უძველესი კუთხეები კი გაჩუქებული და გასხვისებული, რის ვითომცდა გამართლებასაც სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულელური მეთოდებით ცდილობდნენ.

ბოროტებით დაბრმავებული რუსეთი სიტყვიერად, ფარისევლურად აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საქმით კი სულ სხვას აკეთებდა, ცხადად ამკვიდრებდა ორმაგ სტანდარტს, ყველანაირად ხელს უწყობდა და უწყობს დაქირავებულ სეპარატისტულ მთავრობებს რუსეთთან დამონების მიზნით რეფერენდუმები ჩაატარონ, ხალხს ძალით მოახვიონ თავს იმპერიალისტური ზრასვებით სავსე სახელმწიფოს სურვილი. მცირე ქართული მიწების ხელში ჩაგდების გააფთრებული ცდების დროს რუსეთს ავიწყდება, რომ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ქალაქები, დაბები, სოფლები, მიწები მიღიარდნახევრიანი

ჩინეთის მშრომელი მოსახლეობით ისე ივება, როგორც ხეები იხუნდლებიან ხოლმე ბელურების მოფრენისას. გაივლის რამდენიმე წელი და მიღიტარისტული რუსეთი საკუთარ თავზე იწვნევს სხვისთვის გამიზნულ ვერაგობას, საქართველოს ტერიტორიაზე ასჯერ და მეტად აღმატებულ მიწებს დაკარგავს.

არც ჩდილოეთ კავკასიის ქვეყნები მოისვენებენ, მოჩვენებით სიმშვიდე, ან უფრო ზუსტად ძალადობრივი სიმშვიდე, ერთაშად ცეცხლად აენთება და ყველა დამოუკიდებლობას მოითხოვს, რუსეთისაკენ ცუდად შებრუნდება ის საეჭვო კოზირი, რასაც იგი დღეს უსირცხვილოდ ათამაშებს აფხაზეთისა და ე.წ. სამხეთ-ოსეთის საშუალებით კვლავაც გაურჩებული საქართველოს წინააღმდეგ, ვინც გაბედა და ნატოში, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაერთიანების სურვილი გამოთქვა, რუსეთი კი მტრულად განწყობილი ნატოს მის საზღვარზე დადგომას ვერაფრით ვერ შეეგუებოდა.

ამ დრომდე საქართველოს ტერიტორია მიაჩნდათ ბუფერულ ზონად, ასეთი ზონის კავკასიონის მწვერვალებს იქით გადანაცვლება რუსეთს საერთოდ ძილს უფრთხობს და წონას-წორობის დაკარგვამდე ანერვიულებს, რადგან სიკვდილის დღესავით ეშინაა აღნიშნული ზონის კვლავაც გადანაცვლება არ დაიწყოს და დაპყრობილ საზღვრებს არ გადასცდეს. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ მთელი ფრონტით დაიწყო „გათავხედებული“ და გაურჩებული საქართველოს წინააღმ-

დებ ყველა არსებითი თუ არსებული სანქციის გატარება, უფრო ზუსტად გამოუცხადებული ომი, დაიწყო ცივილიზაციისაგან საერთოდ შორს მდგომი დამსჯელი მეთოდების გამოყენება: აიკრძალა ქართული ღვინო, რუსების საყვარელი ბორჯომის, მწვანილის, ხილის, ციტრუსების შეტანა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე, ჩაიკუტა საზღვრები, აიკრძალა საპაერო მიმოსვლა, რაც დავალიანებას გადააბრალეს.

„გრუს“ ოთხი გაშიფრული აგენტის დაკავების შემდეგ რუსეთის ხელმძღვანელობამ, განსაკუთრებით კი სუკის ყოფილმა ოფიციალურმა ფუნქციონერმა, ამჟამად რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა მთელი აუთოტაუი ატეხა, მეტისმეტად ძნელი გახდა საკუთარი ამბიციების დაოკება, იმის გადაყლაპვა, რომ ერთ დროს ლამის გუბერნიად ქცეული ქვეყანა წლების მანძილზე გაბატონებული ქვეყნის სამარცხვინო ჯაშუშებს იჭერდა. ყურად არ იღეს რეალური გარემოებაც, რომ „გრუს“ აგენტების მთელი დივიზია იყო დისლოცირებული საქართველოს შემჭიდროებულ ტერიტორიაზე და მთო უმეტეს უხეში ძალით მიტაცებულ ძირძველ ქართულ მიწაზე. დაუყოვნებლივ დაიწყო ლენინისეული გაგებით „ გათავხედებული“ სახელმწიფოს ყველა არსებული მიღებული და მიუღებელი საშუალებებით დასჯა, რითაც რუსეთის ხელმძღვანელობამ თითქოს აფარებული ნიღაბი ჩამოიხადა და შეულამაზებელი სახით წარუდგა საერთაშორისო თანამეგობრობას.

ყველაზე მიუღებელი, სამარცხვინო, მთელი მსოფლიოს წინაშე თავის მომჭრელი კი იყო ქსენოფონბის, სიძულვილის დაუყოვნებლივი აღორძინება და მთელი სისრულით გამოყენება, მათ მერ დაგმობილი ფაშიზმის მიუღებელი მეთოდების გამოვლენა, რაც გამოიხატა უდანაშაულო მშრომელი ხალხის სისასტიკით გამორჩეული დეპორტაციით, ხაზს ვუსვამთ, უდანაშაულო ხალხის, თორებ დამნაშავეები თავს კომფორტულად გრძნობენ ვეებერთელა რუსეთის ტერიტორიაზე, არხეინად მიირთმევენ საქართველოდან გატაცებულ თუ ფარული პატრონების გამოყოფილ მილიონებს. საწყალი ხალხი რუსულ ყინვასა და სიცივეში ეწ. გამანაწილებელის – საკონცენტრაციო ბანაკის მსგავს ჭერქვეშ ათენებდნენ და აღამებდნენ. შიმშილით რომ არ მოქვდარიყვნენ, ბოლო კაპიკებს ხარჯავდნენ, კვირაობითა და ოვეობითაც კი ელოდებოდნენ სამშობლოში დაბრუნებას. ამ გაუთავებელ ლოდინსა და ზიზღს უკვე შეეწირა უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე და ღმერთმა უწყის კვლავაც რამდენი შეეწირება. გაუსაძლისად ამაზრზენი იყო ის ფაქტიც, რომ მილიცია, იგივე საბჭოთა მილიცია, სკოლებში ეძებდა ქართული გვარის ქარინე მოსწავლეებს და მათ ნორჩ სულებში მოძალადეებისადმი ზიზღს ნერგავდა. ამ უსამრთლო ბაკქანალიის დამაგვირგვინებელ აკორდად გაისმა 2006 წლის 6 დეკემბერს რუსეთის დუმის მიერ მიღებული დადგენილება აფხაზეთისა და ეწ. სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე უბრალო საუბარიც კი. ან რა რეფერენდუმსა და აღსარებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა აფხაზეთიდან გამოდევნილ სამასიათას ადამიანსა და ეწ. სამხრეთ-ოსეთიდან უხეში ძალით ადგილგადანაცვლებულ მოსახლეობაზე კრინგის დაძვრასაც კი აღარ აპირებენ. გამართლდა ის მკრეხელური აზრები, რასაც საქართველოს თავისუფლებისაკენ სწრაფვით გამოხატული ურჩობის ჩასახშობად თვეებისა და წლების მანძილზე ხმის ჩახლეჩამდე ლაპარაკობდნენ ჟირინოვსკი, ზატულინი,

ბის აღიარების შესახებ, რაც მართლაც ანექსიისა და მირძველი ქართული მიწების ძალადობით მითვისებას ნიშნავს. უსირცხვილოდ აცხადებენ ჩვენი მოსახლეობა უნდა დავიცვათო, აცხადებენ იმ გზააბნეული ადამიანების შესახებ, ვისაც დაჩქარებული წესით დაურიგეს რუსული პასპორტები, თან საზღვარი გაუხსნეს რუსეთისაკენ, საქართველოსთან კი სავიზო რეუიმი დააკანონეს, ცხადად გამოხატეს მათი მხრივ გაორებული პოლიტიკის არსებობა.

მსგავსი რამ მსოფლიოს არ ახსოვს არც მეოცე და არც ახლახანს დაწყებული ოცდამეერთე საუკუნეების მანძილზე. ამიტომაც ყველა ამ საშინელებას უკვე ცხადად აღიქვამს თითქმის მთელი პლანეტა და ქმედითი დასკვნებიც იქნება გამოტანილი იმ დემოკრატიული სახელმწიფოების მიერ, ვისაც რუსეთის შემოგდებულ ბლეფად მიაჩნია აფხაზეთისა და მცირემოსახლეობიანი ყოფილი სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე უბრალო საუბარიც კი. ან რა რეფერენდუმსა და აღსარებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა აფხაზეთიდან გამოდევნილ სამასიათას ადამიანსა და ეწ. სამხრეთ-ოსეთიდან უხეში ძალით ადგილგადანაცვლებულ მოსახლეობაზე კრინგის დაძვრასაც კი აღარ აპირებენ. გამართლდა ის მკრეხელური აზრები, რასაც საქართველოს თავისუფლებისაკენ სწრაფვით გამოხატული ურჩობის ჩასახშობად თვეებისა და წლების მანძილზე ხმის ჩახლეჩამდე ლაპარაკობდნენ ჟირინოვსკი, ზატულინი,

მიტროფანოვი, ლეონტიევი, მიგრანიანი, ბაბურინი, ალექსისი, როგოზინი, კოკოშინი, სლისკა, აგრეთვე ძმანი და დანი მათნი, რომელთა შორისაც იმყოფებიან შავი პარითა და სიძულვილით სამარცხინოდ თავგამოჩენილი ანტუფიევი, დემჩურინი, კოსახოვი, უკოვი, კოვალიოვი, ფაძევი, მახმუტოვი, ზელისანოვი, ლიხანოვი, სნეგუტკინი და სხვა ვაიდეტუტატები, ვინც განსაკუთრებით აქტიურობას იჩენდა ქართველი ხალხის მიმართ ზიზლით გამსჭვალული ქსენოფობის განსამტკიცებლად.

უკიდურესად ცუდი და უარყოფითია ყოველივე ეს, ჩვენს თვალწინუებად იმსხვრევა მითი საქართველოსა და რუსეთის მეგობრობის შესახებ, ან რა მეგობრობა შეიძლება არსებულიყო დამპყრობელსა და დაპყრობილს შორის, წმინდა ტოტალიტარული სულის მქონე და თავისუფლების მსურველი ტოლერანტული მისწრაფებით სავსე ადამიანებს შორის. სრულიად ბუნებრივია, აქ მთლიანად ხალხებზე არ არის ლაპარაკი. უბრალო ადამიანებს თუ შემოქმედებით მუშაკებს, ცალკეულ სპეციალისტებს თუ მეცნიერებს, მართლაც ჰქონდათ ერთმანეთს შორის მეგობრობა და ჩვენს უახლოეს მეზობელთან ურთიერთობები ისევ უნდა გავაგრძელოთ, რადგან პოლიტიკოსები იცვლებიან, ხალხი კი მუდმივად რჩება.

მოვლენების მსვლელობამ სამწუხაროდ კიდევ ერთხელ დაადასტურა არაერთხელ დადასტურებული ფაქტი, რომ რუსეთს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ყოფილ რესპუბლიკებთან

თანამშრომლობის პრინციპით არსებობა, თანაბარ საწყისებზე მეგობრობის დამყარება, ტოლერანტობისა და სითბოს გამოვლენა, პარტნიორული ურთიერთობის განვითარება, იმპერიული ამბიციების, დამპყრობლურ-მიმტაცებლური პოლიტიკის უკუგდება. უტყუარი ფაქტია, რომ ტოტალიტარიზმის საყვარელი გზიდან ვერგადასული რუსეთი დემოკრატიული ფასეულობებისაკენ სწრაფვის სურვილს ოდნავადაც ვერასოდეს ვერ გამოხატავდა.

ასეთი ურთულესი ვითარების დროს პრორუსული თუ საქართველოს ერთიანობის ხელის შემშლელი ან მოწინააღმდეგე ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელი და მათ ფეხის ხმას აყოლილი მოსახლეობის უმცირესი ნაწილი პათეტიკურ კითხვებს სვამს – შეიძლებოდა თუ არა ამ უმძიმესი ვითარებისათვის თავის არიდება. გადაჭრით და გარკვევით უნდა ითქვას – არ შეიძლებოდა. რუსეთის ხელისუფლებისათვის სულ რომ წითელი კვერცხები გვეგორებინა, გრიზლოვის ან უირინოვსკისთვის მამა გვეძახა, ლუბა სლისკასთვის დედა, სერგეი ივანოვისთვის მმა, ზატულინისათვის კი გზის მანათობელი ჩირალდანი, როგორც კი საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ სწრაფვას დაადასტურებდა, იმ წამსვე ატყებოდა ის, რაც ატყდა, დაიწყებოდა ის, რაც დაიწყო, უკვე აღარ გამოდგებოდა სიდიდითა და სიბევრით გათამამებული რუსეთის ან იგივე საბჭოთა კავშირის დროინდელი მაღალ-ათეტიკური პიმნის სიტყვები:

”, რაც  
სრული ბლეფი და შეცდომა აღმოჩნდა, ეს ვითომ შეკავშირებისათვის საჭირო ძალად ერთიანობა ხუხულა-სავით დაინგრა.

სწორად აღნიშნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარებრ, რომ რუსეთს ხელს არ აძლევს საქართველო იყოს მოწინავე დემოკრატიული ქვეყანა, ეშინია ეს მიზიდველ მაგალითად არ იქცეს სხვა ყოფილი რესპუბლიკებისათვის, სადაც რუსეთი ჯერ კიდევ ახერხებს შესუსტებული გავლენის შენარჩუნებას. თუნდაც ამ მხრივ სხვებისათვის საკუთარი ძალების დემონსტრირება იყო ის, რომ „გაზპრომმა“, რა თქმა უნდა, ხელისუფლების უსიტყვო დასტურით, გადაწყვიტა საქართველოს გაზი ასათი დოლარიდან, ორასოცდათხუთმეტ დოლარამდე გაუძვიროს, — მთელი ასოცი პროცენტით.

საქართველოს ამ ნაბიჯით ვერ დააჩოქებენ, რუსეთის გაათმაგებულმა სისასტიკემ ხელი ვერ შეუწყო მათ-თვის სასურველი ნაბიჯების გადადგმას, პირიქით ხალხი უფრო შემჭიდროვდა ხელისუფლების ირგვლივ, გაჭირვებისას მონოლითურობის სურვილი გაჩნდა, კვლავაც დადგა დღის წესრიგში დიდი შოთა რუსთაველის აფორიზმი:

„ჭირსა შიგან გამაგრება, ისრე უნდა ვით ქვითკირსა“. ტოტალიტარული მიმართულების რუსეთსა თუ საქართველოში ზოგიერთ თავგზარეულ ოპოზიციონერს, მაგალითად შეიძლება მოვუყვანოთ რუსეთის მიერ დეპორტირებული და მართლა გაწამებუ-

ლი ხალხი, ვინც რუსეთსა თუ დაღესტნის საზღვრებს ქართული ეროვნული დროშების ფრიალით ტოვებდა, ვინც უკამაყოფილებისა და გაბრაზების გამოხატვის ნაცვლად გაიძანოდა-საქართველოს გაუმარჯოსო, აი, სწორედ ეს ხალხია ნაღდი ქართველები, მამულის მოყვარულები, ვის სულიერ სიმტკიცესაც გაჭირვება ვერ გატეხს. როცა უძველესი ქვეყნის სუვერენიტეტი მძაფრი ანტირუსული პოლიტიკის რანგშია აყვანილი, სახელმწიფო თუ ხელისუფლება, ვინც ამას აკანონებს, ვერაფრით ვეღარ გამოსწორდება, დემოკრატიის გზას ვერასოდეს დაადგება, შეიძლება ხალხებს შორის იყოს გარკვეული კომპრომისები, იყოს დათმობაც და დათბობაც, თუმცა მოჩვენებითი ინტერნაციონალური მეგობრობა უკვე ვეღარ აღორძინდება.

ამ ბოლო დროს რუსეთთან უკიდურესად დაძაბული ურთიერთობის ვითარებაში ერთ-ერთ აქტიურ პრობლემად იქცა დსთ-დან გამოსვლის საკითხი. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ხვდება, რომ დსთ-დან გამოსვლა გარდაუვალია, დღეს იქნება თუ ხვალ ეს მოხდება, ნატო და დსთ საერთოდ შეუთავსებელ ცნებად ანუ ანაქრონიზმად მოჩანს.

დსთ-ში რუსეთის გარდა გაერთიანებულია უკრაინა, ყაზახეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, საქართველოსთან მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი ქვეყნები. სულ მალე, ალბათ, უკეთესი მიზეზიც იქნება და ევროპული დემოკრატიის გზებით მიმავალი საქართველო საბოლოოდ დაუკრავს თავს დსთ-ს,

რაც სულაც არ ნიშავს, რომ ზემოთ მოხსენებულ ქვეყნებთან საქმიან მეგობრულ ურთიერთობას არ გააგრძელებს. მთავარია ეგზალტირებულ რუსეთის დუმას არ ავყვეთ, დუმაში სხვებთან ერთად თავი არ შევყოთ, არც რუსეთის ხელისუფლებას არ ავყვეთ, მთელი შსოფლიო კეთილი თვალით ხედავს როგორი დაუნდობელი ზიზღით გამოყარეს ქართველები, ჩვენ კი სამშობლოში მიმავალი რუსები ყურძნით, ბორჯომითა და ქართული ღვინით გავაცილეთ. ამას ყველა ხედავს, ყველა ერთმანეთს ადარებს სიგიჟესა და სიმშვიდეს, ბოროტებასა და სიკეთეს, სიკეთე კი ღვითის მადლით ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებე, ჯერ ქვეყანაზე ბოროტება განგების ძალით დაუსჯელი არ დარჩენილა.

რუსეთის ხელისუფლება, ეს ნათელზე—ნათელია, ყოველთვის შეეცდება გაურჩებული საქართველო კვლავაც ტოტალიტარიზმის საუკუნოდ დაგმობილ გზაზე შეაყენოს, თუმცა თვით საქართველო ამას არავითარ შემთხვევაში აღარ დაუბრუნდება, თავისუფლება და დემოკრატია ყოველგვარ ღირებულებაზე მაღლა დგას.

საქართველოს პრეზიდენტმა გამარჯვებულ ქართველ რაგბისტებთან

შეხვედრისას იმედიანი ტონით განაცხად:

„საქართველო გუნდურად ითამაშებს და ლელოს გაიტანს ბოლომდე“.

ასეთ დროსა და ვითარებაში მართლა მისაბაძის სპორტის ეს აღიარებული სახეობა, გამამწნევებელია იმ ქართველი ბიჭების მაგალითი, რომელთაც ერთიანი ვაჟკაცური სულისკვეთება ამოძრავებდათ, მათ ბევრი დიდი ქვეყნის წარმომადგენლებს ტოლი არ დაუდეს და სოლიდარობით მოუღწევლის მიღწევა შეძლეს.

სწორედ ამ მაღალი მიზნების მისაღწევად არის საჭირო ერთიანობა და მრავალჭირგადანახადი ქართველი ხალხის შეკავშირება. ჩვენი დიდი იმედი გამოიწვია საქართველოს პარლამენტის იმ სხდომამ, სადაც კონკრეტული პასუხი გაეცა რუსეთის დუმის შოვინისტურ განცხადებას და სადაც პოზიციისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლები ერთი სუნთქვით სუნთქვდნენ, ერთ მიზანს მიეღწვოდნენ. სწორედ ასეთი სოლიდარობა და ერთობა სჭირდება დღეს საქართველოს, სწორედ ამგვარი „ჭირსა შიგან გამარება“ გადაგვარჩენს.

**სარედაქციო კოლეგია.**

## ჩემი უნივერსიტეტი

**ნოდარ ზედელაშვილი**



უკვე ოთხმოცდაათი წლისაა. რატომ მარტო ჩემი, იგი ხომ ყველასთვის ძვირფასი, საყვარელი, ფასდაუდებელი და დაუვიწყარია. ამ პატარა მოგონებას მის ოთხმოცდაათ წლისთავს და იმ დაუვიწყარ ადამიანებს მივუძღვნი, რომლებიც თავიანთი ნიჭიერებით, განათლებით, მჭევრმეტყველებითა და ორიგინალობით გამოირჩეოდნენ. ზოგიერთი მათგანი მინდა და გავიხსენო, მე უკვე, ხანშიშესულმა ყოფილმა სტუდენტმა, ისინი, როგორებიც ჩემს მეხსიერებას შემორჩნენ მათთვის დამასასათვებელი შტრიხებთ, და, ვფიქრობ, მკრებელობად არ ჩამეთვლება, რომ ზოგიერთს დიდი სიყვარულით, თუმცა იუ-მორით ვიხსენებ.


რექტორით დავიწყებ. 1952 წელს ჩავაბარე მისაღები გამოცდები და ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხ-

დი, მაშინ უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ნიკო კეცხოველი იყო. ყველას მოქასენებოდა როგორ ვერ იტანდა ბატონი ნიკო უცხოურ, ხელოვნურად ნაწარმოებ სახელებს. და ა, გამოცდების ჩაბარების შემდეგ უკვე გასტუდენტებული აბიტურიენტები 31 აგვისტოს, როგორც გამოცხადებული იყო, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შევიკრიბეთ. ბატონ ნიკოს საზეიმო ვითარებაში უნდა გადმოეცა სტუდენტები. დადგა ის სანეტარო წუთიც და ბატონი რექტორი ანბანზე მიყოლებით გვიძებდა თითოეულს, გვილოცავდა და გვაწვდიდა სანუკვარ ბილეთს.

ყველაფერი დინჯად და კარგად მიდიოდა, მაგრამ უცებ ბატონმა ნიკომ ამოიკითხა გვარი: ჩიქოვანი... და გაჩერდა. პაუზის შემდეგ ხმამაღლა ხაზგასმით გამოაცხადა: ოტელო! ყველანი გავისუსეთ, ველოდით რა მოხდებოდა. ამ დროს წამოდგა ერთი საკმაოდ ნაპატიები, გაჭარხლებული, გახვთქული ყმაწვილი და რექტორისაკენ წავიდა. მან სტუდილეთი გაუწიოდა და როცა ოტელოს უნდოდა გამოერთმია, რექტორმა ხელი უკან გასწია და უთხრა: „ჩვენ აქ ბევრი დეზდემონა გვყავს, მაგრამ არავის დაგახრიბინებთ. სამ დღეში სახელი გადაირქვი, თორებ მე ვიცი შენი...“

ასე გახდა ჩემი კურსელი და კარგი ამხანაგი ოტელო – ოტია, ასევე გებენ ჭაბუკიანი - პაატა. ისინი ახლაც ჯანმრთელად არიან და ტყუილს არ მათქმევინებენ.

მაშინ უნივერსიტეტში გამოდიოდა სატირული კედლის გაზეთი „ჭინჭარი“, რომელსაც ბატონი ნიკო ყოველთვის კითხულობდა ხოლმე. ერთხელაც გაზეთისა კამაოდ დაიგვიანა, რის გამოც რექტორი



ძალიან განრისხდა. გამოიძახა მაშინდელი რედაქტორი, ჩვენი მეგობარი ჯიმშერ რჩეულიშვილი და მაგრად შეასურა. „ახლავე ჩამოჰკიდე „ჭინჭარი“, თორემ უნივერსიტეტს გამოემშვიდობებით“. ჯიმშერი მაგრარი ოუმორის კაცი იყო, რაც ბატონ ნიკოს ძალიან მოსწონდა, და ჩვენი ჯიმიც გაიქცა უნივერსიტეტის რექტორის მიერ ნალოლიავებ, აბიბინებულ ეზოში, სადაც ჭინჭარს მიაგნო, წამოიღო და გაზეთის მაგივრათ ის ჩამოჰკიდა. ბატონმა ნიკომ ბევრი იცინა თურმე, მაგრამ მაინც უთქვამს: რამდენიმე დღეში თუ გაზეთი არ გამოვა დანაპირებს შეგისრულებო. ჯიმიძ რა თქმა უნდა, გაზეთი გამოუშვა და ინციდენტიც ამოიწურა.

ახლა კი ლექტორები. პირველ კურსზე ძველი აღმოსავლეთის ისტორიას - ამ მეტად მძიმე საგანს გვიკითხავდა პროფესორი მაქსიმე ბერძნიშვილი. დაბალ-დაბალი, სათვალიანი, ფეხმტკივანი

ლექტორი. აქვე მინდა ვთქვა. რომ დიდი ივანეს დროიდან, რაკი პირველხანად ლექტორები საკმარისად არ ჰყავდათ, თითოეული მათგანი თავისი ნებით სხვადასხვა დისციპლინებს ამუშავებდა და კითხულობდა, ასე იყო ბატონი მაქსიმეც, მან იკისრა ეს უძნელესი საქმე.

როცა პირველ ლექციაზე შემოვიდა შურნალი წაიკითხა, თითოეულს გაგვე-საუბრა და მერე გვითხრა: ჩემი გვარი და სახელია მაქსიმე ბერძნიშვილი და არა ბერძნიშვილი, გთხოვთ ეს დაიხსო-მოთ. და კიდევ: როცა სათვალეს ჩამო-ვუშვებ (არადა კათედრაზე სათვალე შებ-ლზე ჰქონდა აწეული ხოლმე) ესე იგი ვიღაცა არ მისმენს, საუბრობს და ვაფრთხილებ. თორემ მაქსიმე კოჭლი, მაქსიმე ბრუკიანი, მაგრამ მაქსიმე ყრუ არ არის – ეს ყველამ დაიმახსოვრეთ. ჩვენ მისი სტუდენტები ამ შეგონებას ვასრულებდით და იმკიათად თუ ზემოთქმული გაემეორებინოს. მაგრამ, ერთხელაც მის ლექ-ციაზე ჩვენს გოგონებს გეოლოგი ბიჭები შემოჰყვნენ და მათ ესაუბრებოდნენ. ბა-ტონმა მაქსიმე სათვალე ჩამოუშვა, ჩვენ, რა თქმა უნდა, გავისუსეთ და დაველოდეთ რა მოხდებოდა. ბატონი მაქსიმე ერთხანს იდგა და დაჟინებით უყურებდა ერთ ყმაწვილს, არაჩვეულებრივ თვალ-ტანად, ტანმოვარჯიშე გივი კ-ს, რომელიც მუსათვს განაგრძოდა,

და აი განრისხებულმა ლექტორმა დასჭექა: „მაქსიმე კოჭლი, მაქსიმე ბრუკიანი, მაგრამ მაქსიმე ყრუ არ არისო,“ კათედრიდან ჩამოვიდა გივის მიუვარდა, ფეხზე წამოაყენა და ის მტკივანი ფეხი ისე უთავაზა, რომ მან შეპასუხებაც ვერ მოასწრო და დაბნეული გარეთ გაგარდა.

## X X X

ასევე პირველ კურსზე სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიის კურსს გვიკითხავდა აკადემიკოსი ლეონ მელიქშეთ-ბეგი. ტანდაბალი მელოტი კაცი იყო და ამიტომაც, ცოტა სიმაღლე რომ მოემატებინა მაღალქუსლა ფეხსაცმელს ატარებდა. თანაც სიარულიც რაღაც უცნაური იცოდა – თითქოს ცეკვავსო. ღმერთმა აცხონოს ბატონი ლეონი, რომელიც უაღრესად განათლებული, ძალიან გულგეთილი და მხიარული კაცი იყო. მაგრამ კამათის დროს მტრისას. ეს კოლეგებთან კამათს ეხება.

მახსოვს პირველ ლექციაზე აუდიტორიის კარი გააღო თუ არა გაცხარებული გაიძახოდა: „არ ვეთანხმები, არ ვეთანხმები!“ ჩვენ ვერ მივხვდით ვის არ ეთანხმებოდა. ერთმა გაუბედა და გაცხარებულს შეკითხვა დაუსვა, ვის არ ეთანხმებითო. „დონდუას, დონდუას არ ვეთანხმები!“ თურმე ბატონ ვარლამ დონდუას სტატია გამოუქვეწებია (ახლა აღარ მახსოვს რას მიმოიხილავდა პატივცემული პროფესორი), რომლის დებულებებსაც ბატონი ლეონი არა და არ იზიარებდა. თურმე ლექციამდე პოლემიკა ჰქონია დონდუასთან. როგორც იყო დაშოშმინდა ბატონი ლეონი და ლექციაც ჩამოავრა.

ერთ ლექციაზე სტუდენტმა რატომ-ღაც მიქოიანი ახსენა. განერვიულდა და რა განერვიულდა ჩვენი ლექტორი. „არა ხართ სწორი, სომხურად მიკოიან-

ია და არა მიქოიანი. ქართულადაც ასე უნდა იწერებოდეს და გამოითქმებოდეს. აბა, კარგი იქნება, რომ ვიძახო ქაქაურიძე, ქაქაბაძე. არ ვეთანხმები იმასაც თითქოს გვარი მამასახლისი სომხური წარმომავლობის იყოს. სომხურში მამასახლისი არ არსებობს!“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ მთელი ლექცია წაგვიკითხა ამ საკითხზე.

კურსი ჩავამთავრეთ და ბატონმა ლეონმა დაგვისახელა წყაროები და გვერდებსაც მიგვითითებდა. ყველაფერი რიგზე იყო, სანამ 41-ზე არ მივიდა.

მან ორმოცდაპირველი გვერდი დაგვისახელა. ხომ მოგეხსენებათ 17-18 წლის ყმაწვილები რა ონავრებიც ვიყავით. ჰოდა ერთ-ერთმა, თითქოს ვერ გაიგოო, რომელი გვერდიო შეეკითხა.

მან ისევ გაიმეორა „ორმოცდაპირველი“, რომელი, რომელიო წამოიძახა კიდევ ვიღაცამ. ბატონი ლეონი უკვე მიხვდა, რომ იაღლიში მოუვიდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და ცხარედ ერთი ხუთჯერ მაინც გაიმეორა – „ორმოცდაპირველი, ორმოცდაპირველი...“ და ჩვენ ფხუკუნ-ფხუკუნშიც ზარი დაირეკა.

საოცარი იყო მისი გამოცდა. არა-და ეს კეთილი და გულისხმიერი კაცი ორიანს საერთოდ არ წერდა, სამიანს არავის დაამადლებდა, არც ოთხიანს, მაგრამ ხუთიანის მიღებას ცოდნა უნდოდა. უფროსკურსელებისაგან კი გაგვეგონა მისი უცნაურობის ამბავი, მაგრამ მაინც ვერ წარმოგვედგინა რა მოხდებოდა მის გამოცდაზე. ორ-ორი სტუდენტი შეჰყავდა და შეეკითხებოდა რა ნიშანი გინდაო. თუ ხუთიანი

გინდოდა დარცხვენით გეტყოდა - „მოდი ლოტო ვითამაშოთ!“ დაბნეულს პიჯაკის ჯიბეში ხელს ჩაგაყოფინებდა და იქიდან ოთვუთხა მუყაოს ნაჭერი უნდა ამოგელო, რომელზეც ბილეთის ნომერი ეწერა. ბილეთები მაგიდაზე კი არ ელაგა, კარტის დასტასავით ხელში ეჭირა და იქიდან მოგაწოდებდა საგამოცდო ბილეთს. ასეთი გამოცდის მიზეზს მორცხვად, ღიმილით გეტყოდა, „ რა ვქნა, ცულლუტმა სტუდენტებმა ბევრჯერ მომპარეს ბილეთები და ასე იმიტომ ვიქცევიო“.

ბატონ ლეონს ვაჟიც, ისიც ისტორიკოსი, ცოტა უცნაური გამოუვიდა. მე უკვე უნივერსიტეტი კარგა ხნის დამთავრებული მქონდა და საქინფორმში ვმუშაობდი. ჩვენ ფოტოკორესპონდენტს ვეტერანი თბილისელი „მორჟების“ - „ლომვეშაპების“ სურათი გადაუდია, როცა ისინი სუსტიან ზამთარში წელამდე შიშვლები ყინულით იზელდნენ ტანს. მათ შორის ბატონ ლეონის ვაჟიც აღმოჩნდა. ფოტოსურათი რამდენიმე გაზეთმა დაბეჭდა და მაშინ მოგვივარდა განრისხებული მელიქსეთ-ბეგი უმცროსი. მე დასაქორწინებელი კაცი (რომელიც მაშინ თითქმის 50 წლის იყო) ვეტერანებში რატომ დამასახელეთ, ახლა ცოლად ვიდა გამოყენებამ და „ოპრავერჟენიე“ - შეცდომის გასწორება მოგვთხოვა. როგორც იყო დავაშოშმინეთ, ვუთხარი, რომ მამამისის სტუდენტი ვიყავი, დიდი სიყვარულით მოვიხსენიე ბატონი ლეონი და ასე ავიცილეთ სკანდალი თავიდან. თუმცა არ გამიგია დაქორწინდა თუ არა იგი.

### X X X

მინდა სამხედრო კათედრის მასწავლებლებიც მოვიგონო. კათედრას პირველი ქართველი საბჭოთა გენერალი პავლე აბრამიძე ხელმძღვანელობდა. იგი მეორე მსოფლიო ომის თითქმის დაწყებისთანავე ტყვედ ჩავარდნილა, მაგრამ როგორლაც გამოუღწევია და რაკი „კგბ“-მ მაკომპრომიტირებელი ვერაფერი მოუძებნა, მოქმედი არმიიდან კი გამოუშვეს, მაგრამ უნივერსიტეტის სამხედრო კათედრა ჩააბარეს. სამხედრო სწავლება ორშაბათობით გვქონდა და ექვს საათს გრძელდებოდა. ძალიან სიმკაცრე იყო. ცხონებულ ნოდარ დუმბაძეს რომ ჰყავს აღწერილი სამხედრო მასწავლებელი, ის ჩვენც გვასწავლიდა და ისეთი შემთხვევა ჩვენთანაც მოხდა.

1956 წელი იყო და მეოთხე კურსელი ვაჟები ერთი თვით დუშეთში სამხედრო ბანაკში წაგვიყვანეს „სამხედრო ცოდნის“ გასაღრმავებლად. 56 წლის 9 მარტის ამბები უკვე გადატანილი გვქონდა და უნდა გენახათ როგორ გვეპყრობოდნენ რუსი საბჭოთა ოფიცრები, რა პირობებში ვიყავით, დახვრუტილ კარვებში ვცხოვრობდით, არადა ის ზაფხული ჯიბრზე წვიმიანი გამოდგა. სულ იმას ვნატრობდით, ნეტავ გავცივდეთ, რომ იქნებ ორიოდე დღე სანიტარიულ ნაწილში გავატაროთ. მაგრამ გაგიგონიათ, კაშივით ვიყავით. ჩვენი ოცუულის მეთაურად პილპილკოვნიკი შალვა ჯაში დაგვინ-

იშნეს. უნივერსიტეტშიც ჩვენი მასწავლებელი იყო. ძალიან ცდილობდა სიმკაცრე გამოეჩინა, მაგრამ მაინც ვე-ცოდებოდით და შეღავათს გვაძლევდა ხოლმე.

თუმცა „ვნეოჩერელნოი ნარიადში“ და ჰაუპტგახტში ბევრი სტუდენტი მოხვდა, მათგან ჰაუპტგახტს ყველაზე „ლირსეულად“ თავი ჩვენმა მეგობარმა შალვა რჩეულიშვილმა (შემდგომში გამოჩენილმა იურისტმა და პოლიტიკოსმა) დააღწია. ახლა აღარ მახსოვს, მგონი დუშეთში გაპარვისა და იქ და-თრობის გამო მოუწია დაპატიმრება, მაგრამ, როცა მწკრივში იდგა მთელი ბატალიონი და იქ გამოაცხადეს შა-ლიკოს ჰაუპტგახტის ამბავი, მან არც აცია და არც აცხელა, მწკრივიდან გამ-ოვიდა, გაიქცა, მახლობელ გორაკზე ავარდა და დასჭექა „ვერ მოგართვით, ვერ დამიჭერთ“ და თანაც რუსულა-დაც შეუკურთხა.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, ეტყობა, გონს მოეგო, დაშოშმინდა და თვითონ ჩაბარდა უფროსობას. ოცი დღე მიუსაჯეს ჰაუპტგახტში ჯდომა. აბა, წარმოიდგინეთ ბანაკში სულ 30 დღე უნდა გაგვიტარებინა, აქედან მგონი ხუთი დღე უპჩე გასული იყო, ჰოდა, იჯდა შალიკო „ნაობახტში“. ერთხელაც სუფთა ჰაერზე ორმ ქალის საუბრისათვის, ერთი მეორეს უუბნებოდა, ჩემი გოგო-ნასათვის პიანინო მინდა ვიყიდო, მა-გრამ ვერ ვიშოვეო. შალიკო ბოდიშის მოხდით საუბარში ჩაერია, უთხრა, მე კი შემიძლია გიშოვოთ, მაგრამ აქ ვარ და თუ მიშველით, პიანინოს ჩამოგი-

ტანთო. თურმე ამ შეჩვენებულ შალვას სცოდნია, რომ ერთი ქალი დიგიზიის მეთაურის ცოლი ყოფილა. მართლაც მეორე დღესვე „ნაობახტიდან“ გაათავისუფლეს, მანქანა „ვილისა“ მისცეს და თბილისში იმ ქალთან ერთად გაისტუმრეს.

როგორ გვონიათ, შალვა ვერ იშოვიდა პიანინოს?!?

იშოვა და დიდად ნასიამოვნები ბანაკში დაგვიბრუნდა. (ღმერთმა აცხონოს ჩვენი დაუდევარი შალიკო).

მაგრამ ბანაკი მაინც ბანაკი იყო და მეცადინეობაზე უნდა გავსულიყავ-ით. ძველ გათხრილ სანგრებში მზესა თუ წვიმაში გავდიოდით წვრთნას. ბოლოს სროლის დრომაც მოაღწია.

ავტომატებს ფუჭი ტყვიებით ვის-როდით, პისტოლეტი კი ნაღდი საბრძოლო ტყვიებით ვისროლეთ მიზანში. ეს ძალიან სახალისო იყო. და აი, პოდპოლკოვნიკმა ჯაშმა გამოგვიცხა-და, ხვალ ნამდვილი ხელყუმბარის სროლა მოგიწევთო. ბანაკში რომ ვბრუნდებოდით, მწყობრში ერთმანეთს ვეკითხებოდით, ნეტა ვინ ტყორცნისო.

ამ მარჩიელობაში რომ ვართ, ჩვენი კურსელი ბოლინისელი დათო ავკოფაშვილი გვეუბნება – რა მოგივიდათ, რა გაშინებთ, მე ვტყორცნი, ქვას ლამის ას მეტრზე ვისვრი და მაგას თხუთმეტ მეტრზე ვერ გადავაგდებო?!. აგაშენა ღმერთმაო, ყველამ შევძახეთ და სადილზე მხიარულად შევედით. მე-ორე დღეს ჯაშმა სანგარში ჩაგვსხა და გვეკითხება – აბა ვინ ისვრისო.

ყველამ ერთხმად ვუთხარით, ამხანა-გო პოდპოლკოვნიკო, ავკოფაშვილი

სტყორცნისო. „მალადეც“ ავკოფაშვილო, მისცა საბრძოლო ხელყუმბარა, ერთხელ კიდევ აუხსნა, როლს რომ მოხსნი, ისროლეო. იმ შეჩვენებულმა დათომ ყველაფერი კი მოისმინა, მაგრამ დაფრთხია, ხელის კანკალით გაფითრებულმა როლი კი მოაძრო, მაგრამ აღარ ისროლა. უნდა გენახათ იმ ბინძურ სანგარში რა ფხაჭაფუჭუჭით მივრბოდით ჩვენც და ჯაშიც. კიდევ კარგი პოდპოლკოვნიკმა დაჰკივლა – ისროლე შენი დედა ... და გონმოსულმა დათომაც ისროლა და ათიოდე მეტრზე აფეთქა, ბედზე სანგარში ჩაძრომა არ დავიწყებია. ოპ, რა გვლანძლა ბატონმა შალვამ!

უკვე დამთავრებისას დამით 30 კილომეტრიანი მარში მოგვიწყვეს – ზურგჩანთით, დაგორგოლებული შინელით, ავტომატით ვიარეთ. ზოგიერთმა მოახერხა და სანგრებში „დაცვაში“ დარჩა. უნდა გენახათ დილით შეტევაზე რომ გადავედით და დავცხევთ კონდახები ზოგიერთ ჩასაფრებულ სიმულიანტს.

მანამდე კი რიურაჟზე ხევ-ზუვებით გვატარეს, რაღაც ხევში ძლივს ავტორით და ველზე გავედით, საღაც გენერალი პავლე აბრამიძე – სარდალი ბრძანებებს იძლეოდა რუპორით. „ვლინიუ, ვლინიუ, ტოვარიშხი სტუდენტი“ - გვიბრძანებდა გენერალი. ახლაც არ ვიცი რა არის „ვლინიუ“, „ცეპი“ ვიცოდით, მაგრამ ეს არ მოეწონა „სარდალს“. „პოვტარიტ ოტაკუ“ - გვიბრძანა გენერალმა, დამფრთხალი ჯაში გვეხვეწება უკან გაბრუნდით და ისევ წამოდითო. ჩვენ გავჯიუტდით,

დაღლილ-დაქაცულებმა ხევში ჩასვლა და ამოსვლა აღარ მოვისურვეთ.

გენერალმა რაკი შეატყო, რომ ბრძანებას არ ვასრულებდით, დაიგრგვინა: „კტო ვედიოტ ვზვოდ“! - „არ თქვათ ბიჭებო“, გვეხვეწებოდა პოდპოლკოვნიკი, მაგრამ სოსოია ურუშაძემ (ღმერთიმა აცხონოს) მაგარმა შაყირისტმა ჯაშს უთხრა – „გახსოვს, „ვნეოჩერელნოი ნარიადში“ რომ გამგზავნეო“ და გენერალს დაუძახა: „კტო ვედიოტ ვზვოდ და ტოვარიშჩ ჯაში!“ ჯაშიოლ, გადაირია ბატონი პავლე და „კომზე პოდპოლკოვნიკ ჯაში!“ უხ-თქვენი ცოცხალ-მკვდარიო, - შემოგვაგინა ჯაშმა და გენერლისკენ მოკურცხლა, გამოეჭიმა, „ჩესტი“ აუღო და გაჭიმული უსმენდა ლანძღვას. ბატონი გენერალი ისე მოიშალა, რომ „ბრძოლის ველი“ მიატოვა და იგი პოლკოვნიკ ფანგანს გადააბარა, რომელმაც მალე მიაფუჩება შეტევა და, როგორც გითხარით ჩასაფრებულებზე მიგვიშვა ...

აი, დავწერე ეს მოგონებანი და გული მეთანალრება, ვინმე მათი ახლობელი თუ წაიკითხავს, ხომ არ გამინაწყენდება? მაგრამ მგონია, რომ შეურაცხმყოფელი და გასაკილი არაფერი დამიწერია. ისე მინდა ჩემმა ჯერ კიდევ საღსალამათმა კურსელებმა გაიხსენონ ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი უნივერსიტეტი და სხვა ნათელ პიროვნებებთან ერთად ესენიც მოიგონონ – არაჩვეულებრივი, კეთილი, ზოგჯერ ახირებული პიროვნებები.

ღმერთია მოწამე ეს მხოლოდ მათდამი სიყვარულმა და პატივისცემამ დამაწერინა.

ღმერთო, ნათელში ამყოფე მათი სულები, ამინ!

”

. !!!“

გასული საუკუნის სამოციან წლები (ვწერ ამას და მიკვირს, რა დრო გასულა, XX საუკუნე დაგვისრულებია!?) სამუშაოდ საქინფორმში გადავედი რუსთაველის პროსპექტზე შენობაში, „ზარია ვასტოკას“ რომ ეძნენ. აი, იმ შენობის ვესტიბიულში კიბის ქვეშ უორას სადალაქო შეკუნჭულიყო. უორა ხაჩატუროვს ძალიან ბევრი იცნობდა, მეც მათ შორის. მაგრამ, როცა საქინფორმში მუშაობა დავიწყე, მისი მუდმივი კლიენტი რომ გავხდი, და თანაც ბევრი ჩემი მეგობარიც მივუყვანე, უფრო დავძმაკაცდით. როგორც ყველა დალაქი, უორაც ძალიან კოლორიტული, ენაწყლიანი კაცი იყო, ქართულს თბილისური სომხური აქცენტით ლაპარაკობდა და გაკრეჭისას ენას არ აჩერებდა, სიცილ-ზარხარში გადიოდა დრო. იქვე კიდევ ერთი სომეხი გრიშა (გრიქურა, გვარი აღარ მახსოვს) ლიფტიორად მუშაობდა. თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინ იყო ასეთი თანამდებობა, ლიფტს არავის ანდობდა, თვითონ უნდა აეყვანე. ჩვენი გრიშა ცალთვალა იყო, თვალი ომში დავკარგეო, ასე ამბობდა, არადა კითხვა გვეუხერხულებოდა.

უორა და გრიშა რატომდაც ერთ-მანეთს ვერ იტანდნენ, დალაქი „კუტუზოვს“ ეძახდა, სულ კინ კლაობდნენ. ერთხელ დილით რომ მივედი სამსახურში, უორა სამართებლით ხელში მაღლა იყურებოდა და სომხურად ილანბლებოდა, გრიშა კი მეორე სართულზე

„ზარიას“ კარებთან ახლოს იდგა, აღბათ საფრთხის შემთხვევაში იქ შევარდნილიყო, და ისიც რასაკვირველია, ვალში არ რჩებოდა. მე რომ დამინახა, გრიშამ ქართულად გადმოსძახა: „ჰა, მოდი რაღა დამარტყი, რაღას უცდი?“. „ვახ, ნოდარჯან, ხედამ რას მეუბნება! უნდა რომ დავარტყა და მერე მთელი სიცოცხლე მე მოვუარო - რაღა! ჩამო, ჩამო, „კუტუზოვ“, მაგის იმედი ნუ გექნება...“ და ასე გაუთავებლად, ხან მშვიდობა ჩამოვარდებოდა მათ შორის, მაგრამ ცოტახნით.

უორამ იმოდენა შენობაში მომუშავეთა შესახებ თითქმის ყველაფერი იცოდა და როცა მოვიხელთებდა, აუცილებლად გამოგვითხავდა. ერთხელაც მეკითხება: – ნოდარჯან, კარლო აღარ მინახავს, სად არის?

– შვებულებაშია, მგონი ზღვაზე ისვენებს, – თბილისის ზღვაზე, არა? (კარლოს საყვარელი ჰყავდა, ისიც ჩვენი თანამშრომელი, რომელიც თბილისის ზღვის დასახლებაში ცხოვრობდა).

როგორც უორა მეტყოდა ხოლმე, ხაჩატუროვები – ხაჩატრიანები ძველი თბილისელები, საქმაოდ შეძლებული ხელოსანთა ამქრის წარმომადგენლები იყვნენ და ამიტომაც მოხდა, რომ ცოლად გაატანეს ძირძველი თბილისელის, მთელ რუსეთის იმპერიაში ცნობილი ფარაჯანოვის (ალბათ ფარაჯანიანის) ყოფილი დიდი სოვდაგრის ქალიშვილი ანია.

ქალბატონ ანიას მთელი საქინ-

ფორმი იცნობდა, რადგან ჩვენი საქინ-ფორმის მაშინდელი რედაქციის გვერ-დით, ერთ, მეოთხე სართულზე იყო ჟურნალი „დროშა“, რუსული და სომხური გამომცემლობები, სადაც ქალბატონი ანია მუშაობდა. მაშინ საქინ-ფორმში, როგორც ამ გამომცემლობებ-ში, ერთ საწერ მაგიდასთან ორ-ორი ისხდნენ, მაგრამ ზოგჯერ საუზმის დროს სომხებიდან თევზის ისეთი მად-ისაღმბვრელი სუნი გამოდიოდა, რომ ხუმრობით ვიტყოდით ხოლმე — ხომ არ ვესტუმროთო!

ანია სერგო ფარავანოვის — საქვეყნოდ ცნობილი რეჟისორის და იყო. ანიაც, როგორც ბატონი სერგო — დაბალ — დაბალი, ჩაფსკვნილი, ძვე-ლად რომ იტყოდნენ ხოლმე, ნაპატივები ქალბატონი იყო. უორა კი, საშუალოზე მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი გახ-ლდათ.

აბა უორა, რა უორა იქნებოდა, სხვებთან ერთად თავისი საყვარელი ანიაც არ გაეშაყირებინა. აღარ მახს-ოვს რომელი წლის ზაფხული იყო და უორა შვებულებაში გასვლას აპირებდა ამიტომაც ყველა კლიენტს გვაფრთხილებდა: - ერთი თვე არ ვიქნები, ჩემი ანია გადამეკიდა, გინდა თუ არა „სოჩ-ში“ დავისვენოთო, ჰოდა ეგრე გაბურდნულებს ხო არ დაგტოვებთ, დროზე მოდით და გაიკრიჭეთ - რაღა!

შვებულება დაუმთავრდა თუ არა, უორა მხიარული, გარუჯული დაგვი-ბრუნდა. სალამ-ქალამის შემდეგ შევე-კითხე - უორაჯან, შვებულება როგორ გაატარე, ანია კმაყოფილია თუ არა — მეთქი. „კმაყოფილია მაშ, პლაჟზე რომ

გავიყვანე, ანიას ვეუბნები — ჰა, მიღი რაღა — მეთქი. ჯერ ვერ გაბედა, მა-გრამ ზღვაში დელფინივით რომ შევა-ცურე, უნდა გენახა ზღვამ როგორ მაიმ-ატა“. მართალია, თვითონ თუმორით მიყვებოდა, მაგრამ სიცილი ძლივს შე-ვიკავე. ჩვენთან, მე-4 სართულზე რომ ავედი, ეს ნუკრი მანჯგალაძეს მოუყვევი და უნდა გენახათ რა ხარხარი აგვი-ტყდა, როცა წარმოვიდგინეთ როგორ მიღგაფუნობდა ის „კალაბოკა“ ქალ-ბატონი ანია.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ შვებულე-ბაში გასვლის წინ, რამდენიმე კვირით ადრე ყველას გვაფრთხილებდა: ამა და ამ დროს მივდივარ და დროზე გაიკრი-ჭეთო. ამჯერად გვითხრა, კიევში სერ-უიკასთან მივდივარო. ჰოდა წავიდა კიდეც. ჩვენ მისი მოსაკლისებაც კი ვერ მოგასწარით, რომ ათიოდე დღეში სამსახურში გამოგვეცხადა.

ყველას გაგვიკვირდა და ვეკითხე-ბოდით, რა მოხდა, უორაჯან, ასე ადრე რატომ ჩამოხვედიო. - „მაიცა რა, კიდე-ვაც დიდხანს დავრჩი, ბიჭო, ეს რა ვნახე, სერუიკას იმ ერთ ოთახში გაფენილ დათვის ტყავზე მიღეთის ხალხი — ქალიც და კაციც იჯდა, იწვა და არაყს სვამდა. ერთი ორი დღე მეც ავყევი, მაგრამ აბა ამას მე როგორ გავუძლებდი. მერე ცოლისძმას ვუთხარი, არა, ძმაო, ეს ჩემი საქმე არ არის, მივდივარ — მეთქი. შემეხვეწა, რაკი არ დაგიშლია, ანიას ნუ ეტყვი, სმა რომ მიწევსო“.

გავიდა ხანი და სერგო ფარა-ჯანოვი, როგორც მოგეხსენებათ, დააპ-ატიმრეს. ეს კიევში მოხდა. ერთხ-ელაც უორასთან რომ სადალაქოში

ვიჯექი, უგუნებობა შევატყე. თითოროლა სიტყვას თუ იტყოდა. ბოლოს, ვეღარ მოითმინა და მეუბნება: „წუხელ ჩემთან „ობისკი“ დამირტყეს (უორა მთაწმინდის უბანში ანიას მამის ყოფილი სახლის პატარა ბინაში ზედსიძედ იყო შესული). შეწუხებულმა ვკითხე, რა მოხდა - მეთქი, „რა მოხდა და ხომ იცი, სერუიკა რომ დაიჭირეს. ჰოდა, კაგებეში, ეტყობა მაგრად აჯანჯლარეს და ყველაფერი დააფქვევინეს რადა! ვახ, ნოდარჯან, ეს რა ვნახე - „ლუსტრიდან“ იმდენი ოქროულობა ამაიღეს, რომ ვერც კი დამტესიზმრებოდა, მარტო „ცეპი“ იყო, მე და შენ ერთად რამდენჯერმე შემოგვეხვეოდა. ვახ, ვახ, ან ანიასთვის ეთქვა, ან ჩემთვის, მაგ ყურუმსალს, ხომ გადავმალავდით. ეს რა ქნა, მე მაგის ... და კარგა ხანს ვიშვიშებდა უორიკა. აბა, იმ წამხდარ საქმეს რა ეშველებოდა, ანდა ბატონი სერგო რას იფიქრებდა, რომ დააპატიმრებდნენ. „იქ“ კი მას კი არა, აღბათ, კამოსაც ყველაფერს დააყაჭვინებდნენ.

კარგა ხანი გავიდა და გვეუბნება: „ეს ოხერი „პრასტატა“ თუ რაღაც დოზანა, მაწამებს, ლამის წამდაუწუმ „იქ“ დავრბივარ, რაღა, მოსკოვს ვაპირებ წასვლას, „აპერაცია“ იქ უნდა გავიკეთო. მართლაც მაღლე მოსკოვში გაემგზავრა და რამდენიმე ხანში ჩამოვიდა კიდეც. კარგ გუნებაზე იყო, ძველებურად ათას რამეს ყვებოდა. ისიც გვიამბო, როგორ მივიდა განთქმულ კლინიკაში მთავარ ექიმთან და თავისი გასაჭირი უთხრა. „არა, ბიჭო, მთავარი მეკითხება „ნაპრავლენიე“ თუ

გაქვსო. მე ვუთხარი -

,  
– მეთქი, ერთი ჩაიღიმა და, მოკლედ, დამაწვინა და გამიკეთა კიდეც „აპერაცია“. ებლა ჯიგრულად ვარ-რა, - მითხრა გახარებულმა უორამ. რამდენიმე ხანს მართლაც კარგად იყო, მაგრამ თურმე ადენომა ავთვისებიანი გამოდგა და ჩვენი უორა გარდაიცვალა. მისი მთელი კლიენტურა არც ერთ პანაშვიდსა და დასაფლავებასაც არ გამოჰკლებია. ცოლშვილთან ერთად ბატონი სერგოც ჭირისუფლობდა. იმხანად იგი განთავისუფლებული იყო და თბილისში მამისეულ სახლში ცხოვრობდა.

აი, რამდენი ხანი გავიდა და ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ ლამაზად, მართლაც რომ „რეჟისორულად“ იყო ყველაფერი გაფორმებული. უნდა გენახათ რა ცხარე ცრემლით ტიროდა ცალთვალა გრიშა-„კუტუზოვი“. მოკლედ, ყველამ გულისტკივილით, ალალად გავისტუმრეთ იმ ქვეყნად ჩვენი კოლორიტი, ენწყლიანი დალაქი უორა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს და აცხონოს, ამინ!

### X X X

აქვე მინდა რამდენიმე სიტყვით სერგო (სერუ) ფარაჯანოვზე გიამბოთ. შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, რომ იგი ძალიან დიდი „ხიმანდრისტი“ იყო. თურმე სულ იმას ცდილობდა, როგორმე რაიმე კვიმატური გაეკუთხინა, ეხუმრა. ეს უორასგანაც მომისმენია და სხვებ-

ისაგანაც, განსაკუთრებით შეკლული ჰყავდა იქვე ქუჩაზე მცხოვრები შინაბერა ქალბატონი, თავისი თანატოლი და კარგი მეგობარი. თვითონ ხან მუშაობდა, ხან ქითფობდა, ამიტომ გათენებისხანს თუ იძინებდა ხოლმე. იმ საწყალ ქალს კი არ აძინებდა – მივიდოდა, ფანჯარაზე მიაკაკუნებდა და სანამ არ გააღვიძებდა არ მოასვენებდა. ხანდახან ატყუებდა, ნახე ვინ მოგიყვანე, საზღვარგარეთელი რეჟისორი ან მსახიობი, უნდა გაგაცნოო.

გამოღვიძებული მეზობელი ეხვეწებოდა: „C , , , ,

“-ო. ეხ, შე ძილის გუდა, სიცოცხლეს, ვატყობ, ძილში დაამთავრებო. სტუმრები ჩვეულებრივი იმ უბნელი თბილისელები იყვნენ ხოლმე.

ერთხელაც, თითქმის რიჟრაჟზე, სერუჟმა ისევ მიუკაცუნა ფანჯარაზე და სანამ არ გააღვიძა არ მოეშვა. ქალი

ისევ აწუწუნდა, ეხვეწებოდა შემეშვი, დამამინეო.

- ქალო, შეხედე ვინ მოგიყვანე, ვინ უნდა გაგაცნო, გაახილე თვალი - მარჩელო მასტროიანი არისო. მარჩელო არა, ბიჭო, მარლონ ბრანდოს მომიყვანდიო, - უპასუხა შიგნიდან ქალმა, მაგრამ რა უნდა ექნა, მაინც ადგა და ფანჯარასთან მივიდა, გამოალო და მხიარული სერგო უუბნება: - გაიცანი, მარჩელო მასტროიანი არისო. მარჩელოსაც, რომელიც ასეთ რამებში გამოცდილი ყოფილა, ღიმილით ხელი გაუწვდია ქალისათვის. იმას ხელი კი ჩამოურთმევას, მაგრამ იქვე თურმე კინაღამ გული წასვლია, როცა მართლა ის დიდებული და ლამაზი მამაკაცი დაუნახავს.

- ჰა, კიდევ მეტყვი, ნუ მაღვიძებო, ხედავ ვინ გაგაცანი, ზნაჩიტ, ახლა ნაკლებს დაიძინებო, – ასე დაამთავრა მოყოლა უორა დალაქმა.

## თხოვნა ქართული ქურნალ-გაზეთების რედაქციებს



რა თქმა უნდა, ვგრძნობ, რომ ასეთი სათაურიც კი პრეტენზიულად შეიძლება მოქმედოს ვინებს, თუმცა ცდას და კოლეგიალურ რჩევას წინ არაფერი უდგას.

ამ რამდენიმე თვის წინ გაზეთ „კვირის ქრონიკის“ ფურცლებზე წავიკითხე პატარა წერილი საერთო სათაურით, „ზურაბ წერეთელს გიჟები უტევენ“

სიმართლე რომ ვთქვა, მესიამოვნა რედაქციის მიგნება — მშვენიერი სათაური შეურჩევიათ, რაც კარგად გამოხატავს იმ რთულ ვითარებას ამ ბოლო

წლების მანძილზე რუსეთში, ყველაზე მეტად კი მის დედაქალაქ მოსკოვში მსოფლიოს მასშტაბით სახელგანთქმული დიდი ქართველი შხატვრის ზურაბ წერეთლის მიმართ ზოგჯერ რომ იჩნენ და ჩვენდა სასიხარულოდ ვერაფერს აღწევენ. ზურაბ წერეთლის უდიდესი ტალანტი და კაცური კაცობა ყველაფერს ძლიერს. გაზეთ „კვირის ქრონიკის“ რედაქცია ხაზგასმით წერს არეულ-დარეული რუსული საზოგადოების განსხვავებულობის შესახებაც: „ზოგიც რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტს იცავს და ამგვარ აქციებს გიჟების გამოხდომად აფასებს“.

რომ არ იყავიდნენ და თავად რაიმეს გაკეთების თავი ჰქონდეთ, მაშინ ქართველს ანუ მათივე სიტყვებით „ნაცმენს“ უძველესი სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტად კი არ აირჩევდნენ, თანაც მეორედ და მესამედ. ზ. წერეთელმა აკადემია სრულ კრახს გადაარჩინა და ფეხზე დააყენა. სხვათა შორის, ნიშანდობლივია, რომ რუსეთის მხატვართა კავშირმაც დასვა საკითხი, დამოუკიდებლად არ ეფუნქციონირათ და სამხატვრო აკადემიის ფრთხებქვეშ ემოქმედათ, რადგან ყველას იქ ეგულება დიდი მხატვარი, მოღვაწე, ათობით პრემიის ლაურეატი, ყველა უმაღლესი რეგალიის მფლობელი, მეცნიატი და ორგანიზატორი ზურაბ წერეთელი.

ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინათ საკუთარი თვალით წავიკითხე რუსულ

პრესაში და ზეპირი ლაპარაკის დრო-საც არაურთხელ მოვისმინე, რომ რუსეთში ერთადერთი პიროვნება, ერთადერთი კაცი არის ზურაბ წერეთლი, ვისაც ხელეწიფება თქვას, იდეა წამოაყენოს, გეგმა დასახოს და შეასრულოს კიდეც. წერილებში ჩამოთვლილი იყო არა ერთი და ორი მხატვარი და არქიტექტორი, ვინც დაიწყო ესა თუ ის საქმე და მიატოვა, ვერ გააკეთა, ბოლომდის ვერ მიიყვანა, ან ტრადიციად ქცეული ლოთობის გამო ჩააგდო. ამიტომაც აღრჩობს შური ბევრ რუს შემოქმედს, ვინც ზოგიერთი უერნალისტის დაქირავებასაც არ თაკილობს და ათას ხერხს ხმარობს ზურაბ წერეთლის წინააღმდეგ. ამგვარ სინამდვილეს „კვირის ქრონიკასთან“ ერთად უერნალი „სარკეც“ აღნიშნავს: **მათი მიზანია გამოაცოცხლონ რუსული მონუმენტური ხელოვნება, რათა ამიერიდან მოსკოვის ქუჩებში აქტუალური ხელოვნების ნიმუში იდგეს.** აი, სწორედ ეს არის მათი მიზანი, რომ მხოლოდ რუსები ქმნიდნენ მონუმენტურ ხელოვნებას, ამართლებდნენ ყველანაირ რუსულს, რისი თავი, როგორც ვთქვით, ბევრს არ აქვს და შურიანი დაპირისპირების პრინციპი პით მოქმედებს.

ასეთ ვითარებაში მრავალრიცხოვანი რუსული ყვითელი, მიკერძოებული პრესის ფურცლებზე ზოგჯერ არასწორი ინფორმაცია იწერება დიდი მხატვრისა და დიდი პატრიოტის შესახებ. შეიძლება ეს არ იყოს ისე საწყენი, როგორც ქართულ პრესაში ჭეშმარიტი მტრის გაზეთებიდან გადმოღებუ-



ლი შოვინიზმის სუნით საგსე ესა თუ ის წერილი, რითიც ზოგიერთ ქართველსაც შეიძლება მცდარი შეხედულება შეექმნას ჩვენი სახელოვანი თანამემამულის შესახებ, რომელიც რუსეთში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშიც ღირსეულად წარმოადგენს ჭეშმარიტი ქართველი კაცის სახეს, საქართველოს სახელი კი ფართოდ გააქვს საერთაშორისო ასპარეზზე და რომლის მონუმენტური სკულპტურები მსოფლიოს ოცდაათზე მეტ ქვეყანას ამშენებს.

კიდევ უფრო უარესი, მიუღებელი ან გნებავთ, გულსატკენია, როცა ჩვენთან, საქართველოში, თბილისში, ზურაბის სამშობლოში შეიკრიბება ნებისმიერი ასაკის ორი ან სამი კაცი და ყოვლისმცოდნე ბრძენის იერით იწყებენ მსჯელობას მხატვრის ამა თუ იმ ქმნილებაზე. ამ განსაკუთრებულმა, ხმაურიანმა და შემტევმა კასტამ ყველაფერი იცის, შეგიძლიათ დაუსვათ ნებისმიერი შეკითხვა ავიცენას, ფანასკერტელის, ლეონარდო და ვინჩის,

მიქელანჯელოს, მარკესის, ბორხესის, პელეს, მარადონას, ლენინის, ბერიას, პუტინის თუ კალაძის ცხოვრებიდან. ყველაფერს მაღალფარდოვანი შეჯელობით გაგირჩევენ, ყველას თავის აღილს მიუჩენენ, ისე რომ საერთოდ არ დაფიქრდებიან თავად ვინ არიან, რა შეუქმნიათ, რა გაუკეთებიათ, რისი უფლება აქვთ. ასეთი პიროვნებების საკმაო ნაწილს თავი ბევრჯერ აქვთ შერცხვენილი უკადრებლის წერით, შექმნით რაღაც ახალი სექსუალურ-მანიაკალური მიმართულების დანერგვით, რითიც ხალხის დიდ უკაყოფილებას იწვევენ. მათი მიზანი ნათელია, აკრიტიკონ გამოჩენილი ადამიანები, რომ სხვები დაარწმუნონ რამდენად ძლიერები, რამდენის მცოდნენი არიან. ასე შეიძლება მოხდეს ზურაბ წერეთლის მაგალითზეც, რადგან დღეს საქართველო-დან წამომდგარ შემოქმედებს შორის, თუკი გამოჩენილობის ხარისხსა და სიდიდეზე ვინმე ილაპარაკებს, მას მსოფლიო მასშტაბით ანალოგი ძალიან ძნელად თუ მოეძებნება.

თუკი ვინმეს სურს ზურაბზე წერილის დაწერა, ეს კი სრულიად ბუნებრივია, რომ საყოველთაოდ ცნობილ დიდ შემოქმედზე წერონ და ხალხს გააცნონ მისი ცხოვრება – შემოქმედების დეტალები, რაც ყოველთვის იწვედა და და იწვევს ადამიანების უსაზღვრო დაინტერესებას, სრულიად ბუნებრივად, თანაც ნამდვილ ჟურნალისტიკაში მიღებული წესისამებრ შეუძლიათ ახლობელ ადამიანებთან დააზუსტონ დეტალები. თბილისში ცხოვრობს ზურაბის უმცროსი და, დისტვილი, სიძე,

რძალი, ცხოვრობენ ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, უახლოესი მეგობრებისა და კლასელების მთელი არმია, მათთან ნებისმიერი საკითხის გადამოწმება არის შესაძლებელი. ვინმე იტყვის სად და როგორ დავუკავშირდეთ. ბოლოს და ბოლოს ჩვენი ურნალის დასაწყისშივე მითითებულია საკონტაქტო ტელეფონები, ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერ ახლობელ ადამიანთან დაგაკავშიროთ, ანდა ჩვენი პირადი კომპეტენციის ფარგლებში დაგეხმაროთ სწრაფად და საფუძლიანად გაირკვეს ნებისმიერი საინტერესო საკითხი.

ზურაბ წერეთელზე ლაპარაკს როცა ვინმე დააპირებს ან უფრო ზუსტად – გაბედავს, მინიმალურად მაინც უნდა იცოდეს დიდი მხატვრისა და მონუმანტალისტის არა მარტო უმდიდრესი შემოქმედება, არამედ მისი მაღალი დონის პიროვნებაც, მისი ცხოვრებისეული კრედოც, რაც მოყვასი-სადმი კაცურად გულწრფელი სიყვარულით არის განპირობებული. ასეთ დროს იგი არის უშუალო, პრინციპული, გაბედული და მთელი ძალით შეუძლია ბრძოლა სიკეთის გამარჯვებისათვის.

უამრავი ფაქტის მოყვანა შეიძლება ამ მიმართულებით, რასაც თავად ზურაბ წერეთელი არასოდეს უწევს თუნდ მცირე აფიშირებას. აქ გამახსენდა ამ ორიოდე წლის წინ გაზეთში გამოქვეყნებული ცნობილი ქართველი რეჟისორის ბუბა ხოტივარის წერილი, სადაც იგი ეხება უფროსი ძმის, ნამდვილად შესანიშნავი პიროვნების ქართ-

ლოს ხოტივარის თავსდამტყდარ ტრაგედიას. აქვე ავტორი ერთ დამახასიათებელ შემთხვევას იხსენებს და სრულიად მიუკერძოებლად წერს:

— „მურს, იმ ხელმოწერების შესახებ გიამბოთ, რომელსაც „თვითმფრინავის ბიჭების“ გადასარჩენად ვაგროვებდით. გეგა კობახიძის შშობლები — მიშა კობახიძე და ნათელა მაჭავარიანი ჩემი ძმის — ქართლოსის მეგობრები იყვნენ და, რა თქმა უნდა, ჩემი მეგობრებიც. ეს ამბავი რომ მოხდა, თავი ვალდებულად ჩავთვალეთ, მათ გვერდით ვმდგარიყავთ. მით უმტეს, ვიცოდით, რომ გეგა არ მონაწილეობდა იმ სისხლისღვრაში, რაც მოხდა (და არც ისინი, ვინც გადარჩნენ). ყველა თავზარდაცემულები ვიყავით, საშინელი იყო ის განაჩენი — დახვრეტა, რაც მათ გამოუტანეს. როგორც ჩემთვის ცნობილია, პოლიცეულებში თავიდანვე მოსკოვი ჩაერთო, ქართულ მხარეს არაფერს ეკითხებოდნენ. როდესაც სიტუაციამ კულმინაციას მიაღწია, მოსამართლე უკან არ იხევდა, ერთმა იურისტმა მიშას ურჩია, იქნებ ცნობილი ადამიანების შუამდგომლობამ იმოქმედოს და დახვრეტის მუხლი შევცალონო. მახსოვს, მათთან სახლში ვისხდით, მიშამ, ეს მოსაზრება რომ გაგვიზიარა, უცებ სიჩუმე ჩამოვარდა — იმ დროს სარისკო იყო ასეთ შუამდგომლობაზე ხელის მოწერა. იმდენად უხერხული სიტუაცია შეიქნა, რომ მიშას ვუთხარი: ხელმოწერებს შევაგროვებ-მეთქი. სის ჩამოწერა რომ დავიწყე, მიშამ შემაჩერა — შუამდგომლობაზე ხელის მოწერას მაშინ ექნება აზრი, თუ აქ იქნება ცნო-

ბილ პიროვნებათა გვარები — სსრ კავშირის დეპუტატების ან სახალხო არტისტების და ა.შ. ხელმოწერების შეგროვება დავიწყეთ მე და არაჩვეულებრივმა პიროვნებამ ნოდარ რჩულიშვილმა. ზაფხული იყო, აგვისტოს თვე, ვინც იმ პერიოდში თბილისში ვნახეთ, თითქმის ყველამ თავი შეიკავა ხელის მოწერაზე ... წარმოიდგინეთ, ეს იყო ანდროპოვის დრო, რომელიც ხალხს რეპრესიებით ემუქრებოდა, ახალ 37 წელს მოგიწყობოთ, ამიტომ ეშინოდათ. რა თქმა უნდა, უხერხულ სიტუაციაში არავინ ჩამიყენებია, პირიქით, ვამშვიდებდი — თუ ხელმოწერაზე უარს იტყვით, ამას ვერავინ გაიგებს-მეთქი. თავს იკავებდნენ, ჯერ სხვამ მოაწეროს, შემდეგ — ჩვენო. ბოლოს გავრისკე და მივედი ზურაბ წერეთელთან, რომელიც მაშინ დეპუტატი იყო, ლენინური პრემიის ლაურეატი და ა.შ. ვუთხარი: ბატონი ზურაბ, ხელს არავინ აწერს ამ შუამდგომლობას, თუ უარს იტყვით არ დაგემდურებით-მეთქი. ბატონი ზურაბი დაფიქრდა და მიპასუხა: სიკვდილის წინაშე ყველა ერთნი ვართო და ხელი მოაწერა გაკვრით, გვარი არ იკითხებოდა — დახედა და თქვა: — გაურკვეველი რომ არ იყოს, თავიდან მოვაწერო და თავისი გვარი აბსოლუტურად გარკვევით დაწერა, ჩამოწერა თავისი ყველა რეგალია. შემდეგ მითხრა: საქართველოში ეს წერილი არ გაჭრის, მოსკოვშიც უნდა გაიგზავნოსო. აიღო ცარიელი ფურცელი და თავისი გვარი რუსულადაც მოაწერა. გადავეხვივ ბატონ ზურაბს, ეს იყო მისი მხრიდან ვაჟკაცური ნაბიჯი და დღუსაც



**ვერ ვიტან, მის შესახებ ვინძე აუგს რომ ამბობს... ამის შემდეგ ზელი ბევრმა ადამიანმა მოაწერა“.**

მსგავსი ვაჟკაცური ფაქტები ზურაბ წერეთლის ცხოვრებაში ასობითა და ათასობით მოიძებნება. დიდი მხატვარი სიკეთის დანერგვასა და კეთილი საქმეების ძალდაუტანებელ კეთებაში ყელთამდეა ჩაფლული. 2002 წელს ვრცელ ინტერვიუში კორესპონდენტის შეკითხვასთან დაკავშირებით ზურაბ წერეთელი აღნიშნავდა: „ჩემი სამყარო სიკეთით არის სავსე. განსაკუთრებით მიხარია იმ ადამიანებთან ურთიერთობა და მათი საუბრების მოსმენა, რომლებიც ჩემს ცხოვრებისეულ შეხედულებებში კარგად ერკვევიან“.

ჭეშმარიტი ქართველი კაცი ზურაბ წერეთელი საკუთარი სამშობლო-

სათვისაც ბევრ რამეს აკეთებს. აქ თუნდაც ერთი ფაქტი შეიძლება გავიხსენოთ 2002 წელს ჩაწერილი ერთი ინტერვიუდან: „ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც თბილისის ზღვის გრანდიოზული კომპლექსი „საქართველოს მატიანება““. ეს არის ჩვენი კულტურა და ისტორია, დაწყებული ამირანიდან – დღევანდელი დღით დამთავრებული. აქ საუკუნეების მიხედვით აღწერილია საქართველოს დამწერლობა, წმინდანები, მეფეები, საზოგადო მოღვაწეები და ა.შ. ამ პროექტზე დაახლოებით 20 წელია ვმუშაობა... ეს ჩემი შემოქმედებაა, რომელზეც მართალია, არ ვიტანჯები, მაგრამ იოლი შრომაც არ გახლავთ, პირიქით, ძალიან მძიმე შრომაა. ჩემი ნიჭი საჩუქარია ჩემი ქვეყნის, ხალხის, წინაპრებისა და ყველასოვის, ვისაც უშრომია ჩვენი ერის ისტორიის შესანარჩუნებლად“.

ზურაბ წერეთელს არცერთი წოდება და ტიტული არ დაკლებია, მისი საოცრად დიდი შემოქმედება შესაბამის დაფასებას პოულობს, მაგრამ უმთავრესი მაინც ხალხის აზრია, მას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში „მოვლენას“, „გიგანტური ძალის შემოქმედსა“ და „თანამედროვების ცოცხალ ლეგენდას უწოდებენ“, ამერიკის შეერთებული შტატების პრესამ კი „ყველა სფეროში ჩემპიონის“ ტიტული მიანიჭა.

არნახული წარმატებების მიუხედავად, ზურაბი სულ მუშაობს და მუშაობს, ხელოვნება მისთვის სუნთქვაც არის, მოწოდებაც, სულიერი სამყაროც, გზაც, დღეგანდელობაც, მომავალ-



იც. ერთ-ერთი ცნობილი ინტერვიუს დროს იგი ამბობდა: „საერთოდ ჩემთვის მუშაობა ყველაზე მთავარია და ვცდილობ რაც შეიძლება მეტი გავაკეთო. თუ დააკვირდით, ინტერვიუს განმავლობაში რაღაცას ვხატავ, სანამ ინტერვიუს დავამთავრებოთ, ნახატიც მზად მექნება“. დიდი ხელოვანი საკუთარ თავს შეჩერების უფლებას არ აძლევს, სულ ქმნის და ქმნის, თანაც ქმნის ისეთი ძალით საუკუნეებსაც რომ გაუძლებს.

ზურაბ წერეთლის შემოქმედების შესახებ უამრავი იწერება მსოფლიო პრესაში, ასევე ქართულ პრესაშიც. ამიტომაც მის საოცრად წარმატებულ საქმიანობას აღარ ვიხსენებ, ის უკვე ყველასთვის ხელშესახებად თვალსაჩინო გახდა, უფრო მის მომხიბლავ პიროვნებაზე ვაკეთებ აქცენტს. ზურაბი ჭეშმარიტი ქრისტიანია პიროვნულადაც, ცხოვრების წესითაც, შთამომავლობითაც, ოჯახითაც, შემოქმედები-

თი მიმართულებებითაც, არის ადამიანების დამხმარე და ათასობით კეთილი საქმის უშურველი მკეთებელი. თავად ერთ სიტყვასაც ვერ დააცდენინებ ასობით გაწეულ დახმარებაზე, შეთვისებული აქს, რომ ქვემოქმედებას საპიარო აფიშირება არ უხდება. თავად გადაჭრით აცხადებს კო-

რესპონდენტის შეკითხვაზე: „არც ვისაუბრებ იმაზე, რომ ქართველებს ვეხმარები“. ასე ჩუმად, უხმაუროდ გაკეთდა მრავალი საშვილიშვილო საქმე, მაგალითად, გამოვიდა აფხაზეთის ისტორიის თემატიკისადმი მიძღვნილი ათობით წიგნი, გამოჩენილი ქართველი ეთნოგრაფის აკადემიკოს გიორგი ჩიტაის სამეცნიერო შრომების ხუთტომეული, 26 წლის მარადიულ ჭაბუკად დარჩენილი დიდი ქართველი მწერლის, ლეგენდად ქცეული გურამ რჩეულიშვილის აკადემიური გამოცემის ექვსტომეული და ასობით სხვა წიგნი, რომელთა ჩამოთვლას ერთი პატარა საუკუნალო წერილი ნამდვილად არ ეყოფა.

წლების წინანდელ ერთ-ერთ ინტერვიუში ზურაბ წერეთელი დამახასიათებელი სიმშვიდით, ღირსებითა და ჭეშმარიტი შეგნებით წერდა: „მე ქრისტიანული კანონებით ვცხოვრობ, ვცდილობ სიკეთე ვთესო, რაც შემიძლია

დავეხმარო ყველას, მეტყვიან მადლობას – გამიხარდება, არადა, – კარგად მეყოლონ“. ასე ცხოვრობდა და ასე ცხოვრობს ზურაბ წერეთელი, მხოლოდ სიკეთითა და სიყვარულით, რწმენითა და მოყვასის მხარში დგომით, სიმშვიდის დამამკვიდრებელი ღირსების თესვითა და ზოგიერთ ბოროტებით შეპყრობილ ადამიანში კეთილი საწყისის გაღვივების იმედით.


ალბათ ამიტომაც ჩემი პატარა საურნალო წერილის სათაურიდან გამომდინარე მინდა კოლეგიურად ვთხოვო ქართული უურნალ-გაზეთების მაღალკვალიფიციურ თანამშრომლებს – ნუ ენდობით რუსული ყვითელი პრესის მუშაკთა მოგების ნახვით დაინტერესებულ ბოლმიან გამონაგონებს და აშკარად შეკვეთილის სურნელით გაუღლენთილი წერილები არ გამოაქვეყნონ, ასევე უნდობლობის გამო ბევრი მასალა არ გადაიცეს რადიოთი და ტელემაუწყებლობით, მით უმეტეს დღეს, როცა რუსეთის მასმედია თუ პოლიტიკა ცდილობს ყველაფერი ქართული მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი კუთხით მოაჩვენოს რუსულ საზოგადოებას, დაამტკიცოს სულელური თეზისი, თითქოს ოთხ მილიონამდე მოსახლეობის საქართველომ 140 მილიონან დაუნდობელ რუსეთს დაუწყო

ომი და რუსეთიც „იძულებული“ გახდა თავისი „მშვიდობისმყოფელები“ და რუსული პასპორტებით მომარაგებული მოსახლეობა „დაეცვა“. მადლობა ღმერთს, ჩვენი პატარა ქვეყნის პრესა გაცილებით მაღალი დონისაა და გაცილებით თავისუფალიცაა, ვიდრე რუსული პრესა, სიყალბესა ან აშკარა ტყუილზე თვალის დახუჭვა კი ჩვენ არ გვეკადრება. რა თქმა უნდა, ისიც კარგად მესმის და ბოლომდე არც მჯერა, რომ ჩემი პატარა მოცულობის წერილი, ძალიან დიდ, გადამჭრელ ზემოქმედებას მოახდენს ჩემს ახალგაზრდა კოლეგებზე, თუმცა კვლავ ვიმეორებ და ასეც ვფიქრობ, რომ კეთილ რჩევას უარი არავინ არ უნდა უთხრას.

მოფლიოში სახელმოხვეჭილ დიდ ქართველ მხატვარსა და მოქანდაკეს ზურაბ წერეთელს მაღე დაბადებიდან სამოცდათხუთმეტი წლისთავის საიუბილეო თარიღი უსრულდება, რაც ძალიან ფართო მასშტაბით აღინიშნება. ჩვენც გვინდა სულითა და გულით ვუსურვოთ ამ არაჩვეულებრივ, გენიალურ პიროვნებას ხანგრძლივი სიცოცხლე, კვლავაც უჩვეულოდ ნაყოფიერი შემოქმედებით ემოდვაწეოს, რადგან იგი არა მარტო ეამაჟებათ, არამედ ძალიან სჭირდებათ ადამიანებს, მისი იმედი აქვთ და დღემდის მიღწეული არნახული წარმატებებითაც ხარობენ.

**ნუგზარ ჭერეთელი – უურნალისტთა  
საერთაშორისო ფედერაციის წევრი,  
საქართველოს დამსახურებული უურნალისტი, პროფესორი.**

## დიდი მცხაალი დიდი მწარლის შესახებ



ინანიშვილის მოგონებებს მიძღვნილს დიდი ქართველი მწერლის გურამ რჩეულიშვილისადმი.

რეზო ინანიშვილის მოგონება სა-  
თაურით „გურამ რჩეულიშვილთან“  
გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურული  
საქართველოს“ 1989 წლის 11 აგვის-  
ტოს ნომერში, მეორე უსათაურო მოგ-  
ონება კი დაიბეჭდა ლაშა თაბუკაშვი-  
ლის ჟურნალ „XX საუკუნეში“ 1987  
წელს, საერთო სათაურით რეზო ინანიშ-  
ვილის „სამაგიდო რვეულებიდან“.

### რევაზ ინანიშვილი

#### „გურამ რჩეულიშვილთან“

მეგობრები არ ვყოფილვართ, არც  
ახლო ამხანაგები. პირიქით, აშკარად

2009 წლის 4 ივლისს დაბადე-  
ბიდან 75 წლისთავის საიუბილეო  
თარიღი უსრულდება დიდ ქართველ  
მწერლის, 26 წლის მარადიულ ჭაბუკად  
დარჩენილ ლეგენდარულ გურამ  
რჩეულიშვილს. ერთ წელიწადში კი  
მისი ტრაგიკული აღსასრულიდან 50  
წლისთავის სამწეხარო თარიღიც  
აღინიშნება.

ეურნალ „სიტყვის“ სარედაქციო  
კოლეგია იწყებს გურამ რჩეულიშვი-  
ლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი  
მიძღვნილი მასალების გამოქვეყნებას.  
მკითხველს ვთავაზობთ დიდი ქართვე-  
ლი მწერლის, ლიტერატურული პრო-  
ცესების უანგარო შემაფსებლის რეზო



გვიპირისპირდებოდა ჩვენი თაობის მწერლებს – გაბედულებით, სილალით, ხელგაშლილობით.

მას და მის მეგობრებს შეეძლოთ ფულობანა ეთამაშათ საოპერო თეატრის წინა კედელზე – ფულს რომ კედელს მიარტყამენ და ვისიც ყველაზე შორს გადავარდება, ის რომ არის მოგებული. შეეძლოთ – ჩემი თვალით მინახავს ესაც, – რუსთაველის გამზირზე საზეიმო სიამაყით ჩაეტარებინათ სულ პატარა ჩოკინა; ის ჩოკინაც ამაყად ყურებაჭიმული და ყოჩალად ფეხგაშლილი, ჰაჯუნა.

სადაც არ უნდა მდგარიყო, წამოგვყებოდა შთაბეჭდილება, რომ როგორლაც ზემოდან დაჰყურებდა თბილისს.

ჩვენი ნაცნობობა ერლომ ახვლედიანის შუამდგომლობით დაიწყო. მე მარჯვნიშვილის მოედანთან ვცხოვრობდი, ერლომი კამოს ქუჩაზე, ველოდრომის გვერდით. ხშირად მივდიოდი ხოლმე მასთან. ერლომის პატარა ოთახი ბუდე იყო მოკამათეთა. რაზე აღარ გვიკამათია იქ. ერლომთან მოდიოდა ხოლმე გურამიც, ჩვენს კამათს შემოუერთდებოდა ღიმილით, ხუმრობხუმრობით. შეეძლო, რა საკითხიც არ უნდა ყოფილიყო, ქილიკით ეთქვა ბევრი ჭკვიანური რამ. ჩაიხსნიდა და შეიკრავდა ხალათის საკინძეს. მინახავს საუბრისას როგორ იხდიდა და ისევ იცვამდა თავის საყვარელ ქურთუქსაც. აგზნებული იყო ხან რით, ხან რით, მაგალითად, ერთი ძალიან რიგითი რუსული ფილმი „ქალიშვილი გიტარით“ უკვე ოთხჯერ ენახა, მეხუთ-

ედ ჩვენც წაგვიყვანა. იცინოდა ისე გულინად, დაინტერესებულნი იყურებოდნენ აქეთ-იქიდან. ხან სვამდა (თავად მე არ მინახავს გადამეტებით მსმელი), ხან წვეთ სასმელს არ იკარებდა. მაშინ ის ჩაცმითაც სხვანაირად იცვამდა – სუფთად, ორიგინალურად, გიუდებოდა მაღალყელიანი ფეხსაცმელისათვისაც, ჩინელი სალდათების ბათინკებს „ჩჩეულკებიც“ კი დაერქვა, მუშაობით ხომ, მუშაობდა „მხეცვით“, გარეთ არ გამოვიდოდა მთელ კვირას.

ერთი ხანობა გატაცებული იყო ორთაჭალის ჩაიხანებით. აუ, რა ჩაია, რა ტიპები არიან ჩალაგებულნი! ძველი და ახალი. აშვერილი აქვთ ორთქლებული თეფშები ამ ორს შუა და არიან ეგრეო!

ერთხელ, ამ საჩაიერებით გატაცების დღეებში, ერთმანეთს შვწვდით წიგნის პალატის დაბლითა ვესტიბიულში. მასთან იყო სარკასტული ინტელიგენტის გარებობის თითქმის შუა ხნის კაცი. გამაცნო, – ბატონი შოთა დედაბრიშვილი, შიო არაგვისპირელის ვაჟიო! დედაბრიშვილმა ხელი ჩამომართვა, გადაატრიალ-გადმოატრიალა ჩემი ხელი და თქვა, – ნამდვილი გლეხური წითელი ხელია. ლექსებზე არ გაისარჯოთ, არაფერი გამოგივათ, – პროზა? პროზა შეიძლება, მოგონებები სოფლის ცხოვრებიდან.

მოვიდა ერლომ ახვლედიანიც. გურამმა ხელაწევით თქვა: – მივდივართ ჩაის დასალევად ორთაჭალაში, ჭრელ აბანოსთან.

ნოემბრის ბოლოს ნაწვიმარი იყო, კარგი სიგრილე. იგრძნობოდა, რა სა-

სიამოვნო იქნებოდა ახლა ცხელი ჩაი. ყმაწვილური ზალისით მოგვყვებოდა ბატონი შოთაც. მან ერთხელაც გააძახვილა ყურადღება ჩემს გარეგნობაზე, — ტუჩებიც არ გაქვთ მწერლისა... ნიკაპიცო...

გურამი მართალი აღმოჩნდა. მარტო იქაურობის ნახვაც კი ღირდა იქ ჩამოსვლად. ნაფლეთი ნისლები ხან დაფარავდა, ხან გამოაჩნდა ნარიყალას, ლელვთახევის გაღმა, თაბორის გორები, დაუანგებულივით იყო — გადაწინწკლული წითელ-ყვითელი ფერებით. პირდაბანილივით ცოცხლად იყურებოდნენ ზემოთ წასული აბანოთუბნის სახლები.

გურამმა მეტეხის გაღმოლმა გადაკოცნა ვიღაც მილიციელი. გურამის მაყურებელი მილიციელი გახარებული იყო: ბოდიშობდა, ყმაწვილივით აწითლებული, პოსტს ვერ მიგატოვებო, გურამმა ერთხელაც აკოცა.

საჩაიე იყო იქვე, ძველი აბანოების დასაწყისში — გრძელი, ბარაკულად შეკრული, ლურჯად შეღებილი, შიგნით უფრო იგრძნობოდა მისი სიდიდე. მიუხედავად ამ სიდიდისა, გამოვსებული იყო ხალხით. იდგა სასტიკი ბული, ორთქლი და კვამლი არეული ერთმანეთში. თავში, სადაც ვეება სამოვრები დუღდა, საპატიო ადგილას ძველი ყაიდის მაჭადიანები ისხდნენ — ზოგი ფაფახით, ზოგი თავშიშველი, თავგადახოტრილი, ოფლით გადაკვარული. იყო რამდენიმე თავდაკეშნილიც. ერთი მთლად წითელჭრილობიანიც. ეწეოდნენ ყალიონს, ან გაზეთის ქაღალდში გახვეულ მაგარ წეკოს.

სვამდნენ წელში გამოყვანილი ჭიქებით და თევზებით მუქ, მაგარ ჩაის, თითო-ოროლა სიტყვას თუ იტყოდნენ, იმასაც თითქოს მხოლოდ თავისთვის.

იმ ჯგუფიდანაც გამოუნაოს ყვითელი დიდი კბილებით გურამს. გურამი მივიდა, ხელი ჩამოართვა ორსა თუ სამს, მომტანებს დაუძახა — ჩემს ანგარიშში გაუმასპინძლდით ამათო. ყონაღები იცინოდნენ თავის ქნევით და ხელის მაღლა აწევით.

იყვნენ ქაღებიც, უფრო წნიერები, დიდშალმოხვეულები, დახრილები, მუქები. ისინიც უნათებდნენ კბილებით გურამს.

გურამი გვიმასპინძლდებოდა ჩვენც. სიამაყით გვიწყობდნენ ჭიქებს ახალგაზრდა მიმტანები. თითქოს არ შეიძლებოდა, მაგრამ გურამმა მაინც საიდანლაც გააჩინა კონიაკი, ბატონ შოთას დასდო პატივი. ბატონმა შოთამ მოფერებით მოჰკიდა ხელი კონიაკის ბოთლს.

ვსვამდით იმ მართლაც მშვენიერ ჩაის და მიკვირდა გურამის შემჩნევების სიზუსტე: მარტო ტოკავენო ძველსა და ახალს შორის. თითქოს მართლა ექსპონატებივით იყვნენ ჩაწყობილნი. გაბრწყინდებოდა ესა თუ ის ოფლიანი თავი, ანდა იმ თავებს ზემოდან გადაწვდილი შავი ხმელი ხელი, უცებ ავიდოდა წვრილი და მკვრივი თეთრი კვამლიც, ერთ თავს აჰყვებოდა ორისამი სხვაც, მათ ადგილს იკავებდნენ სხვები.

საჩაიეს ბოლოსაკენ ყაყანებდა და იცინოდა ბიჭბუჭობა, საჩაიეს თავში კი უფრო და უფრო იჯანდებოდნენ

ბებერი მაპმადიანები.

— იმას შეხედე, რამსიგრძელ იშვერს ტუჩებს! ის ნახე, რა თავია და რა ყურები! მეორე, მეორე, ცალი წარბი რომ არა აქვს სრულიად.

შემოვიდა ორი ქართველი აზალ-გაზრდა კაცი, ინტელიგენტური გარეგნობის. ჩანდა — ცოტა ნასვამნიც. გურამი იცნეს, ბატონი შოთაც.

— ტკბებით სიფლიტიკების რომანტიკით? — ჩაგვისისინა ერთმა ხითხითით.

გურამს ცუდმა სიმკაცრემ წამოუარა თვალებში.

ცოტა ხანსაც ვიყავით და ავდექით, წამოვედით, სადღაც მიეჩარებოდა ერლომს.

ისევ ირეოდნენ ნარიყალაზე ნისლები, ისევ სველი იყო სახლების სახურავები. ფეხით ამოვუყევით ლესელიძის ქუჩას ლენინის მოედნამდე. მხოლოდ ერლომი დაგვშორდა, რომელიღაც ავტობუსს გაჰყვა. გურამს აინტერესებდა ყველაფერი: სომეხთა ეკლესია, სინაგოგა, სიონი, ჯვარის მამა, მაღაზიებიც — თითქოს ხელიერთპირად საკომისიოები. არაფერი კი არ გვიყიდია არცერთს. ეგრე ამოვედით მოედანზე.

მაშინდელ „პასაუთან“ კედელს მიყუდებული ტიროდა სოფლელი ხნიერი ქალი. ეხვეოდა ხალხი, ეკითხებოდნენ რაღაცებს, ბრაზობდნენ. გამოირკვა: შვიდი თუმანი ჰქონია საცოდავს (ფულის ძველი კურსით) და ამოუცლიათ. კაპიკი აღარ დარჩენოდა, რომ შინ მაინც დაბრუნებულიყო.

გურამი სულ ცოტა ხანს იდგა და უყურებდა მტირალ ქალს.. მერე სხვე-

ბი მისწი-მოსწია, ქუდი მოიხადა, ასწია მაღლა, ლამაზმა, ახოვანმა, შემოატარა წრედ;

— კეთილ თბილისელებს ვთხოვთ, დაეხმარონ ჩვენს სოფლელ დედას! — თვითონ ხუთმანეთიანი ჩააგდო ქუდში, — კეთილო თბილისელებო, დაეხმარეთ ჩვენს გაჭირვებულ სოფლელ დედას, უსინდისო ჯიბგირებმა რომ ამოაცალეს უკანასკნელი კაპიკებიც.

ღიმილ-ღიმილით, თითქოსდა თამაშით, სხვებმაც ჩაუყარეს წვრილ-წვრილი, მაგრამ სულ ქაღალდის ფულები. ორმა სქელმა ძიამ თუმნიანებიც. ხნიერმა სოფლელმა ქალმა ტირილს უმატა, ჩაკუნტდა. გურამმა იდროვა, ფული დათვალა, ცხრა თუმნამდე გამოვიდა. ის ფული დედაბერს ჩაუდო მუჭებში, ერთი აკოცა კიდეც მოსახვეზე, ზემოდან, ხელი ასწია და დაიძახა:

— მადლობა, მადლობა, კეთილო თბილისელები!

და წავიდა — ჩქარი ნაბიჯით, თითქოს ჩვენ დავავიწყდით.

მობრუნდა:

— არ შემიძლია საცოდავების დალოცვის ატანა.

ვიღაც კაცი დაინახა, ქუჩაზე გადამავალი უადგილო ადგილას. იმ კაცს წამოეწია, ხელმკლავი გამოსდო და გაჰყვა თითქოსდა ძალიან საქმიანი საუბრით, წინ წახრილი...

შეიძლება მისი ზურგი მაშინ არც იყო ესოდენ შეფიქრიანებული, მაგრამ დღეს მაინც ძალიან კაეშნიანად ვხედავ.

### რეზო ინანიშვილის „სამაგიდო რჩეულებიდან“

გუშინ, 20 იანვარს, მეტეხის თეატრში გაიმართა გურამ რჩეულიშვილის მოსაკრამარი საღამო. ასი თუ ასოცი კაცის ტევადობის დარბაზში ადგილების თითქმის მესამედი ცარიელი იყო. პრეზიდიუმში ვისხედით: კობა იმედაშვილი, ნუგზარ წერეთელი, ერლომ ახვლედიანი და მე. კობა იმედაშვილის შესავალი სიტყვის შემდეგ წავიკითხე ქვემოთ მოტანილი ტექსტი:

„გურამ რჩეულიშვილი მამაცი იყო, იძღვნად გამოჩინებულად მამაცი, რომ 37 წლის ექსოთვის მუდმივი შიშით დაყურადებულ ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის ბევრ მწერალს უსიამოვნოდ აღიზიანებდა.

ერთხელ ერთ სტამბაში ასეთი რამ ითქვა: – თუ ვინმე ჩვენს შორის გენიოსობის ნიშნით დაბადებული, გურამ რჩეულიშვილია. ერთი ყაყანი ატყდა. იმ დღიდან რამდენიმე საბრალო, რომელთათვისაც (თავიანთი თავიდან გამომდინარე), ქვეყნად არ არსებობს არავითარი გამორჩეული ნიჭი, ყოველი შეხვედრისას მომტევებელი ღიმილით მიტყაპუნებდა მხარზე ხელს და ქირქილით მეუბნებოდა, – მაშ გურამ რჩეულიშვილი გენიოსი გყავოო?!.. როცა დაიღუპა, პირველი თუ არა, ერთ-ერთი პირველთაგანნი მაინც ისინი აღმოჩნდნენ მისი კაცობისა და ნიჭის დიდი თაყვანისმცემლები.

რას ვგულისხმობ, როცა გურამის სიმამაცეზე ვლაპარაკობ? პირდაპირი, მამრული სიმამაცის გვერდით, აზროვნებითს სიმამაცეს. ოცდაოთხი

წლის ახალგაზრდამ დაწერა წიგნი „ჩემი ლიტერატურული შეხვეულებანი“ (სრული სახით არ გამოქვეყნებულა), იმავე ხანებში აქვს დაწყებული დიდი რომანი „შაშას რევოლუცია“; დაწერა დღიური თუ ტრაქტატი დედამიწაზე მოქმედ უდიდეს იდეოლოგიურ ძალებზე; პიესა – „იულონი“ – ასევე გლობალური – იდეით, მასშტაბებით.

გურამს, ისე, როგორც თითქმის არავის ჩვენს შორის, შეეძლო გულთან ახლოს მიეტანა სოციალურ-პოლიტიკური ვითარებანი მთელი დედამიწის მომცველობით. იგი აღფრთოვანებული იყო ჩვენი ქვეყნის ჭაბუკური ენერგიით.

გურამისთვის არ არსებობდა მცირე ეტალონები. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ძალიან მოკლე ხნის ნაცნობობის პერიოდში არასოდეს უკამათია – ეს ამას სჯობს და ის იმასო (სადღეისო, საუკრალ-გაზეთო ფარგლებში). მისთვის არსებობდინგ: ვაჟა-ფშაველა, დოსტოევსკი, ტოლსტოი. მათი შემოქმედების ფონზე აფასებდა ამა თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოებს.

ამასთან ერთად, გასაოცარია, ჩვენი თანდასწრებით, ბავშვური სიკისკასით ეძლეოდა სრულიად გულუბრყვილო ფილმს – „ქალიშვილი გიტარით“. უკვე მეხუთედ უყურებდა მგონი.

ეძებდა ნაწარმოებში ეროვნული ტემპერამენტისა და რიტმების ჩამტევ საშუალებას (დააკვირდით, როგორ თხრობს „დევების ცეკვაში“: – „რიჰა! დიდება მარიამ უშგულისასა...“ და „ბათარუკა ჭინჭარაულში“: – „იშვიათია ისეთი მთა სამოსახლო,

როგორიც ხევსურეთია“.<sup>1</sup> სტულდა, აბრაზებდა ეგრეთ წოდებული ქვეტექსტები. როდესაც ამ საკითხზე საუბრის დროს ნიცშეს სიტყვები ვთქვი – „პოეტები განგებ იმღვრევენ წყალს, რომ ღრმად მოაჩვენონ სხვებს-მეთქი“, ძალიან გაიხარა.

ერთხელ ოპერის წინ შეხვედრილები, ავედით ერლომ ახვლედიანის მაშინდელ სამსახურში – ძეგლთა თუ სიძველთა დაცვის კომიტეტში. გურამი გვიყვებოდა, რა სისულელები (რა თქმაუნდა, მისი აზრით) ჩაიდინა წინა დღეს. გვიჩვენებდა დაგაზულ მხრებს. და რამ მიიქცია ჩემი განსაკუთრებული ყურადღება – დიდი-დიდი ერთი საათის განმავლობაში რამდენჯერმე ჩაიცვა და გაიხადა თავისი მოკლე პალტო, რამდენჯერმე დაკეცა და ზედაც კი დაჯდა (მაგიდაზე შემოდებულ ზე, რა თქმაუნდა). ისეთი დაუოკებელი ენერგია ბობოქრობდა მასში, შეუძლებელი იყო დიდ ხანს ერთფეროვნად დარჩენა. უთუოდ ამით იყო გამოწვეული, დილით რომ რაღაც დაძველებულ ტანსაცმლიანს ნახავდი, საღამოს კი შესანიშნავ მკაცრ კოსტუმში გამოწყობილს, ანდა, პირიქით, დილით – კოსტუმში, საღამოს – ძველმანებში.

ვნებიანად, გამომჟღავნებით უყვარდა მძიმე, მაღალყელიანი ფეხსაცმელები, მერე რომ „რჩეულკებს“ ვეძახდით.

ბავშვობიდანვე სისხლ-ხორცში ჰქონდა გამჯდარი კაი ყმის ფუფუნება, წნელით და ლაფნით რომ იბამდნენ ხმლებს. გურამის დედის ნამბობი ვიცი: უთხელ, ალვნში ყოფნისას, ჯერაც ისევ მთელ შარვალზე უკან ამომაჭრევინა

და საკერებლები დამადებინა, ბიჭები ყველანი ეგრე დადიანო.

ერლომ ახვლედიანი, გივი კიკილაშვილი და ზოგჯერ მეც ვმუშაობდით გურამის არქივზე, მისი ხელნაწერების დასაბეჭდად მომზადებაზე. გურამი წერდა სხვადასხვანაირი ხელით – ზოგჯერ წვრილად, მოჯრით, ზოგჯერ უჩვეულოდ დიდი და მიმოხვეული ასოებით. ხშირად უკამათიათ მის ენაზე; გურამიც ჩიოდა ხოლმე, ენა არ ვიცი ისე, როგორც საჭიროა, როცა ვწერ, ხშირად ფურცელს არ ვუყურებ, არ მინდა ნაწერის გადაკითხვამ აზრი დამირღვიოსო. ეს ნათქვამი მისი ხელნაწერებითაც დასტურდება. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, მე თუ მკითხავენ, რას ვფიქრობ მის „ენაზე“, მე დაურიდებლად ვიტყვი, – ძნელად, რომ ვინმე ესოდენ ბევრის თქმას ახერხებდეს ყოველდღიურად სახმარი სიტყვებით, თანაც გამორჩეული, განუმეორებელი ელვარებით, როგორც ამას გურამი ახერხებს.

აი, პატარა ნიმუში:

„პირველი თოვლი სულ თხელი იყო. იმ დამეს არ გადაიღო. დილისთვის მთელი ველი დაფარა. ახლა უკვე ფეხი ეფლობოდა. მოშივდა ბაჭიას. ციოდა. თოვლი გაქექა და უკანა ფეხებზე ხტომით დაუშვა ჭალისკენ. ქარი უბერავდა, ვერაფერი იპოვა.

შიოდა.

ძალიან, ძალიან მოუნდა ბალახი, თუნდაც სულ ცოტა; უფრო მოუნდა ან თივა, ან ყლორტი.

შიოდა.

რა გემრიელი იქნებოდა ბალახი.

ახლა შუა ველზე მიკუნტრუშობდა.

შიოდა.

უცებ იგრძნო რაღაც.

ტკივილი? — არა.

რაღაც და გათავდა.

ვანომ თავის შეიძლს დაუძახა და მოქლული ბაჭია აბგაში ჩაუდო.

— მამა, ფეხები მომეყინა, — თქვა ბიჭმა.

— ნუ გეშინია, ერთ საათში შინ ვიქნებით, — დაამშვიდა მამამ“.

პედანტისთვის მართლაც და არ არის ეს „უკანა ფეხებზე ხტომით დაეშვა“, ანდა თითქმის ზედიზედ სამჯერ გამეორებული „შიოდა“, მაგრამ რა საოცარი აქტი შედგა ჩვენს ოვალწინ! განა შეიძლება დაგავიწყდეს სწორედ ეს „უკანა ფეხებზე“, ეს „შიოდა“ და სასტიკად უბრალოდ ნათქვამი „მამა ფეხები მომეყინა“, განა ყველა ეს არ ჰგავს წმინდა სანთლის პაწაწინა შუქს, რომლის გვერდით არარაობებია მრავალი დიდ-დიდი კოცონის ბურბური?

გურამი თავის ნაწერების წიგნად გამოცემას ვერ მოესწრო. პირველი წიგნი ასოთამწყობებმა ორ დღეში ააწყვეს, თანაც თითქმის უშეცდომოდ, ისე რომ პირველივე კორექტურის გავლის შემდეგ დასაბეჭდად იყო მზად.

მეორე წიგნი „მოთხრობები და პიესა“ (შედარებითი სრული კრებული) ორ წელიწადზე მეტ ხანს იდო

გამომცემლობაში, რომელიც უშეალოდ მწერლობას ეკუთვნის — პოეტი იყო და არის დირექტორი, მწერალია მთავარი რედაქტორი, მწერლები ტრიალებენ შიგ. მთავარმა რეადქტორმა ერთხელ ასეთი რამაც კა თქვა: — თქვენ ფიქრობთ, რომ ამ წიგნის გამოცემა სასარგებლო აღმოჩნდება ჩვენი საზოგადოებრიობისთვის?! მაშინ წიგნი „საბჭოთა საქართველოში“ იქნა გადატანილი და იქ, განსაკუთრებით ალექსი გომიაშვილის მეცადინეობით, შედარებით მოკლე ხანში დაისტამბა.

განვსაჯოთ ახლა, სასარგებლო აღმოჩნდა ამ წიგნის გამოცემა ჩვენი საზოგადოებრიობისთვის, თუ არა.

გურამი 26 წლის დაიღუპა. იგი ულამაზეს ჭაბუკად დარჩება ჩვენს მწერლობაში. მისი პირველყოფილად მშვენიერი შემოქმედება კი იზრდება და იზრდება ყოველწლიურად.

ჩვენ ამ ზრდის უშეალო მოწმენი ვართ“.

საღამოზე გამოვიდა ნუგზარ წერეთელიც, ერლომიც, რეზო ამაშუკელიც, ახალგაზრდა მწერალი პაატა ნაცვლიშვილიც. ერთმა ახალგაზრდამ წაიკითხა „დევების ცეკვაც“.

ძალიან გულნაკლული დავბრუნდი. ეგაა და ეგ თვით გენიოსების ბედი ლიტერატურაში — ასოცი სკამიდან ოცდაათზე მეტი თავისუფალი, თანაც დუმილი, დუმილი ...

## ქართველი ხალხის მეგობარი



1959 წლის ოქტომბრის დასაწყისისათვის, პოლონეთის რესპუბლიკაში ჩატარებული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დამთავრების შემდეგ სხვა მონაწილეებთან ერთად საქართველოს ესტუმრა გამოჩენილი პოლონელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე იგორ სიკირიცკი.

საქართველოს მწერალთა კავშირ-მა ჭეშმარიტად მეგობრული შეხვედრა მოუწყო ძვირფას სტუმრებს. სწორედ ქართველი მწერლების ოჯახში პირველად აუღერდა პოლონურ ენაზე შოთა რუსთაველის უკვდავი სტრიქონები. იგორ სიკირიცკიმ საჯაროდ წაიკითხა მის მიერ თარგმნილი პოემის ნაწყვეტები.

იგორ სიკირიცკიმ წარმატებით შეასრულა დიდი ხნის ურთულესი ოცნება, პოლონურ ენაზე თარგმნა უკვე

**აზა ანთელავა**  
ილია ჭავჭავაძის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ინგლისური ენის ლექტორი.

მთელ მსოფლოში ცნობილი „ვეფხისტყაოსანი“. ჯერ კიდევ ადრე საქართველოში ხანგრძლივი სტუმრობისას იგი გულდასმით გაეცნო ქართველი ხალხის უმდიდრეს ისტორიას, ლიტერატურას, ხალხურ პოეზიას, გამოჩენილი ქართველი პოეტების სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, გრიგორ აბაშიძის, იოსებ ნონეშვილისა და სხვათა დახმარებით მოახერხა შეეგრძნო ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთება და ნაციონალური თავისებურებანი.

აქვე ისიც გვინდა შეენიშნოთ, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში „ვეფხისტყაოსანი“ ქართულიდან პოლონურ ენაზე თარგმნა საქართველოში მცხოვრებმა პოლონელმა პოეტმა კაზიმირ ლაფჩინსკიმ. ეს ისტორიულ-ლიტერატურული მოვლენა მოხდა გამოჩენილი ქართველი დრამატურგის გორგი ერისთავის დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით.

ტექსტის ყურადღებით შედარებისას ჩანს, რომ იგორ სიკირიცკი გარკვეულწილად ხელმძღვანელობდა შალვა ნუცებიძისა და ნიკოლოზ ზაბოლოცკის მიერ რუსულ ენაზე სხვადასხვა დროს შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ გახმაურებული თარგმანებითაც.

იგორ სიკირიცკის მიერ დიდი რუდუნებით თარგმნილ რუსთაველის პოემას აკლია პროლოგი, რადგან ეს ნაწილი შესანიშნავად ჰქონდა ნათარგმნი დიდ პოლონელ პოეტს იულიან ტუვიმს. სამწუხაროდ, მას არ დასცალდა თარგმნის დასრულება. უფროსი კოლეგის შემდეგ იგორ სიკირიცკიმ თავს უფლება არ მისცა ეთარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ ღრმაშინაარსიანი პროლოგი.

იგორ სიკირიცკის თარგმანში რაც შეიძლება მაღალ დონეზეა დაცული ორიგინალის შინაარსობრივი და აზრობრივი სიზუსტე, მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში მთარგმნელს რამდენიმე სტროფი ერთ სტროფში გაუერთიანებდა, მაგრამ ორიგინალის შინაარსი დარღვეული არ არის. წიგნში მოცემული ამბები სიუჟეტურად ერთიანია, მეტიც – მთლიანია და განუყოფელი. ამბის საერთო განვითარებისათვის დამახასიათებელია დინამიკურობა და დრამატიზმი, პოემის სიუჟეტური სიტუაციები ერთიმეორეს თანმიმდევრულად ენაცვლება. ი. სიკირიცკი სიუჟეტურ ამბავს ავითარებს მოკლედ, დახვეწილად, სწრაფი და შთამბეჭდავი ტემპით. პოემა თავიდან ბოლომდე შეუნელებელ ინტერესს იწვევს.

ისტორიულად ლექსური მეტყველება ყველგან თავისებურია და ეს თავისებურება დაკავშირებულია საზოგადოებრივ – ისტორიულ ვითარებასთან, მის შინაგან წყობასთან, მოძრაობასთან. რუსთაველის ლექსთაწყობა ცვალებადია და საინტერესო

სწორედ ის არის, თუ რის მიხედვით ცვლის თავისი ლექსური მეტყველების ზომას რუსთაველი. ძირითადი და მთავარი დამახასიათებელი თვისება რუსთაველური სალექსო მეტყველებისა არის მისი ცვლილება სიტუაციური თავისებურებების მიხედვით. პოემაში გამოყენებული ლექსის რიტმისა და უდერადობის საფუძვლად რუსთაველი იღებს ადამიანის განცდის იმ ფისქოლოგიურ თავისებურებას, რომელსაც ბუნებრივად კარნახობს სიტუაცია, ხოლო სიკირიცკის თარგმანში კი ლექსური მეტყველება არ იცვლება სიტუაციური თავისებურების მიხედვით, რაც შეიძლება ითქვას, რამდენადმე ერთფეროვნად ხდის ორიგინალის ლალ და ძალდაუტანებელ მიმდინარეობას. ტექსტის ანალიზის დროს ჩანს, რომ იგორ სიკირიცკის თარგმანი ტაეპის ზომის მხრივ ზუსტად შეესატყვისება დედანს. შოთა რუსთაველის 16 მარცვლიანი ტაეპი სიკირიცკის თარგმანში გაყოფილია 8 მარცვლიან 2 ტაეპად.

„ვეფხისტყაოსნის“ რითმები კატრენულია, სიკირიცკის კი შერითმული აქვს მეორე და მეოთხე ტაეპები, პირველი და მესამე ტაეპები უგარეგნო რითმებად არის დატოვებული. ასეთი წესი გატარებულია პოემის მთელი მსვლელობის მანძილზე. ი. სიკირიცკის თარგმანში ჯვარედინობის ფარგლების დაცვით უნარიანად მონაცვლეობს ქალური და ვაუური რითმები. ძალიან ცუდია, რომ ამჟამად არ გვაქვს საშუალება ერთმანეთს შევუპირისპირო ეს რითმები, თუ თარგმანის

სხვა ენობრივი ნიუანსები. ეს ჩვენი მიმოხილვითი თქმისადმი ინტერესს ერთიათად გაზრდიდა.

მთარგმნელის მიერ ძალიან ეფექტურად არის შესრულებული შოთა რუსთაველის საქვეყნოდ ცნობილი აფორიზმები. უაღრესად სწორად, პოეტური შესაბამისობის დაცვითაა გადმოცემული მაგალითად აფორიზმის აზრი: „ლეკვი ლომისა სწორია, მე იყოს, თუნდა ხვადია“. ასევე სწორად აქვს გაგებული მთარგმნელს და ზუსტად გადმოცემული თარგმანში არანაკლებ ცნობილი და ყოველდღიური ურთიერთობის დროს სასარგებლო აფორიზმი – „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

საერთოდ უნდა თქვას, რომ გამოჩენილი პოლონელი პოეტის იგორ სიკირიცკის მიერ დიდი შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის თარგმანი ზოგიერთი ხარვეზის მიუხედავად ძალიან დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო, რამაც გარკვეულად შეუწყო ხელი ურთიერთგაცნობისა და ურთიერთგამდიდრების პოლონელის გამყარებას, ქართველი და პოლონელი ხალხების კულტურული ურთიერთობის განვითარებას.

იგორ სიკირიცკი ქართული კულტურის, ქართული ლიტერატურის, კლასიკური თუ თანამედროვე მწერლობის ჭეშმარიტად ღირსეული ელჩი და წარმოამდგენელი იყო არამარტო პოლონეთში, არამედ მთელ ევროპაში. მისი ვეებერთელა მეგობრული სიყვარული, მონდომება, ენერგია და ფურადღება საქართველოსკენ იყო მომართული. იგი

ხშირად სტუმრობდა საქართველოს, თბილის, ეცნობოდა ყველა სიახლეს, მეგობრებთან ერთად განიხილავდა სამომავლო გეგმებს, მეგობარი და კეთილისმსურველი კი უსვად ჰყავდა საქართველოში, მათთან ერთად მოგზაურობდა და ყველა კუთხის გაცნობას ცდილობდა, ხშირად იყო მცხეთაში, გორში, კახეთში, ქუთაისში, აფხაზეთში, აჭარაში.

ი. სიკირიცკი დიდი ხნის მანძილზე მუშაობდა თანამედროვე ქართული პოეზის ანთოლოგიის მაღალ დონეზე გამოსაცემად, ის ერთ-ერთი ძირითადი მთარგმნელი იყო, დამსმარე მთარგმნელებსაც ანაწილებდა და სამუშაოს მიმდინარეობასაც ხელმძღვანელობდა, ყველაფერს დიდი სიყვარულითა და ფაქიზი დამოკიდებულებით აკეთებდა. ქართველი ხალხის მეგობარმა პოლონეთის ლიტერატურული სააგენტოს კორესპონდენტს ინტერვიუს დროს განუცხადა: „გამოგიტყდებით და ქართული ლექსების სილამაზემ დამიმონა და დამატყვევა. მოსკოვში ქართული პოეზის საღამოზე დიდი სიამოვნებით ვკითხულობდი ჩემს თარგმანებს პოლონეთისათვის რუსულ ენაზე გამოცემულ ჟურნალში, რაც საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი იყო მიძღვნილი, მის ვრცელ და სიყვარულით გამთბარ ინტერვიუსთან ერთად იგორ სიკირიცკის მიერ თარგმნილი 24 ლექსიც იყო დაბეჭდილი საერთო სათაურით – „საქართველო ჩემი ცხოვრების ნაწილია“.

იგორ სიკირიცკიმ თარგმნა და პოლონეთში სოლიდური ტირაჟით

გამოსცა ძალზე საინტერესო კრებული „ძველი ქართული პოეზიის ანთოლოგია“, სადაც გამოქვეყნებული იყო ქართული პოეზიის სუკეთესო ნიმუშები ჩახრუხაძიდან გალაკტიონ ტაბიძემდე.

იგორ სიკირიცკის მიერვეა თარგმნილი ასევე ძალზე საინტერესო კრებული საერთო სათაურით – „ჩემი უსაყვარლესი პოეტები“, სადაც საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები, „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები, ალექსანდრე ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგის ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის ლექსები.

იგორ სიკირიცკიმ ცალკე წიგნად გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების კრებული მიხეილ ქვლივიძის საინტერესო წინასიტყვაობით, აგრეთვე ღრმაშინაარსიანი წიგნი „ქართველი პოეტები პოლონეთს“, აქ შესულია პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, იოსებ ნონეშვილის ლექსები.

განსაკუთრებით საყურადღებო და ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენა იყო „ქართული პოეზიის ანთოლოგია“. ეს სქელტანიანი კრებული ძირითადად თარგმნეს და შეადგინეს ქართული ლიტერატურის ყველაზე ცნობილმა სპეციალისტებმა – იგორ სიკირიცკიმ, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა ფლორიან ნეუვაუნიმ, ცნობილმა პოეტმა თადეუშ ხრუშჩელევსკიმ და სხვებმა.

ქართული პოეზიის 40 საავტორო ფორმაზე მეტი მოცულობის სქელტანიან წიგნში, რომლის გამოცემაც მართლაც მაღალ დონეზე განახორციელა ქალაქ ლობის გამომცემლობამ, დასტატამბული იყო 82 ქართველი პოეტი შავთელიდან და ჩახრუხაძიდან ქართული პოეზიის ახალგაზრდა წარმოამდგენლებამდე. ანთოლოგიას თან ერთვოდა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის სარგის ცაიშვილის ამომწურავი წინასიტყვაობა და ბიოგრაფიული მონაცემები ქართული პოეზიის ანთოლოგიაში წარმოდგენილი ყველა ავტორის შესახებ.

საქართველოს დიდი პოლონელი მეგობრის იგორ სიკირიცკის პოეზიის თარგმანებიც ცალკე კრებულად დაიბეჭდა 1978 წელს გამომცემლობა „მერანში“. წამბლვარებულ მოკლე ანოტაციაში ვკითხულობთ:

„გამოჩენილი პოლონელი პოეტის იგორ სიკირიცკის შემოქმედებაში ფართო ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს წარსულსა და აწმყოს, ჩვენს დღევანდელობას. იგი ქართული ლიტერატურის მოამაგეც არის – პოლონელმა მკითხველმა სწორედ სიკირიცკისული თარგმანით გაიცნო ჩვენი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ვაჟას, ილიას, აკაკისა და გალაკტიონის ლექსები. ამჟამად გამოსაცემად ამზადებს ქართული პოეზიის ანთოლოგიას“.

ჩვენს მიერ უკვე ზემოთმოხსენიებული ძალიან მნიშვნელოვნი ანთოლოგია 1985 წელს გამოვიდა დიდი

ტირაჟით და მალე ბიბლიოგრაფიულ  
იშვიათობად იქცა.

იგორ სიკირიცკის ლექსების კრებული ქართველი მკითხველისათვის კარგი საჩუქრი აღმოჩნდა. აქ არა ერთი და ორი ლექსია მიძღვნილი საქართველოსადმი, რომელმაც უცხოელი პოეტის გულწრფელ სიყვარულს ჩვეული სიყვარულითვე უპასუხა და ნამდვილ მეგობრად აღიარა.

მაძიებელი პოეტი ღრმად იყო ჩაძირული საქართველოს გმირულ ისტორიაში, ფიქრით, სიტყვით ეალერსებოდა დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შოთა რუსთაველის ხსოვნას. შედარებით მკაცრ ისტორიულ თემატიკაში ზოგჯერ ლირიკასაც ურევდა და სათქმელს უფრო მისაწვდომად, უფრო ადამიანურად ხდიდა. ასეთია მაგალითად ლექსი „თამარ მეფის სურათთან“. ამ ვრცელი ლექსიდან ორიოდე სტროფი მაინც უნდა მოვიტანოთ ჩვენი ნათქვამის დასადასტურებლად:

„შენი ეშხით მოშვილდული  
წარბები,  
თამარ,  
შოთას რად ესროდა ისრებს?  
და წავიდა რუსთაველი წამებით,  
ვერ გაგიტყდა სიყვარულში ისე.  
ვით შეეძლო  
სახე არ ჰყვარებოდა,  
სილამაზით  
საქართველოს მსგავსი...  
შენი სახის გულგრილობით  
კვდებოდა,  
აცოცხლებდა  
იმედების ხავსი“.

ისტორიული ვარძიის გაცნობით მოხიბლული იგორ სიკირიცკი წერს ღრმაშინაარსიან ლექსს „ვარძია“ და მას მეგობარი პოეტის სიმონ ჩიქოვანის ხსოვნას უძლვნის. ვარძიის სწორუბოვან პალატებს, გამოქვაბულებს, ტალანებს პოეტი „გაქვავებულ თაფლის ფიჭებს“ ადარებს, ის გულისტკივილით იგონებს რაინდებით სავსე კუთხეს მუდმივი ბრძოლითა და თავის გადარჩენით რომ იყო გართული, სადაც იწრობოდა ადამიანების მამაცური გამძლეობა, „ბრძოლაში ნაწილობი ორლესულები“ სისხლით იღებებოდა, „მიწას მუდამ ერეოდა კივილი სისხლის, დღე ილეოდა, მიცურავდა დედების კვნესით“, მაგრამ გმირების შთამომავლობა მაინც იბადებოდა ამ ფიჭაში, მრავლდებოდა, მებრძოლი სულისკვეთებით ივსებოდა, სამშობლოს ერთგულ მცველებად ყალიბდებოდა, მათ კი წინ მეფე-დედოფალი უნეტარესი და ულამაზესი თამარი მზესავით მიუძლოდა. შინაგანად აღელგებული, აფორიაქტული პოეტი მაინც იკრებს სასიცოცხლო ძალებს და საქართველოს მომავალი წინსვლით დაიმედებული ოპტიმისტური სულისკვეთებით აცახდებს:

„აი, ამიტომ  
დღესაც ბრწყინავს  
ეს სასწაული,  
რომ არ დაეცეს  
და გადარჩეს ეს სკა  
ძვირფასი,  
რომელსაც ისევ საქართველო  
ჰქვია სახელად“.  
ლექსში „წუნდა“ საქართველოს ისტორიის ფოლიანტებში ღრმად

ჩაძირული იგორ სიკირიცკი იგონებს გმირებს, ვინც თავი დასდო საქართველოსთვის, ვინც საკუთარი გმირობით ხელშეუხებლად დატოვა ქართველებისთვის უწმინდესი ქვეყნის საზღვრები:

„თავი ვინ დასდო  
ამ კლდეკართან მტერთან  
გამწყრალი  
და დაიფარა საქართველოს  
წმინდა საფლავი“.

პოეტი გულით განიცდიდა საქართველოს უმდიდრეს, გმირული სულით განათებულ ისტორიას. ის არგონავტებსაც კი არ ივიწყებდა, რომლებიც ძლიერი და მდიდარი საქართველოსკენ მიემართებოდნენ, თითქოს არგონავტებს მკვიდრი ხომალდის აგებაშიც კი ეხმარებოდა, რომ უფლის დალოცვილ ნავს სიკეთის მომტანი გზებით ევლო ულამაზესი საქართველოსკენ:

„ ... და ნავი –  
თეთრი არწივი  
ზღვის ფაფარაყრილ ჭილოზე  
იცურებს,

სანამ არ მივა  
კოლხეთის სანაპიროზე“.

იგორ სიკირიცკის უსაზღვროდ უყვარდა საქართველო, ნაცნობ-მეგობრებს ეუბნებოდა კიდევ – პოლონეთი რომ არ ყოფილიყო მხოლოდ საქართველოში ცხოვრებას ვინატრებდიო, ხშირად იმსაც კი ამბობდა თურმე – ამ სამყაროში ორი სამშობლო მაქვს პოლონეთი და საქართველო.

საქართველოს ჭეშმარიტი სიყვარულით შთაგონებული მისი ბოლო უმნიშვნელოვანესი ნამუშევარი „ქართული პოეზის ანთოლოგია“, ეს 630 გვერდიანი დიდი წიგნი 1985 წლის ზაფხულში გამოვიდა, სამწუხაროდ, იგორ სიკირიცკი ამ მოვლენას ვეღარ მოესწრო, 62 წლის პოეტი სულ რამდენიმე თვით ადრე წავიდა ამ ცოდვილი წუთისოფლიდან.

წავიდა გამოჩენილი პოეტი და მთარგმნელი იგორ სიკირიცკი, მაგრამ მის წმინდა ხსოვნას მშობლიურ პოლონეთან ერთად მეორე სამშობლოდ მიჩნეული საქართველოს მდიდარი ლიტერატურული ისტორიაც შემოინახავს.

## რისთვის იზმოდენება და აუგიდურებლენებას



მამაქემი აკაკი პავლეს ძე წერეთელი, პოეტი, ლიტერატურათმცოდნე, ფართოდ ცნობილი წიგნის სპეციალისტი და ბიბლიოფილი 37 წლის ასაკში დააპატიმრეს. პირველ ეტაპზე მისთვის ყველა ცოდვის აკიდება მოინდომეს, გამოძიება წერდა, რომ ის არის პირწავარდნილი ტროცკისტი, მენშევიკი, სოციალ-დემოკრატი, მენშევიკების ერთ-ერთი ბელადისა და რუსეთის დროებითი მთავრობის თვალსაჩინო მინისტრის კაკი (ირაკლი) წერეთლის ახლო ნათესავი, ამავე დროს თანამზრახველიც, იგი სახლში ხშირად მართავდა არალეგალურ კრებებს, არ ერიდებოდა საბჭოთა ხელისუფლების, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის იოსებ სტალინის უხეშ კრიტიკას, ცდილობდა ძირი გამოეთხარა მსოფლიოს ყვე-

ლაზე „ჰუმანური“ წყობილებისათვის.

ამ „ბრალდებების“ გამო მამაქემს დახვრეტის მუხლი ჰქონდა წაყენებული, მაგრამ სრული განუკითხაობის მიუხედავად, უაღრესად განათლებულ, სპეციალისტი და პატიოსან კაცს ბევრი რამ ვერ დაუმტკიცეს. გამომძიებელი არტაშეს მარქაროვი იძულებული გახდა სხვა კუთხე მოეძებნა, დაეწერა, რომ აკაკი წერეთელი ბიბლიოთეკაში ინახავდა მკაცრად აკრძალულ კონტროლურუციურ-მავნებლურ ლიტერატურას, რასაც თანამოაზრებსაც აცნობდა და პრაქტიკულად უთხრიდა ძირს საბჭოთა წყობილებას. დანაშაულებრივი ქმედებების გამო უდანაშაულო კაცს დახვრეტა 10 წლის პატიმრობით, 5 წლით ქ. თბილისიდან 100 კილომეტრის დაშორებით გასახლებისა და პირადი ქონების სრული კონფისკაციით შეცვალა. პირად ქონებაში მამას უმდიდრესი ბიბლიოთეკაც მოხვდა, სადაც ოცდაათი ათასი სქელტონიანი და თხელ-თხელი წიგნი ინახებოდა. სხვათაშორის, რევოლუციამდე ძალიან ბევრი პატარა წიგნი გამოდიოდა მწერლის თითო მოთხრობით, პოემით თუ რამდენიმე ახალი საინტერესო ლექსით. ეს კი ბუნებრივია, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის რაოდენობას მეტისმეტად ზრდიდა. კონფისკაციის მოტივით წიგნებთან და ვრცელ არქივთან ერთად, სადაც ჩვენი წინაპრების ასობით სიგელ-გუჯარი, საბუთები, დოკუმენტაცია თუ ფოტოსურათები ინახებოდა წაიღეს, ასევე მიითვისეს მთელი სიმდიდრე, წლების მანძილზე ბაბუას თუ მამას მიერ დაგროვილი ქონება, და თითქმის ცარიელ კედლებში დაგვტოვეს, სახლი ვეღარ წაგვართვეს, რადგან

დედის მხრივ ბაბუას საკუთრებას წარმოადგენდა.

მამაჩემმა საშინლად გაწელილი ტუსაღობის ვადა მკაცრი შრომა-გასწორების კოლონიაში მოიხადა, დამატებითი გადასახლების ხუთი წელი კი ქ. ცხინვალში გაატარა. მე და ჩემი ძმებიც ოთხი წლის მანძილზე ცხინვალში ვსწავლობდით პირველ ქართულ საშუალო სკოლაში.

რეაბილიტაციისა და დაჭერა-გაუბედურებისთვის ბოლდიშის შეგავსი წერილის მიღების შემდეგ მამა დადიოდა ყველა ზემდგომ ინსტანციაში, ცდილობდა, ექვედა, წვალობდა, რომ თავისი უმდიდრესი ბიბლიოთეკის ნაწილისთვის მაინც მიეკვლა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ორჯერ ტოტალიტარულმა სახელმწიფომ მცირეზე-მცირე თანხა გამოუყო ვითომ დანაკლისის ასანაზღაურებლად, ეს იყო და ეს, ვერც წიგნებს მიაგნო, ვერც პირად არქივს და ვერც ზედმეტად წალებულ უძვირფასებს საგნებს. ათი წლის გულმოდგინე ძებნის შემდეგ 1966 წლის 10 იანვარს „კგბ“ს მაშინდელი მრისხანე შეფის აღექსი ინაურისთვისაც მიუმართავს უმძლო დახმარების იმედით. ეს წერილიც აღმოჩნდა და აქვე საილუსტრაციოდ ვტეჭდავთ. ოღონდ თუ რაიმე შედეგი მოჰყვა ინაურისადმი გაგზავნილ წერილს, ეს საერთოდ უცნობია.

საქ. სახელმწიფო უშიშროების  
კომიტეტის თავმჯდომარეს  
გენერალ ა. ნ. ინაურს  
მცხ. ქ. თბილისში ქობულეთის  
ქ. №20/30  
აკაკი პავლეს ძე წერეთლის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ მე დამაპატიმრეს 1941 წლის 26 მაისს. იმავე წლის დეკემბრის თვეში მომისაჯეს ათი წლით პატიმრობა, მაგრამ ჩემი საქმის გადასინჯვის დროს უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ რეაბილიტირებული ვიქენი 1957 წლის 18 აპრილს.

ჩემი დაპატიმრების დღისათვის მე მქონდა ბინაში ათეული წლების მანძილზე დიდი შრომით შეგროვილი საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც 30 000/ოცდაათი ათასი/წიგნისაგან შედგებოდა, ვინაიდნა მთელი ჩემი ცხოვრება წიგნის საქმეში გმუშაობდი. კარგად ვიცოდი, რომ მაგალითად არ არსებობდა არავითარი შრომა არც ქართულ არც რუსულ ენაზე ამიერკავკასიაში წიგნის ბეჭდვისა და წიგნით გაჭრობის შესახებ ათეული წლების მანძილზე. ჩემი მიზანი იყო ამ დიდი ხარვეზის შესავსებად დამეწერა „წიგნის გამოცემისა და წიგნის მიმოქცევის ისტორია ამიერკავკასიაში“.

ჩემი დაპატიმრების დღისათვის თხუთმეტი თავი უკვე დაწერილი მქონდა. ოღონოც ეს ნაშრომი, ასევე დიდი არქივი და მთელი ჩემი უნიკალური ბიბლიოთეკა თავისი კატალოგებით იავარებნილი გახდა, წაიღეს და სადწაიღეს კი არ სჩანს. ჩემი ბიბლიოთეკის დღევანდელი ადგილ სამყოფელის შესახებ პასუხის გაცემა შეუძლიათ ორგანოს მუშაკებს: მელიქოვს (სახელი და მამის სახელი არ ვიცი), რომელიც დიდი ხნით იმყოფებოდა ჩემს ბიბლიოთეკაში და ოღონოც გადმომცეს, ყოველდღე ბიბლიოთეკის დალუქვის შემდეგ ორი შეკვრა წიგნით ბრუნდებოდა უკან და ჩემს გამომძიებელს არტაშეს მოსეს ძე მარქაროვს, რომელ-

მაც ჩემი ბიბლიოთეკის მხოლოდ ჩხრეკის ოქმი წამაკითხა, სადაც, მახსოვს, ეწერა: „ოთახი სავსეა წიგნებით იატაკიდან ჭერამდე“ – ეს კი სიმართლეა, დიდ ოთახს, სადაც ბიბლიოთეკა არსებობდა, ოთხივე კედელზე გაკეთებული ჰქონდა თაროები და გავსებული იყო უძვირფასესი ანტიკვარული იშვიათი წიგნებით.

ჩხრეკის დროს დამსწრეთ მოწვეული იყო მეუღლე იმ ადამიანისა, რომელმაც ჩემი დაპატიმრება-გაუბედურება ჩააწყო. ჩხრეკის ოქმის ასლიც მის ხელთ იყო, რომლის ასავალ-დასავალს, მიუხედავად მთელი წლების მანძილზე ძებნისა, მე ვერ მივაკვლიყ.

როგორც ახლა დამარწუნეს, ჩემი ბიბლიოთეკის დღევანდელი ადგილსამყოფელი, ჩემი არქივი და სხვა საბუთები შეიძლება მოინახოს საქ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სათანადო განყოფილებაში, აქვე იქნებ საოჯახო კუთვნილების მსხვილი ნივთებიც აღმოჩნდეს.

ამიტომ გთხოვთ თქვენს განკარგულებას გადასინჯული იქნას საქმე, დაკითხულ იქნან ჩემი კუთვნილი ბიბლიოთეკის სადყოფნის მცოდნები, რათა მოინახოს და დამიბრუნდეს ათეული წლების მანძილზე დიდის წვითა და დაგვით შეგროვილი იშვიათად მდიდარი უნიკალური ბიბლიოთეკა, ხელნაწერები, აგტოგრაფები, არქივი და სხვა საგნები.

ჩემი ბიბლიოთეკის სიმდიდრისა და უნიკალობის შესახებ შეუძლიათ მოგანსენონ: 1. საქ. წიგნის ყოფილმა მმართველმა ტიგრან გიორგის ძე ხარაზიანმა, მცხ. ქ. თბილისში, ჯაფარიძის ქ. №16-ში, 2. მისმა მოადგილემ ვარლამ

კონსტანტინეს ძე გვახარიამ, მცხ. ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. №16-ში, 3. საქ. წიგნის ყოფილმა თანამშრომელმა გიორგი შაქრის ძე ელიზბარაშვილმა, მცხ. ქ. გურჯაანში, ორჯონიკიძის ქ. № 17-ში, 4. ორგანოს ყოფილმა მუშაგმა პენსიონერმა გიორგი დავითის ძე მედულაშვილმა, მცხ. ქ. თბილისში, ძნელაძის ქ. №5, 5. დურგალმა კირილე ყარამანის ძე ნებურიშვილმა, მცხ. ქ. თბილისში, ქობულეთის აღმ., გ. შატბერაშვილის №31. სწორედ მან 1933 წელს გამართა ჩემი ბიბლიოთეკის თარო-კარადები ორბერიანის ქ. №38-ში, შემდეგ კი მანვე გადაიტანა და ახალი თარო-კარადებით შეავსო ჩემს ვაკის დღევანდელ ბინაში ახალი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის დაბრუნებით მე საშუალება მომეცემა დავაგვირგვინო ბევრი სანუკვარი ოცნება, დავამთავრო დიდი ხნის დაწყებული შრომები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ექნებათ ამიერკავკასიის კულტურის ისტორიისათვის.

ამ განცხადებას თან ერთვის ასლი იმ განცხადებისა, რომლის საფუძველზეც რეაბილიტირებული ვიქენი 1957 წელს.

**მთხოვნელი:** ა. პ. წერეთელი  
10 იანვარი, 1966 წ.

ასე ცდილობდა და წვალობდა საწყალი უდანაშაულო კაცი, მიღწევით კი ვერაფერს მიაღწია, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკუთარი თუ წინაპრების ერთი ფოტოსურათიც კი არ დაუბრუნებიათ.

ჩამორთმევა-გაქრობა-გაუბედურებას გადარჩენილ მამაჩემის არქივში ვიპოვე

მანქანაზე გადაბეჭდილი და მრისხანე „ენკავედეს“ სახელმწიფო ბეჭდით დამოწმებული იმ „კონტრრევოლუციურ-მავნებლური“ წიგნების სია, რისთვისაც მასა დაიჭირეს, გაუტყვდურეს და გააღატაკეს. ხშირად მეცითხებიან ხოლმე, წიგნები და უურნალები რატომ არ გადამალაო. ჯერ ერთი, „კაგბესგან“ სად უნდა გადაემალა, მეორე — იმედი ჰქონდა, როგორც ნამდვილად პატიოსან კაცეს, მას არ დაიჭერდნენ, მესამეც — ისე უყვარდა წიგნებიც და უურნალებიც, მათთან დროებით განშორებაც კი ვერ წარმოდგინა, ყოველდღე შუალამებდე იჯდა თავის ბიბლიოთეკაში, კითხულობდა და კითხულობდა, წერდა, ინიშნავდა.

დღეს ჩვენი უურნალის ფურცლებზე ვაქევნებთ ამ „მავნებლური“ წიგნების სრულ სიას, რათა ბევრმა ადამიანმა ნახოს, წაიკითხოს, დარწმუნდეს რა აუტანელი დრო იყო, რისთვის იჭერდნენ, რისთვის კლავდნენ და აუბეჭდურებდნენ ადამიანებს.

ეს იმ მიზნითაც კეთდება, რომ მეტი პატივი ვცეთ ჩვენს დროს, მოპოვებულ თავისუფლებას, დემოკრატიის ყველა სიკეთეს და არ მოვიქცეთ ისე, რომ კვლავაც დავუბრუნდეთ ტოტალიტარული, იმპერიალისტური, ძალით დამპყრობელი სახელმწიფოს ყველა საშინელებას.

### ნუგ ზარ წერეთელი.

### აქტი.

#### 1942 წლის 17 ივლისი, ქ. თბილისი.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერებმა, შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ ქობულეთის ქ. №20-ში აკაკი პავლეს ძე წერეთლის კუთვნილი ბიბლიოთეკა — წიგნების საწყობის შემოწმების შედეგად აღმოვაჩინეთ საზღვარგარეთული და სხვა კონტრრევოლუციური ლიტერატურა:

1. გრიგოლ ვეშაპელი — ავანყების შემდეგ გაზით „ახალი საქართველოს“ წლისთავი (ქართულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე) გამოცემული ქ. პარიზში 1925 წელს.

2. ვლადიმერ ვოიტინსკი — ქართული სოციალ-დემოკრატია, გამოცემული 1920 წელს რომში (იტალიურ ენაზე), რომელ შიც გამოთქმულია ყოფილი მენშევიკური მთავრობის ლიდერთა ირაკლი წერეთლის, სილიბისტრო ჯიბლაძის, ნოე შორდანიასა და ვალიკო ჯულელის დიდი პროტესტები.

3. ნიკო ნიკოლაძე — „სომხეთ-საქართველოს ურთიერთობა“. გამოცემული ტფილისში 1920 წელს რუსულ ენაზე — ორი წიგნი.

4. ყოფილი მენშევიკური მთავრობის ლიდერთა ნ.ს. ჩხეიძის, მ. ი. სკობელევის, ი. გ. წერეთლის სიტყვები, გამოცემული პეტროგრადში 1917 წელს (რუსულ ენაზე).

5. მენშევიკ ი. გ. წერეთლის საპარლამენტო სიტყვები დამფუძნებელი კრების მეორე სახელმწიფო სათათბიროში. გამოცემულია ტფილისში 1918 წელს რუსულ ენაზე.

6. ვ. ჩერქეზოვი – „სამახსოვრო ქართულ საკითხზე“. გამოცემული პეტროგრადში 1917 წელს რუსულ ენაზე.

7. დოკუმენტები და მასალები ამიერკავკასიისა და საქართველოს შესახებ. გამოცემულია ქ. ტფილისში 1919 წელს რუსულ ენაზე.

8. გრიგოლ ვეშაპელი – პარლამენტში წარმოთქმული სიტყვები (ეროვნულ საბჭოში). გამოცემულია ქართულ ენაზე ქ. ტფილისში 1919 წელს.

9. სამსონ ფირცხალავა – „ერი და თავისუფლება“. გამოცემულია ტფილისში 1918 წელს.

10. 6. რამიშვილი – ეროვნული თვითმმართველობა. გამოცემულია ქ. ქუთაისში 1917 წელს.

11. კარლ კაუცი – სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. მენშევიკური პარტიის ცკ გამომცემლობა. ქ. ტფილის 1920 წელს.

12. ნოე ჟორდანია – „თანამედროვე საქართველო“ ნოე ჟორდანიასა და ყოფილი მენშევიკური მთვარობის ყველა მინისტრის ფოტოსურათებით. გამოცემული ტფილისში 1916 წელს.

13. „სომხეთ-საქართველოს ისტორიიდან“ 1918 წ. (სასაზღვრო კონფლიქტები, მოლაპარაკებები, ომი, შეთანხმება) გამოცემულია ტფილისში 1919 წელს, რუსულ ენაზე.

14. ნოე ჟორდანია – ისტორიული მატერიალიზმი. გამოცემულია ტფილისში 1917 წელს.

15. ვალიკო ჯუღელი – „მძიმე ჯვარი“ (სახალხო გვარდიელის ჩანაწერები), გამოცემული ტფილისში 1920

წელს რუსულ ენაზე.

16. ტიტე მარგველაშვილი – „ჩვენი ეკონომიკური სვლა“ (გამოცემულია ქუთაისში 1917 წელს რუსულ ენაზე).

17. გრ. ვეშაპელი – „საქართველოს ერთიანობა და რუსული პროტექტორატი“ (გამოცემულია მოსკოვში 1917 წელს რუსულ ენაზე).

18. სიმონ ქვარიანი – „ქართველი ერის ისტორია“ (გამოცემულია ქუთაისში 1919 წელს, ქართულ ენაზე).

19. ლე-ბონი – „სოციალიზმის ფიქოლოგები“ (გამოცემულია პეტერბურგში 1908 წელს რუსულ ენაზე).

20. ტ. ართმელაძე – „მარკოზა“ (მენშევიკური სამხედრო სამინისტროს გამოცემა ტფილისში 1920 წელს, ქართულ ენაზე).

21. ს. ავალიანი – „დამოუკიდებელი საქართველო“ (გამოცემულია ოდესაში 1920 წელს რუსულ ენაზე).

22. ს. ა. ხვალიანი – გლეხთა საკითხი ამიერკავკასიაში (გამოცემული ტფილისში 1920 წელს ქართულ ენაზე).

23. ა. ა. ცაგარელი – საქართველოს უცილობელი უფლებები (დამოუკიდებლობის აღიარებისა და მისი სახელმწიფო საზღვრების აღდგენის შესახებ) გამოცემულია ტფილისში 1919 წელს რუსულ ენაზე.

24. გ. გვაზავა – „საქართველო საერთაშორისო სამართლის თვალ-საზრისით“ (გამოცემული ტფილისში 1919 წელს რუსულ ენაზე, ოთხი წიგნი).

25. დ. კასრაძე და ნ. სმიამოტი – საქართველოს ისტორია (გამოცემულია ტფილისში 1919 წელს რუსულ ენაზე).

26. ნ. ჟორდანია – „ბრძოლა

დამოუკიდებლობისათვის“, ნოე ქორდანიასა და სხვათა ფოტოსურათებით, ქართულ ენაზე.

27. მენშევიკური ჟურნალი „ორიონი“, გამოცემულია 1919 წელს რუსულ ენაზე.

28. ქორქ სორელი – „თანამედროვე ეკონომიკის ნარკოვები“ (კაპიტალიზმის დეგენერაცია და სოციალიზმის დეგენერაცია) გამოცემულია მოსკოვში 1908 წელს რუსულ ენაზე.

29. ნოე ქორდანია – „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია“.

30. შ. ამირჯიბი (ემიგრანტი) – „ქაშანური“. გამოცემულია 1920 წელს ქართულ ენაზე.

31. „შვილდოსანი“ მენშევიკური ჟურნალები – გამოცემული ტფილისში 1920 წელს ქართულ ენაზე (სამი ჟურნალი).

32. ყოფილი მენშევიკური მთვარობის კანონმდებლობანი – გამოცემულია ტფილისში 1919 წელს ქართულ ენაზე.

33. მენშევიკური მთავრობის 1920-1921 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, გამოცემულია ტფილისში 1920 წელს, ქართულ ენაზე.

34. გრ. ვეშაპელი – „თურქეთის საქართველო“, გამოცემულია მოსკოვში რუსულ ენაზე.

35. ზ. ლენსკი – „კონკრეტატივები ერევანში“ (პირადი შთაბეჭდილებანი), გამოცემულია ქ. ქუთაისში 1918 წელს ქართულ ენაზე.

36. ი. ფერაძე – „საქართველოს ისტორია“, გამოცემულია ქ. ქუთაისში 1918 წელს ქართულ ენაზე.

37. „ერი“ – მენშევიკური ჟურნალები – 7 ჟურნალი.

38. ერი თუ კაცობრიობა, გამოცემულია ტფილისში 1912 წელს ქართულ ენაზე.

39. მენშევიკური ჟურნალი „შვიდი მნათობი“, გამოცემულია 1919 წელს.

40. ა. „კონსერვატიზმი, ლიბერალიზმი, სოციალიზმი“, გამოცემულია ტფილისში 1916 წელს ქართულ ენაზე (ორი წიგნი).

41. „სომებ-თათართა ამბოხება კავკასიაში, როგორც სომხური საკითხების ერთ-ერთი ფაზისი“, გამოცემულია ტფილისში 1915 წელს რუსულ ენაზე.

42. ე. ნიკოლაძე – „მენშევიკური საქართველოს ისტორია“, გამოცემულია ქ. ქუთაისში 1919 წელს ქართულ ენაზე.

43. ნ. ქორდანია – ავტონომიური საქართველოს წარმოქმნის შესახებ, გამოცემულია ტფილისში 1917 წელს.

44. ზურგილიძე – მენშევიკური „ლია წერილი“, გამოცემულია 1919 წელს ქართულ ენაზე.

45. მენშევიკური ჟურნალი „მეოცნებები ნიამორები“.

46. ი. ნაკაშიძე – „სოციალ-დემოკრატები“, გამოცემულია ტფილისში 1907 წელს ქართულ ენაზე.

47. ერასტ ლევისი – მენშევიკთა ახალი ისტორია, გამოცემულია ქ. ქუთაისში 1918 წელს ქართულ ენაზე.

48. გ. კელენჯერიძე – მენშევიკური საქართველოს მოკლე ისტორია, გამოცემულია ქ. ქუთაისში 1918 წელს ქართულ ენაზე.

49. ს. კაკაბაძე – საქართველოს მოკლე ისტორია. გამოცემულია 1921 წელს ტფილისში, ქართულ ენაზე.

50. კ. იოსელიანი – „საქართველოსა და ქართველი ერის განადგურე-

ბა“. მენშევიკური გამოცემა, 1919 წელი, ტფილისი.

51. ი. ორემაშვილი – „რევოლუციის ტალღაში“. მენშევიკური გამოცემა, 1920 წელი ტფილისი, ქართულ ენაზე.

52. ს. ავალიანი – მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო. მენშევიკური გამოცემა 1920 წელი.

53. ნ. ნიკოლაძე – „ნაროდნაია ვოლიას პარტიასთან საღვთო, რაზმეულის მოლაპარაკება“. გამოცემულია პეტროგრადში.

54. დ. იშხანიანი – „დიდი საშინელებანი ბაქოში 1918 წელს“. გამოცემულია ტფილისში 1920 წელს.

55. მენშევიკური საქართველოსადმი მიძღვნილი 1920 წელს პარიზული გამოცემის სხვადასხვა საზღვარგარეთული ლიტერატურა – სამი წიგნი, გამოცემულია ტფილისში. პირველი წიგნი ფრანგულ ენაზე.

56. კ. კოპოტკინი – „კომუნიზმი და ანარქია“. გამოცემულია ტფილისში 1921 წელს ქართულ ენაზე.

57. რ. რამიშვილი – „ისტორიული მატერიალიზმი“. გამოცემულია ტფილისში 1911 წელს ქართულ ენაზე.

58. ვ. ჩიქოვანი – „ჩვენი სოციალური საქმე“. გამოცემულია ტფილისში 1911 წელს ქართულ ენაზე.

59. ა. ბაბელი – „ქრისტიანობა და სოციალიზმი“. გამოცემულია ტფილისში 1911 წელს ქართულ ენაზე.

60. ს. ხუნდაძე – „მკვლელები და მფარველები“. გამოცემულია 1901 წელს ქართულ ენაზე.

61. დ. იშხანიანი – სომხეთ-საქართველოს ანტაგონიზმის ეკონომიკური და საზოგადოებრივი საფუძვლები, გამოცემულია ტფილისში 1899 წელს რუსულ ენაზე.

62. ბ. ს. ესაძე – რუსეთის ურთიერთობა საქართველოსთან, გამოცემულია ტფილისში 1899 წელს რუსულ ენაზე.

63. რუსეთის ძველი რევოლუციონერები. გამოცემულია 1903 წელს უწყევაში ქართულ ენაზე.

64. კ. ორგებიანი – „მუშათა კავშირები და მათი მნიშვნელობა“. გამოცემულია ტფილისში 1906 წელს ქართულ ენაზე.

65. „საქართველოს რუსიფიკაცია“ – გამოცემული ტფილისში 1915 წელს ქართულ ენაზე.

66. კანდელაკი – „ქალთა სოციალური მდგრამარება“ – გამოცემულია ტფილისში 1906 წელს ქართულ ენაზე.

67. ა. ლომიათიძე – „როგორ უნდა ავირჩიოთ ხალხის წარმომადგენლები“, გამოცემულია ტფილისში 1906 წელს ქართულ ენაზე.

68. ს. ისმაცაშვილი – „საქმის კეთების დროა“ – გამოცემულია ტფილისში 1881 წელს ქართულ ენაზე.

69. ობოლი მუშა (ქართველი ემიგრანტი) – „წითელი ვარდი“ (ეძღვნება სახალხო გვარდიას), გამოცემულია ტფილისში 1920 წელს ქართულ ენაზე.

70. ვ. სტაროსელსკი – „გავგასიური დრამა“ (ქ. ბაქოში 1906 წელს ბრძოლის შესახებ), გამოცემულია მოსკოვში რუსულ ენაზე.

71. ლ. დელინგერი – „საუბარი სოციალიზმის შესახებ“ – გამოცემულია ტფილისში 1906 წელს ქართულ ენაზე (რუსულიდან თარგმნილი).

72. ვინ განი – „მიმდინარე ომი და სოციალ დემოკრატია“ – გამოცემულია ქუთაისში 1916 წელს ქართულ ენაზე.

73.ი. მაქსიმოვი – „მარქსიზმის შესახებ“ – გამოცემულია 1906 წელს ტფილისში ქართულ ენაზე.

74.ანჩინი – „ერი და ჩვენ“ – გამოცემულია 1915 წელს ტფილისში, ქუთაისში ქართულ ენაზე.

75.ჭიჭინაძე – „საქართველოს გაერთიანების გამო“, გამოცემულია ტფილისში 1907 წელს ქართულ ენაზე.

76.„მუშები და პოლიტიკური წყობილება რუსეთში“ – გამოცემულია 1902 წელს ტფილისში ქართულ ენაზე.

77.მ. კრონკოლი – „1871 წლის კომუნა“ – გამოცემულია 1902 წელს ქუთაისში ქართულ ენაზე.

78.გიონ საგანელი – „დრუმო“ – ანტიბოლშევიკური ლექსების მენშევიკური გამოცემა, ტფილისში 1921 წელს ქართულ ენაზე.

79.ს. ავალიანი – „გლეხთა საკითხი ამიერკავკასიაში“ – გამოცემულია ოდესაში 1912 წელს რუსულ ენაზე.

80.მისივე – „ნარკვევი გლეხთა საკითხზე“, გამოცემულია ოდესაში 1913 წელს.

81.კ. გოცირიძე – „გლეხთა მდგომარეობა ამიერკავკასიაში“ – რუსულ ენაზე, გამოცემულია ტფილისში 1904 წელს.

82. 1921 წლის მენშევიკური კალენდარი – გამოცემულია ქართულ ენაზე ტფილისში.

83.გაზეთი „უკრაინსკაია ნაროდნაია რესპუბლიკა“ უკრაინის სამხარეო საბჭოს ორგანო ამიერკავკასიაში“, 25/II-18.

84.გაზეთი „უკრაინსკიე ვესტი“ – 5/V-17 (ამიერკავკასიაში).

85.გაზეთი „დენ პოეზია“ – მენშევიკური გამოცემა.

86.ურნალი „ზემლია“ – 1/XI-1917.

ჩამოთვლილ გამოცემათა გარდა აღმოჩნდა უამრავი წიგნი, რომლებიც ჩამორთმევას ექვემდებარება.

ყველა ჩამორთმეული წიგნი ჩაბარდა საქართველოს სსრ შინსახკომის, რაზეც შედგენილია ეს აქტი.

სამი პირის ხელმოწერა.

აღნიშნული წიგნები გადავათვალიერეთ, სისწორეს ვადასტურებთ და ხელს ვაწერთ.

### ცნობა

06. 03. 91 წ.


ქ. თბილისი.

მოქ. აკაკი პავლეს ძე წერეთელი, დაბადებული 1904 წ. საქართველოს შინსახკომის სამხედრო ტრიბუნალის 1941 წ. 11 დეკემბრის განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ-ს 58-10 მუხ. II ნაწ. და მიესაჯა 10 წ. თ/აღკვეთა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1957 წლის 9 აპრილის განჩინებით საქმე ა. პ. წერეთლის ბრალდებაზე შეწყდა წარმოებით და მოქ. აკაკი პავლეს ძე წერეთელი რეაბილიტირებულია.

**სახელმწიფო უშიშროების  
ორგანოებში  
გამოძიებასა და მოკვლევაზე  
ზედამხედველობის  
განყოფილების უფროსი  
ვ. ს. გელაშვილი.**

## ბუკინისტური და იშვიათი ფიგნები



ცნობილი ქართველი მწიგნობრის, ლიტერატურათმცოდნის, ბიბლიოფილისა და პოეტის აკაკი პავლეს ძე წერეთლის მემუარული ხასიათის წიგნის მასალებში აღმოჩნდა საყურადღებო ნაშრომი „თბილისელი ბუკინისტებისა და ანტიკვარულ – იშვიათი წიგნების ისტორიის შესახებ“. ნაშრომში მოყვანილი ბევრი ლიტერატურული ფაქტი, ვფიქრობთ დააინტერესებს ჩვენს ძკითხველს, ამიტომაც გადავწყვიტეთ აკაკი წერეთლის მოგონებათა სქელტანიანი ნაშრომიდან საერთო სათაურით „არც მეტი, არც ნაკლები“ ერთი ნაწილი გამოვაქვეყნოთ ჟურნალ „სიტყვაში“.

### X X X

საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული გამომცემლობა „შრომა“-დან 1929 წელს გადამიყვანეს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობაში ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც „სახელგამის“ გამგეობა მოთავსებული იყო „საქწიგნის“ დღევანდელი პირველი მაღაზიის (საოპერო ოეატრის პირდაპირ) ერთ დარბაზში მარცხენა მხარეს.

იმ დროს ყალიბდებოდნენ ახალახალი დაწესებულებები, იზრდებოდნენ, ფართოვდებოდნენ, ზრდას ვერც „სახელგამი“ ასცდებოდა, ის უკვე ვეღარ ეტეოდა ერთ დარბაზში.

სახელგამის გამგეობას გამოეყო ამავე შენობის მეორე სართული მთლიანად /სადაც ამჟამად პოლიკლინიკაა მოთავსებული/. რამდენიმე წლის შემდეგ ეს შენობაც აღარ კმაროდა „სახელგამისთვის“ და მას გამოეყო საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის ვაჟის ერეკლეს ორსართულიანი შენობა სულხან-საბაორბელიანისა და კიროვის ქუჩების კუთხეში /ახლა იმ შენობაზე დაშენებულია მესამე სართული/.

რამდენიმე წლის შემდეგ კი დაისვა მთავრობაში საკითხი წიგნის სასახლის აგების შესახებ.

წლების მანძილზე მე სახელგამში ბევრ თანამდებობაზე ვიმუშავე, რიგითი მუშაკიდან გავხდი „სახელგამის“ ცენტრალური ბაზის დირექტორი, „სახელგამთან“ ჩამოყალიბებული „საქწიგ-

ნის“ დირექტორის მოადგილე, გამოყოფის შემდეგ რესპუბლიკური გაერთიანება „საქწივნის“ მმართველი, უდანაშაულო დაპატიმრების წინა წელს კი ანტიკვარ-ბუკინისტური წიგნის ბაზის დირექტორი.

რადგან ამ წერილის მიზანი სწორედ ის არის, რომ მინდა მოკლედ გაგაცნოთ ბუკინისტებისა და ანტიკვარულ-ბუკინისტური წიგნით ვაჭრობის საქმიანობა, პირდაპირ გადავალ ამ საკითხზე.

წინასწარვე უნდა ითქვას, რომ ბუკინისტებისაგან დიდად არიან დავალებულნი ჩვენი გამოჩენილი მწერლები: იოსებ გრიშაშვილი, დიდი გალაკტიონი, გოგლა ლეონიძე, სანდორ შანშაშვილი, სიკო ფაშალიშვილი, ვალერიან გუნია, ჩვენი საამაყო ისტორიკოსები: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, მოსე ჯანაშვილი და სხვანი.

სემინარიისა თუ სხვა სასწავლებლების მოწაფეობა საჭირო წიგნების შოვნასა და შეძენას მხოლოდ მათთან ახერხებდნენ.

მათ გასული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან, ჩვენი საუკუნის შუაწლებამდე დიდი სამსახური გაუწიეს საქართველოს.

კლასიკური განათლების არმქონებმ, მაგრამ ბუნებრივი ალღოთი და ნიჭით უხვად დაჯილდოებულმა სამშობლოს უზომოდ მოყვარულმა, უსახსრო, უფულო ადამიანმა ზაქარია ჭიჭინაძემ რამდენიმე შესანიშნავი ქართული ძეგლის გამოცემა შეძლო, მისი ქველმოქმედება და ერისკაცობა ვისთვის აღარ არის

ცნობილი.

იოსებ იმედაშვილმა ბევრი რამ გააკეთა საქართველოს კულტურული ცხოვრების წინსვლისათვის თავისი წიგნის მაღაზით, რომელსაც ის „საწიგნობელს“ ეძახდა, სხვადასხვა წიგნების გამოცემით, უურნალ „თეატრი და ცხოვრებით“. თუმცა არც მას პქონია კლასიკური განათლება, მაგრამ ბევრ აკადემიკოსზე მეტად დაეხმარა სამშობლოს.

ის ფაქტიც ბევრის მეტყველია, რომ გამომცემლობა „სორაპანას“ და სტამბის პატრონმა მიხა გაჩეჩილაძემ იმ დროს დამწყები პოეტის იოსებ გრიშაშვილის პირველად დაბეჭდილი ლექსები მოჰვინა საქართველოს.

ამ ღვაწლმოსილ ადამიანზე არაფერი ღირსეული არ დაწერილა, გარდა განსვენებული მკვლევარის ლევან ასათიანის ნაშრომისა „პატარა შოველი“, სადაც მოკლედა მოთხოვნილი ზაქარია ჭიჭინაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

პროფესიონალ ივანე ლოლაშვილს თავის წიგნში /„ოცი წელი გოგლა ლეონიძესთან“, მერანი, 80წ. გ. 26-30/ მხოლოდ ოთხიოდ უურცელი აქვს დაბეჭდილი, თანაც ზოგი უზუსტობის შემცველი ადგილებიცაა თბილისის ბუკინისტების შესახებ.

ასევე საქვეყნოდ ცნობილი მოღვაწის იოსებ იმედაშვილის მოგონებებში „ჩემი ცხოვრების წიგნი“ გარკვეული ადგილი ეთმობა ზაქარია ჭიჭინაძეს და მის მოღვაწეობას.

მე, როგორც წიგნის აღიარებული სპეციალისტი, თბილისის ყველა

ბუკინისტს პირადად და ახლო ვიცნობდი. მათგან შეძენილი უამრავი უნიკალური წიგნი ამკობდა ჩემს პირად ბიბლიოთეკას.

მათი სავაჭრო ადგილების განლაგება რუსთაველის გამზირის მხრიდან ასე გამოიყურებოდა: პირველად იყო ივანე სამადაშვილის სავაჭრო, მერე სოსიკო მერკვილაძის, არშაკ მერაბოვის, კუმუხა ბრინძიანის, ყოფილი გამომცემლის და მესტამბის მიხეილ გაჩეჩილაძის მაღაზიები.

მოპირდაპირე მხარეს კომუნართა ბალში კეცხოველის ძეგლის ცოტა ქვემოთ ერთ მრგვალ ჯიხურში ვაჭრობდა სუმბათ გორგაძიანცი.

იმავე ჯორჯაძის ქუჩის ბოლოს ძნელაძის ქუჩის ქვეშ, კომუნარების ბაღთან ჩასახვევში მიწაში იყო რამდენიმე დარაბა, რომელთაგან ერთი განაპირა ეკავა წერა-კითხვის სრულებით არმცოდნე ვინმე კაჭარტუროვს, რომლის ვიტრინა იყო კომუნარების ბაღის რკინის ღობის ცემენტის საყრდენი. იგი აქ გამოფენდა წიგნებს, ვაჭრობდა, საღამოს კვლავ დარაბაში შეალაგებდა, ასე იყო ყოველ დღე.

კომუნარების ბაღის ბოლოს იმ სახლის ალაყაფის კარებში, რომელ-საც ახლაც ამშვენებს ოთხი ბიუსტი, ლამაზად გამოძერწილი მამაკაცისა, ვაჭრობდა წიგნის კარგად მცოდნე ბუკინისტი პირვი.

ზაქარია ჭიჭინაძისა და იოსებ იმედაშვილის წიგნების სავაჭროები ჩემი თბილისში გადმოსვლის დროს, 1923 წელს მე აღარ მინახავს, ორივე უკვე მოხუცებულობის ასაკში სხვა

საზოგადოებრივი საქმიანობით იყვნენ დაგავებულნი.

ბუკინისტებთან მუდამ ხალხმრავ-ლობა იგრძნობოდა, ვის არ შეხვდებოდთ აქ. სტუდენტობა და ზედა კლასების მოწაფეობა ხომ ბევრზე ბევრი იყო.

დადგა დრო და დაისვა საკითხი ბუკინისტური წიგნით კერძო ვაჭრობის ლიკვიდაციის შესახებ. მათ ვაჭრობის პატენტს აღარ აძლევდნენ.

ღრმად მოხუცი დიდად ღვაწლ-მოსილი ზაქარია ჭიჭინაძის შუამდგომლობით, ფილიპე მახარაძის განკარგულებით, რომელიც ზაქარიას ბრწყინვალე წარსულისათვის დიდ პატივს სცემდა, კიდევ ორი წლით მიეცა მათ ვაჭრობის პატენტი.

1930 წლიდან საბოლოოდ აიკრძალა ბუკინისტური წიგნით კერძო ვაჭრობა.

ბუკინისტური წიგნის ბაზრიდან გავიდნენ: სოსიკო მერკვილაძე, სუმბათ კორგაძიანცი, კუმუხა ბრინძიანი, კაჭარტუროვი და პირვიდარჩნენ ივანე სამადაშვილი და მიხა გაჩეჩილაძე, მათ თავიანთ ადგილებზე — გაჩეჩილაძემ მაღაზიაში, ხოლო სამადაშვილმა მაღაზიის ეზოში, სათანადო პატენტის მიღებით მოაწყვეს სამკინძაო სახელოსნოები და შენიდბულად წიგნებითაც ვაჭრობდნენ.

ხალხმა მიაშურა ბაზარს, დღევან-დელი კიროვის საკოლმეურნეო ბაზრის /მაშინ ღია ბაზარი იყო/ ბოლოს ვანქის ქუჩაზე რა წიგნს და რა მყიდველს არ შეხვდებოდა კაცი. სწორედ ამიტომ გოდებდა წიგნის უზომოდ

მოყვარული მგოსანი იოსებ გრიშაშვილი:

„ქვევით ბაზარზე, კვირა  
დღით ვანქთან,  
მტკრიან ქუჩაში, დამპალ ჰავაზე,  
წონით ვიყიდე ექვსი გირვანქა,  
შოთა, აკაკი და ჭავჭავაძე“.

არ ჩანდა ორგანიზაცია, რომ ანტიკვარულ-ბუკინისტური წიგნით ვაჭრობის საქმე მოეგვარებინა, ეს საქმე რომელიმე გამომცემლობისათვის დაექვემდებარებინა.

მე ვგრძნობდი ამ საქმის მოგვარების აუცილებლობას, ეს უსათუოდ საჭირო საქმე იყო. ანტიკვარულ-ბუკინისტური წიგნის ადგილს ახლად გამოცემული წიგნი ვერასოდეს დაიჭრდა. ხშირ შემთხვევაში ახალი გამოცემის მეცნიერულად დამუშავებისათვის, მისი წინა გამოცემები აუცილებლად საჭირო იყო მათი შინაარსობრივი ცვლილების, პოლიგრაფიული მონაცემების, ქაღალდის ხარისხის, წიგნის ზომის, ტირაჟის თუ გამოცემის დროის დადგენის მიზნით. ანტიკვარულ-უნიკალური წიგნის აუცილებელ საჭიროებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მე ამ მიზნით რამდენჯერმე მოვიარე რუსეთის ბევრი ქალაქი. ბოლო მგზავრობის დროს, 1934 წელს, ერთად ვიმგზავრეთ ლენინგრადამდე მე, იოსებ გრიშაშვილმა და თბილისელმა მხატვარმა ქალმა თამამშევამ.

ვსწავლობდი ბუკინისტური წიგნის საქმეს, შევიძინე კატალოგები: სიცინის, სმირნინის, ვოლფის, ნეკრასოვის, მარქსის, ბროკპაუზ-უფრონისა და მრავალი სხვა ავტორის.

წიგნის საქმის ზედმიწევნით მცოდნებ ბუკინისტური წიგნის საქმეც მალე ავითვისე და სათანადოდ არგუმენტირებული მოხსენებით წარვდექი „სახელგამის“ გამგეობის თავმჯდომარის ბარონ ბიბინეიშვილის წინაშე. მან გულდასმით მომისმინა, მაგრამ ცივზე-ცივი უარით გამომისტუმრა, ახლაც მახსოვს მისი პასუხი: „ახალი გამოცემებით საწყობები პირთამდე სავსეა, სულ საწყობებში ვართ გამოცემების მოსათავსებლად და ახლა, რომ ძველი წიგნები შევიძინოთ, ვინ რას იტყვის?“. დაწყებული ბრძოლა ჯერ კიდევ არ მიმართდა წაგებულად, რამდენიმე დღის შემდეგ „სახელგამის“ კომერციული დირექტორის, წიგნის საქმის დიდი მცოდნის, მოსკოვში აღზრდილი და იქვე მცხოვრები /მან არა ერთ წიგნის მცოდნესთან გამატანა ბარათი მოსკოვსა და ლენინგრადში/ გიორგი ილარიონის ძე ლორთქიფანიძესთან და „სახელგამის“ მხატვრული ლიტერატურის განყოფილების გამგე ნიკოლო მიწიშვილთან ერთად /ესენი ორივე დიდად დაინტერესებული იყვნენ ამ საქმის მოგვარებით/ შევედით ბარონთან, რომელმაც კვლავ ცივი უარით გამოგვისტუმრა.

მე ისევ არ ვეშვებოდი ბრძოლას, საჭირო იყო საქმის მოგვარება. მოულოდნელად ბარონ ბიბინეიშვილი გადაიყვანეს საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად, მის ადგილას კი დანიშნეს გაზეთ „კომუნისტის“ ყოფილი რედაქტორი, უსპეტაკესი პიროვნება ნიკო დავითის ძე კიკაძე.

მანაც ახალი გამოცემების ძალიან

ნელი რეალიზაციის გამო უარი მითხრა. ბიბინებშვილიც და კაქნაძეც მართლები იყვნენ ერთი შხრივ, იმიტომ რომ წიგნის რეალიზაცია საშინლად დაბალი ტემპით მიღიოდა. მას იმ დროის-ათვის თავისი მიზეზები ჰქონდა, რომელთა ჩამოთვლა აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია, ისე დაბალი ტემპით, რომ წლობით ეწყო საწყობებში შტაბელები ისეთი ძვირფასი წიგნებისა, როგორიცაა მაგალითად, სტენდალის „წითელი და შავი“, მოპასანის „ფუნთუშა“ თუ „ლამაზი მეგობარი“, ფლობერის „ქალბატონი ბოგრი“, ბოკაჩიოს „დეკამერონის“ ორივე ტომი და მრავალი სხვა, ასევე ჩვენი თანამედროვე ქართველი და რუსი ლიტერატორების ნაწარმოებები თუ კლასიკოსთა ქმნილებები.

საქმე იქამდე მივიდა, რომ საჭირო გახდა რუსეთიდან მოგვეწვია წიგნის გამავრცელებელი ვინმე ვიშემირსკი, რომელმაც დიდიალი ლიტერატურის გავრცელება შეძლო და სოლიდური თანხაც მიიღო კუთვნილი პროცენტების სახით.

ვიშემირსკიმ ისიც არ იქმარა და საჭირო გახდა მუშა-მოსამსახურებზე წიგნების ნისიად გაცემა. ამ საქმეს ხელმძღვანელობდნენ კარგი მწიგნობარი ანდრო შილაკაძე და ვერა მაღალაშვილი. სახელმწიფოსათვის სასურველი შედეგი მაინც ვერ იქნა მიღწეული.

ახლა კი საოცრება ხდება. საჭირო წიგნის შოვნა თითქმის შეუძლებელია და ბევრგან მსმენია საზოგადოებაში, დამახინჯებულ ფასად წიგნის შექმნის შესახებ, წიგნზე ასეთი დიდი

მოთხოვნილება ბუნებრივი, კანონზომიერი და გასაგებია, მაგრამ რა ქნას წიგნის იმ მოყვარულმა, რომელმაც წლების მანძილზე დიდი რუდუნებით შექმნა თავისი პირადი ბიბლიოთეკა. თუ ამგვარმა პიროვნებამ საჭირო წიგნი ვერ შეიძინა, საკუთარ ბიბლიოთეკას ვერ მიუმატა, ბიბლიოთეკა ხომ დაბატარავდება, გაიყინება, შეიძლება ითქვას მოკვდება. ეს ცხოვრებისეული საკითხიც კი მოგვარებას საჭიროებს, რათა გამონახული იქნას საშუალება საზოგადოებრიობის წევრების საჭირო წიგნებით დაკმაყოფილების შესახებ.

რა თქმა უნდა, საჭიროა აღინიშნოს რომ ბიბინეიშვილი და კიქნაძე არ იყვნენ მართლები, როცა ანტიკვარულ-ბუკინისტური წიგნების მნიშვნელობა სათანადოდ არ შეაფასეს. უამრავი უნიკალური წიგნი იღუპებოდა პარკებით მოგაჭრეთა ხელში. მაშინ ყველა ბაზარზე იყიდებოდა ნაბეჭდი ქაღალდისაგან შეკოწიწებული პარკები. ადამიანს გული მოგიკვდებოდათ, როდესაც მარი ბროსეს, ნიკო მარის, ვაზუშტი ბატონიშვილის, დავით ჩუბინაშვილის, ავესენტი ცაგარელის, ალექსანდრე ხახანაშვილის და სხვათა ეროვნული, მეტად საჭირო წიგნებიდან ამოხეულ ფურცლებს ნახავდით პარკებად შეკოწიწებულს. იღუპებოდა მველი პერიოდული გამოცემების უსაჭიროესი გაზეთები თუ უურნალები.

ბრძოლას კვლავ განვაგრძობდი. ვფიქრობი ყველა ბაზარზე შემეძინა ამ გულსაქლავად დახეული ძვირფასი წიგნების თუ პერიოდული გამოცემების ფურცლებიდან შეკოწიწებული

პარკები, დამეშალა, დამესათაურებინა და თხოვნით მიმექართა განსახეობისათვის /მაშინ ასე ეწოდებოდა/ ან ზემდგომი ინტანციებისათვის, მაგრამ საქმე სულ სხვანაირად წარიმართა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა – ორაგველიქ, ჩვენთან „სახელგამში“ მომუშავე მისმა ძმად დავითმა იცოდა ამ საქმისათვის დიდი ხნის ბრძოლის ისტორია და მირჩა, ვინაიდან ანტიკ-ვარულ-ბუკნისტური წიგნის ყველაზე დიდი მომხმარებელი არის და იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რექტორთან შევიდეთ და მოველა-პარაკოთ.

ორიოდე დღის შემდეგ შევხვდით რექტორს, დავითმა წარმადგინა მასთან, მე გავაცანი მოსვლის მიზეზი და ამ დარგში არსებული მდგომარეობაც.

ამდენი ხნის მანძილზე უარყოფილი საქმე იმ დღესვე გადაწყდა, მხოლოდ საქმეს ისევ თქვენ უნდა უხელმძღვანელოთ, რათა ჩვენ ხალხი საბებარი არ გავიხდესო, – განაცხადა რექტორმა, – აქ დიდი ცოდნა და გამოცდილება აუცილებლად საჭიროა.

მე მაშინ უკვე „საქწიგნს“ ვხელმძღვანელობდი, მანიც უყოფმანოდ მივეცი დასტური. ამის შემდეგ გამოიძახა თავისთან უნივერსიტეტის გამომცემლობის მაშინდელი დირექტორი, მეტად ნათელი გონების პატრონი ვარლამ მიქაძე და მას დაავალა ამ საქმის დროული მოგვარება.

მიქაძემ საქმე გულთან მიიტანა, შეუთანხმდა პროექტორს სამეურნეო დარგში და გამოყოფილ იქნა საკმაოდ ფართო და ნათელი შენობა ვერის ბა-

ზრის პირდაპირ, სადაც მერე აგებულ დიდ შენობაში მოთავსდა საქწიგნის მე-5 მაღაზია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანტიკვარულ-ბუკნისტური წიგნის მაღაზიის გამგედ უყოფმანოდ დავნიშნე სასწაული კაცი ივანე სამადაშვილი. სასწაულს იმიტომ ვუწოდებ, რომ ამ კაცს არავითარი კლასიკური განათლება არ ჰქონდა, მაგრამ ნაკითხობისა და თავისი ზღაპრული მეხსიერების გამო, შეეძლო ნებისმიერი წიგნი დაესურათხატებინა მკოთხველისათვის, იცოდა სად, როდის იყო გამოცემული ან რამდენი ტირაჟით, ხშირად ამა თუ იმ სურათსაც დაუსახელებდა, რომელ გვერდზე იყო, იცოდა რომელ მკითხველს რა წიგნი სჭირდებოდა, მოკლედ ზედმიწევნით იცოდა წიგნის ყალრი და ფასი.

კონსულტანტად მივიწვიეთ მათემატიკოსი და ფილოლოგი, ევროპული ენების მცოდნე, პეტერბურგის უნივერსიტეტში განსწავლული სუმბათ ლოცოლევი, სურამში დაბადებული და გაზრდილი, მშვენიერი ქართული ენით მოლაპარაკე.

მაღაზიის შიგნით და გარეთ შეკეთება-შეღებების შემდეგ რჩებოდა მხოლოდ წიგნის თაროების და ინვენტარის საკითხი. დრო კი არ ითმებდა, უამრავი ხალხი მოდიოდა მაღაზიაში, რათა მათი წიგნები შეეძინათ, ტოვებდნენ მისამართებს და ითხოვდნენ საქმის დაჩქარებას.

ამ დროს მოხდა მეტად ხელ-საყრელი შემთხვევა, კიროვის ქუჩაზე მდებარე რეზინოგასაღების საფირმო მაღაზია დაიხურა და ის მშვენიერი

ლამაზად გაფორმებული კარადები ბალანსიდან ბალანსზე გადმოგვეცა, კარადები სწორედ წიგნის თაროს ზომისანი იყვნენ და არავითარ შეკეთება-გადაკუთხას არ საჭიროებდნენ და რაც ხელოსნებს ორი-სამი თვე უნდა ეკეთებინათ, სულ ორ-სამ დღეში მოგვარდა.

მაღაზიაზე აპრის გაკეთებისთანავე, რომელზეც სულ სამი სიტყვა ეწერა „ანტიკარულ-ბუკინისტური წიგნი“, იგივე რუსულად, მაღაზია ხალხით გაივსო. მოჰქონდათ და მოჰქონდათ წიგნები, რომლებიც წიგნის საქმეში ათეული წლების მანძილზე მომუშავე ადამიანს თვალითაც არ ჰქონდა ნანახი. და რა უნიკალურ წიგნს არ შეხვდებოდით იქ. საკვირველი იყო, რომ საზღვარგარეთ, მონტობანსა, კონსტანტინოპოლისა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოცემული წიგნებიც მოჰქონდათ. მიღება-გაფორმებას ვეღარ ასწრებდნენ პირველ ხანებში მაინც და ამიტომ ორი-სამი სტუდენტი მუდამ ეხმარებოდა თანამშრომლებს. ისინი თავისუფალ დროს და საღამოს საათებში მუშაობდნენ და მიღებულ გასამრჯელოს დიდ დახმარებად თვლიდნენ. ახლად დაფუძნებული მაღაზია ყველა ოპერაციისათვის უკვე მზად იყო 1935 წლის აგვისტოს დამლევს. წიგნების შესაძენად დადგენილი თანხის ლიმიტის რამდენიმეჯერ გაზრდაც გახდა საჭირო.

რამ განაპირობა ასე მასობრივად ამდენი უნიკალური წიგნის თუ პერიოდული გამოცემების მოსახლეობიდან მოზღვავება? პასუხი მოკლეა: შესაძნელა სხვაობამ. კერძო ბუკინისტები წიგნებს იძენდნენ მეტად დაბალ ფასებში,

როგორც ამას თავის ზემოთ მოხსენიებულ წიგნში აღნიშნავს პროფესორი ი.ლოლაშვილი, ახალ მაღაზიაში კი იძენდნენ მთავრობის დადგენილი ნიხრის მიხედვით, რაც მოსახლეობისათვის ხელსაყრელი იყო. საქართველოს განსახკომში ჩვენს მიერ წარდგნილ წინადადებაზე ნებართვის მიღების შემდეგ გასაბჭოებამდე არსებულ ყველა სკოლის ძველი, მათთვის უკვე გამოუსადეგარი წიგნადი ფონდი შეცელილი იქნა თანამედროვე ლიტერატურით, თანახმად მათი შერჩევისა და შექმნილი ახალი სიტუაციისა.

ამავე წესით წიგნების დიდი ფონდი მივიღეთ იმ დროს საქართველოში მდგარი ქართული ჯარის ნაწილებიდან.

ყველა ამ წიგნით მათი დამუშავების შემდეგ მარაგდებოდა პარველ რიგში სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტური ბიბლიოთეკა, მასთანვე არსებული სტუდენტთა საფაკულტეტო სამკითხველო-ბიბლიოთეკები, შემდეგ საჯარო ბიბლიოთეკა. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტი მირითადად, ანტიკარულ-ბუკინისტური წიგნებით დაკომპლექტდა ისტორიული ბიბლიოთეკა, რომელიც მაშინ წმინდა ბარბარეს ეკლესიის მახლობლად მდებარეობდა. დიდადი წიგნი მიჰქონდა ბიბკოლექტორს /ის ჯერ ისევ რუსთაველის გამზირზე იყო მოთავსებული/ თავისი ქსელის ადგილობრივი თუ რაიონული ბიბლიოთეკებისათვის.

შემდეგ საჭირო გახდა დეფექტიანი /ფურცელნაკლული/ წიგნების შეძენაც კი, რამაც გაამართლა. ხშირად ორი წიგნისაგან დგებოდა – ივსებოდა ერთი,

ხშირად სამი-ოთხისგან ერთი მთლიანი გამოდიოდა. ამ და სხვა წიგნებს, რომლებიც აკინძვას საჭიროებლნენ, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე ბარდებოდა საჯარო ბიბლიოთეკის საამკინბაო სახელოსნოს, სადაც გამგედ მუშაობდა თბილისში დაბადებული და თბილისშივე აღზრდილი, სულით და გულით გაქართველებული უკრაინელი ვლადიმერ სოზოტენბარი, კარგი სპეციალისტი და კარგი ადამიანი. ის ჩვენ დაკვეთებს მალე და მაღალხარისხიანად აკეთებდა, ათასობით აშკარა სიკვდილს გადარჩენილი წიგნი ბარდებოდა სათანადო ბიბლიოთეკებს.

გამოწმებდით ნაბეჭდი ქალალდით ნაკეთებ პარკების მოვაჭრეთა მარაგს. სულით და გულით მიხაროდა, რომ არსებული საგალალო მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მცირდებოდა, ბოლოს კი სავსებით მოისპო. აღარ-სად იყო ამა თუ იმ უძვირფასები წიგნის ფურცლებისაგან შეკოწიწებული პარკები.

1938 წლის ზაფხულში თბილისის საკანალიზაციო ტრესტის კომისიამ გამოაცხადა, რომ ვერის უბანში არსებული ერთსართულიანი შენობა უნდა აღებულიყო ბელინსკისა და მიმდებარე ქუჩების ნიაღვარგამტარი კოლექტორის ასაგებად.

ამიტომ მაღაზია გადატანილი იქნა მელიქიშვილის ქუჩაზე №13-ში, სადაც ახლა „საქწიგნის“ სამედიცინო წიგნების მაღაზიაა და სადაც ჩვენი დიდი თხოვნითა და მცდელობით კვლავ გახსნილია ბუკინისტური წიგნის საკომისიო მაღაზია.

მალე ამავე საქმეზე სამუშაოდ მიმიწვია „საბლიუტგამის“ გამგეობამ, შეთავსება -კონსულტირების წესით გამაფორმებს თავმჯდომარის მოადგილედ, ჩემს მოადგილედ კი დაამტკიცეს ყოფილი მესტამბე, წიგნის საქმეში კარგად გათვითცნობიერებული მოხუცი ასლან კალანდაძე. გამოგვიყოფართო, ნათელი, კარგი დარბაზი, ასევე ნათელი ვიტრინებით რუსთაველის გამზირზე მდებარე სახლში ელბაქიძის დაღმართის მხრიდან, უკვე გამზადებული წიგნის სახლისათვის საჭირო ყველა მოწყობილობა, ვინაიდან აქ აღრეი იყო „სახელგამის“ ტექნიკური წიგნის მაღაზია.

სპეციალისტების მიერ დაწყებული საქმე მალე აეწყო და მუშაობა გაძლიერდა, ფართო ვიტრინა ყოველთვის უნიკალური წიგნებით იგსებოდა და იცვლებოდა.

იმ წლებში საქალაქო ყველა სახეობის ტრანსპორტი ელბაქიძის დაღმართით მიმოდიოდა. ერთ საღამოს მანქანის ფანჯრიდან დავინახე „სახელგამის“ თაგმჯდომარე ნიკო კიკნაძე განათებული ვიტრინის წინ იდგა და წიგნებს გულდასმით ათვალიერებდა.

რამდენიმე დღის მერე ისევ ამავე მდგომარეობაში დავინახე, ის უნივერსიტეტის წინ ცხოვრობდა, ამ აღმართის ამოგვალა და ფეხით სახლამდე მისვლა უყვარდა.

ერთ დღეს სახელგამის ბაზის წინ დაფიქრებით მიმავალს შემხვდა ცნობილი გამომცემელი ნიკო კიკნაძე. მოსალმების და ხელის ჩამორთმევის შემდეგ მან ვაჟაპურად მითხრა „მე შენთან დამნაშავე ვარ, სრულიად მარ-

თბილი თხოვნა სწორად ვერ შევაფასე, – შეცდი, შენ ისევ „საქართველოს“ დაუბრუნდი და ამ დიდ საქმეს ხელმძღვანელობ, კარგია, ყველას ასე რომ უყვარდეს საკუთარი საქმე, ქვეყნა უფრო სწრაფი ნაბიჯებით წავიდოდა წინ“.

მალე „საბლიუტგამის“ მაღაზია „სახელგამის“ მაღაზიად გადაკეთდა, მაღაზიაც გარდაიქმნა ანტიკარულბუკინისტური წიგნის ბაზად და დაუქვემდებარა ბუკინისტური წიგნის მაღაზიები: პუშკინის №11, რუსთაველის №40, მარჯანიშვილის №14 და კიდევ რამდენიმე სხვა ადგილას.

პუშკინის ქუჩაზე მდებარე მაღაზია გაფართოების მიზნით გადმოტანილ იქნა რუსთაველის გამზირის № 44 შენობაში, სადაც ახლა „საქართველოს“ ხელმოწერით წიგნის №31 მაღაზიაა. ყველა ამ მაღაზიას განაგებდნენ წიგნის მოყვარული და წიგნის საქმის კარგად მცოდნენი: მიხეილ კოფმანი, პლატონ კიკნაველიძე, დიმიტრი ესებუა, ვასილ დიომინი და სხვები.

ამავე დროს გაიხსნა ბუკინისტური წიგნის მაღაზია გამომცემლობა „ფედერაციასთან“, რომელსაც ჩვენი გამოჩენილი ბელეტრისტის კონსტანტინე ლორთქიფანიძის ძმა ვალიკო ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა, წიგნის კარგი მცოდნე და განვითარებული პიროვნება. მცნიერებათა აკადემიის გამომცემლობასთან არსებულ ბუკინისტური წიგნის მაღაზიას ხელმძღვანელობდა ძველი მწიგნობარი მიხეილ კაკაბაძე. ეს მაღაზია რუსთაველის გამზირის №19-ში მდებარეობდა.

ქალაქის ამ ადგილებში ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად პრო-

ფესორ -მასწავლებლები, სტუდენტები და ზედა კლასების მოსწავლეები, რაიონებიდან ჩამოსულები იყრიდნენ თავს და ყველა ერთნაირად იყო დაინტერესებული საჭირო წიგნის შოვნით.

თითქმის ყოველდღიური სტუმარი იყო მეტად სიმპათიური და ტკბილ-მოუბარი მოხუცი /ცხოვრობდა წიგნის ბაზის ახლოს მოსკოვის ქუჩაზე/ ბატონი თედო სახოკა. ყოველდღე მოვიდოდა, მიუჟღდებოდა საწერ მაგიდას, უბის წიგნაკში ჩაიწერდა უკვე ნაპოვნ სიტყვას, შემდეგ ჩვენ მოგვმართავდა თავისებური ტკბილი ღიმილით: „აბა, თქვენ რა მიშოვეთ დღეისთვის, თუ კი რამე იყო „ნაშოვნი“ უეჭველად იყიდდა, ჩაიწერდა. ის მაშინ მუშაობდა ქართულ სურათ-ხატოვან თქმათა ლექსიკონის გამოცემაზე, რაც მერე გამოსცა საქმაოდ დიდი ტირაჟით და მალე საერთოდ გაქრა წიგნის ბაზიდან თუ მაღაზიებიდან.

თბილისზე უზომოდ შეყვარებული იოსებ გრიშაშვილი ყველა ბუკინისტური მაღაზიის მუდმივი სტუმარი იყო. ჩვენ ახლო მეგობრობა გვაკაშირებდა ჯერ კიდევ იმ წლებიდან, როდესაც მე გამომცემლობა „შრომაში“ ვმუშაობდი. სოსო გრიშაშვილი გამომცემლობის დირექტორმა პოეტმა შალვა აფხაძემ გამაცნო, ეს გაცნობა გულწრფელ მეგობრობას დაედო საფუძვლად. ხოლო, როცა მისი საყვარელი წიგნების ბედ-ილბალი ჩემს ხელქვეითებზე იყო დამოკიდებული, ყოველდღიურად მიღებულ წიგნებს მათი დამუშავების შემდეგ პირველად მხოლოდ მას ვასინჯებდით. ახლაც თვალწინ მიდგას მისი გაცისკროვნებ-

ული, გახარებული სახე, როდესაც იმ წიგნს, იმ უურნალს თუ გაზეთის ნომერს იპოვნიდა, რომელიც მას უბის წიგნაკში ჰქონდა ჩანიშნული საშოგნელად. გრიშაშვილს არ იშიდავდა ბროკაუზ-ევრონის თუ სხვა გამომცემელთა ოქროთი მოგარაფებული გამოცემები. შეძენილი წიგნების ღირებულება შეჯამდებოდა, ჩემი განკარგულებით ღირებულებას არ ვახდევინებდით, ანგარიშსწორება ხდებოდა მისი ძვირფასი ბიბლიოთეკის იმ ორეული თუ ზედმეტი წიგნებით, რომელთა განტვირთვაც იმ ღროს მცირე მოცულობის ბინაში მოთავსებული ბიბლიოთეკისათვის ნაკლებ საჭირო იყო. ათებდა სოსო გრიშაშვილი ქალალდის მთელ ფურცელს და თავისი ლამაზი კალიგრაფით დაწერდა:

თამასუქი:

მმართებს თავადი აკაკი წერეთლისა ამდენი მანეთი თეთრით, თავისი მშვენიერ ხელწერით დაამოწმებდა და დაათარიღებდა. დრო და დრო ამ „თამასუქების“ მიხედვით გზავნიდა მისი ბიბლიოთეკისათვის ზედმეტ წიგნებს ჩემი რომელიმე თანამშრომლის ხელით. მე სოსოს ვეხუმრებოდი, ყველა ამ თამასუქს შენს საიუბილეო კომისიას გადავცემ და სცენიდან გამოვაცხადებ, ვალი მიპატიებია მეთქი, რაზეც ის იღიმებოდა თავისი მომხიბლავი ღიმილით.

ასევე ჩშირი სტუმარი იყო გოგლა ლეონიძე, მას ყოველთვის თან ახლდა ყრმობის მეგობარი კახეთიდან, „სახელგამის“ საქმეთა მმართველი სოსო ჯეირანაშვილი. გოგლა იშვიათ წიგნებს იძნდა, როგორც თავისთვის ისე ლიტერატურული მუზეუმისთვის, რომლის ღირექტორადაც მაშინ

მუშაობდა.

ზშირად მოდიოდა პროფესორი გიორგი გეხტმანი, რომელიც საკუთარი ხელით შეარჩევდა უნიკალურ წიგნებს. ერთ ნაწილზე დაწერდა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტურ ბიბლიოთეკას, მეორე ნაწილზე დაწერდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას. მის მიერ შერჩეული წიგნების გატანა სასწრაფოდ ხდებოდა.

ეს საქმე ბატონ გიორგის სულაც არ ევალებოდა, მაგრამ მას ამოძრავებდა წიგნისა და საქმის უანგარო სიყვარული. ის ხომ პირველი დირექტორი იყო თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისა და რამდენიმე წელს უძღვებოდა ამ დიდ და მეტად კეთილშობილურ საქმეს.

ჩვენ კი ყოველთვის მადლობას გვიცხადებდა უამრავი უნიკალური წიგნის გადარჩენისა და მათთვის კუთვნილი ადგილის მიჩენისათვის.

ზშირი, თითქმის ყოველდღიური სტუმარი იყო დიდი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე. ის სამხატვრო აკადემიიდან ნელ-ნელა დაეშვებოდა, ბაზაში შევიდოდა, მაგიდაზე დალაგებულ მისთვის საინტერესო წიგნებს დაათვალიერებდა, ბევრ ჩვენთვის საჭირო კითხვაზე გვიპასუხებდა, გამოგვემშვიდობებოდა და პეროვსკაიას ქუჩით ნელ-ნელა წავიდოდა შინისაკენ. მე მასთან საუბარში მუდამ უხერხულობას კვრძნობდი, რადგან ქანდაკების და მხატვრობის საკითხების სპეციალისტი არ ვიყავი, მაგრამ პასუხს თუ მსჯელობას მუდამ შემიქებდა, ალბათ დიდსულოვნებით რომ გავემნევებინე.

იყო ერთი შემთხვევა, რომელიც ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება. სა-

მუშაოს დამთავრების შემდეგ წიგნები-სათვის შევიარე ბაზაში, გხელავ შემო-დის ბატონი იაკობი. სკამი და ახალ-ად მიღებული წიგნებით პატარა მაგი-და მიართვეს. გადაათვალიერა, ორი წიგნის შენახვა ითხოვა, ხვალ ჩვენი ბიბლიოთეკარი ქალი წაიღებსო. მერე გარეთ გამოვედით, ვუიქრობ გამოვეთხ-ოვო და შინ წავიდე-მეთქი, მაგრამ მკლავი-მკლავში გამიყარა და დინჯად მითხრა: „ასე წავიდეთ, შენ ხომ ვაკეში ცხოვრობ“. რაღას ვიტყოდი, თუმცა უხერხულად ვიგრძენი თავი, რომ დიდ ხელოვანთან ასე „ჩაპოდრუჩკებული“ მივდიოდი. მივედით როდენის ქუჩაზე. შემიყვანა სახელოსნოში, დამაყენა ერთი დამთავრებული ქანდაკების წინაშე და მითხრა – „აბა რას მეტყვი ამ ქან-დაკების შესახებ?“. მე მგონი უხ-ერხულობისაგან ფერიც კი დავკარგე, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე და წყნარად ვუთხარი: „ქართველი ვაჟკა-ცის ტიპიური სახეა“. ბეჭედ ხელი ფრთხილად დამადო და დინჯად მითხრა: „დიდებული შეფასებაა, მე ხომ ყოველთვის ვამბობ, რომ თქვენი ბაასი მუდამ ყურადსალებია“. გვიან გამ-ოვეთხოვე და უხერხულობას გადარ-ჩენილი კმაყოფილი გავუდექი გზას შინისაკენ.

ასევე ხშირი სტუმარი იყო დიდი ქართველი მხატვარი ლადო გუდიაშ-ვილი. იგი ზოგჯერ მეუღლესთან ერ-თად შემოივლიდა, საჭირო წიგნს შეი-ძენდა და მუდამ მადლობას იხდიდა, რომ ჩვენ დიდძალი უნიკალური წიგნი გადავარჩინეთ აშკარა დაღუპვას.

მერე როცა ლადო გუდიაშვილს ლექსი მივუძღვენი, მისი მადლიანი ხელით დახატული საკმაოდ მოზრდილი

სურათი „ლამაზმანი“ მივიღე შინ, მეტად გულისხმიერი წარწერით. ამ ფაქტის აღწერა გამოსაქვეყნებლად გადავეცი უურნალ „დროშის“ რედაქციას.

მხატვარ ქალთაგან ხშირად შე-მოდიოდა ელენე ახვლედიანი, რომ-ლისთვისაც წიგნები ძველი თბილი-სის შესახებ მუდამ მზად ჰქონდათ თანამშრომლებს.

ახალგაზრდა მხატვართაგან ხში-რი სტუმარი იყო ჯერ კიდევ სამხ-ატგრო აკადემიის სტუდენტი კორნე-ლი სანაძე.

ვინ, ვინ არ შემოდიოდა სასურვე-ლი წიგნის მოსაძიებლად, მათი ჩამოთვ-ლა შეუძლებელია.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ პი-რადი ბიბლიოთეკის მქონე წიგნის მოყვარულნი.

1. მასწავლებელი გიორგი გიორ-გაძე, რომელსაც ძალზე მდიდარი ბიბ-ლიოთეკა ჰქონდა და მაინც სულ ბიბ-ლიოთეკის გამდიდრების ცდაში იყო.

2. გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის მოადგილე პეტრე ალ-ტუნოვი, რომელსაც ახალი პერიოდის ლიტერატურით მეტად მდიდარი ბიბ-ლიოთეკა ჰქონდა და ახლა უნიკალური წიგნებით ბიბლიოთეკის გამდიდრებას მონაცემებით ცდილობდა.

3. დოცენტი ფიოთოვევი, რომელსაც უფრო ეკონომიკურ-სოციალურ-პოლი-ტიკური ლიტერატურა აინტერესებდა.

4. ცნობილი პედაგოგი ბიძინა ფერაძე, მაშინ სტუდენტი, მერე გა-ნათლების სამინისტროს საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსი. სულ საჭირო წიგნების ძებნაში იყო.

5. იმ დროს სტუდენტი, დღეს პროფესორი ივანე ლოლაშვილი,

საჭირო წიგნების ძებნით გართული ყველა ბუკინისტს იცნობდა. მე არ მინახავს, მაგრამ ამბობდნენ, მას ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა აქვსო.

6. ექიმი ზუნდურიტი, რომელიც კამოს ქუჩაზე ცხოვრობდა და თავის საკუთარი სახლის ორი დიდი კარადით გამართულ ოთახში უამრავი სხვადასხვა დარგის ლიტერატურა ჰქონდა; შინ მიმავალი მუდამ წიგნებით დატვირთულ ს ხედავდი.

1942 წლიდან პოლიტიკური მოტივებით დაპატიმრების გამო უდანაშაულო კაცს ყოველგვარი სამსახურიც და საყვარელი საქმეც ძალიან დიდი ხნით, მთელი 15 წლით მიმატოვებინეს. რამდენიმე ხნის მერე მოხდა „საქწიგნის“ ანტიკვარულ-ბუკინისტური წიგნის ბაზის ლიკვიდაცია.

სევე ლიკვიდირებულ იქნა მისი მაღაზიებიც, მერე აკადემიის და ფედერაციის ბუკინისტური წიგნის მაღაზიების დახურვაც დიდი დაფიქრებისა და განსჯის გარეშე გადაწყდა. ნება მისცეს ცალკეულ წიგნის მაღაზიების ბუკინისტური წიგნის შეძენისა, დატოვებულ იქნა ერთი ბუკინისტური წიგნის მაღაზია და ერთი ბუკინისტური საკომისიო მაღაზია.

„საქწიგნის“ ანტიკვარულ-ბუკინისტური წიგნის ბაზის და მისივე მაღაზიების, აგრეთვე აკადემიის და ფედერაციის ბუკინისტური წიგნის მაღაზიის დახურვა ჩემი აზრით მაინც მოხდებოდა, რადგანაც წლების მანძილზე მათ ანტიკვარ-ბუკინისტური წიგნის მარაგი ამოწურეს მოსახლეობისაგან და ჩააბარეს სათანადო ბიბლიოთეკებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სულ სხვადასხვაა ანტიკვარულ-უნიკალური და ბუკინისტური წიგნი.

ბუკინისტური წიგნები — ეს მოსახლეობაში უკვე გამოყენებული უმთავრესად მხატვრული ლიტერატურაა, რომელიც დიდ ინტერესს არ წარმოადგენს ამა თუ იმ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის. საქმე ისაა, რომ მონახული და განადგურებას გადარჩენილ იქნა ის ანტიკვარულ-უნიკალური წიგნები, რომლებიც საქართველოს რაიონებში იყო შემორჩენილი.

როგორც არქიტექტურულ ძეგლებს, უნიკალურ წიგნებსაც უნდა დაცვა და რესტავრაცია. ამ მიზნისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ადგილებზე კულტურის დაწესებულებები თუ უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების ფართო ქსელი.

იმვიათი, უძვირფასესი წიგნების გადარჩენას დიდი სამომავლო მიზანი აქვს, ვინ იცის, სად, რომელ რაიონში რა ანტიკვარულ-უნიკალურ წიგნებს წააწყდება ადამიანი, საამაყო მამულიშვილმა ექვთიმე თაყაიშვილმა გასანადგურებლად განწირული ძეგლი წიგნის ფურცლებიდან აღადგინა ის დიდი ძეგლი, რომელიც დღეს თამარ მეფის „კარის გარიგების“ სახელით არის ცნობილი.

ბუკინისტური და ანტიკვარული წიგნების აღმოჩენის მოვლისა და გაფრთხილების საქმე სახელმწიფოს-თან ერთად მოსახლეობისთვისაც საყვარელ, საპატიო საქმედ უნდა იქცეს.

## ნაზი სურმავა



ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტისა და საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის პროფესორი ნაზი სურმავა წარმატებით ემსახურება ადამიანებისათვის უაღრესად საჭირო წამალთმცოდნეობის სფეროს. ეს კეთილშობილი, ნაზი და მომხიბლელი ქალბატონი ადამიანთმცოდნეობის დარგშიც მოღვაწეობს, ცდილობს კალმითაც დაეხმაროს შეჭირვებაში მყოფ ადამიანებს, საკუთარ სათქმელსა და უსაზღვრო სიყვარულს პოეზიით გამოხატავს. ჩვენს ძეითხველს ვთავაზობთ ნაზი სურმავას ლექსებს.

### სიბერე

მოპქრის სიბერე, როგორც მხედარი  
თეთრ რაშზე თეთრად ამხედრებული,  
მოპქრის ჭენებით შეუსვენებლივ.  
ცხენს ვერ ურევა  
დაფეთებული

ჩვენ კი ვდგავართ და  
წყნარად მოველით...  
ვიცით, არ დაგვთმობს, არ შეყოვნდება,  
გადაგვიპენტავს თმებს  
თეთრ თოვლივით,  
ჩამოიკარვებს ზამთრის ოცნება.

გაქრება ჩვენი ახალგაზრდობა...  
 ვით ღამეული ლურჯი სიზმარი  
 და მარტოობის ზღვაში დავცურავთ.  
 ნავსაყუდელი ჩვენი იქ არი.

წყნარად დავითვლით  
 დარჩენილ დღეებს  
 და გავიხსენებთ ლამაზ ოცნებებს...  
 ჩავეკითხებით ჩვენს თავს ხშირ-ხშირად,  
 რა გავაკეთეთ, რისთვის ვიცხოვრეთ.

ტაატით ჩავალთ სიბერის კიბეს...  
 დალურსმულს მოკლე წვრილი ლურსმნებით,  
 სადღაც ჩატყდება და ჩვენც გავქრებით -  
 თეთრი სიბერის – თეთრი ფურცლები.

X X X

ცაზე აცურდა ნისლების ფარდა,  
 ცა გაეხვია ნისლის სამოსში,  
 ცას ცრემლით თვალი კვლავ დაენამა,  
 ვეღარ გაერკვა ქვეყნის ქაოსში.

ო, მეც ცასავით ცრემლს  
 ვეღარ ვიშრობ,  
 სული ქცეულა ნაცრისფერ ბაღად.  
 ბეღნიერება არის მირაჟი,  
 ცას ღრუბელივით ვაწყდები მაღლა.

უიმედობა ტივტივებს წყალზე,  
გრძელდება  
სიკვდილ – სიცოცხლის დავა,  
სიკვდილთან ბრძოლით არ დავიღლები  
და დროც სულელურ დავაში გავა.

თოვლის ფიფქივით დადნება წლები,  
სულიც დაცხრება ქარიშხლის დარად.  
მოვისმენ ძველ და ნაცნობ მონოლოგს  
და დავეშვები მიწაზე ქარად.

შემდეგ ვიქცევი უნაზეს სიოდ  
იმედს ბალდივით შევისვამ მხარზე,  
ღმერთის ტაძარში ჩამოვიქროლებ,  
ბედნიერებას დავუნთებ სანთელს!

### მოლოდინით დავიღალე

უსასრულო მოლოდინით  
გამითეთრდა თმები,  
ვერა და ვერ გადიკვეთა  
სიყვარულის გზები.  
მოლოდინით დავიღალე,  
დავემსგავსე ტირიფს,  
სიყვარულს რომ ვერ პოულობს  
და ყოველთვის ტირის.

## შეჩერდი წამო!

შეჩერდი წამო, სულ ერთი წამით  
და მათქმევინე ჩემი სათქმელი,  
შეჩერდი წამო, სულ ერთი წამით  
ამანთებინე შენთვის სანთელი!  
ამომასუნთქე და დამამშვიდე,  
მაჩუქე წამი შენზე ლოცვისთვის.  
შენა ხარ ის დრო, როცა იწყება  
სიცოცხლე – ქვეყნად ისევ მოსვლისთვის.  
შენა ხარ ის დრო, რაიც ჭირდებათ  
ადამიანებს სასიხარულოდ,  
შენა ხარ ის დროც, როცა იწყება  
სიცოცხლე – ქვეყნის ძალა ფარული.  
შენა ხარ ის დრო, რაიც ჭირდებათ  
ადამიანებს გულით სალხენად,  
შენა ხარ ის დროც, როცა ითქმება  
სულ სამი სიტყვა, როგორც გამხელა,  
პოდა, შეჩერდი სულ ერთი წამით,  
სულ ერთი წამით მაჩუქე დარდი,  
შემდეგ თუნდ წუთად გადაიქცი,  
არ მოიხედო და ისე წადი!

## წვიმის წვეთი

მინდა სადღაც ჩავიკარგო ნისლში  
უშენობის განვიქარვო სევდა,  
გადავიქცე წვიმის ცისფერ წვეთად,  
ხმა მესმოდეს მოჩურჩულე ხეთა.  
რომ ქარდაქარ გაფანტული ფიქრი  
მოგწვდეს სადღაც და გიცვალოს ფერი,  
იქნებ მენაც გადაიქცე მზედ და  
წვიმის წვეთი - შემისრუტო ცქერით.


---

### დარღის სარეცელი

მე მივეჯაჭვე დარღის სარეცელს,  
დარღის კუნძულზე ავაგე კოშკი  
შემდეგ კი დარღის ფარდით შევმოსე  
და დარღის შავბნელ გოდოლში მოვხვდი.  
დარღის სამოსელს ვიძარცვავ ახლა...  
დარღის ნაწნავიც დავშალო მინდა,  
დავგლიჯო დარღის მძიმე ფარდებიც  
იმედის ზოდი მოვტეხო ციდან.  
შემდეგ დავტოვო დარღის კუნძული  
და გადავსახლდე იმედის ტბასთან,  
რომ არ ვიარო დაწყვილებულმა  
ისევ სევდის და დარდების დასთან.

### დავიბენი

დავიბენი, აღარ ვიცი,  
ვის მივმართო, ვისა,  
სად ვეძებო სამართალი,  
ზეცაში თუ ძირსა.  
იქნებ ღმერთო, გადმოხედო,  
დამაყენო გზაზე,  
იქნებ თვალი ამიხილო  
სიზმარსა თუ ცხადზე...  
მინდა კარგად გავერკვიო,  
ვის მივანდო ბედი...  
ვინ განაგებს ქვეყნის ტრიალს –  
სატანა თუ ღმერთი?!



ცნობილი ქართველი მუსიკოსი ნუგზარ ერგემლიძე, როგორც ბევრი ჭეშმარიტი შემოქმედი, მონათე სავე სფეროშიც მოღვაწეობს. იგი წერს საყურადღებო ლირიკულ ლექსებს. მათი წაკითხვისას იკრძობა, რომ გულწრფელი სტრიქონები მომღერლის დაწერილია და ლამის მკითხველიც აამღეროს. ნუგზარ ერგემლიძის საკუთარ ტექსტზე დაწერილი სიმღერა „თუთიყუში მარჩელო“ ჰიტად იქცა მთელ საქართველოში, ასევე არა ერთი სიმღერაც.

მკითხველს ვთავაზობთ ნუგზარ ერგემლიძის ლექსებს და იუმორისტულ ნოველას „როლანდო და როლანდინი“, რაც დარწმუნებულები ვართ, ჩვენი უურნალის მკითხველების დიდ დაინტერესებას ვამოიწვევს.

### ალექსანდრეს ბალი

ალექსანდრეს ბალის სკამზე  
დახურული ბარათი,  
ეგდო როგორც მკვდარი გედი,  
როგორც სევდა მარადი.

„ჩვენ ამ ბალში პაემანზე  
მთელი წელი ვიდოდით.“  
გაწყვეტილი აზრის ბოლოს  
ჩანდა სიტყვა „მშვიდობით“.

გული დამწყდა. შემოდგომის  
ცივმა ქარმა დაჰქროლა  
წერილი კი გაყვითლებულ,  
ფოთლებს თან გააყოლა.

ასე გაჰყვა ბედისწერას  
პირმცინარი გოგონა,  
ჩემზე კარგად იცით ბევრმა  
ქვეყნად ხდება როგორაც...

თვალებში დგას ჩუმი სევდა,  
ღიმილით შეფერილი,  
ო, რა დიდხან ათამაშა  
ქარმა მისი წერილი...

დრო გავიდა... ეფინება  
მწვანე მდელოს სხივი მზის,  
ალექსანდრეს ბალის სკამზე  
ახლა სულ სხვა წყვილი ზის.

აღარავის აღარ ახსოვს  
სიყვარულის ბარათი,  
არაფერი არ ყოფილა  
ქვეყანაზე მარადი!

## მცხეთა

მოვდივარ, ვმღერი თან მომყვება  
შრიალი ხეთა,  
კამკამა მტკვარში ირეკლება  
ნანატრი მცხეთა!

დამლოცავს წმინდა სამკუთხედი  
ქართველი ერის:  
სვეტიცხოველი, სამთავრო  
და ჯვრის მონასტერი!  
ხორკლიანი ხეები ხეკორძულას ხევში,  
წამლეკავი წვიმებით წაზნექილი წელში,  
საქართველოს სათავე – სამთავროთა ეშნი  
მცხეთა! – მადლი მცხეთა!  
მაცხოვარი მზეში!

მოვდივარ შენთან, მშვენიერო  
პირველ ქალაქო,  
შენი ტაძრიდან  
მინდა უფალს ველაპარაკო!

შენთვის ვილოცებ საქართველო,  
ვიმღერებ შენთვის...  
მწამს, შეგვეწევა  
დიდი მადლი პატარა მცხეთის!

## წიგნი

მარჯნის თითთა მიმოფრენა  
ახსოვთ შავ-თეთრ კლავიშებს.  
სიყვარული - წმინდა ცრემლით  
დაპკურებულ ბალიშებს...

გულგრილობა – ზაჰესივით  
მოელვარე რესტორანს.  
ძმაბიჭობა, მტკვარზე ტივი  
- ძველ მედუქნე ნესტორას...

ბალერინა ახსოვს სცენას,  
თავის მსუბუქ ნახტომით,  
ძალლს არასდროს ავიწყდება,  
მისი ძველი პატრონი...

საყვავილეს ახსოვს ია,  
- გაზაფხულის დესპანი.  
სტუდენტს ჩათვლის წიგნაკი და  
ბრაზიანი დეკანი.

მატარებელს - მგზავრები და  
მარტოსული მეისრე...  
ტახტი ოხვრით გაიხსენებს  
ზურგსშემოჯდარ კეისრებს...

ჩემოდანი ჭრელა-ჭრულებს,  
იატაკი - ხალიჩებს...  
თითო ხსოვნას, მოკლედ რომ ვთქვა,  
ბევრი გაიჩალიჩებს...

მაგრამ წსოვნა არ იქნება,  
ქვეყნად რაც არ გინახავს,  
მხოლოდ წიგნი ყველას წსოვნას  
გრაალივით ინახავს.

1994

### გული

გული პატარა სამყაროა  
ვარსკვლავებით და მზით...  
გულში მრავალი საღამოა  
მთვარით, ბაღით და ზღვით...

გულში ჭალრები შრიალებენ  
გზას ულოცავენ წყვილს,  
მერე კაცები ჭიქებს სწევენ,  
გარეთ კი წვიმს და წვიმს.

გულში ათასი ზღაპარია  
ქართულ მთების და ტყის...  
გული სიკეთის ლამპარია  
მანათობელი გზის...

გულში პატარა ჩიორაა,  
სამოთხისდარი წმით.  
და იქვე მწარე ჭრილობაა,  
- წსოვნად ორგული ძმის.

გული გააღეთ! ავდარია!  
თავშესაფარი - მწირს!  
გული პატარა საყდარია  
სანთლით, ხატით და ჯვრით!

---

### ბათუმი. პლაჟი.

ხსოვნის ტალღაზე ვხედავ  
ფრაგმენტს გარდასულ ფილმის,  
მაბნევ და მაინც ვძედავ:  
გილიმი, გილიმი...

შენ თეთრ შეზღუდვზე წევხარ,  
მიცქერ ირიბი მზერით...  
შოკოლადი და რძე ხარ:  
გიმლერი! გიმლერი!...

ისეთი ლურჯი  
თვალები...  
ისეთი ურჩი,  
თავნება,  
ვერ გადავურჩი,  
ამ გამოუცნობ  
არსებას...

...მერე მიდიხარ ზღვასთან,  
გიცქერს ათასი თვალი...  
ასეთი მაინც რა ხარ:  
ქალი თუ ღმერთქალი!

მზის ელვარება მწვავს თუ,  
შენი მხურვალე ტანი...  
გაახსენდები ბათუმს  
ისე, ვით სიზმარი!

ისეთი ლურჯი  
თვალები,  
ისეთი ურჩი,  
თავნება,  
ვერ გადავურჩი!...

## ალ კაპონე

(სიცილ-სიზმარი)

დამესიზრმა სან-ფრანცისკო...  
საოცარი ზიდებით...  
ფანტასტიკურ გოგონებით,  
შავი ლიმუზინებით...

იყო რესტორანი, უღერდა ჯაზ-ორკესტრი,  
სევდა სვინგნარევი...  
იყო იდილია, რაღაც ისფერი,  
რაღაც გადასარევი!

შემოვიდა ალ კაპონე,  
განუყრელი ამალით...  
ამაყი და თავმომწონე,  
ბაფთიანი მამალი!

ერთი-ორი გაისროლა,  
ერთი-ორი - დალია... მაფიოზმა განთქმულმა,  
მერე ჩემსკენ მოიხედა:  
„რავა ხარო, ძამია!“ - ჩამჩურჩულა ქართულად!

„არვინ იცის ქვეყანაზე,  
თუმც დიდად ვარ განთქმული,  
- ალიკა ვარ, ბიჭო, კაპანაძე,  
მენატრება ქართული!

...და დილამდე ვიქეიფეთ,  
„შამპანი“ ვსვით თასებით...  
აქეთ - მულატები, იქით - განგსტერები!  
დიქსილენდი! ჯაზები!

რომელიდაც მაგიდიდან  
გაისროლეს უცებ ფიშტო...  
(გამეღვიძა...) „ჩაო, ჩაო, საოცარო  
სან-ფრანცისკო!!!“

\* \* \*

მთვარე ჰყვება ლეგენდას,  
უსმენს მიწა დაღლილი . . .  
სიზმრად შემოიხედავს  
საუკუნე ჩავლილი. . .

დგას ბერმუხა მძლავრ ფესვზე,  
მუმლი შემოხვევია,  
და ილიას თვალებზე  
საქართველოს ცრემლია.

მის: ეს საწუთრო ასეა, მივალთ მივედინებით...  
გული რწმენით სავსეა, იმედებით სავსეა,  
საქართველოს შვილების.  
ეს საწუთრო ასეა, მომავალი კარზეა!  
ნიჭით გამოვბრწყინდებით!

მზე ოქროს ტახტს დაიჭერს,  
ივერთ მიწას დაპხარის,  
მალე შემოაბიჯებს  
საუკუნე ახალი!

დგას ბერმუხა მძლავრ ფესვზე,  
გაპქრა ძველი ტკივილი.  
კრთის ილიას ბაგეზე,  
საქართველოს ღიმილი!

\* \* \*

ის მარტოდმარტო ცხოვრობდა მთებში,  
ჩუმი ღილინით ვიდოდა მთა-მთა  
და როს ღმერთს მისი ხმა ბეზრდებოდა  
ის საუბრობდა საკუთარ თავთან...

ბევრჯერ აცივდა და ბევრჯერ დათბა,  
თვალწინ გაფრინდა გრძელ წელთა რიგი  
და როცა წლების მობეზრდა დათვლა,  
საკუთარ თავსაც მობეზრდა იგი.

ო, მარტოობავ, გართობავ ღმერთის!  
აუწეველო სიმბიმევ კაცთა...  
ნუგეშად გვერგო ჩვენ ერთმანეთი  
ვით უპდავების მაცდური განცდა...

გარინდებული იდგა ქვეყანა,  
და მხოლოდ იგი მღეროდა სოლოს...  
აპლოდისმენტად თვით ვარსკვლავთცვენა  
და ეს დიდებაც მობეზრდა ბოლოს...

\* \* \*

სიმყუდროვით სრულით,  
ომგადახდილ გულით,  
ბელურების გადაძახილს ვუსმენ...  
წიგნში ჭკნება ვარდი,  
თქვენი მისამართი  
შეუნახავს გაყვითლებულ ფურცელს...  
ახლა, რაც დავშორდით,  
რატომ მომაგონდით?  
თავს აუხდენ სურვილებში ვიჟერ...  
კვნესის ეს აკორდი:  
„მოდი, მოდი, მოდი!“  
და ცრემლებს ჰევრის  
თმაშევერცხლილ ბიჭებს.  
პოეზია შელის,  
ახლა ისე მშველის,  
ბაირონიც დამავიწყდა ურჩი...  
დღეს ერთმანეთს ველით  
მოქიშენი ძველი:  
თქვენ სიყვარულს  
ვინაც გადავურჩით!

**თოვლი**

თოვლი თეთრად ფერავს  
ჩაძინებულ ქალაქს  
და მთელი წლის ცოდვებს,  
თეთრ საფარქვეშ მალავს...

თოვლი ნელა – ნელა,  
ფიფქზე აფენს ფიფქს  
ახლა იწყებს ყველა  
შეცდომებზე ფიქრს!

თოვს! მთელი დღე თოვს!  
თოვს მთელი დღე...  
თოვლი ყველაფერს ფარავს,  
მოგონებებს კი – ვერ!

თოვლის თეთრი ფარდა,  
მალავს თვალზე ცრემლს...  
ყველას მე შენს გარდა  
ველოდები დღეს!

ახლა ისე ბარდის,  
ჩიტიც ვერ შლის ფრთას –  
ხიდან ჩამოვარდნის  
ეშინია მას!

## როლანდო და როლანდინო

როლანდო პროვინციული თეატ-რის მსახიობი იყო. თეატრი, ფეხბურ-თი, ქეიფი და ქალები უყვარდა. შეი-ძლება ეს თანმიმდევრობა ბოლოდანაც დაგვეწყო, ბევრი არაფერი დამავდებო-და ამით. უდი პლომო მსახიობი არანაირ წოდებას არ ატარებდა; ასე წერდნენ აფიშებზე: „მსახიობი როლანდო“. ერთხ-ელ საპრემიერო აფიშას მეგობრებთან ერთად კითხულობდა: „მკვლელობა აეროპორტში“. მონაწილეობები: რესპუბ-ლიკის სახალხო არტისტი ნინო სკა-ნინი, რესპუბლიკის სახალხო არტის-ტი მანჩუ შერვინო, რესპუბლიკის სახ-ალხო არტისტი იურის ცანინო, რეს-პუბლიკის სახალხო არტისტი სიმო-ნე დარჩინი და მსახიობი როლანდო კაკაურე. როლანდომ მეგობრებს გადა-ხდა და სიცილით უთხრა:

— „რას წევალობდნენ ამდენს ამ აფიშის შემდგენლები? უბრალოდ დაეწ-ერათ: მონაწილეობენ როლანდო და რესპუბლიკის სახალხო არტისტები, ასე არ აჯობებდა?“.

ზოგს ეგონა, რომ ძალიან განიც-დიდა უტიტულობას, მაგრამ არა, მას პოპულარობა არ აკლდა, ცოტა ფუ-ლიც ჰქონდა და სახლში ბიჭი ეზრდე-ბოდა - როლანდინი. ფეხბურთში ბრაზილიას გულშემატკივრობდა, თე-ატრში სახასათო როლებს ირგებდა, ჩუმად კი ოცნებობდა ჰეროიკულ როლებზე, მაგრამ... ყველა რეჟისორი, ვინც კი ამ თეატრში ჩამოსულა (თითქოს პირი შეკრესო), სახასიათო

როლებს სთავაზობდნენ. ერთხელ, ახა-ლი რეჟისორი წარუდგინეს მსახიობ-თა დასს. გოგინო ქავთა - დედაქალა-ქიდან იყო, ახალგაზრდა და პოპულარუ-ლი. რეჟისორმა ზოგადად ისუბრა შემოქმედებით გეგმებზე, რამდენიმე ქა-თინაური წარმოთქვა თეატრის კოლექ-ტივის და საკუთარი ინტუიციის მის-ამართით და ტუალეტს მიაშურა. რო-ლანდოსაც რატომლაც მაშინ „მოუნ-და“. მთავარი რეჟისორი უკვე „ას-რულებდა“ პროცესს... როცა როლან-დო გვერდით მოუდგა. უხერხული სიტუ-აციის გამო ჭერს მიაპყრო მზერა და რაღაცის სტვენა წამოიწყო. გოგინო ქავთამ ეშმაკურად გადახედა მისთვის უცნობ მსახიობს და ჰკითხა: - ბა-ტონი ჩემო, თქვენ ალბათ არ გინახავთ, როგორ შარდავს მთავარი რეჟისორი?

როლანდომ სასწრაფოდ მიუგო: - მაი ნამდვილად არ მინახავს, მარა რაფერ იჯვამს მთავარი რეჟისორი, ბევრი მინახავს ამ თეატრში!

ქავთამ სიცილი ძლივს შეიკავა და სუნთქვაშეკრული გავარდა ტუა-ლეტიდან...

მეორე დღეს, თეატრის თანამ-შრომელმა როლანდოს „ახარა“ - მთა-ვარი რეჟისორი გიბარებს. როლანდო, რა თქმა უნდა, მიხვდა, რას ნიშნავდა ეს. გაეშურა ქავთას კაბინეტისაკენ, თან ფიქრობდა, თოჯინების თეატრში ხომ არ მოესინვა თავი. არც შეუხედავს რეჟისორისათვის ისე ჩამოვდა შემო-თავაზებულ სკამზე... როლანდო

ფიქრობდა „დამიწყებს ახლა, რა და-  
ვამთავრე, როგორ მოვხვდი თეატრში“.  
გოგინომ იცნო თუ არა როლანდო,  
თვალებში ეშმაკები ჩაუკდნენ. მან ამ  
დილით თანამშრომლებს ჰქონია:

- ერთი ეს მითხარით, ვინ არის  
ჩვენთან ისეთი, აი... ქეიფის, „პაზელი-  
ის“ და ამნაირი საქმეების სპეციალ-  
ისტი?

- როლანდო! - ერთხმად მიუგეს  
თეატრალებმა...

- ესე იგი, თქვენ ხართ კაკურე? -  
ძალით დაისერიოზულა თავი ქავთამ.

როლანდომ მხრები აიჩეჩა და  
იმავდროულად ხელები გაშალა. ეს ისე  
სასაცილოდ გამოუვიდა, მთავარმა თავი  
ვერ შეიკავა და გაუცინა:

- როლანდო, „ბოჩკის პივა“ ხომ  
არ იცი სად არის? თავი მისკდება,  
გუშინ მანჩუმ იმდენი დამალევინა!

- ასეა! ბანკეტი სახალხო არ-  
ტისტებისაა და „ბოჩკის პივა“ მსახ-  
იობ როლანდოს პრეროგატივა...

კარგი ლუდი იყო პროვინციაში,  
ზღვისპირას ჩამოსხდნენ და მწვადი  
და „ბოჩკის პივა“ შეუკვეთეს. იქეთური,  
აქეთური თქვეს. თან ლუდს სვამდნენ.  
ოფიციანტმა მწვადი მოიტანა. მწვადზე  
ალყა—ალყა ხახვი იყო დაყრილი. რო-  
ლანდომ მწვადს დახედა, ქავთასაც  
შეახედა და ოფიციანტს უთხრა:

- წადი, ამ ხახვს ცოტა მწვადი  
მოაყარე და მოდი!

სანამ მწვადი მოვიდა, „ტარანის“  
დამუშავება დაიწყეს.

- ამას ჩვენთან, მთავრობა ახაწილებს,  
- სინაწულით წარმოთქვა ქავთამ...

- ვუთხარი, მთავარი რეჟისორი რომ  
ხარ და...

- ესე იგი, ასეთი დიდი ავტორი-  
ტეტით სარგებლობს მთავარი რე-  
ჟისორი ამ ქალაქში? - მიამიტად  
იკითხა გოგინომ...

- სანამ ლუდს სვამს და მხოლოდ  
შარდავს, კა! - დიდხანს იცინეს.

- უკვე მთელმა ქვეყანამ იცის შენი  
ამბავი, - თვალი ჩაუკრა ქავთამ რო-  
ლანდოს.

მალე როლების განაწილება და  
პიესასთან გაცნობა დაიწყო.

- ექვსი ქალი თამაშობს და ერთი  
მამაკაცი... ქალები გვყავს, კაცია პრობ-  
ლემა... - ფიქრიანად დაასრულა წი-  
ნადადება გოგინო ქავთამ.

- აგერ არ ვარ? - თქვა როლან-  
დომ და წამოდგა. ყველამ გადაიხარხ-  
არა.

- საქმე იცი რაშია? პიესა ომზეა...  
შენ ომზე შექმნილი პიესებიდან ცუმ-  
ბუშის\* როლი მოგიხდებოდა, ეს კი...  
ტრაგედიაა... თითქმის!

- რა პიესაა, პატივცემულო? -  
იკითხა მანჩუმ.

- რუსულია, მეორე მსოფლიო ომს  
ეხება, ტრაგედია.

- მე არ გამოვდები? - იკითხა  
სახალხო არტისტმა.

- თქვენ უფრო დონ-კიხოტის  
როლი მოგიხდებოდათ!

- კარგი აზრია! - თქვა როლანდომ,  
- მე სანჩო ვიქენები!

ქავთამ თავი დაუქნია, მართლაც  
„კარგი აზრიაო“, ანიშნა.

- ესე იგი კაცი არ გვყავს? - შეშ-

\*ცუმბუში - ჩეხი სამხედრო კომიკური პერსონაჟი

ფოთებით იკითხა ცირანა აბბამ.

- მოდით, პიესა წავიკითხოთ და მერე ვიმსჯელოთ.

პიესა დიდხანს იკითხეს...

- ისე გამოდის, - თქვა იურუსმა - ეს კაცი მოელი ორი მოქმედება სცენაზეა, წუთით მოსვენება არა აქვს, დარბის, ისვრის, წყალი მოაქვს, ყველა რეპლიკას პასუხობს, ტელეფონზე უფროსს ესაუბრება, ქალებს ბრძოლას ასწავლის... რთულია! - დაასკვნა ბოლოს.

სიჩუმე გამეფდა.

- ესე იგი, არავინ გვყავს მოხალისე? - ყველანი შეათვალიერა ქავთამ.

- ასე გამოდის! - თქვა ვიღაცამ.

- მაშ, სხვა გზას დავადგეთ! შენ ხომ იყავი მოხალისე? - ბრძანებაშეპარული კილოთი მიმართა როლანდოს.

- კი ვიყავი, პატივცემულო, მოხალისე, მაგრამ ამ პიესის წაკითხვის შემდეგ . . . დამეკარგა ხალისი!

- ომის ენაზე ხომ ვარ მე თქვენი გენერალი?

- აქამდე დირექტორი გვეგონა გენერალი! - ჩაიბურტყუნა ვიღაცამ.

- არა! - იჭექა გოგინო ქავთამ, - თეატრში მთავარი რეჟისორია გენერალი.

- ნება თქვენია, ბრძანდებით... - ჩაილუღლუღა როლანდომ.

- ჰოდა, როგორც გენერალს, მე მაქვს უფლება ამ სპექტაკლზე როლი კი არ დავნიშნო, არამედ პირდაპირ სამხედრო მოწვევა გავუგზავნო ნებისმიერ თქვენთაგანს!

- აი, ეს მესმის! ასეთი რამ სტანისლავსკისაც არ უთქვაშს!

- რა ბრძანეთ? - თვალები დააბრიალა ქავთამ - ახლა ნამდვილ გენერ-

ალს პგავდა, სამხრეთის შტატებიუს კონფედერაციის გენერალს.

ყველამ თავი ჩაღუნა. „გენერალმა“ ყველა ყურადღებით შეათვალიერა. როლანდომ სიჩუმეში მანჩუს უთხრა:

- ხომ არ მოვწონდი? ჩემი ბედი, რომ ვიცი, ახლა მე დამადებს ხელს.

- როლანდოს გაეგზავნოს სამხედრო მოწვევა! - უცებ გადაწყვიტა გოგინო ქავთამ.

კაცებმა ამოისუნთქეს. ქალები ზუსტად ექვსი იყვნენ საბრძოლო ასაკისა და ისე გავიდნენ ოთახიდან, არც უკითხავთ, ვინიშნებით თუ არა როლზე. როლანდო უხმოდ მივიდა ქავთასთან, ხელი სამხედროსავით ფურთან მიიღო, გაიჯვიმა და მხედრული ხმით მიმართა:

- ნება მიბოძეთ, ბატონო გენერალო, განცხადებით მოგმართო!

ქავთამ:

- თავისუფლად! ჯარისკაცო როლანდო! განცხადებით წერილობით მომმართეთ! განვიზილავთ!

მეორე დილით მთავარ რეჟისორს ასეთი სახის განცხადება ედო მაგიდაზე:

„ჩვენი თეატრის მთავარ რეჟისორს გოგინო ქავთას, მსახიობ როლანდო კაკაურეს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ სამედიცინო შემოწმების შედეგად, დამიდგინეს 11 . რაც იმას ნიშნავს, რომ მშვიდობიან პერიოდში დაწუნებული ვარ სამხედრო სამსახურისათვის, ხოლო ომის დროს ვარგისინი ვარ კარტოფილის თლაზე! ასე რომ, გთხოვთ გამათავისუფლოთ შემოთავაზებული როლიდან.

\* \* \*

როლანდო რესტორანში ქეთიფობდა. გვიან დამით მისმა ცოლმა მანჩუსთან დარეკა:

- როლანდო შენთან ხომ არ არის?

- არა, არ მინახავს, არ ვიცი სად არის! - უპასუხა ძილგატეხილმა შერვინობ.

ორი საათის შემდეგ ისევ გაისმა ტელეფონის ზარი.

- ბოდიში, ისევ რომ გაღვიძებ... მაგრამ როლანდო ხომ არ გამოჩენილა?

- არა, არა! - გაწამებული ხმით ჩასძახა ყურმილს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა.

როლანდო დილის 5 საათზე მორჩა ქეთის. ნახევარ საათში სახლს მიადგა. ცოლმა საყვედლურის კორიანტელი დააყენა:

- მთელი დამე ვურეკავდი მანჩუ შერვინს, შენს ძებნაში კაცი არ დავაძინებლამაზია ახლა ეს, როლანდო? ამხელა კაცი ვანერვიულე!

როლანდო ტელეფონთან მივიდა, ყურმილი აიღო და შერვინის ნომერი აკრიფა.

- დი...ახ! ! ! - გაისმა შერვინის ტრაგიკული ხმა.

- აღარ ინერვიულო! სახლში დავბრუნდი! - დაამშვიდა მეგობარი როლანდომ.

- დამაძინეთ... თქვენი... - გაისმა ყურმილში. ვინ იცის, კიდევ რა თქვა მანჩუმ, მაგრამ როლანდომ ყურმილი დადო, აღარ დაინტერესდა ამით.

- ასე ყვირის, რაღაც რომ გაუხარდება! - ჩაულაპარაკა ცოლს.

\* \* \*

როლანდოს ქალაქში ხშირად წვიმდა. ტროპიკული, დაუმთავრებელი წვიმა იცოდა აქ. ამდენი წყლისგან ფეხსაცმელი „პირს“ დაპჩქინდა ხოლმე. როლანდომ წებო „მომენტი“ იყიდა. ყოველ დამე წებოს ჩაასხამდა ფეხსაცმელში და მაგიდის ფეხს დაადგამდა ზემოდან, დილამდე რომ გაქავებულიყო. დილით, ფეხსაცმელი „სამუშაო“ მზადყოფნაში ხვდებოდა. თუ ისევ წვიმდა, საღამოსთვის ისევ დააღებდა პირს, ახლადდაჭერილი თევზიგით, მისი ფეხსაცმელი. ქავთამ დაურეკა ერთ ასეთ საღამოს:

- როლანდო, სტუმარი მყავს ცენტრიდან, ტაქსი აიყვანე და სასწრაფოდ მოდი, კაი პურმარილი მაქეს!

- ვერ მოვალ, გვიანია! - საათს გახედა და თან დაამთქნარა როლანდომ.

- სტუმარი სადგურიდან პირდაპირ ჩემთან მოვიდა, ამიტომ ვიწყებთ ცოტათი გვიან. წამოდი, წამოდი!

- ვერ წამოვალ, უკვე ფეხსაცმელში წებო ჩავასხი!

- აუჰ! რომელ წებოს ასხამ?
- „მომენტს“
- რა ლირს?
- მანეთი.
- ჩემო როლანდო, აქ სულ წვიმს და მაგ წებოს ამდენჯერ ყიდვას, ახალი ფეხსაცმელი გეყიდა არ გერჩივნა?
- მართალი ხარ, მაგრამ რა ვქნა, ფეხშიშველა ხომ არ მოვალ?...
- პაუზის შემდეგ ქავთამ მოისაზრა:
- ტაქსში ვინ დაგინახავს, და აქ რაღაცას მოგცემ, შინაურულად იქნე-

ბი...

- კარგი, - დაეთანხმა როლანდო. ფეხსაცმელი და წებო გაზეთში შეახვია და ტაქსი გამოიძახა.

- სა მიგაქვს ეგ ფეხსაცმელი? - შეეკითხა გაკვირვებული მეუღლე.

- იქედან ფეხშიშველი ხომ არ დავბრუნდები?

ცოლმა ვერაფერი გაიგო. მხრები აიჩეჩა.

სტუმარი როლანდოსთვის ცნობილი ადამიანი აღმოჩნდა. ერთმანეთს გადაეხვივნენ. ქავთამ გაზეთში საგანი შეამჩნა.

- ეს რა არის? საჩუქარი მომიტანე?

- ჰო, ფეხსაცმელი და წებო! - გაუცინა როლანდომ. - მაგიდა ხომ გაქვს? - მაგიდისაკენ დაიძრა, ოდნავ წამოწია და მას ფეხსაცმლის წვერი შეუშვირა.

- კაცო, სახლში მაგიდა არ გქონდა? - გაოცდა გოგინო.

- ამას სიმძიმე უყვარს! - მრავალმნიშვნელოვნად, თითის აწევით წარმოთქვა როლანდომ - ცარიელი მაგიდა ვერ აწებებს კარგად, როგორც კი მითხარი, ცენტრიდან მყავს სტუმარიო, მაშინვე მივხვდი, არ იძუნწებდი და საკმაოდ „დაამძიმებდი“ პურმარილით მაგიდას! ა, ახლა ჩვენ ვიქეიფოთ და ამასობაში ეს ისე დაწებდება შენი მოწონებული!

სტუმარი ძალიან გაართო ამ სიტუაციაში:

- ესე იგი ვქეიფობთ წარმოებისგან მოუწყევეტლად, არა?

- რა ვქნა, ბატონო! რასაც თეატრში მიხდიან ამ წებოზე მყოფნის მარ-

ტო... - თავი მოისაწყლა როლანდომ.

-- მოდი, წვიმას გაუმარჯოს! - თქვაცნობილმა სტუმარმა, - კარგია, როცა წვიმს და შენ გადახურულში ხარ! მეგობრებთან, ბუხართან, ფიქრობ, ოცნებობ, გიყვარს... და ყველაფერს ამას ისე ალამაზებს წვიმა, როგორც ფილმს საუკეთესო მუსიკალური თანხლება...

- უკაცრავად, - შეაწყვეტინა როლანდომ სტუმარს, - წებო არ დაგავიწყდეთ...

- წებო რა შეაშია?

- მაგი წვიმაა, გაზეთით რომ დამატარებინებს საკუთარ ფეხსაცმელს, ყოველდღე ერთი ტუბი წებო სჭირდება აქაური წვიმით დამბალ ფეხსაცმლს, პირი რომ შეკრას...

- ოოო, ეგ სულ დამავიწყდა! ჩემო გოგინო, უყიდეთ ჩემს სახელზე ბატონ როლანდოს წყალგამძლე, ახალი ფეხსაცმელი! - ფული გაუწოდა ქაფთას სტუმარმა.

გოგინომ თვალი ჩაუკრა როლანდოს:

- ამაზე რას იტყვა, როლანდო?

- რა უნდა ვთქვა: წვიმას გაუმარჯოს, კარგია როცა წვიმს და შენ გადახურულში ხარ, ფიქრობ, ოცნებობ, გიყვარს! და თან... უკვე ფეხებზე გკიდია მაგიდის ფეხის ქვეშ შემოდებული ფეხსაცმელი! - სიცილ-ხარხარში როლანდო სტუმარს გადაეხვია.

- კაი კაცი ხარ, ჩემო როლანდო, კაი კაცი! - ცოტა ხანში ახალი სადღეგრძელო წამოიწყო ქავთამ, - და კაი ბიჭიც გეხრდება - როლანდინიო.

- ოოო, გაგიზარდოს ღმერთმა, - ფეხზე წამოდგა სტუმარი. - შენგან

ბევრ რამეს ისწავლის!

- კი, მეტვანება ნელ-ნელა! რაც მთავარია, „დეტსკი“ წებო ვუყიდე და სათამაშო მაგიდის ქვეშ ფეხსაცმელს წებავს უკვე!

სტუმარმა საფულე დააძრო.

- სტოპ! - შეაჩერა სტუმარი გოგინომ - როლანდინიოს მე ვაფინანსებ! - ჯიბეზე ხელი გაიკრა მთავარმა რეჟისორმა.

- იცის, ბავშვის ფეხსაცმელი უფრო იაფი რომ ღირს! - თვალი ჩაუკრა როლანდომ სტუმარს. - ისე, გოგოც მყავს სახლში, სკოლაში დადის! - სტუმარმა ისევ გახსნა საფულე...

- ა, ახლა დავრწმუნდი ამ ანდაზის სიმართლეში: სტუმარი - ღვთისაა! - ჭიქა ბოლომდე დაცალა როლანდომ.

\* \* \*

როლანდინიო მამის კვალს გაჰყვა და სკოლის დამთავრების შემდეგ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ერთი კურსელი ჰყავდა, ყოველდღე ქვით ხელში შემოაღებდა აუდიტორიის კარს.

- რა არის ეს? - ერთხელ ჰქითხა როლანდინიომ.

- ეს ჩემი მეგობარია, - მრავალმნიშვნელოვნად უბასუხა თანაკურსელმა. ჩანდა, თავის გამოჩენა უნდოდა.

ერთხელაც, ხელში ქვა რომ ვეღარ დაუნახა მას, როლანდინიომ შეპკივლა:

- რაიმე უბედურება ხომ არ დაგემართა? სადაა შენი ქვა?

- დამავიწყდა, დილით ვჩქარობდი... - ჩაილულლუდა ამხანაგმა.

- ოოო, ეს ღალატია! მეგობრის ღალატი კი ყველაზე ღიღი ცოდვაა. მთელი კურსი ახარხარდა ამ სიტყვების გაგონებაზე. ასე სიცილ-სიცილით დაამთავრა საკლუბო-სადირექტორო ფაკულტეტი და ცირკში ადმინისტრატორად მოეწყო ჩვენი როლანდინიო.

ერთხელ დირექტორმა სერუიომ დაიბარა:

- ჰამადრიილები ჩამოვიდნენ... მაგარი ატრაქციონია, - უთხრა დირექტორმა, - სხვათა შორის, წითელ წიგნში შეტანილი მაიმუნებია. კარგი რეპლამით ბევრი ხალხის მოზიდვა შეიძლება, მაგრამ, რა... - ამოიოხრა სერუინიომ, - მთელი ფული გადასახადებში მიდის . . .

როლანდინიო მყის მიუხვდა უფროსს:

- საჭმლიდან მოვტეხოთ! რას ჭამენ ეგ მაიმუნები?

- ნიგოზი!

- თხილი ვაჭამოთ! ნიგოზი 20 დოლარინო ღირს, თხილი 1 დოლარინო. 20 - 1 უდრის 19-ს. ცოტა მეც შემწვდება, ალბათ. - თვალებში შესციცინა როლანდინიომ სერუიოს.

- რა თქმა უნდა! როგორც ყოველთვის უქმაყოფილო არ დარჩები... - ფიქრებში წასულმა უფროსმა ჩაილაპარაკა - მაგრამ... როგორ უნდა მოახერხო ეს?

ცოტა ხნით სიჩუმე გამეფდა. როლანდინიომ შებლში ხელი იტკიცა:

- მაიმუნების მწვრთნელი რუსეთიდანაა ხომ?

- კი, რუსია! - კვერი დაუკრა დირექტორმა.

- რუსულად ნიგოზიც და თხილიც ერთნაირად უდერს „ორეხი“ - ცოდნა გამოამჟღავნა როლანდინიომ.

- ააა?! - თვალები გაუბრწყინდა სერეიო უფროსს. - ეს ხომ გენიალურია! ჩააწერინე „ორეხი“ 20 დოლარინიოდ და მაიმუნებს აჭამე „ორეხი“ 1 დოლარინიოდ!

- მთავარია, რუსი „შევპეროთ“;

- ეგ მე მომანდეთ! მაგრამ, უფრო მთავარია მაიმუნებმა 1 დოლარინიოთ ღირებული „ორეხი“ ჭამონ! ცოტა ფული მომეცით, რუსს არაყი რომ ვუყიდო!

როლანდინიომ ფული აიღო და მწვრთნელს არყის ბოთლით მიაშურა. ცხელოდა სამხრეთ ამერიკანოში, მაგრამ, რუსი რისი რუსია, არყის დანახვაზე ხასიათი რომ არ გამოკეთებოდა.

- ვოტ! ეტო დელო! (აი ეს საქმეა!)

- გაიცინა მაიმუნების მწვრთნელმა.

როლანდინიომ ბანანი გაფუქვნა და რუსისკენ დადო.

- ზაკუსკა! ზაკუსკა! - გაუცინა ადმინისტრატორმა..

რამდენიმე ჭიქის შემდეგ როლანდინიომ კვების რაციონზე ხელის მოწერა მოითხოვა სტუმრისაგან.

- ნეტ! ნი ვ კოემ სლუჩაე (არა, არა! რავა გეკადრებათო!)

- „ორეხი“ „ორეხი“! - ერთდოლარინიოდ ღირებულ თხილზე მიუთითებდა კონტრაქტის გრაფაში.

კიდევ ერთი „ნეტ“ რომ მიიღო, როლანდინიო წამოხტა და იქვე მყოფ მაღაზინიოში შეიჭრა.

- ვოდგა! - დაუძახა გამყიდველს.

- ტემპერატუროს! - თერმომეტრზე

მიუთითა გამყიდველმა.

თერმომეტრი +50-ს აჩვენებდა, თან თითო საფეხქელთან დაიტრიალა. რაც მათ ენაზე „გიუ ხომ არ ხარო“-ს ნიშნავს. როლანდინიომ ფული დახლზე დაუდო და ცირკში ახალი ბოთლით დაბრუნდა.

- „ვოტ! ეტო დელო!“ (ეს უკვე გადავთარგმნეთ!)

გახარებულ რუსს როლანდინიომ კონტრაქტი „შეაპარა“.

- „ორეხი“ 1 დოლარინიოდ! - თან ხევწნა-მუდარის ნიშნად ყელი გამოიწია.

- „ლადნო! ტვოე ვზიალო!“ - გაიცინა ჰამადრილთუხუცესმა. ავტოგრაფი იმავე ხელით დატოვა დავთარში, რომლითაც არყის ჭიქა ეჭირა. ჭიქა დაცალა და ბანანი მიაყოლა.

- პაიდიომ! - მწვრთნელმა აღმინისტრატორს მხარზე ხელი დაპკრა. როლანდინიომ გარჩეული თხილი ჯიბეში ჩაიყარა, მწვრთნელს თვალი ჩაუკრა და მაიმუნების გალიასთან მიჰყვა. მაიმუნებმა დიდი სიამოვნებით მიირთვეს თხილი. გახარებულმა მწვრთნელმა კიდევ რამდენიმე ჭიქა დასცალა...

დადგა პრემიერის დღე. სალაროში არცერთი ბილეთი აღარ იყო. ქალაქის თავიც კი ეწვია ცირკს, აღარაფერს ვამბობ მაღალ საზოგადოებაზე, რომელიც ამ სიცხეშიც კი თავის ფენისათვის შესაფერისად (თუმცა ცირკისათვის შეუფერებლად) ჩაცმულ-დახურული მოვიდა. ქალაქის მერი და მისი ცოლშვილი პირველ რიგში მოკალათდნენ. მისი დაცვა და დანარჩენი მლიქვნელმაქებრები უკანა მეორე რიგში. ყვე-

ლაფერი კარგად მიდიოდა. როლანდინი გულიანად იცინოდა, ფული უკვე საიმედოდ ედო ჯიბეში, არსაიდან საფრთხე არ ემუქრებოდა, წარმოდგენის დასასრულს ჰამადრილები წარუდგინეს პატივცემულ საზოგადოებას.

ჰამადრილები ტაშის გრიალში ტუმბოებზე შესტნებ.

- ალე, პოპ! - დაიძახა რუსმა.

ერთი ჰამადრილი ტუმბოდან ტუმბოზე გადახტა.

- დომინოს! (ლმერთო დამიცავი! ლათ.) - შეჰყვირა ქალაქის მერმა. მისმა

გამოპრანჭულმა ცოლმა, ქმრის გაქათქათებულ პერანგზე, ხმლის ნაკვალევივით წვრილი გადატრაწული დაინახა და შეჰყივლა. კივილი ასე არ უნდაო და მეორე ჰამადრილმა პირდაპირ მიასხურა საზეიმოდ ჩაცელ ქალბატონს. ხალხი აღრიალდა. შეშინებულმა ჰამადრილებმა ტრაწის ჭავლები მიუშვეს მაყურებელზე...

ჰამადრილების მიერ „გალამაზებულ“ მწვრთნელს გისოსებიდან თავი გამოეყო და როლანდინიოს ეძახდა.

- გავარილ უე ია ტებე! ეხ, ტი, პრავდა ორებ ნედობიტი! (ხომ გეუბნებოდი შე დაუნაყავო გოზინაყოო!).

შერცხვენილი როლანდინიო ცირკიდან გაიპარა.

\* \* \*

როლანდოს და გოგინო ქავთას თითქმის ერთნაირი ულვაშები პქონდათ. ულვაშებივით ჰგავდნენ ერთმანეთს მათი დღის რეჟიმები: რეჟეტიციები, სპექტაკლები და ქეიფები, დილამდე დამღლელი პურმარილები. ერთხელაც

ნაბახუსევმა, ძილგატეხილმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, იმ დღეს არ დაელიათ. გოგინო ქავთა ნაქირავებში მარტო ცხოვრობდა. შუადღისას, ნახევრად მძინარე გოგინომ როლანდოს უთხრა:

- წამოდი, ჩემთან დავისვენოთ. ცოტა წავუძინოთ და აზრზე მოვიდეთ.

როლანდოს მოეწონა ეს აზრი. შევიდნენ ბინაში და ერთადერთ, განიერ ლოგინში ჩაწვნენ. გადასაფარებლები ულვაშამდე წაითარეს. ის იყო უნდა ჩასძინებოდათ, რომ კარი უცხო მამაკაცმა შემოაღო.

- დენის მრიცხველი უნდა შევამოწმო! - შემოსძახა კარებიდან, მაგრამ ორი მამაკაცი გვერდიგვერდ დაწოლილი რომ დაინახა, შეცბა და გასვლა დააპირა.

- უკაცრავად! - ჩაიბუტბუტა.

- არ წახვიდე, შე კაცო! - დაიყვირა როლანდომ, - არაფერი გეგონოს, შემოაღე შე კაცო კარი! სად მიდიხა!

ინკასატორი შემოტრიალდა, რათქმა უნდა, ქალაქის საყვარელი ხალხი შეიცნო და უხერხულად გაიცინა.

- კარი ღია დაგიტოვებიათ და იმიტომ...

გოგინომ ჭერს ახედა.

- არ გვიწერია დასვენება! გამოგვიწერე ეგ ქვითარი. შენ კი როლანდო, წადი არაყებე! ამ პატიოსან კაცს ეჭვები რომ გავუფანტოთ.

დაღამებამდე ქეიფობდნენ როლანდო, გოგინო და ინკასატორი, თან მეტწილად ქალებზე ლაპარაკობდნენ...

- ერთხელ, - წამოიწყო როლანდომ, - აეროპორტში ვაცილებდით

სტუმარს. - თან გოგინო ქავთას თვალი ჩაუკრა. - პოდა ტაქსი გავაჩერეთ... ტაქსში ულამაზესი ქერა ქალბატონი აღმოჩნდა. სანამ აეროპორტში მივედით, ეს ქალი დავიმეგობრეთ, გვიცნო, რათქმა უნდა.

- კარგი, არ გინდა ეგ ისტორია, სირცხვილია! მოდით, ლამაზი ქალების სადღეგრძელო იყოს! - შეაწყვეტინა ქავთამ.

- მართლაც საოცარია ოქვენთან ქითიფი! და რაც მთავარია, მეზობლები გადარჩნენ დაჯარიმებას, - გაიცინა ინკასატორმა.

- მერე, რა მოხდა შემდეგ? - შეეკითხა როლანდოს მას შემდეგ, რაც ლუკმა გადაყლაპა. როლანდომ თვალებით ნებართვა აიღო მთავარი რეჟისორისაგან და გააგრძელა:

- ისე მოგვეწონა ეს ქალბატონი, რომ ზღვისპირა კაფეში დაგპატიუეთ.

- კი, მაგრამ აეროპორტი? - შეაწყვეტინა ინკასატორმა.

- სტუმარი გავაცილეთ და უკან გამოვბრუნდით.

- იოლად დაითანხმეთ?

- ასე უნდოდა მასაც. დაქალს დაურეკა და ავშენდით ხალხი. ერთი წყვილი რომ სასტუმროში გავისტუმრე, მე ფული აღარ მქონდა და ქალაქის გარეუბანში გასეირნება შევთავაზე. ასე ვთქვათ, „მოფარებულში“!

გოგინო ხითხითებდა, ინკასატორს თვალები გაფართოებოდა და წამოწითლებულიყო.

- მერე? მერე?

- მერე, სასაცილო ამბავი დამემართა! ბნელოდა და რკინიგზის რელსებთან,

ბუჩქებში წამოვიწყე სასიყვარულო სცენა. მაგარი ქალი იყო. წითელი ტრუსები ცეცა...

ინკასატორმა სუნთქვა შეაჩერა.

- მაგრამ, ჩემი ბევრი ხომ იცით. მატარებლის ვატმანი წამომადგა თაგვს! ჩამეშალა ყველაფერი!

- რატომ? რა მოხდა? - სულ გაგიუდა ინკასატორი.

- რატომ და ის წითელი ტრუსი თურმე ხელში მეჭირა და ვაფრიალებდი, მატარებლის მძღოლს წითელი, გამაფრთხილებელი ღროშა ეგონა და ზედ თავზე გამიჩერა მატარებელი!

ინკასატორი სიცილით კინაღამ მოკვდა.

- ეგ არ ვიცოდი, შე ყურუმსალო, შენა!

გოგინო ქავთამ ჭიქა შეივსო.

ჰამადრილების ცნობილი ამბის შემდეგ, ცირკს ხალხი შემოკლდა. ისევ დაიბარა დირექტორმა სერუიომ ად-მინისტრატორი.

- რა ქენით? - სტრატეგიული შეკითხვა დასვა სერუიომ. - ამ ქალაქში თავი მოგვეჭრა!

- სხვა ქალაქში წავიდეთ, - დაიწყო როლანდინომ, მაგრამ დირექტორმა შეაწყვეტინა:

- სხვა ქალაქში, სადაც ცირკის შენობაა, ყველგან იყვნენ და სადაც შენობა არ არის, იქ როგორ უნდა გაიმართოს წარმოდგენა ... შეუძლებელია!

- სტადიონზე გავმართოთ! მაგ მაიმუნებს საერთოდ თავი დაგანებოთ ... ცხენები წავიყვანოთ!

- ცხენები? - თვალები დაჭყიტა სერუიომ.

- ჰო! გაწვრთნილი, პატიოსანი ცხენები - აქვე გვყავს! ერთი-ორი უონგლიორი დავამატოთ და ფულიც მოფრინდება!

სერეიომ ზელი დაპკრა მსარზე:

- კლოუნიც დაამატე! საიდან დავი-წყოთ? მცირე პაუზის შემდევ რონალ-დინიომ წამოიძახა - სამტრედინიო!

- სამტრედინიო? ჰო, იქ არის სტადიონი, წადი, კონტრაქტო გააფორმე!

სტადიონზე ზღვა ხალხი მოვიდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ცირკი პირვე-ლად ესტუმრა პატარა ქალაქის, რომელ-საც დიდი ამბიციები ჰქონდა! როცა მთავრობა და ქალაქის პატივცემული ადამიანები ლოჟაში მოკალათდნენ, წარ-მოდგენა დაიწყო. უონგლიორს ერთი - ორჯერ ბურთი დაუვარდა, ყოველ შეცდომაზე სტადიონი ამოიხსრებდა:

- ოობ!

ძალიან არ უნდოდა მაყურებელს, მისთვის მდარე ხარისხის პროდუქ-ცია შეეჩებინათ, ამიტომ კლოუნის დანახვაზე ძალით იცინოდნენ. არ იცინოდა გამოჩენილი მწერალი, რომელ-იც ლოჟაში მთავრობის გვერდით გრ-ძელ მუნდშტუკში გარჭობილ მდარე ხარისხის სიგარეტოს აბოლუბდა. მწ-ერალს ოტიო დე სოლიანო ერქა. მთავრობა ყოველ ხუმრობას მასზე ამოწმებდა: თუ სოლიანო არ გაიცინებდა, ისინი ჩუმად ისხდნენ. ოტიო კი ჯიუტად არ იცინოდა, ცალი თვალი, მჭვარტლისგან შეწუხებული, მუდამ მოჭუტული ჰქონდა.

- ახლა კი... - მიკროფონს ღე-ჭავდა კონფერანსიე, - ახლა კი თქვენს წინაშე წარსდგებიან გაწვრთნილი

ცხენები, მომთვინიერებელი სიმონე მასხ-არონი და მისი დასი! შელიანომ ერთი ჩამქრალი სიგარეტო მუნდშტუკიდან გამოაძრო და ახალი „შეაკეთა“. ცხ-ენები ფეხბურთელთა გასახდელიდან გამოქანდნენ. ამოქანდნენ და მთელი მინდორი გადაკვეთეს, როლიანომ მათ მოძრაობას მუნდშტუკი მიაყოლა... ყვე-ლასთვის მოულოდნელად ცხენები სტადიონის გალავანს თავს გადაევლ-ნენ და რიგრიგობით გაუჩინარდნენ!

სტადიონი გაოგნდა.

სიჩუმე როლანდინიომ დაარღვია:

- პოლიციო! პოლიციო! - გასძახოდა იქვე სეირის საყურებლად, უბილეთოდ შემოსულ ორ პოლიციელს.

პოლიცია მოტოციკლს შემოახ-ტა და სტადიონი ოპერატიულად და-ტოვა. როლანდინიო მოტოციკლს გაეყიდა და მისაბმელიან მოტოციკლს სათადარიგო ბორბალზე მოაჯდა. ცხ-ენები აღარსად ჩანდნენ...

- წინ! - გაპყვიროდა როლანდინი, - დაუჩეარეთ, თორემ დამაპატიმ-რებენ!

ვანიოს გადასახვევთან გამოჩნდ-ნენ გაწვრთნილი, წესიერი ცხენები. ისინი მთელი გულმოლგინებით ურტყამ-დნენ წრეს საგზაო დანიშნულებისათვის შექმნილ მოედანს...

- ცირკის არენა ჰერნიათ, - გაიც-ინა როლანდინიო.

წრეზე სირბილს არიან შეჩვეულე-ბი!

პოლიციელებმაც გაიცინეს.

- ჯარიმა მაინც არ აგცდება, - უთხრეს მას.

**როლანდინიო იძულებული  
გახდა ცირკს დამშვიდობებოდა!**

როლანდო ბერდებოდა, როლანდინიო ვაჟაპულებოდა მხოლოდ პრეზიდენტ შევარდინიოსთვის არ იცვლებოდა არაფერო: სულ სათავეში იყო! ერთხელ ვარსკვლავს მანიჭეს მისი სახელი, ხოლო ერთ კვირაში ტელევიზორმა გამოაცხადა, რომ შევარდინიოს კენჭის გავლა აქვს. ერთ საღამოს, როლანდო ეზოში, ბაღის სკამზე იჯდა და მოწყენილი, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას გაჰყურებდა. ჭიშკარი როლანდინიოს მეგობარმა შეაღო. ცისკენ მაცქერალი მასპინძელი რომ დაინახა, ხუმრობით ჰკითხა:

- სენიორ როლანდო! რას გეუბნებიან ვარსკვლავები?

როლანდომ გაიცინა, ხელი ჩაიქნა და თქვა...

- არ ცალიათ ახლა მაგენს ჩემდა... - თითო ცას მიუშვირა, - კენჭის გავლაა იქ!!!...

- მამაქემო, ნახე როგორი ტელევიზორი მოგიტანე თავისი თევზით!

- თევზი ცარიელია თუ... მწვადი მოაყარე ზედ?

სტუმარმა განუმარტა:

- ეს თევზი, მთელ მსოფლიოს დაიჭერს, აი, შემობრუნდით და ნახეთ.

როლანდო სავარძელში მოკალათდა, გვერდით მეგობარი მოუჯდა, როლანდინიო კი არხებს ცვლიდა. ყველა არხზე რატომდაც არაბი და ინდოელი წამყვანები ისხდნენ სხვადასხვაგვარი ჩალმებით.

- ეტყობა, ოკიანისგაღმა იჭერს უკეთესად! შორსმხედველი ყოფილა... ჩემსავით! - მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა როლანდომ.

როლანდინიომ ისევ გააგრძელა ძებნა. უცბმ, მოცეკვავე გოგონა გამოჩნდა, ნახევრად შიშველი. აღმოსავლური მუსიკის თანხლებაზე ტრუსი ჩაიხადა და საჯდომი ეკრანს მოადღო.

- ეს კარგია! - თქვა როლანდომ. ახალი გოგონაც ასე მოიქცა: ცოტა წაიცეკვა, ტრუსი გაიხადა და შიშველი, ატამივით ლოყებშეწითლებული გავა ეკრანს მოაბჯინა!

- არა, ეს მართლაც გენიალური გადაცემა! - ისევ გამომწვევად წარმოსთქვა როლანდომ.

მესამე, მეოთხე მოცეკვავებაც რომ იგივე გააკეთა, კმაყოფილმა როლანდომ თვალი ჩაუკრა სტუმარს - კარგი გადაცემა! არა?

- რატომ, სენიორ როლანდო, გოგონები ისევ გიზიდავთ?

- არაა! - გააგრძელა მასპინძელმა, - ენობრივი ბარიერი რომ არ არსებობს, იმიტომ არის კარგი გადაცემა!

როლანდინიომ ტელევიზიაში დაიწყო მუშაობა. ჯერ ოპერატორე იყო, მერე პროდიუსერე, ბოლოს - თავმჯდომარეც გახდა. დავეხვილი, ფორთოხლისფერი მანქანა ჰყავდათ, „ტელევიზია“ ეწერა საქართველოს მარჯვენა მხარეს.

- წავედით! მძღოლს დაუძახა როლანდინიომ. მასწერით, მძღოლმა იქვე მდგომ თანამშრომლებს მიმართა. ხუთი კაცი მიაწვა ჯაბახანას. როლანდინიომ თვალი აარიდა სამარცხვინო სანახაობას და თანამშრომელთან გააბა ბაასი.

- გამხდარხარ როლანდინიო! დიუტაზე ხაარ?

- ჰო...

- მე საზამთროზე ვარ მარტო! შენც საზამთროზე ხარ?

- ჰო, ორი თვეა საზამთროს მეტი არაფერი მიჭამია, ყოველ დამე თელავინო მესიზმრება!

ამ დროს ვიღაცამ ჩამოიარა.

- როლანდინიო ცოტა ფული ზომ არ გაქვს?

- სად მუშაობ? – კითხვითვე მიმართა მოსულს.

- არსად. - ნაღვლიანად მოუგო მან.

- 20 დოლარიანიო!

- დიდი მადლობა, როლანდინიო, ღერთი გაღმოგხედავს! როლანდინიომ მანქანას გახედა, ისევ ბუქსაობდა, არც მიწოლა შველოდა, არც არაფერი.

- ასეთს უნდა მისცე ფული! არ-სად რომ არ მუშაობს, ასეთი კაცია საშიში, რა იცი, სად დანიშნავენ!

თანამშრომელმა თავი დაუკრა:

- აბა, მე კი ვიცი, სადაც ვმუშაობ! (იგულისხმა ფულს იმიტომ არ მა-ძლევო). როლანდინიო ისევ მანქანას მიუბრუნდა:

- რას შვრები, თევდორინიო, ვერ დაქოქე?

- მოიცა ცოტა კიდევ ვცდი! აბა, ბიჭებო! კიდევ მოაწექით!

- შენ რა პქნი იცი? გირჩევ მაგ მანქანას „რადიო“ დააწერო და თავი დამანებო.

როლანდინიომ ტრაფარეტი, რომელზეც „ტელევიზია“ ეწერა შორს მოისროლა...

კაბინეტის კარი თანაშემწებ სწორედ მაშინ შეაღო, როცა როლან-დინიო მეგობარს პროექტზე ესაუბრებოდა.

- სენიორ, პრინცია თქვენთან, ევროპიდან!

როლანდინიომ გაოცება ვერ და-ფარა.

- შემოვიდეს! საიდან არის?

- რომელიღაც პატარა ქვეყნის პრინცია. მგონი კუთხის თუ რაღაც მსგავსი...

- შემოვიდეს! – თან ფეხზე წა-მოდგა და კარებში მიეგება სტუმრებს:

სტუმარი ფლამანდრიულ თუ პრუ-სიულ დიალექტზე საუბრობდა, სანამ თარჯიშმანი გადათარგმნიდა, როლანდინიომ კარგად გაარჩია სიტყვები „კამ-ერა“, „ოპერატორ“, „ოტელი“. არც შემცდარა. თარჯიშმანმა ასე გადათარგ-მნა პრინცის სიტყვები:

- ჩვენ ვიღებთ ფილმს თქვენს ქალაქზე, ამ ფილმს ევროპის ერთ-ერთი ტელევიზია გაუშვებს... ჩვენ გვჭირდება თქვენი კამერა, ოპერატორი, სასტუმრო და გამცილებელი, ანუ ად-ამიანი, ვინც საინტერესო ადგილებს გვიჩვენებს, თან – ჩვენ შეკითხვებს უპასუხებს.

როლანდინიომ პირი დააღო:

- კი მაგრამ ფულს ვინ გადაიხ-დის?!

- ჩვენ ქალაქის მერთან ვიყავით და იმან თქვენთან გამოგვიშვა...

- ო, ქალაქის მერთან თუ იყავ-ით და იმან ჩემთან გამოგიშვათ, რაღა გაეწყობა! მოგცემო რაც გნებავთ,

- დიდად გმადლობთ! ბატონი პრინცი დაინტერესდა, თუ როდიდან შეიძლება საქმეს შევუდგეთ, – ეს თარ-ჯიშმანმა წარმოოქა.

- ხვალიდან! – ხელი ჩამოართვა სტუმარს როლანდინიომ დანქე, გრაცი, თენქ იუ! მეღსი! – ყველა ენაზე უხდი-და მადლობას პრინცი, რომელსაც

ეტყობოდა, საკითხის ასე მალე გადაჭრას არ ელოდა. რევერანსით გავიდა სტუმარი. როცა მარტონი დარჩნენ როლანდინომ მეგობარს უთხრა:

- ა, ასეთი ბედი მაქს მე! ჩემთან პრინციც რომ მოვიდეს, ისიც მათხოვარი იქნება!

### X X X

როლანდის გოვინო ქავთა ეწვია. ტროპიკული წვიმა ლამის თევზებს მორეკავდა სახლის კარებთან.

- არ გინდა ახლა, შინ დაბრუნება?

- ნაღლიანად წარმოთქა გოგინომ.

- ჯერ ჩემთან ხარ, და თუ არ გადაიღო... ჩემთან დარჩები ამაღამ.

- ეს ხვალაც არ გადაიღებს, - ფანჯრიდან გადაიხედა რეჟისორმა. სარკმლიდან კარგად მოჩანდა, თუ როგორ მოაცურებდნენ პატარა ბიჭები სახლის ჩამოსახსნელ კარებს, საბურავებს, დიდ ტაშტებს და სხვა მცურავ „ტექნიკას“

- ვენეციაში ვართ! – თქვა გოგინომ.

- გონდოლა გვაკლია... და მანდოლინა...

როლანდინო პირდაღებული უსმენდა უფროსებს.

- ვენეციაზე გამახსენდა! ჩემო როლანდო, მოდი „ორი ვენეციელი ვაჭარი“ დავდგათ.

- ჩემგან ვაჭარი არ დადგება! – კატეგორიული უარი მიიღო ქავთამ მასპინძლისაგან.

- აბა რომელ როლზე ოცნებობ?

როლანდომ სივრცეს გახედა. ოცნებებში ჩაიძირა.

- პამლეტი მინდა ვითამაშო, ჩემი ბავშვობის ოცნებაა!....

- და აუსრულებელი! – სიტყვა გააწყვეტინა რეჟისორმა. – შენნაირი ცხვირით და მოხუცლი პირით, პამლეტს ვერ ითამაშებ, არადამაჯერებელი იქნება!

- სამაგიეროდ, - შეეკმათა როლანდო, – მაგარი ჩანაფიქრიაო, ვიღაც ჭკვიანი თეატრმცოდნე იტყვის, ორიგინალური ხედვა აქვს რეჟისორსო!

- რა ვიცა, ისე, სანჩო პანსა უფრო მოგიხდება! ამას წინათ „ოტელო“ დადგეს და ... ოტელო თეთრი აღმოჩნდა!

- მერე რა? – საუბარში როლანდინიო ჩაერია.

- რა და ... ჩემო როლანდინიო – ოტელოს ტრაგედია და ეჭვიანობის მთავარი მიზეზი ის იყო, შავს თეთრი ქალი რომ ჰყავდა!

მამაშენს რომ შეხედავ, შეიძლება რეპლიკაზე „ყოფნა – არყოფნა?“ მაყურებელმა „არყოფნაო“ დარბაზიდან დაუძახოს.

- ესე იგი, პამლეტი ჩემგან არ გამოვიდა, არა? – სინანული შეეპარა როლანდის ხმაში.

- არც პამლეტი, არც კოსმონავტი, აღარც ფეხბურთელი შენგან აღარ გამოვა...

- აბა, რა გამოვა ჩემგან?

- შენ ხარ როლანდო ... დიდი კაცი! ჩემი მეგობარი, – გაიცინა გოგინო ქავთამ.

- კიდევ კარგი! – შვებით ამოისუნთქა პროვინციული თეატრის მსახიობმა.

ნუგზარ წერეთელი



### მოლოდინი

ზაფხულიც გაქრა,  
წავიდა  
და მოგონებად იქცა,  
ავსილი ცუდით,  
მწარითაც,  
აქ მიწა იყო,  
იქ ცა.  
რომ გვანებებდეს მტერი თავს,  
წინ წავიდოდით სწრაფად,  
მტერი კი წინსვლას ვერ იტანს,  
ძველის ნერგებსაც კაფავს.  
ლომს ვეღარ შველის ლომობა  
თავდამსხმელ ათას მგელთან,  
ომიანობა, ომობა  
უყვარს ქვეყანას ველთა.  
ანდა თუ ვიტყვით მაგ აზრით,  
- მხარეს უსაზღვრო სტეპთა,  
ვეებერთელა ნაგაზი  
გუშინაც ავად ყეფდა.  
თავისუფლება არ მოსწონს  
მეზობელს –  
მხოლოდ სხვისი,  
წარსულის ფურცლებს ამოსწევს

დრო დავიწყების ღირსი.  
 იხილავს ნაღალატარებს,  
 რაც არასოდეს უთხრეს,  
 და ყველას ხსოვნით ატარებს  
 შეუბოვართა კუთხე.  
 პა, ყველაფერი გაცხადდა,  
 ვერ დააჩოქეს ერი,  
 თავს ვინც მეგობრად რაცხავდა  
 თურმე ყოფილა მტერი.  
 ის მტრობის ბოლმა თავდება,  
 გზა სულ სხვაგვარად გველის,  
 თუმც სიბრაზისგან ავდება  
 ცხვრის ქურქიანი მგელი.  
 უამი ვერ დადგა საჩვენო,  
 იმედი ფარავს მწარეს,  
 ღმერთო მაღალო, მაჩვენე  
 თავისუფალი მხარე.

### განმეორება

ძველ ტკივილში გვაწვევს  
 ვაება და მოთქმა,  
 ვაი, მაგათ სახელს,  
 ვაი, მაგათ მოდგმას.  
 საქართველოს ცაში  
 ყრანტალია სვავთა,  
 დასაწყისშიც,  
 მაშინ,  
 სვავი ჩვენს სისხლს სვამდა.  
 ერთზე მოდის ასი  
 უსირცხვილო მოდგმის,  
 ფაშისტური კლასით  
 და დედების მოთქმით.  
 ვის იცავენ,  
 რისგან,  
 თუკი ყველას კლავენ,  
 ხალხი ბრძოლას რისკავს,  
 დღეს იმზადებს ხვალეს.

რომ ვიცხოვროთ ქართულად  
გაუტეხი სულით,  
ისევ ისე გართულდა  
საუკუნო წყლული.  
ერთიანი გაძლებით  
ვპაფავთ უღრან ახოს,  
რომ ციმბირის ნაძვები  
ვეღარავინ ნახოს.  
აღარ მოგვწვდეს ტაიგა  
სასიკვდილო სუსხად,  
კვლავ წაკითხვით გავიგეთ  
ძველისძველი ნუსხა.  
ქართველს ისევ ქართველის  
სიყვარული იხსნის,  
რომ მორჩეს და გამთელდეს  
იარები სისხლის.  
რომ ჩვენც დავტკბეთ,  
სხვებივით,  
თავისუფალ ყოფით,  
გაქრეს შავი ჯებირი  
ტანკების და თოფის.  
რათა სიკვდილს პირისპირ  
კვლავ არ შევეჯახოთ,  
ნაბრძოლებმა  
დილისთვის  
მისი მადლიც ვნახოთ.

### **დამთავრება დასაწყისისთვის**

მორჩა,  
ბოლომდის გაირკვა  
ვინც არის ქვეყნის მტერი,  
აწი გზას თავად გაიკვლევს  
უმამაცესი ერი,  
თითქოს ძველი დრო დაბრუნდა  
ერთზე მოსული ასით,

მტერი სისხლისგან გაბრუვდა,  
 როგორც არყოთ და კვასით.  
 ზიზღის მორევში გადასვლის  
 ბოლოს ხვედრია მათი  
 ტანკების რიგით ათასით  
 მოდის ციმბირის დათვი.  
 ის შფოთი აღარ ასვენებს,  
 ბედის გვიმრუდებს ბორბალს,  
 მირონიც აღარ ასველებს  
 ისეთი ბრაზით გგბომბავს.  
 დაკარგულია მტრებისგან  
 მცირე სირცხვილის გრძნობაც,  
 სამარადისოდ  
 შეგვზიზლდა  
 ნაძალადევი ძმობა.  
 ერთობა იდგა დაპყრობით,  
 ვაებითა და ულეტით,  
 გამოგონილი და-ძმობა  
 აღარ გვენახოს მეტი.  
 შრიალს იწყებენ ყანები,  
 ტარო მწიფდება — ადლი,  
 ისევე გავიძნებით  
 მაღალი ღმერთის მადლით.  
 და გავექცევით მონობის  
 დღემდის მოყოლილ შიშებს,  
 რადგან იმგვარად  
 ვცხოვრობდით,  
 გმირები კვლავაც იშვნენ.

### **სიტყვის განმეორება**

ბავშვობაში გვესმოდა  
 სიტყვა ოკუპანტები,  
 თითქოს ტყვიას გვესროდა  
 სიტყვა შიშის დამტევი.  
 ჩვენც გინებას ვუსმენდით,  
 ვგრძნობდით ბოროტ განზრახვებს,

გვაძულებდნენ რუსები  
 გერმანელთა გვარ-სახელს.  
 ზიზღის წლებით ვიარეთ,  
 რაც ვერაფრით ვერ მალეს,  
 ქვეყნის ყველა სიავეს  
 აბრალებდნენ გერმანელს.  
 თურმე სად ხარ,  
     მოდიან  
 ციდან ცეცხლის დანთებით,  
 ზიზღს აფრქვევენ შფოთიანს  
 რუსი ოკუპანტები.  
 ერთ დროს ძალად ნამმობნი  
 ბომბებს წყებად გვესვრიან,  
 საქართველოს ნაცნობი  
 ბანდა შემოესია.  
 ცხადზე უცხადესია  
 მათი გულის ნადები,  
 ბავშვებსაც კი ესვრიან  
 რუსი ოკუპანტები.  
 რისი გერმანელი და  
 რისი დუჩეს მხედრობა,  
 კვლავაც რუსი ვერ გვიტანს  
 რუსი თანამედროვე.  
 გზით სიკეთის არ ივლის  
 სამტრო გზაზე მარტოა,  
 და ცოფდება ზარივით  
 სადაც სიტყვა ნატოა.  
 ჩექმასავით გაიძრეს  
 დიდხანს გულში ნადები,  
 ფრთხილად,  
 ბოლმით დაიძრნენ  
 რუსი ოკუპანტები.  
 ჯერ ჩვენ გადაგვთელავენ,  
 მერე სხვების ჯერია,  
 მტერს შევებათ ყველანი,  
 ხმალი მუდამ გვჭერია.  
 ტანჯვას კვლავაც გავუძლებთ,  
 შენდობას ვთხოვთ გარდაცვლილს,

იქნებ გული გაუძღვო  
 ნაქურდლით და ნაძარცვით.  
 ეს იოლი როდია,  
 მით უმეტეს მარტივი,  
 ფრთხილად,  
 ზიზღით მოდიან  
 რუსი ოკუპანტები.  
 წითლად ანთებულია  
 წვერი ათას ანტენის,  
 ქვეყნებს ცხვირწინ უვლიან  
 რუსი ოკუპანტები.  
 მალე დააწვიმებენ  
 ვინმეს მსხვრევად ყუმბარებს,  
 ჩვენ კი  
 განაწირები  
 ხალხს სიფრთხილეს ვუბარებთ.  
 სისხლში გასვრილ ხელებით  
 და ხანძრების დანთებით  
 აღარ მოისვენებენ  
 რუსი ოკუპანტები.

### *მტაცებელი*

სანამდის ცხოვრების  
 მიზანს გაიგებდნენ,  
 შეიტკბეს მიზანი  
 ტაცების,  
 შეტევის,  
 ჩვენ გვებრძვის მფლობელი  
 ვება ტაიგების,  
 ჩვენ გვებრძვის ქვეყანა  
 უსაზღვრო სტეპების.  
 მათ ამის შესახებ  
 სიმართლეს ვინ ეტყვის,  
 ვისაც სძულს ცოფივით  
 სიმართლის გაგება,  
 ჩვენ გვებრძვის

მფლობელებს  
მიწის და მცირე ზღვის,  
თან დაგვეგა  
წართმევა,  
ჩამოჭრა,  
წალება.  
ზღვის ქვიშის სადარად  
ბევრი, ბევრზე ბევრი,  
ჩვენ გვებრძვის პატარა,  
ლამაზ მთაგორიანს,  
ფრიალო ფერდობზე  
სიმინდის ყანებიანს,  
თუმცა ჩვენ ვირწმუნეთ  
ნაღდიც,  
გაგონილიც,  
მამული ყველაზე მეტად გვყვარებია.  
ჩვენ ამით ვაჯობებთ  
დიდტყე – დიდსტეპიანს,  
მძაფრი სიყვარულით  
ახდება მიზანი,  
ალგეთის ლეკვები  
კვლავაც იზრდებიან,  
რომ ჯავრი არ ჭამონ  
ვერაგი მტრისანი.

### განმეორდა

განმეორდა საშინელი  
ოცდაერთი წელი,  
სუნთქვა გვესმის მაშინდელი  
ხანძარივით მწველი,  
გვებრძვის თათარ – მონღოლივით  
რუსი  
კაზაკ – ოსით,  
გაგონილიც,  
მოგონილიც,  
მეორდება დროში.

ვხედავთ როგორც გაშიშვლებულს  
 დამცემების ზრახვას,  
 მტერი რისხვით გაშეშდება  
 თუ ერთობას ნახავს.  
 ერთობაა  
 ჩვენი მხსნელი,  
 გზა ვერავინ დაწვას,  
 მტრის საერთო შერისხვებით  
 შევძლებთ ხალხის დაცვას.  
 შევძლებთ ქვეყნის გამოყვანას  
 სასიკვდილო წრიდან,  
 მტერი არა თავმოყვარე  
 შხამს ძველივით ღვრიდა.  
 ჩვენ ის შხამი ავიცილეთ  
 ხვედრი მამა-პაპის,  
 გავმაგრდებით,  
 გავიცინებთ  
 და მივაღწევთ ნაპირს.

### **ფიქრი რუსების საუბრის მოსმენისას**

საუბარი რუსობის,  
 რუსი ჯარისკაცების,  
 სახე უნამუსობის,  
 სიბრიყვეთა გაცემის.  
 ვიღაც ზარბად დაეძებს  
 რა აქვს ომში ნაძარცვი,  
 წამოცმული მკლავებზე,  
 ჩამალული ნაცარში.  
 ჯიბებში კოვზები,  
 ჯაგრისები, ბეჭდები,  
 სმენით ქერა მოზვრების,  
 მათ მიზანზე ეჭვდები.  
 ვიღას ეხმარებიან,  
 როცა ყველას ქურდავენ,  
 სისხლი შემხმარები აქვთ,  
 ბნელზე გადახურდავდნენ.

ამოდენა ქვეყანა  
 მოგავს ბოლმის იარას,  
 რაღა მათთან შეგვყარა  
 ჩვენმა ბედმა ტიალმა.  
 თუმც თვით შემოგვეყარა  
 როცა მთებში შერეკეს,  
 ვეღარ შეძლო ვეღარა  
 სიბრძნით სავსე ერეკლემ.  
 ძალისძალად მოსული  
 ცდიდა კრწანის – მარაბდას,  
 საქართველო მოსრული  
 ზიზლს ვერაფრით მალავდა.  
 ოსტატები გადაწვის  
 ამართლებდნენ საქციელს,  
 სახელმწიფო ათას წლის,  
 გუბერნიად აქციეს.  
 სურდათ ჩვენი მეფენი  
 უძღლო ხელქვეითებად,  
 გვდევდა სულის რეფრენი –  
 საქართველოს დიდება.  
 ვერ ვივიწყებთ გაცემულს,  
 სულ ბოროტი უფრენდა  
 სისხლით გამოტაცებულ  
 ნანატრ თაგისუფლებას.  
 სასაკლაო გამართეს,  
 მხარე დაჭკნა იებად,  
 ცხრა აპრილი,  
 ცხრა მარტი,  
 ასჯერ შურისძიება.  
 ხალხი მოუდრეკელი  
 ხსნას ყოველთვის ელოდა,  
 ჩრდილოეთის კედელი  
 ქრება საქართველოდან.  
 ბოლმისაგან მოსრული  
 ქუხს ღვთიური მთა-ბარი,  
 აფხაზურიც,  
 ოსურიც  
 ჩანს მტერთაგან მდაბალი.

ჩეჩნურმა და სომხურმა  
 ქარმაც გადაგვიარა  
 დაბნეულმა სოხუმმაც  
 კუთხე მოსპო მთლიანად.  
 რუსებს მონად დაუდგა,  
 მლიქვნელურად,  
 ქოსურად,  
 ამ გზას  
 ვინაც გაუდგა  
 უკან აღარ მოსულა.  
 მწარე ფიქრი მომგვარა  
 ომის საშინელებამ,  
 რბევამ ყოფილ მოყვარის,  
 ახლაც,  
 მაშინდელებმაც.  
 იწვის ჩვენი მთა ბარი,  
 თუმც წვისგანაც ნათდება,  
 ნახნავი და ნაბარი  
 ორმაგდება,  
 ათდება.  
 მტერმა ბევრი გვარბია,  
 ჯავრი გაგვყვა მგლისანი,  
 ეს ქართველის წარბია  
 მოზიდული ისარი.  
 მოჩანს ყინვის ფერდობით  
 გზები სახავერდონი,  
 ოღონდ მტკიცე ერთობით,  
 თანაც ერთადერთობით.

### სახეები

სიმწარე ადევს სახეებს,  
 ტკივილი, დარღი და ვაება,  
 ნაღმების გრიალში ახვევენ,  
 რომ გზებს დევნილებად გაებან.  
 ხალხს ქურდბაცაცები დარევიან  
 რუსების მორთმეული იარაღით,

წინ ნაღმით დათხრილი შარებია,  
 შორს კი საქონელი და იალალი.  
 ჭაღარასაც არად დაგიდევენ  
 სიბერეს არ თვლიან ასაკად,  
 სიტყვისთვის ფეხქვეშ გაგიგდებენ,  
 ისე ვით საქონელს დასაკლავს.  
 სახეები გოდებას დაუღარავს,  
 მათ სულში ბობების ხმაურია  
 შრომას უმძიმესს და დაუღალავს  
 ლიახვის წყალივით ჩაუვლია.  
 წვავენ ქართულ სოფლებს  
 გამალებით,  
 სახლი იალებს და ნახშირდება,  
 რაც უფრო ახლოა  
 ტრამალები  
 ბანდიტთა თარეში გახშირდება.  
 სახეებს ვაება აწერიათ  
 სარჩოს და ახლობლის  
 დამკარგავებს,  
 ეს რა სიმწარეა,  
 რა წელია,  
 აწი რას მოხნავენ,  
 რას დარგავენ.  
 სახეებს ვუცქერი ეპრანიდან,  
 ხალხი გამორეკეს ლტოლვილებად,  
 ყველა შიშისაგან შემკრთალია,  
 უკვირთ ურდოების მოვლინება.  
 სახეებს წამება ახატიათ,  
 ისიც ჩანს  
 ვაებით რაც კი მალეს,  
 ეს ის უმძიმესი სახადია,  
 მერე რომ სიკეთეს  
 გაგვიმრავლებს.  
 სახეებს ღიმილი დაკლებიათ,  
 დამცემებს ვერავინ გაამართლებს,  
 როდესაც მკვლელები გაქრებიან  
 უფალი ქვეყანას გაანათებს.

### ახდენილი ოცნებები

ახდა ოცნება  
 მიტროფანოვ – ზატულინების,  
 კიდევ დადიან  
 მიტომ მარტო,  
 გატრუნულები.  
 უკვე დამშვიდნენ დემოკრატი  
 სლისკა, გრიზლოვი,  
 ტყუილს აფრქვევენ,  
 უკვირთ ზიზლი რისგან იზრდება.  
 ბოლო მოელო ყეფას მათსას  
 ანუ პროგნოზებს,  
 ჩაკეტილია აფხაზეთი ახლა ბოქლომზე.  
 ადევს პატარა სამაჩაბლოს  
 მძიმე ურდული,  
 დუშს საქართველო  
 მგლოვიარე და გაქურდული.  
 უფრო შორს მიდის ოცნებები  
 ცივი მოსკოვის,  
 კვლავ გაჰკივიან უგვარტომო ჟირინოვსკები.  
 კვლავ დაძვრებიან,  
 კვლავ ხლართავენ,  
 და პუტუნობენ,  
 ხან ლენინობენ, სტალინობენ,  
 ხან პუტინობენ.  
 ჩანს მტერი მსხვილი გეგმებიდან,  
 მოჩანს მცირედან,  
 სურს ნაღმოსნები გააცუროს ოჩამჩირედან.  
 კლანჭებს არ უშვებს  
 წალენჯიხას, ქურთას, საჩხერეს,  
 ვეღარდაფარულ  
 ბოროტ მიზნებს  
 თვალწინ აუღერებს.  
 სულ იგონებენ  
 ვერაგობას ახალ-ახალებს,  
 ორნახევარი საუკუნე არ გაგვახარეს.  
 არ გაიხაროს,

ვინაც ხალხის სისხლი დაღვარა,  
გამობრუულმა,  
გამჩხერავმა,  
ქურდმა,  
ახვარმა.

ცისკრისკენ მავალთ  
ისევ შავი თალხი გვედება,  
რუსეთს კი ღუპავს  
მათებურად გამედვედება.  
მარტოს, გარიყულს,  
ვერ უშველის პოზა ნაწყენის,  
მახვილს ვინც იღებს,  
უეჭველად  
მითვე წარწყმდების.

### **თამარაშენი**

მახსოვს თამარაშენის  
მშვენიერი ბალები,  
და სახლები ნაშენი  
აივნებით,  
თაღებით.  
ლურჯი მთების ბგერები,  
ხალხი შრომით ქებული,  
ბლებით ვარდისფერებით  
სივრცე განათებული.  
სად სასახლე მაჩაბლის  
იდგა ჟამთან კვეთებით,  
არა ვინძეს დაჯაბნით  
მხოლოდ კარგის კეთებით.  
რწმენა დუღდა ქართველთა  
მამაპაპის საღარად,  
მაგრამ ვეღარ გამთელდა  
გმირთა კუთხე პატარა.  
ყუმბარებით დაფლითეს  
მიწაწყალი ქართველთა

ჭირნახულის თაფლის თვე  
მძიმე თალზით გათენდა.  
მოსპეს თამარაშენი,  
აჩაბეთი, ავნევი,  
ვითომ ოსის საშველად  
შემოვარდა ამრევი.  
მძიმე სევდამ გაახმო  
ოქროსფერი ბალები,  
ყოვლისშემძლემ დაამხოს  
მათოვის კარის გამღები.  
ვინც გაუჭრათ როკი და  
გზა გაუხსნათ ველურებს,  
ბოროტ ძალთა მოკრებით  
ზეცა შავად შემურეს.  
სალზი დარჩა ლტოლვილად  
იმ არეს და ამ არეს,  
ნაფერები, მოვლილი  
მიწა იქცა სამარედ.  
ასე ექცეთ მომხდურებს,  
ქურდებსა და გამცემებს,  
სამაჩაბლო ოთხივმხრივ  
დალეწეს და გაცელეს.  
გლოვობს თამარაშენი,  
ტირის ხალზი მამაცი,  
რა გვაქეს აღმოსაჩენი –  
ურდოებთან დავმარცხდით.  
ღმერთი მათაც დაამხობს,  
დაყრის კარებმიკეტილს,  
რომ უფალმა გვანახოს  
გამარჯვება სიკეთის.

**ჯორჯ ბაირონის მიერ  
ბიბლიურ თემაზე დაწერილი  
ლექსების ციკლიდან**



**იეფთაეს ქალიშვილი**

რადგან ერის და ღვთის მოთხოვნით — ო, მამაჩემო,  
დღეს მხოლოდშობილ შენს ქალიშვილს სიკვდილი ერგო,  
რადგან ტრიუმფი შურისგების მოგმადლა აღთქმამ,  
მაშ, მკერდს საშენოდ გაშიშვლებულს დაჰკარი ახლა.

და, აპა, მორჩა, აღარც ვტირი და აღარც ვდელავ,  
მაღალმა მთებმაც არ მიხილონ მე ამის მეტად.  
თუ საყვარელი ხელი დამდებს სამსხვერპლო ქვაზე,  
მაშინ დანაც კი არ გააპობს ტკივილით ჰაერს.

და ამაში კი, მამაჩემო, ეჭვს ნუ შეიტან,  
რომ სისხლი ჩემი მოცემული კვალად შენითგან,  
ისე წმინდაა, როგორც ლოცვა ცალ რომ აღვავლენ  
და ბოლო ფიქრი, გულისაგან დარდს რომ აქარვებს.

ისევ მოსოქვამენ სალემისა თუმცა ასულნი,  
მსაჯულო-გმირო, შეუმდრკალი კვლავაც იყავი,  
მე მოვიპოვე გამარჯვება და ჩემს ხსოვნაში  
მამა და ხალხი მარად რჩება თავისუფალი.

როდესაც სისხლი ზვარაკისა ძარღვში დაწდება,  
როცა ხმა შენთვის საყვარელი ტუჩს დააკვდება,  
ღირსებას შენსას ნათელს ჰუნდეს, დე, ხსოვნა ჩემი,  
არ დაივიწყო, რომ სიკვდილსაც ღიმილით შევხვდი.

---

ჩვენ დავსხედით და ვტიროდით ბაბილონის  
მდინარის პირად

I

და ჩვენ დავსხედით და ვტიროდით მდინარის პირას  
ბაბილონისა და ვფიქრობდით იმ მწარე ზვედრზე,  
როდესაც მტერმა აურზაურში ხოცვა-ულეჭისა  
საკერპოები აღაშენნა წმინდა მიწაზე.

II

როდესაც სევდით მივაპყარნით თვალნი მდინარეს  
თავის ნებაზე ჩვენს წინაშე ლალად მდინარეს,  
მათ დამპყრობლებმა მოითხოვეს სიმღერა ჩვენი,  
მაგრამ ვერასდროს იზეიმებს ამ ტრიუმფს მტერი.  
დე, ეს მარჯვენა უსარგებლოდ გადიქცეს ტვირთად,  
ვიდრე ჩამოჰკრავს წმინდა სიმებს მტრის გასაკვირად.

III

ბზაზე ჰკიდია არფა იგი მტერისა მბევლად,  
სალემ, მისი ხმა, დაე, უღერდეს თავის უფალად,  
იმიერ ჟამის, როცა შენი დიდება ჩაქრა,  
სახსოვრად დარჩა მხოლოდ შენი ზღაპრული არფა.  
და არასოდეს უფაქიზესს, ჩემს მიერ, ჰანგებს  
მტრის უჩვეულო და უცხო ხმა არ დაამძიმებს.

### ბნელა ჩემს სულში

I

უკუნეთია ახლა ჩემს სულში, ო, აამდერეთ სასწრაფოდ არფა,  
რადგან მოსმენის სხვა ბგერებისა, აფსუს, არ შემწევს მე ახლა ძალა.  
და ბროლის თითებს დართეთ სიმებს შეეხოს ნება  
მათი ნაზი ხმა ჩემს სასმენელს ეალერსება.

თუ გულისათვის ძვირფასია რწმენა მომავლის,  
მონუსხავს ჩემს გულს, აღბათ, ის ხმა აწ და მარადის,  
თუ გაიბრწყინოს თვალთ უპეში ობოლმა ცრემლმა  
იგიცა მოსწყდეს, არ დაენთოს ცეცხლად გონებას.

II

მაშ მიანიჭე სიველურე შენს მელოდიას,  
ო, ნუ დაუშვებ მხიარული ჰანგი გაისმას,  
მე გეუბნებით, მე მინსტრელო, რომ ახლა ვგოდებ,  
დაიფერფლება გული აღბათ, სხვაგვარად თორებ.  
უნანავებდა დიდი ხნიდან მას მწუხარება,  
იტანჯებოდა უძილობის ხანგრძლივ ღამეში,  
და განწირული რომ შეიცნოს საშინელება,  
ან დაიმსხვრევა, ან ზეციურ ჰანგს დანებდება.

### საულ

ვინც აწ-გარდაცვლილ სულთ მოხმობით უფალს არისხებ,  
ბრძანე, გეჩვენოს ღვთის ზრახვათ მაცნე.  
"აღიღე გვამი, ეგ დაფლული, სამუელ, აღდეგ!"  
მისნის აჩრდილი მეუფეო, ჰა, მოიხილე!"  
მიწა შეიძრა, გახვეულმა ცისფერ ბურუსში,  
შემოიცალა-რა სუდარა, უფერული გახდა დღის შუქში.  
უძრავ მზერაში გაყინული სიკვდილი იდგა,  
ხელთ გამხმარ ძარღვზე ჩამომჭერარი ხორცი ეკიდა.  
ფერხნი მისნი კი ელვარებდნენ იქ ძვლის სითეთრით,  
დუნე, უხორცო და აჩრდილის სიცარიელით.  
არ შერხეულა ბაგები, გვამის სიღმიდან,  
ვით მღვიმის სიო, ყრუ ბგერები რომ ამოვიდა.  
საულ იხილა და დაეცა მიწას ვით მუხა,  
ცარგვალი სადღაც გადასერა გრიალით მეხმა.

II

—"რატომ დაირღვა მყუდრო ჩემი ძილის საუფლო?!  
ვინ არის იგი, ვინც სულს მოუხმო?  
ნუთუ ეს შენ ხარ?! ო, მეფეო, შეხედე, აჲა!  
უსისხლო ნეშტი თუ ვით გაცივდა.  
დღეს მე ვარ ასე, ასე იქნება  
შენი სხეული, როს ჩემთან ერთად  
სანამ ახალი დღე დაღამდება  
შენც და შენი ძეც იქცევით ამად.  
კეთილი ყოფა შენი გასტანს მხოლოდ მცირე დღეს.  
შემდეგ ნაწილნი ჩვენს გახრწნილ ძვალთა შეხვდნენ ერთმანეთს.  
შენ — შენი მოდგმა — დამდაბლდებით ფერნაკლოვანნი  
ბასრი შებებით შემუსვრილნი, ლახვრით გვემულნი.  
ყველა ფხას ხმლისას მომართავენ შენს წინააღმდეგ,  
თვით ეგ მარჯვენი წარუძღვება მათ გულისაკენ.  
დაეცემიან უსულონი და განძარცვული  
საულის სახლის — მამა ძენი და სხვა ყოველნი!"

*ინგლისური ენიდან თარგმნა  
მაია ნიკოლაძემ*

## **თარგმანები ლიტვერ-ესტონერ-რუსელი პრეზიდან**

---

**ალექსანდრ ბლოკი**

\* \* \*

ლამეულ ქუჩას, აფთიაქს, ფარანს,  
სინათლე დაკრთის უაზრო ფერის,  
თუ საუკუნის მეოთხედს ფარავ,  
რჩები იგივე, არაფერს ელი.  
მოკვდები, ისევ იწყებ ახლიდან,  
ძველი ბრუნდება, სხვა რამ არ არი,  
ლამე, ყინვისგან ჭავლი გამხმარი,  
კვლავ აფთიაქი, ქუჩა, ფარანი.

**აუგუსტ სანგი**

**სიძლერა მკვდარ ფრინველზე**

ცივ ზამთრის თოვლში ვიპოვე  
ჰაწაწა ჩიტი მკვდარი,  
სულელო, რატომ მოფრინდი,  
ადრე ააწყე ქნარი.  
პირველს გინდოდა გალობა,  
ამან დაგლუპა კიდეც,  
რამდენჯერ  
დარის წყალობით  
გსურდა გაზაფხულს თვლიდე.  
გეფიქრა, არ შეებმოდი  
ამ უსასტიკეს ყინვებს,  
მარცხი რომ იყო უდაო  
ნეტავი ეთქვა ვინმეს.  
ყინვას რას უზამს გალობა,  
მას აქვს მოტივე ფორტე,

ველურ ზმუილით მოაშთობს  
 შენს ხოდაბუნებს,  
 კორდებს.  
 ფრინველებს ვერას გაუგებთ.  
 სურთ იქლურტულონ მალე,  
 სანუკვარ ტყეთა ჩრდილებში  
 ბევრი აკლდება წვალეს.  
 ჯოუტად,  
 ახალ გუნდებით  
 ელტვიან ნაცნობ არყებს,  
 არ ესმით ძლიერ ყინვებს რომ  
 დათბობაც უნდა დაყვეს.  
 ავსებენ უღურტულ-გალობით  
 ყველა ფლატეს და კორომს,  
 შემშურდა შენი გმირობის  
 ჩიტუნავ, მკვდარო ბოლოს.

**იუსტინას მარცინკიავიჩუსი  
განცხადებათა დაფა**

ნეტავ მაქცია განცხადებათა  
 ერთ ჩვეულებრივ დაფად,  
 და სალამოთი, სამუშაო როცა მთავრდება  
 ერთი ბინიდან მეორეში დამარეკინა სწრაფად!  
 შეცბუნებული მასპინძლისათვის,  
 ანუ ცოლ-ქმრისათვის,  
 შემეთავაზებინა  
 კონცერტი ბახის,  
 პეიზაჟების გამოფენა,  
 ანდა „ჰამლეტი“,

რეჩიტატივი რიხტერისა  
 თუ „ტრავიატა“,  
 „იაპონიის მომღერალი ხმები“.  
 ძალიან მინდა, რომ სატრფოს ჩემსას  
 საკუთარივე გემოვნების გამოყენებით  
 ამოერჩია მისი ფერი,  
 მისივე ბგერა და  
 საყვარელი ზედ სურნელება.  
 ამ ყმაწვილებს კი, ჯანმაგარ ბიჭებს  
 შევთავაზებდი ჭიდილს კრივში და  
 მაგიდას სადმე მყუდრო კაფეში.  
 ხოლო წყვილს ამას გაბუტულ სახით  
 შევთავაზებდი გემით ლამაზ გასეირნებას.  
 ამ წყვილს კი ახლად გამიჯნურებულს  
 წასასვლელი რომ არა აქვს არსად,  
 კინოს ბოლო რიგს დავუთმობდი ორ ადგილით,  
 რომ სიბნელეში დატკბნენ ალერსით.  
 იმ ყმაწვილს ჩხუბში შარვალდახეულს,  
 ვისაც სახეში სილაქები არ დაკლებია,  
 ესკიმოს მივცემ, ან პლომბირს მაინც,  
 მოხუცებულებისთვის, მარტოკებისთვის,  
 პარკში ყვავილთა გამოფენას მოვაწყობდი,  
 ხოლო მინისტრებს  
 თუ რედაქტორებს,  
 ან სხვა მოუცლელ ადამიანებს,  
 როს შაბათობით ამთავრებენ საქმიანობას,  
 სათევზაოდ ან სანადიროდ დავპატიუებდი,  
 რაც ენატრებათ, ხოლო შემდეგ კი  
 ლექციასაც შევთავაზებდი,  
 თემა იქნება „გვიყვარდეს ბუნება“...  
 ო, ახლა ვხედავ გაკვირვებული  
 თვალით მამაკაცს აცქერდებიან,

ის კი ლოყაზე გაუპარსავზე  
ხელს ისვამს თითქოს შეცბუნებული,  
- გაპარსვა ჯერაც ადრე არისო, -  
შემდეგ ის ამბობს:  
„თუმცა ცოტა უცნაურია,  
მაგრამ რაკიღა ჩვენთან მობრძანდით,  
პირადად დაფა განცხადებების,  
იქნებ ნამდვილად უნდა ველოდოთ  
ჯერ უჩვეულო რაღაც მოვლენებს?“  
აქ ქალბატონი ახურებს უთოს,  
მე კი უფრო შორს მივემართები.

### **ედუარდას მეუღლაიტისი**

#### **ადამიანი**

დედამიწაზე ფეხდადგმულს მყარად,  
მე ხელთ მიჰყრია მზის ცხელი ბურთი,  
ვდგავარ ამგვარად  
დედამიწას და მნათობს შორის.  
ტვინის ფენები, ტვინის წიაღი,  
წიაღისეულს მაგონებს სიღრმით.  
ვადნობ და ვიღებ ქვანახშირს მათგან,  
რკინასაც ვადნობ,  
ვქმნი ხომალდებსა და მატარებლებს,  
ისინი ზღვებს და ხმელეთს სერავენ,  
თვითმფრინავია ფრინველთა მსგავსი,  
რაკეტები კი ელვის დარია  
ყოველივე ეს მოდის, მოდის, მოედინება  
დედამიწის მსგავს მრგვალი თავიდან.  
მზის ბურთი არის ეს ჩემი თავი,

აფრქვევს სინათლეს, ბედნიერებას,  
 სიცოცხლეს აძლევს ყველა მიწიერს,  
 ადამიანებს ასახლებს მასზე,  
 რომ ვთქვათ უჩემოდ დედამიწა რა იქნებოდა,  
 არაცოცხალი,  
 დაფუშული ბურთის მაგვარი,  
 გზადაბნეული უსასრულო ტრამალებს შორის,  
 იგი მთვარეში ისე როგორც სარკეში ვნახე,  
 ძალზე უშნოა ჩამკვდარი სახით  
 მე მოწყენის უამს მიწისგან შემქმნეს,  
 კაეშნის დროს კი  
 მრგვალი თავი მომიძლვნა მიწამ,  
 მომიძლვნა თავი,  
 ძალზე რომ ჰგავს მზესა და მიწას.  
 დამემორჩილა მიწა, რისთვისაც  
 ის სილამაზით შევამკე უხვად.  
 მე მიწამ შემქმნა,  
 მე კი გარდავქმნენ, განახლდა იგი,  
 გახდა ისეთი მშვენიერი და უკეთესი,  
 როგორც არასდროს არა ყოფილა!  
 დედამიწაზე მყარად ფეხდადგმულს  
 ხელთ ცხელი ბურთი მიპყრია მზისა,  
 ვდგავარ ხიდსავით  
 დედამიწას და მნათობებს შორის  
 მზე აცისკროვნებს დედამიწას ისევე ჩემით,  
 მიწა კი ადის, მაღლდება მზეში.  
 ნაირფერადი კარუსელივით  
 ბრუნვას იწყებენ მის გარშემო  
 ეს ქმნილებები,  
 ქვეყნად ჩემით მოვლენილები,  
 ნაწარმოებნი ქანდაკებანი.  
 ჩემს გარეშემო ქალაქებიც კი

ბრუნვას იწყებენ უზარმაზარ სახლებთან ერთად,  
მოასფალტებულ მოედნებსაც ვუცქერი მბრუნავთ,  
დიდი ხიდებიც, ზედ რომ იტევენ  
მანქანებსა და ადამიანებს.

ჩემს გარეშემო ვხედავ ბრუნავენ თვითმფრინავები, ლაინერები...

აქვე ტრაქტორებს, ჩარხებს გავცქერი,  
და რაკეტებსაც გარს რომ ბრუნავენ...

მე ვდგავარ ასე.

მშვენიერი, ბრძენი, მაღალი,  
ტანდაკუნთული, მხარბეჭიანი,  
მიწა მზრდის, მერე მზემდე ვმაღლდები,

და მზის ღიმილით

ვაცისკროვნებ მთელ დედამიწას,

და სწოდება იგი

ამერ-იმერს,

ჩრდილოეთს, სამხრეთს,

და ვდგავარ ასე:


მე ხომ კაცი ვარ

მე ხომ მქონა ადამიანი!

1962წ.

ესტონურ-ლიტვურ-რუსული პოეზიის  
ნიმუშები თარგმნა ნუგზარ წერეთელმა

## დღემდე გამოუქვეყნებელი პოეტი



ანდრო საბიტოვი ჩემი, გურამ გეგე-  
შიძის და ბევრი ქართველის ახლო მე-  
გობარი იყო. განსაკუთრებით თბილი  
ურთიერთობა აკავშირებდა ჩვენგან  
უდროოდ წასულ დაუვიწყარ ადამიანებთ-  
ან – რეზო დვალიშვილთან, ბუბი თო-  
ფურიძესთან, დუგლას ხომერიკთან და  
სხვებთან. ანდრო ნატანჯი კაცი იყო,  
ძირითადად პოლიტიკური მოტივებით  
მრავალი წლის მანძილზე ციხეში ნაჯ-  
დომი, თითქმის სიღარიბეში მარტო მცხ-  
ოვრები მოსკოვის ცენტრიდან შორს  
მდებარე თავის ერთოთახიან პატარა  
ბინაში.

იმ შორეულ ტოტალიტარულ წლებ-  
ში, როცა შიშით ხმას ძალიან ცოტა ვინმე

თუ იღებდა, ანდრო იყო ნამდვილი დისიდენტი: დღედაღამ დაუფარავად აგინებდა  
პარტიას, არასოდეს არ მიდიოდა არჩევნებზე, წერილობით ამბობდა უარს მონაწილეობის შესახებ, ლექსებითაც ლანბლავდა მთავრობას, პაწაწა საბაზანო ოთახში  
ბრუნევების, სუსლოვის და ლიგაჩოვის სურათები ჰქონდა გაკრული, ამ ყოფილ ფუჟე  
ბელადებს განსაკუთრებით ვერ იტანდა. ციხეშიც და თავისუფლებაშიც ანდრო  
ლექსებს წერდა, სადაც საქართველოსა და ქართველების დიდ სიყვარულს გამოხ-  
ატავდა. იმდენი იწვალა და ირბინა, რომ რუსებს დაუმტკიცა – წარმოშობით  
ქართველი ვარო და ანდრო თეიმურაზის-ძე სულხანიშვილად იქცა. ასე აღესრულა  
კიდეც ათი წლის წინათ 1998 წლის 21 სექტემბერს 69 წლის ასაკში. გარ-  
დაცვალებიდან ათი წლისთავის მეგობრულ აღნიშვნასთან დაკავშირებით, გთავა-  
ზობთ მისი ოთხი ლექსის თარგმანს რუსული ენიდან.

**ნუგზარ წერეთელი**

### საქართველოს

სალამი ჩემო საქართველო, ჩემო ძვირფასო,  
მარად შენთან ვარ და ყოველთვის შენთან ვიქნები,  
ვეთაყვანები შენს მიწა-წყალს, კლდეებს პირბასრებს,  
პეშვით მოტანილ მიწასაც კი სულში ვიფრქვევდი.  
ლურჯი ზეცის ქვეშ გადაშლილხარ უნეტარესი,  
გადაპენტილი ზვრებითა და კოხტა ბაღებით,  
მტკვარი მიაპოს ვრცელ კალაპოტს მთებთან ალერსით,  
დგება თბილისი გულისა და კარის გამლები.

ჩემში სარ მუდამ, როგორც თვალში, ისე ფიქრებში,  
თუნდ ერთგულ ძალად მე ყოველთვის შენთან ვიქნები,  
თუკი შევძელი მსურს გადიდო ალალ წიგნებში,  
ისე მიყვარხარ აწი ვეღარ გარდავიქმნები

1970წ.

### წერილი მეგობარს

რა ვუყოთ ნუგზარ, შორს რომ წახვედი,  
ძმობას სანატრელ ლექსივით ვწერდით,  
მანძილს ძმობისას თვალით გავხედავ  
და თან ყოველთვის გიგულებ გვერდით.  
წერილებით თუ ერთად ყოფნისას,  
როცა ვილზენდით თუ ვკამათობდით,  
ვწერდით ღვთიური მუზის მოსვლისას,  
და ძმობას ალალს გულით ვათბობდით.  
ჩემია შენი ჭირიც და ლხინიც,  
შენი წინსვლა კი მუდამ მახარებს,  
სიმხნევეს შენსას დავლოცავ ღვინით,  
გიძლვნი სიკეთეს ახალ-ახალებს.

1971წ.

### ჩვენი მომავალი არჩევნებით

არჩევნებია სიყალბით საგსე,  
უკვე არჩეულს ვითომ ირჩევენ,  
ქვეყანა ლამის დაგვემხოს თავზე,  
დღემდე კი ერთი გზაც ვერ გვიჩვენეს.  
ანდა ვის ვირჩევთ – ვიღაცა კრეტინს,  
თანაც სულ მარტოს, მეტოქეც არ ჰყავს,  
როთ დაგვმცირებთ ამაზე მეტოთ,  
ცხვრებივით სდევენ პარტიას წამყვანს.  
პარტია ჩვენი კომუნისტური,  
მფლანგვლთა, მეცნიერთა, მეძავთა კრება,  
ხმათა ას პროცენტს კვლავ გვიდასტურებს,  
პატიოსნების ნიშანიც ქრება.  
მე რომ დამხვრიტონ არავის ავირჩევ,  
არც მონაწილე გავზდები ფარსის,

ჩამოქცეულა რწმენის კარიბჭე  
სოციალიზმის შენობის მსგავსი.  
ასე იქცევა ქვეყანა ვრცელი,  
ღმერთმაც შეუწყოს ხელი დაქცევას,  
სასისხარულოს არაფერს ველით,  
უბედურება აღარ აგვცდება.

1964წ.

### პოეზია მოსკოვურად

სულ არ უხდება, როს პროფესიად  
პოეტს ლექსების წერას უთვლიან  
როცა ყეყჩი თავს თვლის მესიად,  
ლექსში კი სიტყვის ფართი-ფურთია.  
ზოგს არევია ანიც, ბანებიც,  
ზოგი არც ეძებს, სვამს და მერე წერს,  
ნატიფი ლექსით ვეთაყვანები  
რუსთაველს, პუშკინს, ბლოკს და წერეთელს.  
მე ვერ შევძელი ბნელის გარღვევა –  
სინათლე ლექსებს ჩემსას ეხილა,  
სიტყვა ნამდვილად აღარ მაღლდება,  
თითქოსდა წელში გადატეხილა.  
გამომცემელი მოიცდის ჩემი,  
ჯერ გზა ეხსნებათ უმაღლეს გვამებს,  
ფართო ქუჩების დაფუდაფთა ცემით  
მოსკოვს ეცემა ყინულის ღამე.  
ქალაქს გაზრდია ცოდვების კუზი,  
დუმან უბნები შესაბრალები,  
და მეზიზლება ყოველი რუსი  
შაქრისგან ნახად არყით მთვრალები.  
სივრცეა მთვარით გაუშუქარი,  
კვლავ თბილისისკენ დამძრავს ფიქრები  
და მენატრება კოხტა დუქანი  
დაწვრილებული ღვინის ჭიქებით.  
ლოთობა დაგშლის ვრცელო რუსეთო,  
სიკვდილის დღემდე გონებას ბინდავ,  
მე კი ვით ყველას – მშვიდი, უსევდო,  
სიცოცხლით სავსე ცხოვრება მინდა.

1980წ.

## დაუგილყარი პიროვნება



15 წლის წინ, 1994 წლის 25 ნოემბრის მეტისმეტად ცივი და ქარიანი ღამით, როდესაც ვაკის რაიონი უკუნეთ სიძნელეში იყო ჩაფლული და მთელ თბილისში ალაგ-ალაგ თუ მოჩანდა სინათლის მკრთალი ციმციმი, ბარნოვის ქუჩაზე მდებარე სახლში, სანთლების კვითლად მოფარფატე შუქზე გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი იურისტი ვალერიან (კუკური) გრიგოლის ძე ასიეშვილი.

ის მაშინ სამოცდათოთხმეტ წელს სამიღებელი თვით იყო გადაცილებული.

რთულზე-რთული პერიოდი იდგა მრავალტანჯულ საქართველოში, არ იყო გაზი, არ იყო ელექტროდენი, გაჭირვებით იშოვებოდა ტალახივით პური, ქვეყანაში სიცივე, სიღარიბე და არეულობა მეფობდა, უძალო სახლმწიფოს ქაღალდიც აღარ გააჩნდა, გაზეობი საშინე-

ლი უსისტემობით გამოდიოდა, 27 ნოემბრის დილით მიტანილი ოჯახის განცხადება მხოლოდ 6 დეკემბერს დაიბეჭდა, ასევე დაგვიანებით გამოქვეყნდა საქართველოს გენერალური პროკურატურისა და იურისტთა კავშირის სამგლოვიარო ნეკროლოგები. ამ მიზეზის გამო ბევრმა ვერც კი გაიგო დიდი ავტორიტეტის მქონე პროფესიონალი იურისტის უდროო წასვლა ამ ცოდვილი სამყაროდან.

ვალერიან ასიეშვილმა სამაგალითო, კაცური ცხოვრების რთული გზები განვლო. ამ გზას უბრალოდ თვალიც რომ გადავავლოთ, დავრწმუნდებით მის ნათელ, საკუთარი თავით განპირობებულ უხინჯო წარმატებებში. 19 წლისა არც კი იყო შესრულებული, როცა მთელ ოზურგეთში პატიოსნებით, სიკეთითა და ადამიანთა სიყვარულით ცნობილი ოჯახის შვილი მაშინდელი ჯარის რიგებში გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის მიზნით. ეს იყო 1939 წელს. ორი წლის სამსახურის შემდეგ მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო და ახალგებდა ოფიცერს ფრონტის წინა ხაზზე ბრძოლამ მოუწია. რამდენჯერმე დაჭრილი მხოლოდ შვილი წლის შემდეგ 1946 წელს დაბრუნდა საქართველოში პოდპოლკოვნიკის ჩინით. იმავე წელს ჩააბარა იურიდიულ ფაკულტეტზე, სწავლა 1951 წელს დაამთავრა და გულმოდგინედ შეუდგა მოწოდებად ქცეული პროფესიის საპასუხისმგებლო გზას: იყო მაშინ მქუჩარე 31-ე საავიაციო ქარხნის უფროსი

იურისკონსული, საქართველოს პროკურატურის სამოქალაქო საქმეების სასამართლოებში განხილვის განყოფილების პროკურორი, შემდეგ 10 წლის მანძილზე ამავე განყოფილების უფროსი, ასევე ათი წლის განმავლობაში საქართველოს პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, თბილისის ტრანსპორტის პროკურატურის უფროსი, საქართველოში იურიდიული სამმართველოს – არბიტრაჟითურთ სამმართველოს უფროსი, იუსტიციის იმ რანგის მრჩეველი, რაც გენერლის წოდებას უდრიდა.

ამ მშრალი ბიოგრაფიული მონაცემების უკან იდგა ნამდვილად არაჩვეულებრივი, სამაგალითო აღამიანი. „ის იყო კაცი, ვით შეჰქერის კაცსა კაცობა“, – როგორც დიდი ილია ბრძანებდა: საქართველოს დიდი პატრიოტი,



ოჯახის, ახლობლებისა და მეგობრების უსაზღვრო მოყვარული, ყველასთვის კეთილ საქმეთა მკეთებელი, საქმისადმი თავდადებული ადამიანი, მშობლების, უფროსი დის, ნათესავების ურთგული და ყველა ვითარებისას პატივისმცემელი.

ქლავ ოზურგეთის ღრმა ცენტრში მდებარე გრიგოლ ასიეშვილისა და ნადია მამეიშვილის ჭეშმარიტადქართული ოჯახი სამი შვილით ხარობდა, ერთი ქალითა და ორი ვაჟით. უფროსი ქალიშვილის მომდევნო რევაზმა წითელი დიპლომით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, უმაღლესის დამთავრებისთანავე საქართველოს სახელმწიფო ბანკში დაიწყო მუშაობა, 23 წელს გადაცილებული ახალგაზრდა კაცი ოჯახის შექმნასაც აპირებდა და სწორედ ამ დროს ომში გაიწვიეს. ეს მაღალი, კაცურად ლამაზი, ნათელი სახის ქერა ბიჭი საუკეთესო ტანძოვარჯიშეც იყო, აქაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ განგება სხვაგვარად სჯიდა. ბოლო წერილი და ახალგაზრდა ოფიცრის სურათი ქერჩის მისადგომებიდან მიიღეს მშობლებმა, მერე კაცი გაქრა, ცამჩაყლაპა თუ მიწამ არავინ იცოდა.

ვალერიან ასიეშვილი, უკვე ახლობლობით ყველა კუკურის რომ ეძახდა, მთელი სიცოცხლის მანძილზე უფროსი მმის გაუნელებელ სიყვარულს ატარებდა გულით; დედისა და დის ხშირ თხოვნებზე სადმე მიეწერა წერილი იმის დასადგენად, თუ სად გაქრა მათი ვაჟაცი, ჩუმდებოდა ან სხვა თემაზე გადაჰქონდა საუბარი. ცნობილმა



**პრორე რივ ში შუაში კუკური ასიეშ-  
ვილი, პირველ რივ ში უფროსი და  
ალექსანდრა ასიეშვილი და მეუღლე  
ვალერიან ანთელავა**

პროკურორმა, რა თქმა უნდა, იცოდა  
თავსდამტყდარი უბედურების შესახებ,  
მაგრამ დედას და დას უმაღლავდა, იმ-  
ედს არ უკლავდა, ისინიც უკანასკნელ  
ამოსუნთქამდის ელოდნენ რეზოს  
დაბრუნებას, ან რაიმე ამბის გაგებას  
მაინც. ამიტომაც იყო, რომ მთელი  
ცხოვრების მანძილზე რეზოს სადღეგრ-  
ძელოს მხოლოდ ცოცხალივით სვამ-  
დნენ.

მერე კუკურიმ შუათანა შვილიშ-  
ვილს სახელად რეზო დაარქვა. რევაზ  
პაპუაშვილიც გამორჩეული ახალგაზრ-  
და იყო. მაღალმა, ლამაზმა, სასიამოვნ-  
ოდ შავგვრემანმა ბიჭმა საყვარელი  
ბაბუის პროფესია აირჩია, თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდ-

იულ ფაკულტეტზე ჩააბარა, ბიძისა და  
პაპის მსგავსად მანაც წარჩინებით —  
წითელ დიპლომზე დაამთავრა იურიდ-  
იული ფაკულტეტი, სექტემბრიდან შეთ-  
ანხმებისამებრ მუშაობას იწყებდა  
საქართველოს გენერალურ პროკუ-  
რატურაში, მაგრამ მოხდა გამოუსწორე-  
ბელი უბედურება, აგვისტოს თვეში  
უფროს ძმასთან და მეგობრებთან ერ-  
თად დასასვენებლად ზღვაზე წასული  
ბულგარეთში მოულოდნელად აღსრუ-  
ლა, ნამდვილად დიდი იმედების მომ-  
ცემი ბიჭიც უდროოდ წავიდა ამ ცოდ-  
ვილი წუთისოფლიდან, წავიდა 22  
წლის ასაკში და ახლა მარადიული  
ძილით განისვენებს საბურთალოს სასა-  
ფლაოზე. ამ დროს ბაბუამისი უკვე  
აღარ იყო ცოცხალი, თორებ ამხელა  
დარტყმას, ამსელა ტკივილს მისი ნა-  
ჯაფარი გული გელარ გაუძლებდა.

ყველა ღირსეული ქართველის  
მსგავსად კუკური ასიეშვილს დედა  
ძალიან უყვარდა, თუკი ეცალა, ყოველ  
შაბათ-კვირას ოზურგეთში დედისაკენ  
მიიჩქაროდა, დედის ყოველგვარ დავალე-  
ბას უსიტყვოდ ასრულებდა. სწორედ  
დედის თხოვნით დაანგრია მაღალ ბელე-  
ტაუზე მდებარე მოძველებული მამაპა-  
პისეული სახლი, იმავე აღგილას კი  
ორასორულიანი სახლი ააშენა, მდი-  
ნარისპირა ლამაზ ეზოს სანიაღვრე  
თხრილები შემზავლო, ხეხილიან-ვენახ-  
იანი ეზო შემოლობა, ყველაფერი ისე  
მოაწყო, რომ მოხუც დედას მინიმალური  
კომფორტული პირობები მაინც ჰქონ-  
ოდა.

განსაკუთრებული ძალითა და პა-  
ტივისცემით უყვარდა უფროსი და,  
ბავშვების სკოლამდელი აღზრდის

სფეროს დიდი მოამაგე, ცნობილი ქართველი პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ჩემი მეუღლის უძვირფასესი დედა ალექსანდრა (ფაცაცა) გრიგოლის ასული ასიეშვილი-ანთელავა, ფიზიკურად და სულიერად ლამაზი, ოჯახსა, შვილიშვილებსა, მმაზე და საერთოდ ყველა ახლობელზე დაულალავი ზრუნვით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გადაგებული ადამიანი. მართლა სამაგალითო, საოცარი და-ძმობა ჰქონდათ, ოზურგეთში დედასთან თითქმის ყოველთვის ერთად მიღიოდნენ, ხან მატარებლით, უფრო ხშირად კი მანქანით, როგორც ქალბატონი ფაცაცა აირჩევდა. საქართველოს გენერალური პროკურატურის თვალსაჩინო წარმომადგენელს ოჯახის, ახლობელების, ნათესავების, საკუთარი ყოველდღიური და ყოველწუთიერი საქმის, მოვალეობების გვერდით მეგობრებიც უსაზღვროდ უყვარდა, ბურებით იყო ერთგული, უღალატო, შხარში მდგომი კაცი, წესიერი თხოვნებისა და კეთილი საქმეების გამკეთებელი. მეგობრებთან გულიან ქართულ ქეიფს არაფერი ერჩივნა. ყველა კარგ თუ ტკივილიან თარიღს აუცილებლად აღნიშნავდა. ერთადერთი ქალიშვილის მედეას პირველი შვილის დიმიტრის ანუ დიმას დაბადების დღეს ყოველთვის მაღალ დონეზე იხდიდა. სუფრას გენერალური პროკურატურის თითქმის ყველა ცნობილ მუშაკთან ერთად ნათესავები და მეგობრებიც უსსდნენ, მიღიოდა ჭეშმარიტად ქართული, თბილი, მამა-პაპური ქეიფი. გურულების უმრავლესობის შეგავსად კუტურიც ხალასი, სასიამოგნო, ადამიანური იუმორით

იყო დაჯილდოებული, მის მიერ ამბების მოყოლა და მოსწრებული ხუმრობა მართლაც მთელ სუფრად ღირდა. ამ გონებამახვილი, განათლებული, ცნობილი იურისტისგან ისეთი სითბო და კეთილგანწყობა იფრქვეოდა, რომ შეუძლებელი იყო მოხიბლული არ დარჩენილიყავით.

დედის გარდაცვალებამაც დამანგრეველი ძალით იმოქმედა მის კეთილშობილ ბუნებაზე. ძალიან ბევრი დარდი დაქონდა გულით, საკუთარ ტკივილებს არავის ახვევდა, კვლავაც ცდილობდა ხუმრობით განემუხტა ცხოვრებისეული მრავალი დაძაბული ვითარება. ალბათ ამიტომაც იყო სიგარეტის წევას მოუმატა და მოუმატა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მანქანა ყოველთვის ემსახურებოდა, ფეხით უყვარდა ბარნოვის, ამჟამად ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე მდებარე სახლიდან კოსტავას ქუჩამდე ფეხით სიარული, ორი კილომეტრის შესაბამისი მანძილის გავლისას ოთხ-ხუთ სიგარეტს მაინც მოსწევდა. სამსახური ყოველთვის დაძაბული ქონდა, უამრავი მომსვლელის მიღება უწევდა, უამრავ იურიდიულ დოკუმენტს ამზადებდა, შემოწმებებს ატარებდა, სიახლეებს ნერგავდა. მიუხედავად ამისა, როცა არ უნდა მისულიყავით, ლამაზ ქართულ სახეზე ღიმილი გადაეფინებოდა, პატარა ბიჭივით წამოხტებოდა, გულითადად შეგხვდებოდათ, საქმის გაპეტებას თუ პასუხს არ დაგიგვიანებდათ.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო

კავშირს „საზოგადოება ცოდნას“ იურისტი არ ყავდა, თუმცა უმისობას თითქმის არც ვვრმნობდით, მხარში გვედგნენ ისეთი გამოჩენილი ქართველი სამართალმცოდნები, როგორებიც იყვნენ შალვა რჩეულიშვილი და კუპური ასიეშვილი. შალიქო უფრო მეტად სისხლის სამართალში მუშაობდა, კუპური კი ცივილისტი, სამოქალაქო კანონმდებლობის უბადლო მცოდნე იყო, სამსახურში წამოჭრილ ყველა საჭირბოროტო საკითხის შესახებ ვეკითხებოდით, ვუთანხმებდით და ისიც ყოველთვის დაუზარელად, უშურველად გვიხსნიდა, გვიჩვენებდა სწორ გზას.

სიცოცხლის ბოლოს, კერძოდ, 1992-1994 წლებში, ძალიან ზშირად ამბობდა, რომ უნდოდა მშობლიურ ოზურგეთს, საკუთარ სახლკარს დაბრუნებოდა – მეგობრები მთხოვენ, გამგეობიდანაც ბევრჯერ თხოვნით დამირექს ჩავიდე და რაიონის იურიდიულ საქმიანობას ჩავუდგე სათავეში, ახალგაზრდა კადრებსაც აღვზრდი და მგონი უფრო მეტად სასარგებლო საქმეს გავაკეთებ, ვიღრე სამინისტროს ჩინოვნიკურ საქმიანობაში ვაკეთებო.

აღარ დასცალდა, სრულიად მოულოდნელად იჩინა თავი უმძიმესმა ავადმყოფობამ და ზეციური სამყაროს ბინადრებს შეუერთდა. ვალმოხდილი კაცი მარადიული ძილით განისვნებს კუპურის ძველ სასაფლაოზე, წმინდა ნინოს ეკლესიის წინ, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად დადგნილ ტერიტორიაზე.

საოცარი დამთხვევები არსებობს ამ ცოდვა-მადლით სავსე ქვეყნად. კუპურის საფლავიდან სულ რაღაც თხუთმეტი-ოცი მეტრის დაცილებით, იგივე პანთოონის ტერიტორიაზე, განისვენებს მისი უსაყარლესი უფროსი და ფაცაცა ასიეშვილი-ანთელავაც. მაღალი ღმერთის განგებით ისინი სიკვდილმაც კი ვერ დააცილა ერთმანეთს. გადატანილ მძიმე უბედურებათა მიუხედავად კვლავ ფეხზე დგას ვალერიან ასიეშვილის ოჯახიც, მისი მუჟღლე, შვილი, ორი შვილიშვილი და შვილთაშვილები აგრძელებენ იმ კეთილ გზას, იმ სახლოვან ცხოვრებას, რასაც მყარი საფუძველი ჩაუყარა ჭეშმარიტმა ქართველმა კაცმა, დიდმა პროფესიონალმა, ოჯახის უფროსმა და სწორი გზის გამკვლევმა დაუკიწყარმა ადამიანმა.

## ლექსებში დარჩენილი მემობრობა

2008 წლის 4 ნოემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ნეკროლოგებიდან უახლესი მეგობრების მიერ დიდი გულისტკივილით დაწერილი ნეკროლოგი განმეორებით მოგვაქვს, რომ ფართო მკითხველმა კიდევ ერთხელ გაიგოს, ვინ იყო უბრწყინვალესი ადამიანი და საქართველოს საამაყო პიროვნება ზეზვა ღულუნიშვილი.

### სანთელი



„ ერთხელ კიდევ მწარე ტკივილივით გაიელვა ჩვენს გონიერაში პოეტის ცნობილ- მა სტრიქონმა - „კაცი, რომელიც დააკლ- და ქალაქს“. მოულოდნელად ჩვენგან წა- სული მამულიშვილობის, კაცურკაცობის, მეგობრობის ეტალონი ზეზვა ღულუნიშ- ვილი მართლაც დააკლდა ოჯახს, ახ- ლობლებს, მეგობრება, ქალაქ თბილისსა და მთელ საქართველოს.

ზეზვა ღულუნიშვილი გამორჩეული პიროვნება იყო, სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული, ადამიანებისადმი უშურველი სითბოთი განწყობილი, ნიჭით, ღირსებით, პატიოსნებით, სიკეთით სავსე, ყველას დამხ- მრე და მხარში მდგომი, ერთგული, უძლატო, ჭირსა და ლხინში საიმედო კაცი. ის იყო მოელი თბილისის კოლორიტი, ყველასათვის სასურველი პიროვნება, თბილი და კომუ- ნიკაბელური ადამიანი. იმდენი ახლო მე- გობარი ჰყავდა მედიკოსთა, მეცნიერთა, ლიტერატორთა, ხელოვნთა, პოლიტიკო- სთა შორის, რომ ამ სამწუხარო ნეკროლოგზე ხელის მომწერებს გაზეთის მთელი ნომერიც ვერ დაიტევდა.

საკუთარი ნიჭით, ფართო თვალსაწიერით, მაღალი კვალიფიკაციით ზეზვა ყოველთვის იდგა ქართული ეროვნული მედიცინის პირველ რიგში, იყო მეოთხე მთავარი სამმართველოს უფროსი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამედიცინო დე- პარტატენტის ხელმძღვანელი, საქართველოს კურორტთა საბჭოს თავმჯდომარე და უანგარო მოამაგე, ინტელექტუალი ცნობილი პარლამენტარი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზურუნველყოფის კომიტეტის თავმჯდომარე, სადაც წლების მანძილზე იღწვოდა ხალხის საკეთილდღეოდ, ხალხისათვის საჭირო კანონების მისაღებად. ასეთი მაღალი პოსტების მიუხედავად, იგი რჩებოდა

თავმდაბალ, სამაგალითო, სახელმოხვეჭილ თბილისელ კაცად.

ზეზვა ღულუნიშვილი იყო ღრმა განათლებით, დიდი ინტელიგენტური ბუნებით, ქართული ვაჟაპური თვისებებით ცნობილი ადამიანი, ჭეშმარიტი ლიდერი, მან ისეთი სისხლსავსე ცხოვრებით იცხოვრა, მარტი ერთს კი არა, ას კაცსაც ეყოფოდა. ხალასი იუმორით, საამაყო ღირსებით, შინაგანი სითბოთი და მომხიბლავი კეთილშობილებით დაღდასმულ ადამიანს ოჯახის, მეგობრების გარეშე ერთი დღეც არ უცხოვრია, სიცოცხლის ბოლო დღეც მეგობრებთან გაატარა. ის არასოდეს ყოფილა კარჩაკეტილი თანამდებობის პირი, მეგობრებთან სუფრაზე ყოფნა და საუკეთესო ქართული ტრადიციები ძალიან უყვარდა, იყო ბრწყინვალე თამადა, ყოველთვის სასურველი სტუმარი, ასობით სახელოვანი ქართველის საყვარელი ძმა და მეგობარი. მისი მოწოდება მედიცინა რომ არ ყოფილიყო, უეჭველად დიდი პოეტი იქნებოდა, წერდა მშვენიერ ლექსებს, ხშირად მეგობრებს ლექსად მიმართავდა, ქართულ ხელოვნებაშიც დატოვა საუკეთესო კვალი.

ასეთი მეგობარი, ასეთი პიროვნება დავკარგეთ უდროოდ, ასეთი მეუღლე, მამა და ბაბუა წავიდა ამ ცოდვილი ქვეყნიდან, სხვა სამყაროს შეუერთდა საქართველოს საამაყო შვილი, თუმცა ზეზვა ღულუნიშვილმა ისეთი სახელი, სიყვარული, სიკეთე და აღიარება დატოვა, რომ ასობით წლის მანძილზე შუქურასავით წარუძღვება წინ მის შთამომავლობას, მისი სახელისა და ცხოვრების გამგრძელებლებს.“

ზეზვა ღულუნიშვილს ახალგაზრდობის წლებიდან ვიცნობდი. 19-20 წლისა იგი უკვე მთელ თბილისში ცნობილი კონფერანსიე იყო, პოპულარობით სარგებლობდა ნიჭიერების, ხალასი იუმორისა და ფართო გონებრივი მონაცემების გამო.

ცხადივით შემორჩა ჩემს მეხსიერებას შორეული 1960 წლის გაზაფხული. რეჟისორმა გოგი ჩხაიძემ, პოპულარული ქართველი მსახიობის ვასო ჩხაიძის ვაჟიშვილმა, მუხრანიდან, დედულეთიდან ჩამოიტანა ღვინო და ნაცნობ-მეგობრები დაბადების დღეზე მიგვიპატიუა ზემელის უბნის ძველ სახლში. მეგობრულ სუფრას მაშინ ახალგაზრდა უნიჭიერესი მწერალი, უკვე დაბეჭდილი მოთხოვნებით პოპულარული გურამ რჩეულიშვილიც ესწრებოდა, ჩვენ ერთად მივედით. მაშინ გურამი შედარებით ნაკლებს სკამდა, საუბრებსა და სადღეგრძელოებში კი აქტიურად მონაწილეობდა. გურამსაც ძალიან მოეწონა ზეზვა, კარგი ბიჭია, მაგასთან ქეიფი ღირსო, თქვა. ალბათ, მაშინდელი ჯერ კიდევ პატარა თბილისის ქალაქური წესების მიხედვით დამმაკაცედებოდნენ კიდეც, მაგრამ გურამ რჩეულიშვილს აღსასრულამდე საუბედუროდ სულ სამიოდე თვის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი, აქ 23 მაისი იდგა, 23 აგვისტოს კი იგი გაგრაში აზვიროებულ ზღვასთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპებოდა. შუადღისას დამსხდარი ახალგაზრდა ბიჭები შუალამე გადასული იყო, როცა წამოვიშალეთ. სუ-

ფრას მეგობრებთან ერთად ესწრებოდა ზეზვა ღულუნიშვილი, რომელსაც ჯერ 20 წელიც არ შესრულებოდა. მე ისე მოვიხიბლე ზეზვას ქცევით, კულტურით, შინაგანი სითბოთი, ჭკვიანური სადღევრძლოებითა და მახვილგონივრული იუმორით, რომ უკვე სრულიად ძალდაუტანებლად ძმაკაცად ვთვლიდი. მერე ახალგაზრდულ ორგანიზაციებში მუშაობის დროს ძალიან ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და ჩვენი მეგობრობაც სულ უფრო მეტად მტკიცდებოდა. რომ აღარ გავიმეორო, აქ მინდა მოვიტანო საკმაოდ მოზრდილი ციტატა 2002 წელს გამოსული ჩემი მსატვრულ-დოკუმენტური რომნიდან „სიკვდილი ოცდაათ ლარად.“ მართალია წიგნი ჩემი დაწერილია, მაგრამ ტექსტი მაინც წინწკლებით მომაქვს უკეთესად გამოყოფის მიზნით. ნაწარმოები მესამე პირშია დაწერილი, თითქოს ამ ლიტერატურული ხერხით უფრო შორიდან კრიტიკულად ვუცერდი საკუთარ თავს:

„ტკივილითა და სინაზით ავსებული წიგნის წერის დროსაც წერილები ხელახლა გადაიკითხა, ნაწილმა მათში უტყუარად ასახული დრო გაახსენა.

ერთ უბრალო ფურცელს წააწყდა, სკოლის ცალხაზიანი რვეულის ფურცელს ზემო კუთხეში შტამპი ერტყა - „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი“.

გაახსენდა ზუსტად ოცდაცხრამეტი წლის წინანდელი ამბავი. 1963 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მიმღები კომისიის წევრი იყო. ასევე იყო ზეზვა ღულუნიშვილიც, უკვე კურსდამთავრებული, ახალგაზრდა 23 წლის ექიმი.

ქართული წერის შემდეგ ისხდნენ მედქალაქის საგამოცდო კორპუსის პოლში და სახუმარო ლექსებს წერდნენ. მოილაპარაკეს, ვინ უფრო ჩქარა დაწერდა ერთმანეთზე ნახევრად სერიოზულ, ნახევრად ზუმრობაგარეულ ლექსს. თან ეს ლექსი ხუთექვს სტროფზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. დროც ამ მიზნით განსაზღვრული იყო.

ზეზვამ თხუთმეტ-ოც წუთში დაწერა ლექსი. სწორედ ეს ლექსი შეხვდა არქივში. წაიკითხა. მოეწონა. სინაზულით გაიხსენა წარსული წლები. გადაწყვიტა ლექსი შეეტანა წიგნში, რადგან იგი ცხოვრების უსასრულოდ შორს დარჩენილ და საუკეთესო წლებს აგონებდა.

ლექსი უსათაურო იყო. მიძღვნის ადგილას ეწერა - „ნუგზარ წერეთელს“ და ამგვარად ქღერდა:

„წავალ და სევდა არ მომასვენებს

შენი თმების და შენი ფერების,

განვლილ ტრამალებს გადამაჭენებს

ფიქრი უშენო საშინელების.

ზეცას ისევე მოითარეშებს

ბარათაშვილის ფიცხი მერანი,

გჯეროდეს ნაღდი ძმობის გარეშე

ვერ იარსებებს ქვეყნად ვერავინ.  
 ჯერ კი ბუდობენ გულში ჭრიჭინათ  
 მომაბეზრებელ აზრთა გუნდები,  
 და ისე, როგორც ბევრი წლის წინათ,  
 ველარასოდეს დაგიძრუნდები.  
 აბა რა არის შენში ასეთი,  
 აბა რა არის შენში მარადი,  
 სულს უნაპირო სევდით ავსების  
 ტკივილებისგან ვერ იფარავდი.  
 ჰოდა, ნუ გასცექრ დასეტყვილ შარებს,  
 სულგანაბულებს უცხო ლოდინით,  
 ეს დაბრუნება და განშორება,  
 მხრებზე მაწვება მძიმე ლოდივით.  
 მშვიდობით, ვეღარ გნახო ეგების,  
 ქარებს ვასწავლე სიმღერა ჩემი...  
 და სამუდამო განშორებების  
 ნაცსადგურიდან იძვრება გემი“  
 (15.VIII.1963. თბილისი, მედქალაქი).

ლექსის წაკითხვის შემდეგ ერთხელ კიდევ გაიფიქრა, რომ საქართველომ დაკარგა კარგი პოეტი, მაგრამ შეიძინა მაღალი დონის განათლებული ექიმი, სამედიცინო საქმის ორგანიზატორი და პარლამენტარი.

ამ ლექსმა ერთხელ კიდევ გაახსენა ძველი დრო. მართალია, მაშინ შორეულადაც არ ჩანდა თავისუფლება, დამოუკიდებლობა, დამსხვრეული ბორკილები, მაგრამ იყო სულიერი სიძლიერე, მეფობდა ლექსი, სიმღერა, მუსიკა, ქართული სული თითქოს მაშინ უფრო ძლიერად ფეთქვდა, ვიდრე დღეს“.

ზეზვა ღულუნიშვილზე გულსატკანი მოგონების წერისას პირადი არქივის უჯრები გადავქექე და ფურცელ-ფურცელ გადავათვალიერე, რომ ზეზვას მეგობრულ-სახუმარო ლექსები მეპოვნა. ამ ძებნისას უცებ წაგაწყდი სასტუმრო „ბაქოს“ ერთადერთ ქვითარს. ერთადერთს იმიტომ ვამბობ, რომ ასეთი დოკუ-მენტი თვის მანძილზე 5-6 მაინც იქნებოდა. საშინლად ტოტალიტარულ საბჭოთა კავშირში უდიდესი გაჭირვებით მოწყობილ სასტუმროში ადმინისტრატორებს წესად ჰქონდა ათი დღის, კვირის თუ ერთი თვის ფული წინასწარ არაფრით არ აეღოთ, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოსახლება არ გაძნელებოდათ. ამიტომ, როგორც ჩანს, ეს ერთი ქვითარი შემთხვევით შემორჩა, თორემ ასეთ რამეს არც შევინახავდი. ამ პატარა ქაღალდის ნაგლეჯმა კი გონების ხვეულებში შემონახული მოგონებებით ამავსო.

1972 წელს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბიჭები, მე ოცდაჩვიდმეტი წლის, ზეზვა კი 32-33 წლისა ბაქოში გაგვგზავნეს რაღაც კვალიფიკაციის ასამაღ-

ზეზვამ იწვალა, ნაცნობს დაარეკო-  
ნა აზერბაიჯანის უმაღლესი სა-  
ბჭოს პრეზიდიუმში სასტუმროს  
მოპოვების მიზნით, თორემ უნდა  
გვეცხოვრა ნარიმანვის პროს-  
პექტის ბოლოს მდებარე არც-  
თუ ისე კომფორტული საერთო  
საცხოვრებლის 12-13 მეტრიან  
ოთახში და გრძელი დერეფნის  
ბოლოს დანგრევის პირას მყო-  
ფი საერთო სკელი წერტილებით  
გვესარგებლა. მოკლედ სასტუმ-  
რო „ბაკიში“ შევუდექით ერთ-  
თვიან ბაქოურ ცხოვრებას –  
ვსწავლობდით, მთელ ქალაქში  
ვსეირნობდით, განსაკუთრებით  
კასპიის ზღვის ვრცელ სანა-  
პიროზე, ვკითხულობდით წიგნებს,  
ურნალ-გაზეთებს, ვუსმენდით  
ტელევაზიაცემებს, ძალიან ხშირ-  
ად ვწერდით სახუმარო ლექსებს  
სასტუმროშიც და ლექციებზეც.

მაშინ არც კომპიუტერი იყო, არც ინტერნეტი, არც მობილური ტელეფონი, საათობით ვისხედით უსუფთაო, სიგარეტის სუნით გაუღენთილ სატელეფონო ოთახებში, რომ როგორმე შინ დაგვირჩა და ოჭახის ამბეჭი გაგვიგო.

ერთობლივი ძალებით ვქმნიდით სახუმარო-სალაონბო განმაქიქებელ ლექსებს. ამ ლექსებში იმდენი უწმაწური გამოოქმა და სკაბრეზული ადგილი იყო, რომ აქ მათი მოტანა შეუძლებელია, ამიტომ არ ქივში ნაპოვნი საერთო ძალით შექმნილი ლექსების ნაწილის სათაურებს მაინც მოვიტა: „რომეო და ჯულიეტას“ ცქერისას კინოთეატრ ნიზამის ღია დარბაზში“; „ფიქრები ამხ. არამაის ასლანის-ძე ასლანოვის ლექციაზე“; „განდა „ეტაჟნიცა“; „ფილიპე (ფორა) მახარაძის რაიკომის პირველ მდივნად არჩევის გამო“; „ორი მტრედის ბალადა“ და სხვა, ძალიან ბევრის შენახვა კი ეტყობა ველარ მოვახერხები.

ზეზვა ლექსის წერდა თავისუფლად, თამაბად, ლაღად, გარკვევით ჩანდა, რომ მას პოეზია სისხლხორცეულად უყვარდა. ადრე წიგნის გამოცემა დღევანდელივით თავისუფალი, ყოველგვარ ყურადღებას მოკლებული არ იყო, თორუებზეზვას ცოტა წამუშავების შემდეგ ლექსიბის კრიტერიული რომ გამოეკა, ახლა

კაცურ კაცობასა და საკუთარ სასარგებლო საქმეებთან ერთად, საყვარელი პოეტიც იქნებოდა, თუმცა ზეზვა რაღაც განსაკუთრებული ადამიანი იყო, ჩვეულებრივ ყალიბებში ვერ თავსდებოდა, მარტო ერთ სფეროში თავს არ ჩარგავდა, ეს სრულიად არაორდინალური პიროვნება ისე სისხლსავსედ ცხოვრობდა, თითქოს უნდოდა ადამიანისათვის განგების მიერ გამოყოფილ ხანძოკლე ცხოვრებაში ყველაფერი მოესწრო, ასჯერ მეტი გაეკეთებინა ვიდრე ეს ერთ კონკრეტულ პიროვნებას ხელეწიფებოდა.

ზოგი რამ შეიძლება გავიხსენო იმ დაუბრუნებლად გამქრალი ცხოვრებიდან. ჩვენს ჯვეუფში სწავლობდა აზერბაიჯანის გენერალური პროკურორის უმცროსი მმა, ქართველებისადმი ძალიან მეგობრულად განწყობილი. ერთ დღეს, ლექციების შემდეგ, ამ ალექპერმა ნათესავთან საპურმარილოდ მიგვიპატიუა აფშერონის ნახევარკუნძულზე ზღვის პირას მდებარე საკურორტო ადგილ მარდაკიანში. ნახევარი საათის შემდეგ ბეტონის სამმეტრიანი ღობით შემოსაზღვრულ ოთხსართულიან სახლს მივადექით. ეზო იყო ხეხილით და ყვავილნარით დამშვენებული, შუაში დიდი აუზით, რამდენიმე შვლის ნუკრითა და წყალში მოსრიალე გედებით. ფანტასტიკური პურმარილი გაიმართა ზღვისკენ გადამდგარ ფართო აივანზე. ასე თხუთმეტამდის კაცი იყო იყო შეკრებილი. ჩვენი მასპინძელი ბატონი შეირალი თურმე ცენტრალური სავაჭრო ბაზის დირექტორად მუშაობდა, უმდიდრესი კაცი ყოფილა, მას ისეთი პატივისცემით ექცეოდნენ, როგორც მაშინდელი აზერბაიჯანის ახალარჩეულ მდივანს ჰეიდარ ალიევს, მართლაც სახელგანთქმულ პიროვნებას.

დაიწყო თამადის არჩევის პროცესი, ალექპერმა მთხოვა თამადა იყავიო, მე განვაცხადე აქ მთელ თბილისში ცნობილი თამადა გვყვას და როგორ ვთამა-დო-მეთქი. ამათმაც ზურგი შემაქციუს და სასწრაფო წესით აირჩიეს ზეზვა. ზეზვამაც გადმომხედა ირონიაშეპარული გაბრაზებით და მალე საქმეს შეუდგა. ბრწყინვალედ ითამადა, ისეთი დახვეწილი რუსულით წარმოთქვამდა სადღეგრძელოებს, რომ ჩვენი ძმა აზერბაიჯანლები გაკვირვებით შესცეკროდნენ. ხანდახან მეც მიკვირდა საიდან ისწავლა ასეთი სუფთა რუსული, როცა იმერლების უდიდეს ნაწილს რუსული ენა არასოდეს ემარჯვებოდათ, თუმცა ეს იყო პიროვნული ნიჭი, როგორი ნიჭიც მას ყველაფერში გააჩნდა.

მართლა გულიანად დიდხანს ვიქეიფეთ, ეზოშიც გაშალეს პატარა სუფრა, ფეხზე მდგარებმა შეესვით რამდენიმე სადღეგრძელო. ზეზვას და მე ცალკე მანქანა მოგვართვეს კმაყოფილმა აზერბაიჯანელმა მეგობრებმა. ზეზვას თამადობით დაუფარავად ნასიამოვნებმა დიდბატონმა შირალიმ რაღაც ანიშნა მოსამსახურე ბიჭს, მანაც წამსვე მოარბენინა ორი დიდი პარკი და მანქანაში ჩაგვიდო. მთვრალებისათვის დამახასიათებელი ცხარე კოცნა – პროშტნით დაცვილდით ერთმანეთს.

საღამოს 10 საათი იყო, როცა ბაქოში დავბრუნდით, მძღოლმა ამოგვიტანა

საკმაოდ მძიმე საჩუქრები. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაინტერესებდა რა იყო შიგ და დავიწყეთ პარკებიდან მაგილაზე ამოლაგება. ორივე პარკში ზუსტად ერთი და იგივე ელაგა: ორი ბოთლი წითელი შამპანური, ორი ბოთლი სამარკო კონიაკი, ორი ბოთლი რუსული არაყი „სტარკა“, კილოიანი თუნუქის კოლოფებით შავი ხიზილალა, ჰოლანდიური ყველი, მოხარშული ზუთხის ნაჭრები, ცალკე პარკებით დარჩეული თხილი, ნიგოზი, ნუში და ქიშმიში. ამხელა სიმღიდრის პატრონებს რაღა დაგვაძინებდა, სასწრაფოდ მოვძებნეთ იმავე სასტუმროში მცხოვრები, შეკრებაზე ჩვენთან ერთად მყოფი ოთხი ქართველი ამხანაგი და კვლავ ზეზვას თამაღლებით რიერაფამდის გულიანად ვიქეიფეთ.

როგორც ჩანს, ამ დაუვიწყარი შეხვედრით შთაგონებულს, შემდეგ წლებში უკვე სხვა მეგობრებთან ერთად მარდაკიანში ყოფნისას, დამიწერია პატარა ლექსი სათაურად „აფშერონის გახსენება“. ლექსი კვლავ ზეზვა ღუღუნიშვილს ეძღვნება, ის ვიპოვე 1999 წელს გამოცემულ წიგნში „პატარა ბიჭი ძველი სურათიდან“ და ასე ქლერს:

მზით გარუჯულ აფშერონს  
მოგონებით დავივლი,  
ლურჯ ნარდარანს ამშვენებს  
მაისობის ყვავილი  
გარდავლილს და დაბინდულს  
მოგონება წამოშლის,  
რაღა უნდა დაბრუნდეს,  
რა აღადგენს ამოშლილს.  
ნეტავ საით წავიდა  
ის მაისის დარები,  
ბრტყელი სახურავიდან  
ასხლეტილი ქარებით.  
სიცხითა და კასპიის  
სივრცეების გადაშლით,  
ძველის ხსოვნით ასპირით  
შენახულით დადარში  
მზით გათანგულ აფშერონს  
მოგონებით დავივლი,  
ლურჯ ნარდარანს ამშვენებს  
მაისობის ყვავილი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბაქოში ჩვენი ერთოვიანი შეკრების დროს შემოთავაზებული სისულეების სწავლას ყოველდღიურ ცხოვრებაში მეასე ადგილიც არ ეკავა, ძირითადად ქეიფებითა და თავისუფალ დროს კითხვით ვიყავით დაკავებული, ან ლამაზ გოგონებთან სეირნობით. ბუნებრივია, მაშინ

ძალზე ახალგაზრდებს გოგონებიც გვიყვარდა, აბა ზოგზოგებივით კაცების სიყვარულის მომაკვდინებელი ცოდვის ჩადენას ვინ გაბედავდა. მოკლედ, რამდენიმე დღის შემდეგ მთელი დღე, ანუ 2-3 საათამდე სემინარი გვქონდა, კათედრის გამგე კასუმოვისთვის რაღაც თემები უნდა ჩაგვებარებინა. ჯერ დაუნგრეველი საბჭოთა კავშირი ანუ რუსთი მბრძანებლობდა და ისეთ საძულველ დისკოპლინებს გვჩრიდნენ, როგორიც იყო პოლიტეკნიკის, დიამატი, ისტმატი და სხვა უბედურება. მთელი კურსის ოცდაათამდე მსმენელიდან არავინ არაფერი არ იცოდა და უკვე ბრწყინვალე ნიჭით, ცოდნით, ორატორობით გამორჩეულ ზეზვა ღულუნიშვილს სთხოვეს ძირითადად მას ელაპარაკა და შეკითხვებითაც დაება შეკითხვების მოყვარული კასუმოვი. დაიწყო სემინარი, კასუმოვმა, რომელმაც არც რუსული იცოდა და მგონი არც აზერბაიჯანული, იკითხა ვის გინდათ მოცემული თემის ირგვლივ გამოსვლა ან თუ ვერ გაიგეთ შეკითხვები დამისვით და მე გიპასუხებთო. ზეზვამ ორი-სამი ისეთი მწვავე შეკითხვა დასვა, რომ კასუმოვი თითქმის ორი ლექციის მანძილზე ძლივს იგონებდა სასაცილო არგუმენტებს დამტვრეული რუსულითა და სასაცილო დიქციით. მერე ზეზვა გამოვიდა, რა საკითხი იყო აღარ მახსოვს, მაგრამ დარჩენილი სალექციო დროის მანძილზე ისე ილაპარაკა, დაბნეული კასუმოვი პირდაღებული უსმენდა. ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ პროფესორმა ყველას ხუთები და ოთხები დაუწერა. ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრით გაოცებულ-გახარებულმა კასუმოვმა ზეზვას ხელი გამოსდო და საუბრით წაიყვანა გრძელი დერეფნის ბოლოს მდებარე საპროფესორომდე, დიდხანს ისაუბრეს, თუმცა ყველაფერი საუბრით არ შემოფარგლულა. იმ დღეს თურმე კასუმოვს ცოლის დაბადების დღე ჰქონდა და აღფრთოვანებულმა ნიჭიერი მსმენელი სახლში მიიპატიქა. ზეზვასაც სხვა გზა არ ჰქონდა, თვით ბატონი კათედრის გამგე პატიუებდა, სტუმრებიც ბლომად ყოფილან და გვარიანად უქეიფიათ. ვინაიდან ზეზვას მასპინძელი შეუქია ეს მართლაც საუკეთესო კონიაკია, სუფრის დამთავრების შემდეგ მთვრალ ლექტორს ხუთი ბოთლი კონიაკი ჩაუდევს პარკში, ძალიან გთხოვთ დამავალეთ, ჩემი ცოლის სადღეგრძელო დალიეთო და ზეზვასთვის გამოუტანებია. ჩვენც მეორე დღესვე ბოლო მოვუდეთ საჩუქარს და არც კასუმოვის გაცილებით ახალგაზრდა, ლამაზი ცოლის სადღეგრძელო დაგგვიწყებია მის სექსუალურ მონაცემებზე აქცენტის გაკეთებით.

ერთ დღილით, როცა ვისაუზმეთ და ჩვენი კურსების შენობისაკენ მიმავალ გზას დავადექით, ზეზვამ მითხრა, ასეთი ქიფებით ძალიან გავსუქდი, შენც საგრძნობლად გაქვს მომატებული, მოდი დიეტაზე დავდგეთ, მხოლოდ დისცილინებული წყალი ვსვათ, თუ ორ დღეს გავუძლებთ ორ-ორ კილოს დავიკლებთო. მეც დავეთანხმე, მომზადებული ექიმია და აღბათ სწორი მეთოდები იცის-მეთქი. ის დღე ნორმალურად ვიყავთ, დამეც არაუშავს გავათენეთ, მეორე დღეს შუადლიდან სასტიკად მოგვშივდა, უკვე ერთმანეთს ვეუბნებოდით – უცებ ორი დღე არ

უნდა გაგვეკეთებინა, შევჩვეოდით, ჯობია აწი კვირაში ერთდღიანი დიეტა ჩავატაროთ, თორემ ასე მნელია გაძლებაო. ღამისკენ უფრო გაუსაძლისი გახდა შიმშილი, მაცივარშიც არაფერი გვქონდა, ჩავიქნიეთ ხელი და ჩვენი მექქსე სართულიდან ჩავედით დაბლა, რომ რამე საკვები გვეყიდა. სასტუმროდან ორმოცდათი მეტრის იქთ ცენტრისაკენ ფართო პრისპექტი მიემართებოდა, შუა პროსპექტზე დიდი, ცნობილი გასტრონომი მდებარეობდა. უკვე მეათე საათი იწყებოდა, ცოტა ხალხი ჩანდა, შევედით და თევზეულის განყოფილებაში დავინახეთ ცივად შებოლლილი ზუთხის მოზრდილი ნაჭერი. ასეთი ძვირფასი თევზი მაშინ ხუთი მანეთი ღირდა და მნელად იშოვებოდა. ჩვენ მთლიანად ავაწონინეთ დარჩენილი ნაჭერი, ორკილონახევარი გამოვიდა, ყველი, პური, მინერალური წყალიც დავუმატეთ და კბილებაკაწაწებულები დაებრუნდით ჩვენს ნომერში. სასწრაფოდ გავშალეთ სუფრა, მგლებივით დავეტაკეთ თევზს. ორიოდე საათში თევზისგან მარტო ხერხემალი დარჩა, თან გულაჩუყებულები საღლეგრძელოებს წარმოვთქვამდით და თითო-თითო ლიტრი არაყიც მივირთვით. ცოტა გავიაროთ, თორემ ასე ვერ დავიძინებთო ვთქვით და ისევ ნაცნობ გზას დავადექით. ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ ცარიელი ეტლიც გამოჩნდა, გავაჩერეთ, ჩავსხედით, გრილი ღამე იდგა, ასე კმაყოფილება თთქმის მთელი ცენტრი და მარილის სუნით გაუდენ-თილი სანაპიროც მოვიარეთ. მერე ამ დაუკიწყარი შთაბეჭდილებით ავსილმა ლექსიც დავწერე სათაურით „ფაეტონი“ და ზეზვა ღუღუნიშვილს მივუძლვენი. ზუსტად ამ სათაურითა და მიძღვნით ლექსი აქაც მინდა მოვიტანო 1990 წელს გამოცემული ლექსების კრებულიდან „უწყვეტი ძახილი“, როგორც იმ შორეული დღის დამადასტურებელი ფაქტი:

განვლილი წლებიც სითბოს იძნენ,  
გაიმედებენ სევდამორუეულს,  
შეგეფეთება ღამით სიძველე  
და გაგახსენებს დღეებს შორეულს  
ფეხქვეშ გეცლება ცივი ბეტონი,  
ძალა დახარჯო გინდა რამეში,  
ძველი მეეტლით და ფაეტონით  
დახეტიალობ ბაქოს ღამეში.  
გააქვთ ასფალტზე წკარუნი ნალებს,  
ყვინთავს მეეტლე ბელდათარსული,  
სხვა სურნელებით გაუდენთილ ღამეს  
უკან მოყვება მოელი წარსული.  
გჯერა ცხოვრება არის ზღაპარი,  
ცხელი განცდა თუ დარდი გოგოზე,  
ხან გეჩვენება რომ წინაპარი  
მკვდრეთით აღმდგარი გიზის კოფოზე.

დაგეუფლება ზეცა მაღალი  
 დაკიდებული ღრუბლის ფარდებზე,  
 შეგაბარბაცებს დარღი ახალი  
 განვლილ წლებზე და დამჭკნარ ვარდებზე.  
 სანაპიროებს აჩნდებათ დაღად  
 ქარის სტგენა და ტალღის ტყლაშუნი,  
 და გიხარია, შემოგრჩა რაღაც  
 ახალგაზრდული,  
 თუნდაც ბავშვური.  
 როცა ივიწყებ ნაღდად მოსახდენს,  
 ეტლის რწევაში ქრება ვალები,  
 ყველა ქუჩას და ყველა მოსახვევს  
 გასცერ მეეტლის მღვრიე თვალებით  
 თითქოს წარსულზე სევდამორუეულს  
 მკერდზე გივლიან დამის ზვირთები,  
 და დაბრუნებულ დღეებს შორეულს  
 ფაეტონით ვეღარ ცილდები.

მრავალი წლის გასვლის შემდეგ, განსაკუთრებით შედარებით ვიწრო მეგობრულ სუფრებზე შეხვედრისას, ვიგონებდით ბაქოში თუ მოსკოვში გატარებულ დღეებს, ვყვებოდით გადამზდარ თავგადასავლებს, რისი ოსტატიც ზეზვა იყო და ჩვენი გულიანი სიცილი აუცილებლად მთელ სუფრას ედებოდა.

პოეზია, ხელოვნება ძალიან უყვარდა, სრულიად ბუნებრივად და ძალდაუტანებლად თავის მეორე პროფესიად თვლიდა. ბევრს კითხულობდა, ქართული, ევროპული თუ რუსული ლიტერატურიდან უამრავი ნაწარმოები იცოდა, ბევრი ლექსის ზეპირად წაკითხვაც უყვარდა. ერთხელ ჩემი დაბადების დღეზე მოსული სწორედ პოეზიაზე ვსაუბრობდით. რომელიდაც ჩემს კრებულში, ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, სხვა ლექსებთან ერთად წაიკითხა ლექსი სათურით „სისხლის აღება“. ჩვეულებრივად იხუმრა – მე მეგონა ნუგზარს სვანურ-ხევსურული სისხლის აღებაზე დაუწყია წერა-მეთქი და დამაინტერესა, თურმე ლექსი წარსულზე, პატრიოტიზმსა და მედიცინაზე ყოფილა, განსაკუთრებით დაბოლოება მომეწონა, კარგი სურათია დახატული, შე კაი კაცო, ეგეთი ლექსი ჩემთვის უნდა მოგეძლვნა, შენს საავადმყოფოებში სიარულს და წამლების ზიდვას ვეღარ აუვედიო. ამაზე ბევრი იხუმრა. მერე როცა ახალ კრებულს ანუ ერთტომეულს სათაურით „რის სიყვარულიც მე მისწავლია“ ვამზადებდი, გამახსენდა ზეზვას რჩევა და ეს ლექსიც შევიტანე, ოღონდ უკვე მიძღვნით. აღნიშნული წიგნი 1996 წელს გამოვიდა.

## სისხლის აღება

ზეზვა ღუღუნიშვილს

თენდება დილა სისხლის აღებით,  
გაშინებს შპრიცის სიგრძე და სისხო...  
აფსუს, ბრძოლებში უხვად დაღვრილო  
მამა-პაპათა გმირულო სისხლო.  
შეფარებული საავადმყოფოს  
დროის სირბილის შეგრძნებას კარგავ,  
ღმერთმა სუყველა კარგად გამყოფოთ,  
მებრძოლს კი უკვე არც ერთი არ გავს.  
დღე მოსაწყენი ზუზუნით მიდის,  
შავი ხავერდის ეშვება ფარდა,  
მხოლოდ წარსული, გმირული, დიდი,  
კვლავ დაგვრჩენია ფიქრად და დარდად.  
თუ არა შებმა მამულის მტრებთან,  
თუ არა სისხლი – სხვა რა გვიხსნიდა,  
გუნდი ყორანთა ბოროტად ყეფდა  
გაუმაძლარი ჩვენი სისხლითა.  
ვის დასცდებოდა ვაი და ვიში,  
ვინ შეიმჩნევდა სულით დაცემას,  
როცა მამულის დაკარგვის შიში  
და მოძმის შეცლა ალომკაცებდათ...  
მე კი უძალომ შშვენივრად ვიცი,  
რომ ვედარაფერს ვუშველი მოძმეს,  
და ჩემი სისხლით დასვრილი შპრიცი  
აგდია როგორც მოქლული მოწმე.

გემრიელი, უბოროტო, მოხდენილი ხუმრობა, იცოდა, როგორც ზედმიწევნით კულტურულ ადამიანებს შეფერით. ერთხელ, ოცი და ცოტა მეტი წლის წინათ მოსკოვში შევხვდით, სასტუმრო „მოსკოვის“ ვრცელ ჰოლში, რა თქმა უნდა, წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ. მე ახალი ჩასული ვიყავი, რუს შარვალზე თეთრი არა, მაგრამ უფრო კრემისფერი „სალამანდრის“ ფირმის ფეხსაცმელები მეცვა. მე ორ თანამშრომელთან ერთად ვიყავი, ზეზვაც მეგობრებით მოვიდა. სალილობამდე ცოტა ადრე იყო, მერე ზეზვამ ხელი გამომდო და გვერდზე გამიყვანა - „არ დამიმალო ეგ ფეხსაცმელები სად იშოვე, იქნებ მეც მაშონინოო“. იმ წუთში მივხვდი, რასაც ნიშნავდა ხუმრობა და იმ ფეხსაცმელებს მხოლოდ ჯურორტ მანგლისში დასვენებისას ვიყენებდი.

ერთხელ დაბადების დღეზე მალიან კარგი საჩუქარი მომიტანა, გერმანული წარმოების ორი კალამი კოლოფით, კოლოფში ასევე მოთავსებული იყო პატ-

არა სამელნე ბოთლი და დგუში. იცოდა რომ კარგი კალმები ძალიან მიყვარდა და ყოველთვის ძვირფას საწერ-კალმებს მჩუქნიდა. მერე როცა სუფრა დავიწყეთ ვისკი მოითხოვა, მე ვუთხარი ვისკი რად გინდა, ბრწყინვალე ღვინოა სილნაღიდან, ტრადიციულ წესიერ ოჯახში დაწურული – მეთქი. არა დღეს ვისკი უფრო მირჩევნიათ, თან მექუმრა – შე კა კაცო, თოხი „მესტა“ საჩუქარი მოგიტანე, შენ კი ამ ორდინალურ ვისკს მინანებო. გამეცინა და წამსვე გამოვუტანე ვისკი – აჳა, ძმაო, ერთი „მესტა“ დაგიბრუნე, სხვას რომ მოიტან, მერე სხვა იქნება-მეთქი.

საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურული კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობის წევრი იყო, ყრილობის დელეგატადაც აირჩიეს, უნდა წამოსულიყო, მოსკოვს, მაგრამ არ ეცალა. ერთხელ, საღამო ხანს, სამსახურში გამომიარა, ვილაპარაკეთ, მერე თავისი სამსახურებრივი მანქანით ამიყვანა სახლში. ჩემი სამსახურიდან სახლამდე სულ რაღაც 400-500 მეტრია. „რა ჩქარა მივედითო, თქვა, ვერ იქნა ამ ვერას ვერ მოგაცილეთ, ბირჟა ახლოს გქონდა, სკოლაც, უნივერსიტეტიც, ახლა სახლი ზედ სამსახურთან აიშენე, გენო მაქაცარიაც მეზობლად გყავს, მეტი რაღა გინდა ძმაო“, - იცინოდა.

ჩვენი მეგობრული პაექრობა უფრო კარგად ჩანს იმ სახუმარო-სალაღობო ლექსებში, რაც სხვათაშორის ზეზვამ დაიწყო და დროდადრო ხან წერილობითი, ხან ზეპირსიტყვიერი ფორმით იჩენდა თავს. 1980 წელს ავად გავხდი, მგონი ზედმეტი წამლებით მოვიწამლე, ჯერ მე-4 სამმართველოს საავადმყოფოში ვიწექი, იქ მაინცდამანც სწორად ვერ მიმკურნალეს და სახლში გამოსული დაუვიწყარი დიდი მკურნალის ვახტანგ ბოჭორიშვილის დაუინებული მოთხოვნით სასწრაფოდ ინფექციური საავადმყოფოს სეფსისცენტრში გადამიყვანეს. ზეზვა ხშირად მნახულობდა, თან უბრალოდ მნახულობდა კი არა, ძნელად საშოვარი და ძვირადღირებული წამლებიც მოჰქონდა, რადგან საბჭოთა კავშირში ჩამკვდარი ცხოვრების დროს ნებისმიერი დეფიციტური წამალი ძალიან ძნელად იყო საშოვნი.

ერთ დღესაც მოსულმა წამლებთან და მოსაკითხთან ერთად სალაღობო სტილის კარგა მოზრდილი ლექსი მომიტანა. ზეზვას ლექსშიც და ჩემს პასუხშიც, ახლაც, შემდეგაც, შეიძლება შეგხვდეთ დიალექტზე გადაკეთებული სიტყვა ან უხერხული გამოთქმა, ეს შეიძლება დაშვებული ყოფილიყო ლექსის სუბიექტურობის დროს, რაც დასაბეჭდად სულაც არ იყო გამიზნული და მხოლოდ ზეზვას უდროო დაკარგვის გამო მოხდა მათი გამოქვეყნება:

### 6. წერეთელს – პოეზის და ავადმყოფს.

„ნუგზარ აკაკიჩ! ცხოვრება გადაგვიქციე რაუნდად!  
მამულიშვილო! შენ შიგან სტაფილოკოკებს რა უნდათ?!  
რა უნდათ რითმათ მწოველებს, თვალით უხილავთ, უჩინართ,  
რომ ასე გაავებულან – მთელი სხეული უჭირავთ!  
მთელი სხეული უჭირავთ, გაუმართიათ მრუშობა ...  
და თვითონ გენტიმიცინიც ვერაფერს ვეღარ უშობა.  
მაგათი დედის შესახებ მრავალი ითქვა ვაგლახი,  
ანდა რა ასატანია მილიონამდე ჩათლახი,  
მილიონამდე ასპიტი, მილიონამდე გენია,  
თავაშვებული, მურდალი, ასე რომ შემოგჩენა.  
აკაკიჩ! ეს ყველაფერი, ნაღდად არ არის მარტივი,  
მაგრამ შენც უნდა დაუდგე ყრილობის დელეგატივით,  
უნდა გვანახო მხნეობა, პარტიულობა და სული,  
მკაცრად ალაგმო ვერაგი, თავხედი, თავზედ გასული.  
უნდა იპოვო მუდმივი სტაფილოკოკთა მკოდავი,  
და, უმაღლესი ნოტივით უნდა აახლო ნოტა, ვით:  
– ეჰა, პატარ ჭირებო, საიდან საით მოსულნო,  
გალაღებულნო სისხლითა და სიხარულით ორსულნო,  
გეყოთ რაც იბაირამეთ, გავიცინეთ და გათავდა,  
თავგასულობას წერტილი, თორემ ზნე აგვითავთავდა.  
ისე განვრისხდით, გავლომდით და ისეთ რამეს ვაპირებთ,  
რომ ყველა თქვენიანების დედას ცალ-ცალკე ვატირებთ!  
მოგსპობთ და დაგასამარებთ, ჩემს ძარღვებს ხელი შეუშვით!  
უარესს გიზამთ! გაგიშვებთ მ. ასპისოვის სხეულში!  
ჰოდა, ამგვარი ნოტისგან (ნოტა არ არის ანგალი),  
მაგათ კი არა კარტერსაც დაწყებინებს კანკალი.  
თავს მოუარე, აკაკიჩ! არ მიიყენო ზიანი,  
სასირცხვილოა წერეთელს ნემსებს ურჭობდეს იანი.  
იყავი მაგრად, აკაკიჩ! არ გქონდეს ფიქრი გასავლის,  
ვახტანგი კი არ მოგარჩენს – ლექსის წერასაც გასწავლის.  
რომ დააპირო მანდედან გადაბრძანება სახლშია,  
ცოტა დაფიქრდი, იქნება ჩვენს დროში არვის არ შია,  
მაგრამ შენ მაინც დაფიქრდი, კაცი ხარ – განა მესია,  
პერსონალს ეცი პატივი, როგორც კლინიკის წესია“.

ზეზვა ღუღუნიშვილი.  
9.VI.80წ.  
თბილისი.

ზეზვას ლექსი 9 ივნისს მოუტანია, მეც დაუყონებლივ დამიწერია პასუხი. მერე პირადად მივეცი თუ გაფუგზავნე კარგად აღარ მახსოვს

### **ზეზვა ღუღუნიშვილს – ექიმს, პოეტს და ბიზნესმენს.**

ზეზვა გიორგი! მივიღე გამოგზავნილი უსტარი,  
ვეცი და გადავიკითხე თუმც ვიყავ დანასუსტარი.  
ნანემსარებიც მტკიოდა და უფულობაც მიჭირდა,  
მანც აივსო პალატა შენი ღვთიური ნიჭითა.  
თუ დამრჩა გადაუხდელი ვახტანგის ხათრით ვალები,  
რა ვუყოთ, ერთი დროც იყო ყანწებ რო ვატრიალებდი.  
სანამ შემებლო ხომ ვცალე დოქი, ვედრო თუ კოკები,  
ახლა რას ვიზამ, მომადგნენ თქვენი სტაფილოკოკები!  
ვითომ ეს ჩემი ბრალია ახლა რომ მავსებთ ტუქსვებით?!  
რას მშველიდა მე თენგიზ კონსტანტინიჩის ლუქსები.  
სადაც მკურნავდნენ კომპოტით, ხაშით, საუზმით, სადილით,  
თუმც ამ კოკების მოძებნა სულ არ ყოფილა ადვილი.  
ახლა რომ ვუცემ კალმისტარს, მგონია მიჩხვლეტს შპრიცივით,  
ვერ მშველის შენი ნაშოვნი გემოდეზ-გენტამიცნი.  
ამპიცილინზეც ვერა ვარ, სიმართლე გითხრა, ვაცივით,  
და ახლა ჭერას მარიგებ ზოგზოგი კაი კაცივით.  
ვეღარაფერი ვერ მშველის, ვარ ვით გვალვაში თავთუხი,  
უკან იძღენი შემირჭვეს, ხაშის ქვაბივით ავდული.  
ერთმანეთს უნდა ვუშველოთ, ცოდვა არ უნდა დავიდოთ,  
რატომ არ გამასინჯვინე ერთხელაც რუბენ დავიდოვს?!  
მე ხომ პატარა აღარ ვარ ნემსებს მირჭობდეს იანი,  
ახლა დამცინი, როდესაც სიძე ხარ დიპლომიანი?  
შენი შეტევა კოკებზე გულს იმედივით მოედო,  
შენ საუცხოო ექიმო, მსახიობი და პოეტო,  
ეს ორი ნიჭი თანა გდევს ორი ლამაზი წყვილივით,  
მწამს მედიცინას უარყოფ ბოლოს მენთეშაშვილივით.  
შენს ბოლოთქმაზეც დავფიქრდი, აქ უკვე ძნელი ზღუდეა,  
ეს კლინიკა ძმაო თუ ჭიანჭველების ბუდეა?!  
ამდენი ფული რომ მქონდეს, არც გავხდებოდი ავადა,  
შენს შეგონებას, გჯეროდეს, საქმე წაუვა შაგადა.  
აქამდე არვინ მაძალებს და ალბათ, კიდევ მომაცდის,  
თუ ახლა წამლის მაგიურ ცოტა მაყუთსაც მომაწვდი.  
მიტომ გვასწავლის შოთა და შენც გიცნობ ასეთ გულიანს:

„რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“.  
უკვე გამთავრებ და გული მოლოდინისგან მევსება,  
სტაფილოკებს რომ მალე შეუღიტინონ ნემსებმა!

**ნუგ ზარ წერეთელი.**  
**10. VI. 80 წ.**  
**თბილისი.**

1981 წელს, უკვე გამოჯანმრთელებულს, შობა-ახალი წელი მომილოცა, თან ზეპირად მითხრა მოძღვნილი ლექსიდან რამდენიმე სტროფი, მერე გადავწერ და დაბადების დღეზე მუდმივ კალამთან ერთად მოგიტანო.

ვერ გავიხსენე ის შეპირებული ლექსი აღარ მოიტანა თუ მე ვერ ვიპოვე არქივში, მე კი დავასწარი და ადრიანად გავუგზავნე ახალი წლის მისალოცი ლექსი, ამიტომ მომაქვს მხოლოდ ჩემი ლექსი სათაურით - „საახალწლო მილოცვა ზეზვა ღუღუნიშვილს“.

ჩემო ზეზვა, სიყვარულით მოგილოცავ ახალ წელსა,  
შენისთანა მეგობარი ვეძებე და ვნახე ვერსა.  
ტელეფონთან ვიჯედი და იმერულად გიძახოდი,  
მაგრამ ვერსად ვერ გევიგე შენი გზა და შენი „ხოდი“.  
გული მქონდა მოგონებით ფიშტოსავით გატენული,  
ქვეყნას ხომ დოუმტკიცე რომ გიყვარდა ატენური.  
სიკეთით და ჯანმრთელობით სულ ატენის ქუჩით გევლოს,  
მეჩვენება ჩემი ყველა სავსე ბოთლი შენთვის მძევლობს.  
ცოტა ხანიც დამაცადე მეგობარო ჩემო ძველო,  
დრო მოვა და ისევ ავწევ სიყვარულის სადღეგრძელოს.  
ჯერჯერობით იმ ძველებურ გაპობაში ვერ გიშველი,  
ამიტომაც დაიხმარე მერაბი და ედიშერი.  
ვით მწოლარე ინფექციურს შენ მოკითხვას ისევ ველი,  
ამ კაფიას გიგზავნის და - გკოცნის ნუგ ზარ წერეთელი.

28. XII. 81წ. თბილისი

სამოცი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, ეს უკვე კარგად მახსოვს, მოვიდა, პიერ კარდენის შესანიშნავი მუდმივი კალამი მაჩუქა ფურცლების საჭრელი ლამაზი დანითურთ, თან მოსალოცი სალალობო ტექსტიც გადმომცა, რომელიც აქ სრულად მომყავს. „ბატონ ნუგ ზარ წერეთელს - 60 წლის შესრულების გამო“.

„ამ დიდი ოუბილეს ჟამს, ჩვენს უსაყვარლეს ნუგ ზარის,  
ღუღუნიშვილთა ოჯახი სალამს და კოცნას უგზავნის!

მრავალი გვახსოვს ჩვენ შენი ანცობა-სინავარდენი  
ეს შენი წელი სამოცი – ტოლია ასი ამდენის!  
ხარ პოეზის ავაზა და მეგობრობის ჯავარი,  
თუმცა სხვა არი მთავარი,  
სადაც კი წერა ჭირდებათ, - ყველგან ხარ ნამუშავარი!  
რა არის – სამჯერ ოცია, მეტი კი არა შე კაცო,  
თუ გული გეთანაღრება – კიდევ გაგიხსნით ცეკასო.  
სიკეთის დროშით მოარულს წლები გაკლებენ ვერ-რასა,  
გული ძმაკაცებს აჩუქე და ცოდნა კიდევ ვერასა.  
იქვე დასახლდი... თუმცა რა? ბოზები აქვე არიან...  
თუ გინდა დაგეხმარება ჩვენი გ. მაქაცარია.  
უნდა გაუძლო, რას იზამ, იუბილარო, გენოსენ  
იყავი რაც ხარ! ვინცა ხარ! არ გადიხარო გენოსკენ!  
და თუმცა ვაჟკაცს სამოცის უფრო გჭირდება შარდმდენი,  
მე მაინც მინდა გაჩუქო კალამი პიერ კარდენის!  
დაწერე ათი ამდენი! იცოცხლე ასი ამდენი!!!“

**ზეზვა ღულუნიშვილი. 2. I. 95, თბილისი**

ჩემი პასუხი საქმაოდ დიდი დაგვიანებით არის მიწერილი, იმავე წლის 9 ივნისს, შეიძლება გამებნა სადმე, ან ახალი წერილის გამოა მიწერილი, თუმცა ამას არაფერი მნიშვნელობა აღარ აქვს. ამიტომ სრულად მომაქვს ზეზვასადმი მიძღვნილი ლექსი.

### **55 წლის ზეზვა ღულუნიშვილი**

ზეზვა! ახალი უსტარი გულს სიხარულად მოედო,  
ნიჭით აღსავსევ, ბიზნესმენ-ექიმ-მსახიობ-პოეტო.  
უფრო კი მესიამოვნა კალამი პიერ კარდენის,  
თუ არ მომპარეს, როგორაც გვარნერი კოტე ვარდელის.  
ხელს თუ რაიმეს მოკიდებ, პრობლემა უცებ გვარდება,  
იქნება ნიჭი გარგუნა მაგ შენმა პიერ კარდენმა.  
საჩუქრით ჩემი გრძნობები შენდამი უფრო განაზდა,  
რადგან მიძღვნი კალამი შეხამებული დანასთან.  
კვლავაც თუ აღარ მომიძღვნი და დასჯერდები ამასა,  
კარდენის საჭრელს ავლესავ და მკერდს დავიცემ დანასა,  
მერე კი ვერსად იპოვნი მეგობარს ჩემისთანასა,  
გინდა იარო პარიზად, რომად, ატლანტა-დალასად...  
მერსედესივით მოქრიხარ და საცა არის მეწევი,  
სრბოლა იქნება ასწლობით ღვთისა და უფლის შეწევნით  
ჩანს შემართებაც, სიქველეც იმერულ პეტით ნაწერში,  
შენი ორმოცდათხუთმეტი უნდა აღვნიშნოთ ამ წელში.

თუ კალამს კვლავ არ მაჩუქებ იქოურს (არა აქოურს)  
 დავჯდები, წვრილად ჩამოგწერ, შენს თავგადასავლებს ბაქოურს.  
 სად არაყს სვამდი ლიტრობით, თევზს მიირთმევდი ფუთობით,  
 მერე მოწყენილ მეგობრებს სულსა და გრძნობებს უთბობდი.  
 სულ მალე, როცა ჩემსავით შენაც დაირტყამ სამოც წელს,  
 შენი მიძღვნილი ლექსების ერთტომეული გამოვცეთ.  
 თუმც მე რა ვნახე ხეირი ლექსებითა და პროზითა,  
 ვინც ვერაფერს წერს, დოლარი იმან ბზესავით მოზიდა.  
 ასეთი დოლარისტები იქაც და აქაც არიან,  
 დოლარის შოვნას ცდილობდა ჩვენი ძმა მაქაცარია.  
 რომ შტატებშიაც გაეგოთ ელინს დიდი ტალანტი,  
 ნაკლებ ეშრომათ ოჯახში, რასაც აქამდის ვმალავდი...  
 საწყალ ჩვენს გენოს მარადი ძილი ერგუნა ბათუმში,  
 ზოგი კი გასცერს ოთახებს თვალის და კარტის ფათურში.  
 გაგრძელდა, თანაც დაძველდა პასუხი შენი უსტრისა,  
 როგორაც კაცის კაცურის და კარგი ლექსის მუშტრისა.  
 ეს ოხუნჯობა არ არის კახელისა თუ მოლასი,  
 დაჯექ, იმდენ ხანს იკითხე, სანამ გახდები ორასის!  
 ძმა ნუგზარ წერეთელი

ასე მიდიოდა ჩვენი ცხოვრების წლები, თავის დროზე არც კომპიუტერი  
 გვქონდა, არც ინტერნეტი, არც დივიდი, არც ფეშენფართზე, არც შარდენბარსა  
 თუ ღამის კლუბებში დავდიოდით, მაგრამ გაქონდა ჭეშმარიტი ქართული სიყ-  
 ვარული, პატიოსნება, ერთგულება, ძმობა, მეგობრობა, უღალატობა. ზეზვა იყო  
 უერთგულები მეგობარი, თბილი და სიკეთით სავსე ადამიანი. გურამ რჩეულიშ-  
 ვილის ფენომენისა და საოცრად გახსნილი გულისა არ იყოს, ზეზვასაც აუ-  
 რაცხელი მეგობარი ჰყავდა, ყველას მიაჩნდა, რომ მაინცდამაინც ის იყო უახ-  
 ლოესი, უპირველესი მეგობარი, თავად ზეზვას ფართო გაქანების ბუნება იძლე-  
 ოდა ახლობლობის საშუალებას.

ასეთი მეგობარი დავკარგეთ სრულიად მოულოდნელად, სამოცდაათ წელს  
 ვერმიღწეული სამწუხაროდ, მარადიული სამყაროს ბინადარი გახდა, თუმცა  
 იგივე გურამ რჩეულიშვილივით იმხელა სითბო, სიყვარული, სახელი, მოგონებები  
 დატოვა, რომ ზეზვას დაკარგვით ჩამომდგარი სიცარიელე არაფრით აღარ  
 შეივსება. ამიერიდან იგი მეორე არაფიზიკური ცხოვრებით იცხოვრებს, საყ-  
 ვარელ მეუღლესა, შვილებსა, შვილიშვილებსა და ახლობლებში განსახიერდება,  
 სახელი კი მარად დარჩება ამ დროებით ქვეყანაზე.

ნუგზარ წერეთელი  
 6-7 ნოემბერი, 2008წ. თბილისი

## შემთხვევა ფიტელ მომდანზე



1987 წელს ჩვენ, საქართველოს დელეგატები, ჩავედით მოსკოვში საზოგადოება „ზნანიეს“ მორიგი ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ყრილობა ტარდებოდა ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შენობაში, რომელიც მდებარეობდა მოსკოვის კრემლის ტერიტორიაზე.

ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ დელეგატებისა და სტუმრებისათვის გაიმართა მიღება და ბანკეტი. ეს ღონისძიება ჩატარდა 1987 წლის 28 მაისს ნიკიტა ხრუშჩოვის ინიციატივით კრემლის ტერიტორიაზე აშენებული ყრილობათა სასახლის ბოლო სართულზე. მისაღმებისა და გამოსვლების შემდეგ სტუმრები მიგვიპატიუჟეს პურმარილზე, რომელსაც როგორც იტყვიან, ჩიტის რე არ აკლდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საბანკეტო დარბაზის თითქმის ყველა კედელი იატაკიდან ჭერამდე შემინული იყო, ეს კი საშუალებას იძლეოდა დაგვე-

ნახა შენობის გარეთ ტერიტორია და მომწვანო-მორუსო ცა.

უცირად ცაში შევნიშნეთ პატარა თვითმფრინავი, რომელიც კრემლს თავს დასტრიალებდა. ამან კი ძალიან გაგვაოცა, რადგანაც კრემლის თავზე ყველა სახეობის აპარატის ფრენა სასტიკად იყო აკრძალული. ბუნებრივია გვეგონა, რომ ეს ფრენა ვიღაცის ბრძანებით სპეციალურად იყო დაშვებული.

ამასობაში ბანკეტი დასასრულს მიუახლოვდა და სტუმრები ჯგუფ-ჯგუფად ტოვებდნენ ყრილობათა სასახლეს. ჩვენც გამოვედით, გავიარეთ კრემლის ტერიტორია და გავედით მაცხოვრის კარიბჭით წითელ მოედაზე. გავედით თუ არა, დავინახეთ, რომ ჩვენსკენ მოგორავდა პატარა თვითმფრინავი, იგი მსუბუქი სპორტული თვითმფრინავი „სესნა“ გამოდგა, რომელიც გათვალისწინებული იყო პილოტსა და სამ მგზავრზე. სამ სამგზავრო ადგილზე საწვავის სამი ავზი დაემონტაჟებინათ.

მაცხოვრის კარიბჭის იქით მოედაზე თვითმფრინავი ვერ წავიდოდა, რადგან პატარა რკინის ბოძებზე ჯაჭვი იყო გამული.

თვითმფრინავიდან გადმოვიდა სპორტულ შარვალსა და წითელ ქურთუკში გამოწყობილი ახალდგაზრდა და გერმანულად გამოგველაპარაკა. სამწუხაროდ, ჩვენ გერმანული არ ვიცოდით. წითელ მოედანზე ხომ

ყოველთვის ბევრი ხალხი და მიღიციაც მიმოდიოდა, მაგრამ არავის არ მიუქცევია ფურადღება და ახლოსაც კი არავინ მისულა. აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ ვინმეს შეეძლო დაერღვია საბჭოთის საპატიო სივრცე და თვითმფრინავი წითელ მოედანზე დაესვა.

ამასობაში მოგვიახლოვდა საშუალო ასაკის ქალბატონი ჩანთით ხელში, რომელშიც პური ჩაედო. ახალგაზრდა გამოელაპარაკა ამ ქალს, რომელიც, საბედინეროდ, გერმანული ენის მცოდნე გამოდგა. ამ ქალბატონმა გადმოგვითარგმნა, რომ ყმაწვილი გერმანელი მატიას რუსტი იყო. ახალგაზრდამ გვითხრა, ჩემს სამშობლოში ძმაკუებთან ნიძლავი დავდე, მოსკოვში ჩაფინანდები და თვითმფრინავს კრელის ტერიტორიაზე დაგსვამო. მერე იმ ქალბატონს სთხოვა, ძალიან მშია და ცოტა პური მაჭამეო. სსრ კავშირის და განსაკუთრებით, კი მოსკოვის საპატიო სივრცე რადარებით რომ დაცული იყო, მატიას რუსტმა კარგად იცოდა. ამიტომ საზღვარი გადაკვეთა ძალიან დაბალ სიმაღლეზე, რომელსაც რადარები ვერ აკონტროლებდნენ.

ასევე ძალიან დაბალ სიმაღლეზე შემოიჭრა მოსკოვის საპატიო სივრცეში. თურმე, სცადა თვითმფრინავი კრელის ტერიტორიაზე დაესვა, მაგრამ ვერ მოახერხა და ამიტომ წითელ მოედანზე დაჯდა. არადა ყველა გაოცებული იყო, რომ თვითმფრინავი დასვა პუზნეცკის ზიდზე, რომლის თავზე ტროლებუსების სადენებია გაბმული. მან ისე მარჯვედ დასვა თვითმფრინავი, რომ არც ერთ სადენს არ წამოსდება.

ამასობაში თვითმფრინავთან უამრავი ხალხი შეგროვდა, რომელთა შორის ერთ-ერთი მიღიციელიც იყო. როცა მიღიციელი გონის მოეგო, რაციონი ეს ამბავი თავის უფროსობას შეატყობინა.

რამდენიმე წუთში თვითმფრინავი მიღიციელების აღყაში აღმოჩნდა. ეტყობა ზემო ინსტანციებში ბოლომდე ვერ გაურკვნენ რა მოხდა, მაგრამ განგაში გამოაცხადეს და რამდენიმე წუთში ხიდთან ჯარისკაცებით სავსე მანქანების კოლონა გამოჩნდა. მატიას რუსტმა ორგანოების წარმომადგენლებს რუკა აჩვენა, რომელზეც მისი ფრენის მარშრუტი იყო აღნიშნული.

ამის შემდეგ პილოტი შავ „ვოლგაში“ ჩასვეს და სადღაც გააქანეს დაკითხვის მიზნით, თვითმფრინავს კი დაცუა მიუჩინეს. ლამე თვითმფრინავი წითელი მოედნიდან გაიყვანეს.


მეორე დღეს გავიგეთ, რომ თანამდებობიდან გაათავისუფლეს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი სოკოლოვი.

მატიას რუსტი საბჭოთა კანონებით გაასამართლეს და პატიმრობა მიუსაჯეს.

ამ ფაქტმა დაასამარა მითი იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის საზღვარი ხელშეუხებელი და საიმედოდ იყო დაცული.

მატიას რუსტს გათავისუფლების და გერმანიაში დაბრუნების შემდეგ გაუჩინდა ახალი იდეა – თვითმფრინავი აშშ თეთრი სახლის წინ დაესვა. მაგრამ ეს იდეა გაურკვეველი მიზეზის გამო ვერ აღასრულა.

## საყდარი (სოფელ მრგვას ჭარსული)



ერგე, მასში შემავალი სოფლებით (ზემო და ქვემო ჯოჭო, ნიკიტაური, კაპანდიბი), მიეკუთვნება ერთ—ერთ უძველეს დასახლებათა რიგს. სოფლებარეობს ხელვაჩაურის რ-ნში, ბათუმიდან 14 კმ. დამორჩებით. გაშენებულია მდ. ჭოროხის მარჯვენა ნაპირას. „ამას ზეით (ბათუმის რ.უ.), ჭოროხის ჩრდილოსავე კიდესა ზედა, არის ერგე,”— გვამცნობს ვახუშტი ბატონიშვილი.

სოფლის წარსულის სხვადასხვა ასპექტის შესახებ შემორჩენილია საინტერესო წერილობითი, ზეპირსიტყვიერი, ტოპონიმური, ნივთიერი მასალები. როგორც ირკვევა, თავის დროზე ერგეს თემში მოქმედებდა ცხრა ეკლესია (საყდარი).

სოფლის ბაშკოს უბანში ადგილს საყდარს ეძახიან. ჯერ კიდევ

გასული საუკუნის 50-იან წლებში შემორჩენილი იყო საყდრის ნაშთები. საყდრის სიგრძე უდრიდა 7 მ., სიგანე — 5 მ. კარი აღმოსავლეთით ჰქონდა დატანებული. ნაშენები იყო კირითა და ადგილობრივი კლდის ნახერზე ქვებით. საყდრის ეზოში აღმოჩნდა დიდი ზომის ჭური, რომლის დიამეტრი ყოფილა 120 სმ. ახლომდებარე მაღლობიდან თიხის მიღებით საყდარში შეყვანილი იყო წყალი. არსებობს გადმოცემა: თურმე, მოუხდავად მუსლიმანობის მიღებისა, სოფლის მცხოვრებნი მაღლად მიღიღდნენ საყდარში და ანთებდნენ სანთელს, ასრულებდნენ ქრისტიანულ წესებს. ამის გამო ოსმალო დამპყრობლებს იგი დაუნგრევიათ, მაგრამ ხალხი თავისას არ იშლიდა და საყდრის ნანგრევებზე მაღლად განაგრძობდა სანთლის დანთებას. აჭარის დამსახურებული მასწავლებლის ნიაზ ომერაძის გადმოცემით, თურმე ღრმად მოხუცებული მისი ბებია დუდი ხანუმ ომერაძე ისე მოკვდა, რომ საყდრის ნანგრევებზე დადიოდა და ლოცულობდა.

ქრისტიანულ სალოცავთა სიმრავლით გამოირჩევა ჯოჭოს წყლის ხეობა. ერთ—ერთ უბანს ჰქვია საყდარი. არის დავაკებული აღვილი. მდებარეობს ჯოჭოს წყლის მარჯვენა მხარეს. გადმოცემით აქ არსებულა საყდარი. დღემდე შემორჩენილია მხოლოდ საყდრის საძირკველი. იგი წარმოადგენდა დარბაზული ტიპის ნაგებობას. მოცულობით უდრიდა 20-25 კვადრატულ მეტრს. საყდრის ეზო და მისასვლელი მოპირკეთებული ყოფილა რიყის

ბრტყელი ქვებით. 1956 წელს პრო-ზესორ ი. სიხარულიძეს ჯოჭოელი ალი მიქელაძისგან ჩაუწერია: „ჩემი დიდი ნები იტყოდა, რომ აქ ძველად ქილისე—საყდარი იყოო. ხალხი მაშინ სულ მაღლობებზე ცხოვრობდა და ჩანგს რომ დაარტყამდნენ, მოუდობნენ მო-სახლეები.“

უბნის ტერიტორიაზე დასტურდება მარანის არსებობა. აღმოჩენილია ერთად დაფლული ხუთი დიდი ჭური, რაც მიუ-თითებს იმაზე, რომ ეკლესის საკუთარი მეურნეობა ჰქონია. საყდართან არსებობდა სამარხი. სოფლის მკვიდრი ტარიელ მიქელაძე მოგვითხრობს: ჩემი ბებია ფა-ქიზო მიქელაძე გვეტყოდა, ნასაყდრალ-თან სასაფლაოს არ გაეკაროთ, ავად გახდებით.

საკითხთან დაკავშირებით საინ-ტერესოა ტერმინ საყდარის ეტიმო-ლოგია. საყდარი თავისი დანიშნულებით არის შენობა „სადაც ქრისტიანთა წირვა-ლოცვა იმართება, — ეკლესია“ (ქეგლ., 1986:399). ეს უკანასკნელი ბერძნულიდან დამკვიდრებული სიტყ-ვა (ზ. ჭუმბურიძე, 1978:71). „ეკლე-სია — შესაკრებელი ტაძარი საღოცა-ვად ღვთისა,“ — განმარტავს ლექსიკოგრაფი ნ. ჩუბინაშვილი (ნ. ჩუბინაშვილი, 1961:209). ჩნდება კითხვა, ბერძნულის გავლენით ტერმინ ეკლესი-ის დამკვიდრებამდე ქართულში რა სიტყვა გამოიყენებოდა ღვთისმსახურე-ბის შენობის აღმნიშვნელად? პროფ. შ. ძიძიგურის გამოკვლევით ქრისტიან-ულ სამლოცველო შენობას ძველ საქართველოში ეკლესის გარდა საყ-დარიც ეწოდებოდა (შ. ძიძიგური, 1982:29). მიჩნეულია, რომ ეს უკა-ნასკნელი აღნიშნული მნიშვნელობით დამკვიდრდა მოგვიანო პერიოდში (შ.

ძიძიგური, 1982:29-30). საკითხის ლინგვისტური, ისტორიულ — ტოპონ-იმერი ანალიზიდან გამომდინარე, ვფიქრობთ საყდარი არის ღვთისმსახ-ურების შენობის აღმნიშვნელი უძვე-ლესი ქართული ტერმინი. იგი წარ-მოსდგება სიტყვისაგან საყდარი. მასში გამოიყოფა ფუძე კუდე-დაერთვის ქართულ ტოპონიმიაში დანიშნულების მაწარმოებელი სა- -არ- თავსართ-ბოლოსართი. „ყუდე“ მეგრული სიტყვაა და ქართულად შეე-სატყვისება „სახლი“ (ოთ, ქაჯაია, 2002:332). ზემოთქმულის მიხედვით საყდარი (საყდარი) ნიშნავდა გან-საკუთრებული დანიშნულების სახლს, სადაც სრულდებოდა ღვთისმსახურე-ბა.

სწორედ, ჩვენი წინაპრები, ჯერ კიდევ წარმართობის პერიოდში, თავი-ანთ სალოცავ სახლებს, სადაც იკრიბე-ბოდნენ და ასრულებდნენ ღვთისმსახ-ურების რიტუალებს, უწოდებდნენ „საყდარს“ ანუ „ღვთის სახლს“. თუ გავითვალისწინებთ სიტყვა „საყდარი“—ს აგებულებას, იგი ზა-ნურ-ქართული ენობრივი ერთობის პერიოდიდან (დახ. ძვწ. II ათასწლეუ-ლი) მომდინარე ტერმინად უნდა მივ-იჩინოთ. საქართველოში, ქრისტიანო-ბის გავრცელების პირველ ეტაპზე, ქრისტიანულ სამლოცველო სახლებს (შენობებს) დამკვიდრებული ტრადიცი-ის გავლენით ეწოდა საყდარი ანუ საყდარი. შემდგომ მისი ადგილი დაიკავეს ტერმინებმა: ეკლესია, ტაძარი. ქართული ტერმინი საყდარი (საყ-დრის სახით) პარალელურად განაგრ-ძობს არსებობას. ქართველი მემატიანე ჯუანშერი (XI ს.) გვამცნობს: ქართ-ლის მეფე მირის (717-730 წ.წ.) ცხე-

დარი „დაპულენ საყდარსა ქუთაისის-სა.“ ხახულის ეკლესიის აგებასთან დაკავშირებით „მატიანე ქართლისაი“ -ში გვითხულობთ: „დავით კურაპალატმა აღაშენა მონასტერი და საყდარი ღმრთისა“ (ქცა- I., 1959:274).

3. დავით აღმაშენებლის მემატიანე მოგვითხრობს: დავითმა მუსლიმანებისა-გან გაათავისუფლა ანისი „რომელთაც დიდი საყდარი ანისისა მიზეიდათ მოეკაზმათ და ქრისტიანთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყოთ (ქცა- I., 1959:345). ამ მხრივ საყურადღებოა ეწ. „რატიანის სიგელი," რომელიც XVII ს-ის შუა წლებშია გაცემული სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანის მიერ. მასში გვითხულობთ: პაპა ჩვენი ლიონ დადიანი (საუბარია ლევან I დადიანზე) სტამბოლს წასულა და რაც ოდიშის საყდრები ყოფილა, იმისათვის ზოგს ოცი, ზოგს ათი, ზოგს ხუთი კვამლი (კომლი) შეუწირავს" (თ, ბერაძე, 1981:77). როგორც ჩანს, ტრადიციის მიხედვით ამ პერიოდის სამეგრელოში უწინდებურად „ლვთის სახლს" (ეკლესია) საყდარს ეძახდნენ.

აღნიშნული ტრადიცია მყარად იქნა შენარჩუნებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს მხარის ტოპონიმიაში. გეოგრაფიულ ადგილებს, სადაც ფიქსირდება ქრისტიანული სამლოცველოები, ძირითადად ეწოდება: საყდარი, სახტარი. მრავლად გვაქვს მათგან წარმომდგარი ტოპონიმები: საყდარი, საყდრიძირი, საყდრისერი, საყდრიყელი, ნასაყდრალი, ნასაყდრევი, ნასაყდარი, სახტარი, ნასახტრევი. საკითხთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა ტერმინი საყდრიონი,

დაყუდებული. აკად. ს. ჯანაშიას განმარტებით, საყდრიონი ნიშნავს საყდრის შვილებს (ს. ჯანაშია, 1959:41) ანუ საყდრის მორწმუნეთა კრებული. ხოლო „დაყუდება, დაყუდებული არის განმარტოებით მცხოვრები ბერი, განდევილი" (ქეგლ., 1986:203). მისი შინაარსიდან გამომდინარე, თავდაპირველად დაყუდება, დაყუდებული ნიშნავდა საყდარში ლოცვად დაღვომას, ლოცვად დვომას.

საყურადღებოა, რომ სამწერლო ლექსიკაში, ქრისტიანულ სამლოცველო შენობის აღმნიშვნელად იყენებდნენ ტერმინ საყდარს

4. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ..... ი. გოგებაშვილის მოთხრობაში „საყდარი" ვაკითხულობთ: ჩვენს სოფელში აშენებულია მშენიერი თლილი ქვის საყდარი წმინდა გიორგის სახლზე. იგი სდგას შუა სოფელში. მთელი ჩვენი სოფელი დიდად თაყვანს სცემს ჩვენს საყდარს. ყველა ჩვენგანი ამ საყდარშია მონათლული, მასში ევედრება ღმერთსა, ისმენს წირვალოცვასა, ამბობს აღსარებასა, მიიღებს ხოლმე წმინდა ზიარებასა და სულის ცხონების გზაზე დგება. იმავე საყდარის შორი-ახლო მიაბარებენ მიწას ჩვენს სხეულსა სასაფლაოზედ, სადაც მარხიან ჩვენნი დედ-მამანი, პაპანი, წინაპარნი. ჩვენი საყდარი საყოველთაო საღმრთო საფარველია."

დროთა ვითარებაში ტერმინმა „საყდარი" განიცადა ცვლილებები. სიტყვის ფუძეში მოხდა „უ" ხმოვნის დაკარგვა (რედუქცია). რის შედეგადაც მივიღეთ საყდარი [სა ყ-(უ) დარი'!საყდარი].

რევაზ უზუნაძე  
საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება, ცოდნის" აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე. პროფესორი

### გამოყენებული ლიტერატურა

- 1) თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ბველ საქართველოში, თბ., 1981.
- 2) ი. გოგებაშვილი, დედა ენა, თბ., 1912.
- 3) ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ტ. I, ბათ., 1958.
- 4) ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ტ. II, ბათ., 1959.
  
- 5) რ. უზუნაძე, წინაპართა ნაკვალევზე. გაზ. „აჭარა“ №233, 2003.
- 6) ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1959.
- 7) ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
- 8) მ. ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკონი, VIII, თბ., 1992.
- 9) ოთ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2002.
- 10) ქეგლ., თბ., 1986.
  
- 11) ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.
- 12) ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათ., 2000.
- 13) ნ. ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან, ბათ., 2004.
- 14) შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1982.
- 15) აკ. წერეთელი, თხზ. ტ. III, თბ., 1989.
  
- 16) ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. I, თბ., 1987.
- 17) ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. II, თბ., 1988.
- 18) ზ. ჭუმბურიძე, როგორ გაჩნდა სიტყვა, თბ., 1978.
- 19) ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959.

სოფიო კოჯილაშვილი – საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ ლიცენზირებულ-აკრედიტებული ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის პირველი კურსის წარჩინებული სტუდენტია. მომავალი წამალთმცოდნე პოეზიითაც არის გატაცებული. ჩვენს უურნალში წარმოდგენილ ერთადერთ ლექსშიც ჩანს მისი სახიამოვნო პოეტური სულისკვეთება, სიყვარულისადმი წმინდა ქალური დამოკიდებულება. ვუსურვოთ ჩვენს მოწინავე სტუდენტს ოცნება და მოლოდინი გამართლებოდეს.



### დაგელოდები

დაგელოდები....!

უსათუოდ დაგელოდები...

ნისლი დაბურავს ციდან-ცამდე გადატყორცნილ მთებს.

დაბრუნდებან თბილ ქვეყნებში თეთრი გედები

და შენს ნაკვალევს წაშლის წყნარი ფოთოლცვენის თვე.

დაგელოდები....!

აიძღვრევა ნათელი დილის,

შენ წახვალ ჩემგან, დაჭკნებიან ყველგან ვარდები.

ცარიელ სივრცეს ამოავსებს შენზე ფიქრები,

დეპემბრის სევდა, დათოვლილი ხეთა ლანდები.

დაგელოდები....!

თვე კვირტობისა სანატრელი მოვა, ვაცალოთ

და დაბრუნდება აისივით წმინდა ნათელი,

რომ ყველა, ყველა გაზაფხული შენ განაცვალო,

რომ კვლავ ამკობდეს ცისკრის ყვავილს სხივთა ფანტელი.

დაგელოდები....!

უსათუოდ დაგელოდები.

საქართველოს იღია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამუცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ ლიცენზირებულ-აკრედიტებული ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის პირველ კურსზე სწავლობს მერი ჯაბიშვილი. იგი წარმოშობით არის ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხედურეთიდან. მართალია, ზემო ხედურეთს რუსული ყუმბარები ასცდა, მაგრამ სამაგიეროდ ქვემო ხედურეთს დაატყდა სასიკედილო ცეცხლი. მერი ჯაბიშვილს და მის ოჯახს საშინელი გრიალისა და სახლის რყევის გამო დღე და დამე არ ეძინათ. ომის საშინელების განცდით არის დაწერილი მისი ლექსი, რასაც უურნალის ახალ ნომერში ვაქევეყნებთ



### არა სისხლისღვრას, შურსა და მტრობას

მე ვარ ქართველი, მაგრამ ვარ ოსიც,  
აფხაზიც ვარ და... ქართველი უფრო,  
არ მინდა ჩვენ რომ საწუთოობ ცუდი  
ურთიერთობა დაგვისაკუთროს.  
დრო სწრაფად მიდის, არ მინდა მოვკვდე,  
არ მინდა ოსმა მმებმა განმგმირონ,  
და არც აფხაზმა მესროლოს ტყვია,  
ანდა წამართვას რუსმა სიცოცხლე,  
რასაც ღვთისაგან წყალობა ჰქვია.  
არ მინდა მე რომ მტრულად მიყურონ,  
წამართვან ქვეყნად ჩემი ადგილი  
მხოლოდ იმისთვის, რომ ქართველი ვარ,  
არ მინდა დედას გული ატკინონ!  
ამას ვერაფრით ვეღარ დავუშვებ,  
ჩვენს მიწა-წყალზე მტრობა სუფევდეს,  
თუკი ვერ შევძლებ, ვეცდები მაინც,  
მხარს გავუმაგრებ ასობით რაინდს,  
რათა ჩვენს შორის, ხალხებს შორის მშვიდობა აღდგეს.  
ეს ხომ არ არის მოგონილი ვინმეს ზღაპარი,

ჩვენამდე ქვეყნად ზომ ცხოვრობდნენ მამა-პაპანი,  
 ერთი ქართველი დედის შვილები,  
 ტანჯვა-წამებით გამოზრდილები,  
 ჩვენ ძალზე გვინდა, რომ აწი მაინც  
 ერთურთის მიმართ ვიყოთ გულებგადაშლილები,  
 ქართველთან ერთად იყოს ოსიც, აფხაზიც, რუსიც,  
 რადგან ისინი ძმები იყვნენ დასაბამიდან,  
 ბოლოს კი სამტროდ, საუბედუროდ  
 ხელი აღმართეს ათასწლოვან მეგობრობაზე,  
 არ მინდა ომი, არ მინდა მტრობა,  
 არ მინდა ჩვენში რომ იყოს გლოვა,  
 არ მინდა ქართვლის, აფხაზის, ოსის  
 დედა მოსთქვამდეს დაკარგულ შვილზე,  
 არ მინდა სადღაც უსულოდ ეგდო,  
 ქართველო კაცო, ოსო თუ ლეკო,  
 ვისაც სახელად ეწოდება ადამიანი.  
 არ მინდა ჩვენში რომ იყოს მტრობა,  
 შურისძიების უწყვეტი გრძნობა,  
 არ მინდა ბოლმა დაპქონდეთ გულით,  
 ვინაც საკუთარ ისტორიას ვერაფრით უკლის.  
 ჩვენ ვართ, ხალხებო, ახალი ძალა,  
 ახალი მართლაც თამამი წყობა,  
 და ამას უკვე ვერავინ მალავს,  
 იმედის თვალით გაგყურებთ მყობადს.  
 დიპლომატების ვთამაშობთ როლსაც,  
 ვცდილობთ, განვიცდით გვჭირდება ოდეს,  
 ხალხი მცხოვრები უახლეს დროში  
 ვედარ მიაღწევს ფაშისტურ კბოდეს.  
 ახლისკენ ლტოლვა ხომ სჯობს ათასჯერ  
 მსოფლიო ომის განმეორებას?  
 საკუთარ თავის ნაძვილი ნდობით  
 და ქართველების დიდი სახელით  
 გითვლით აფხაზებს, ოსებს და მათათან  
 მბიმე ჯანღებად შეგროვილ რუსებს:  
 საჭირო არის გავერთიანდეთ,  
 გამოვერიდოთ სატანის მახეს,  
 წლობით დაგროვილ ცოდვების კუზებს  
 და ბოროტ სიკვდილს ვუთხრათ უარი,

ვირწმუნოთ ძალა ნათელისმცემლის,  
 ამით კეთილი ღმერთი გახაროთ,  
 ქალწულ მარიამს შევუშროთ ცრემლი,  
 და მის პირმშოსთან – უფალ ქრისტესთან  
 ვიყოთ მართალნი და ღირსეულნი.  
 მამაზეციერს შევთხოვოთ დახსნა.  
 შევთხოვოთ შანსი სამოთხის გზისკენ!  
 გადავარჩინოთ ერიც და ბერიც,  
 რომ ღირსეულებს დაგვეხსნას მტერიც.  
 და გადავაგდოთ სისხლისღვრის კევრი,  
 ხელისუფალიც ისურვებს ამას,  
 კარგად მყოფები შევტრფოდეთ ლამაზს,  
 შვილებსაც ვზრდიდეთ ერთად ცხოვრებით,  
 ყველას ნიჭიერს და ყველას მამაცს.  
 ყველას ერთიან გვინდა სიცოცხლე,  
 გვინდა შრომა და გვინდა მშვიდობა,  
 ყოველთვის მწარედ გვემახსოვრება  
 აგვისტოს ზათქი და წყალდიდობა.  
 თქვენაც მოგმართავთ ჩვენსავ კალთაში,  
 დაფრთიანებულ უმაღურ შვილებს,  
 ოსებს, აფხაზებს და თქვენთან აქვე  
 თავად რუსებსაც არ გავაწილებ.  
 გავერთიანდეთ სიკეთის გზაზე  
 და ავიცილოთ ფრაზა „გრძელდება“,  
 არ მინდა ისევ გაგრძელდეს ომი,  
 ნგრევა ტკივილით გაგვახსენდება.  
 სჯობს განვამტკიცოთ ერთობლიობა  
 უარვყოთ ბრძოლებს ვინაც მართავდა,  
 ქვეყნად სუფევდეს ნანატრი ნდობა,  
 და ვთქვათ ხმამაღლა:  
 მორჩა,  
 დამთავრდა!

ლონდა ჯოჯუა საქართველოს იღია  
ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო  
სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო  
კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ ლიცენ-  
ზირებულ-აკრედიტებული ინსტიტუტის  
ფარმაცევტული ფაკულტეტის პირველი  
კურსის სტუდენტია. მის არსებაში ჯერ  
სიყვარული, ფიქრი და ძიებაა დასაღვურე-  
ბული, ჯერ კიდევ ბოლომდის ვერგათლილი  
სტრიქონებით ცდილობს საკუთარი  
გრძნობების წარმოჩენას, ამიტომ ძალიან  
ბევრი შრომა დასჭირდება, რომ საკუთარი  
განცდებით დააინტერესოს მკითხველი და  
მყარად შედგეს იმ რთულ გზაზე, რომლის  
დასაწყისთანაც ამჟამად დგას.



\* \* \*

ჩემი ლამაზი ოცნება გქვია,  
ეს სიყვარული შენ მოგიძლვები,  
შენს ფიქრებს ჩემსას შევადრი გვიან,  
რომ ვპოვო გრძნობის გზა და სიგრძენი.  
შენს თვალებს დიდი სინაზე ავსებს,  
და სილამაზეს აფრქვევს ღიმილი,  
ერთმანეთს შევხვდით ცხოვრების გზაზე,  
ჩიტების ტკბილი უივილ-ზივილით.  
ჩემი ოცნება თუ არ ახდება,  
თუ ფიქრი კვლავაც ცრემლად გაჩნდება,  
გრძნობას შევნატრებ მე განახლებას  
და ბრძოლის გარდა სხვა გზა არ მრჩება.

\* \* \*

ნეტავ რას ნიშნავს ჩემი ცხოვრება?  
 თუ წარმოვადგენ საერთოდ რამეს?  
 ვითვალისწინებ მე ყველა სიტყვას,  
 სიტყვას ჩემსას კი ატანენ ქარებს.  
 ჩემი ცხოვრება ძალზე როულია,  
 ათას ფიქრს დარღის გზები უძღვიან,  
 მინდა ვიცხოვო მშვიდად და წყნარად,  
 მაგრამ ეს ყველას არ შეუძლია.  
 ღმერთმა ამ ქვეყნად რად გამაჩინა  
 ან რატომ უნდა მერქვას ტანჯული,  
 ბრძოლა სჭირდება ყოფას ურთულესს  
 და ამიტომაც იქნებ გავჩუმდი.  
 სირთულე თითქოს ყველა გზას მიჰრის,  
 არ ვიცი ბედი რას მექადება,  
 თვალებში მზერა შემზედება ბიჭის  
 ახალ ბრძოლისთვის ვიწყებ მზადებას.  
 როცა დრო მოვა მონანიების  
 ანდა განდობის და აღსარების,  
 ღმერთს მინდა ვუძღვნა ლურჯი იები,  
 გინდ მომიხუროს იქვე კარები.